

# შეღარაბითი სამართლის

3/2019

ქართულ-გერმანული ჟურნალი

შინაარსიდან:

საპენსიო სისტემის ზოგადი დახასიათება  
**მაქს გუთბროდი**

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების  
არსი და პრობლემები  
**ზვიად გაბისონია**

აქცესორობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე  
**გიორგი რუსიაშვილი**

მფლობელობის შესახებ ნორმების რედაქტირების ცდა  
**ქეთევან ქოჩიაშვილი**

ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი  
**გიორგი ჟორჟოლიანი**

იძულებით გადაცემული ქონების უკუქცევა  
სკ-ის 978-ე მუხლის მიხედვით  
**ნინო ქავშბაია**

სასამართლო პრაქტიკა:

**სუს:** საკუთრების შექმნა გამსხვიებლის უფლებამოსილების ნაკლისას

**სუს:** დივიდენდების განაწილების დავალდებულება

**სუს:** იძულებით დადებული გარიგების ბათილობა და უკუქცევა

**სუს:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილობა

**სუს:** „ზიანის ანაზღაურება“ იძულებით დადებული გარიგების  
უკუქცევითვის

**სუს:** ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას

**საკონსტიტუციო:** განსხვავებული ბაჟის დაკისრება ფიზიკური  
და იურიდიული პირისათვის

**სუს:** ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობების განმარტება

**სუს:** აუქციონზე უძრავი ნივთის არაკეთილსინდისიერად რეალიზაცია



3/2019

# შვედური-გერმანული სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა



წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



## მთავარი რედაქტორი

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუში

პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი

მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი

ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი

პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე

პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი

ლადო სირდაძე

დავით მაისურაძე

დემეტრე ეგნატაშვილი

თორნიკე დარჯანია

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშაბია

ხატია პაპიძე

თათია ჯორბენაძე

ანა ბაიძე

გიორგი მელაძე

ISSN 2587-5191

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2019

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2019

© ავტორები, 2019

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge

www.isl.ge



# სარჩევი

## სტატიები

საპენსიო სისტემების ზოგადი დახასიათება <i>მაქს გუთბროდი</i>	7
ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების არსი და პრობლემები <i>გვიად გაბისონია</i>	5
აქცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	10
საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მფლობელობის შესახებ ნორმების რედაქტირების ცდა <i>ქეთევან ქოჩიაშვილი</i>	22
ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი <i>გიორგი ჟორჯოლიანი</i>	27
იძულებით გადაცემული ქონების უკუქცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლის მიხედვით <i>ნინო ქავშბაია</i>	32
მოთხოვნის გადასვლა ექსპედიციისა და ლიზინგის ხელშეკრულებებში <i>თათია ჯორბენაძე</i>	40

## საბაზისო კავშირები

სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	45
---	----

## სასამართლო პრაქტიკა

სუს: საკუთრების შეძენა გამსხვივების უფლებამოსილების ნაკლისას ( <i>ქავშბაია</i> )	55
სუს: სასამართლოს მიერ დივიდენდის განაწილების დავალდებულების შესაძლებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ( <i>ბაიაძე</i> )	58
სუს: იძულებით დადებული გარიგების ბათილობა და უკუქცევა ( <i>ქავშბაია</i> )	59
სუს: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილობა ( <i>ქავშბაია</i> )	60
სუს: „ზიანის ანაზღაურება“ იძულებით დადებული გარიგების უკუქცევისთვის ( <i>ქავშბაია</i> )	62
სუს: ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას ( <i>ქავშბაია</i> )	63
საკონსტიტუციო: განსხვავებული ბაჟის დაკისრება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ( <i>ლაბარტყავა</i> )	65
სუს: ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობების განმარტების სპეციფიკა, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება და პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის წინაპირობანი ( <i>ლაბარტყავა</i> )	66
სუს: მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია, როგორც კრედიტორის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დამრღვევი ქმედება ( <i>აგლაძე</i> )	69



# საპენსიო სისტემების როგორი დახასიათება

დოქ. მაქს გუთბროლი\*

ადვოკატი, Baker & McKenzie-ს საადვოკატო ბიუროს მოსკოვის ოფისის პარტნიორი

## I. საპენსიო რეფორმების ძირითადი დახასიათება

წარსულში, შესაბამისი სახელმწიფო რეგულაციების შემოღებამდე, მოხუცებზე და ბავშვებზე ზრუნვის ტვირთს მათ შორის მყოფი თაობა ატარებდა. თანამედროვე საზოგადოებებში არსებობს უამრავი კანონისმიერი რეგულაცია იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლებსაც საკუთარ თავზე ზრუნვა აღარ ან ჯერ კიდევ არ ძალუძთ. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ ეხმარებიან საპენსიო სისტემები, რათა სიბერეშიც მოახერხონ ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ისევე, როგორც ბევრმა სხვა კონტინენტურ ევროპულმა სისტემამ, საბჭოთა სისტემამაც საპენსიო უზრუნველყოფის სოლიდარულ პრინციპზე დამყარებულ მოდელს მიანიჭა უპირატესობა. სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელის პირობებში გასაცემ პენსიას აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი და დასაქმებული მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები.

ასევე გერმანიაშიც, მოქმედებს მსგავსი სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი, თუმცა მისი მიზანშეწონილობა, ბოლო დროს, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის<sup>1</sup> აუცილებლობიდან გამომდინარე დისკუსიის საგნად არის ქცეული. ამ სისტემის პირობებში მაღალი შემოსავლის მქონე პირები ან თვითდასაქმებულები მთელ რიგ შემთხვევებში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე რეგულაციების გამო, იძულებულნი არიან კერძო დაზღვევას მიმართონ ხოლმე.<sup>2</sup> კერძო დაზღვევა შეიძლება იმუშაოს მხოლოდ დაგროვებითი მოდელის საფუძველზე. ამ მოდელის შემთხვევაში საპენსიო გადახდა ხდება საპენსიო ფონდიდან, რომელიც ივსება პერიოდული შენატანების საფუძველზე. ჩვეულებრივ, დაგროვებითი მოდელები იმგვარად არის მოწყობილი, რომ ის, ვინც მხოლოდ მცირე დროს გა-

ნმავლობაში იღებს პენსიას, იხდის მისთვის, ვინც უფრო დიდი ხნის განმავლობაში იქნება ამ პენსიის ბენეფიციარი.

## II. საპენსიო სისტემები და კაპიტალის ბაზარი

დაგროვებითი პენსიის დადებით მხარეებზე საუბრისას ხშირად მოჰყავთ აშშ-ის მაგალითი. იქაური (ცალკეული შტატების) ფონდები,<sup>3</sup> რომელთა კომპეტენციაშიც შედის საპენსიო სისტემა, წარმოადგენენ მსხვილ ინვესტორებს გაყიდვების ბაზარზე. ამერიკული ინოვაციური საწარმოების მსოფლიო მასშტაბით სწრაფი ექსპანსიის ერთ-ერთი განმაპირობებელი და ხელშემწყობი არის სწორედ ის ფაქტორი, რომ ამ საწარმოებს მათი განვითარების ყველა სტადიაზე აქვთ წვდომა კაპიტალზე. ეს კაპიტალი კი მნიშვნელოვანწილად სწორედ საპენსიო ფონდში განხორციელებული შენატანებისაგან შედგება.

კაპიტალის ბაზარი აშშ-ის დაარსების მითოსის შემადგენელი ნაწილია: ახალგაზრდა სახელმწიფოს ინგლისის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებული ბრძოლის დაფინანსება მხოლოდ ნასესხები ფულით შეეძლო, რაც თავის მხრივ მოითხოვდა გარკვეული ლიკვიდურობისა და მოცულობის მქონე შიდა ბაზრის არსებობას.<sup>4</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ კაპიტალის ბაზარი იყო ის მთავარი ფაქტორი, რამაც განაპირობა აშშ-ის სწრაფი განვითარება სხვა კოლონიებთან შედარებით, რომლებიც ნედლეულის ბუმის შემდეგ, ისევე გაცვლით ეკონომიკას დაუბრუნდნენ<sup>5</sup>.

დღესდღეობით სხვა მოთამაშეებთან შედარებით უფრო დიდი გლობალური მასშტაბების გამო, აშშ-ის კაპიტალის ბაზარი მარტივად დომინირებს გლობალურ ბაზრებზე. თუმცა ამას აშშ-ზე მხოლოდ დადებითი ზეგავლენა არ აქვს. კერძოდ,, აქედან გამომდინარე, ფინანსური ინდუსტრიის მნიშვნელობამ იმდენად გააძვირა სამუშაო ძალა აშშ-ში, რომ საერთაშორისო კონკურენციის გათვალისწინებით, ამერიკაში სხვა რამის წარმოება შეუძლებლად ძვირი ხდება. იქიდან გამომდინარე, რომ ძლიერი კაპიტალის ბაზრის პირობებში იმპორტის ნეგატიური სალდოს დაფინანსება მარტივად არის შესაძლებელი სესხის მეშვეობით, ინფლაცია

\* სტატია გერმანულიდან თარგმნა გიორგი რუსიაშვილმა.

<sup>1</sup> გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიას მიზნად აქვს დასახული გააგრძელოს საპენსიო რეფორმა და ბოლო წლებში აღებული კურსი, რომელიც "სამართლიანი პენსიის" დევიზით ითვალისწინებს მინიმალური პენსიის მინიჭებას, მაგალითად, ბავშვის აღზრდაში დახარჯული დროის ან საჭიროების მიხედვით, ამის საპირისპიროდ ბიზნეს წრეების მხრიდან შემოთავაზებულია დაგროვებულ კაპიტალზე დამყარებული საპენსიო მოდელები. ამ მოვლენათა პოლიტიკური პერსპექტივიდან შეფასებისათვის იხ. [https://www.focus.de/finanzen/boerse/aktien/mehr-kapitalismus-in-deutschland-muessen-wir-bald-alle-aktien-kaufen-friedrich-merz-will-die-rente-revolutionieren\\_id\\_10817682.html](https://www.focus.de/finanzen/boerse/aktien/mehr-kapitalismus-in-deutschland-muessen-wir-bald-alle-aktien-kaufen-friedrich-merz-will-die-rente-revolutionieren_id_10817682.html), შედარებით უფრო მეცნიერული ანალიზისათვის იხ. [https://www.dai.de/files/dai\\_usercontent/dokumente/studien/190730\\_Studie\\_Altersvorsorge.pdf](https://www.dai.de/files/dai_usercontent/dokumente/studien/190730_Studie_Altersvorsorge.pdf), [https://www.dai.de/files/dai\\_usercontent/dokumente/studien/190730\\_Studie\\_Altersvorsorge.pdf](https://www.dai.de/files/dai_usercontent/dokumente/studien/190730_Studie_Altersvorsorge.pdf), უკანასკნელად ნანახია: 1.8.2019.

<sup>2</sup> შტრ. მაგალითისათვის <https://www.abv.de/berufsstaendische-versorgungswerke.html>, უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019.

<sup>3</sup> ყველაზე ცნობილია CalPERS, <https://www.calpers.ca.gov/>.

<sup>4</sup> ამ კაპიტალის ბაზრის მნიშვნელობა აშშ-სათვის დეტალურად არის წარმოჩენილი ალექსანდერ პეილტონის, აშშ-ის პირველი ფინანსთა მინისტრის, შრომებში, *Sylla/Cohen*, Alexander Hamilton on Finance, Credit and Debt, New York 2018.

<sup>5</sup> სწორედ ამ თემის ავითარებს *სელსო ფურტადო* თავისი მთავარი ნაშრომის დასაწყისში. *სელსო ფურტადოს*, მართალია, განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ბრაზილიაში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში რეგიონალური განვითარების პოლიტიკაზე, თუმცა როგორც მეცნიერი ფართოდ ცნობილი არ არის. მისი ძირითადი, მოცემული თემატიკისათვის მნიშვნელოვანი ნაშრომები მხოლოდ პორტუგალიურ ენაზეა ხელმისაწვდომი.



რეალურად არ ხდება და შესაბამისად, ამ ტიპის ეკონომიკაში შიდა წარმოება მნიშვნელოვან და განგრძობად ზიანს განიცდის.

საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის კაპიტალის ბაზრის განვითარება სრულიად განსხვავებულ რისკებსა და შანსებს შეიცავს, ვიდრე ისეთი, მსოფლიო მასშტაბის, კაპიტალის ბაზრისათვის, როგორც ამერიკაა.<sup>7</sup> პატარა ქვეყნის შემთხვევაში, რომელსაც მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობა აქვს მეზობელ ქვეყნებთან, ნაციონალური ვალუტის მდგრადობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ამ მეზობელი ქვეყნების ვალუტისა და მსოფლიოს სხვა წამყვანი ვალუტების მდგომარეობაზე.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აშშ-ის, ევროპის ქვეყნების, რუსეთის, ჩინეთის, თურქეთისა და ასევე, სავარაუდოდ, ირანის ეკონომიკებს. შედარებით მცირე ვალუტების დამოკიდებულება უცხო ვალუტაზე და უცხო კაპიტალის ბაზარზე იმატებს მაშინ, როდესაც სავალუტო ბლოკები ფართოვდება, რის მაგალითსაც წარმოადგენს ევროს შემოღება და ევროზონის შესაძლო გაფართოება. ამ დროს გაცვლითი კურსი და საკრედიტო პროცენტები, ხშირ შემთხვევაში, შიდა ფაქტორებისაგან თითქმის სრულყოფილად დამოკიდებულია. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ მცირე ქვეყნებს კრედიტებს პირდაპირ ახვევენ ხოლმე თავს, ხანდახან კი, საპროცენტო განაკვეთი უეცრად იზრდება და კაპიტალის გადინება ხდება, თუ წამყვან ბაზრებზე კრედიტებზე მოთხოვნამ მოულოდნელად იმატა. კერძო საპენსიო სისტემამ შესაძლებელია შეარბილოს ეს ეფექტები, რადგან მისი მეშვეობით წარმოიშობა დამოუკიდებელი მოთხოვნა კრედიტებზე და კაპიტალდაბანდებებზე.

**III. დაკრძობებითი პენსიის დადებითი მხარეები**

თუმცა კერძო საპენსიო სისტემას ამისგან დამოუკიდებელი სხვა დადებითი მხარეებიც აქვს.

კერძო საპენსიო სისტემას შესწევს უნარი ფეხი აუწყოს ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ცვლილებებს. მაგალითად, მაშინ, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, განსხვავებით სოლიდარულ მოდელზე დამყარებული სისტემისაგან, რომლის პირობებშიც იქმნება სიტუაცია, როდესაც მცირერიცხოვანი ახალგაზრდები ატარებენ მრავალრიცხოვან მოხუცთა შენახვის ტვირთს. დაკრძობებითი პენსიის პირობებში ეს მოხუცები, მოსახლეობის შემცირების მიუხედავად, იღებენ იმას, რაც საპენსიო ფონდებშია შენახული. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის საკმაოდ გონივრულია, დანაზრდის სახით გადადონ გასამრჯელოს ნაწილი (ან გამოიყენონ წარმოების დაფინანსებისათვის), რადგან, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შემდეგ, ამ ქვეყნებში ფულის მასამ მნიშვნელოვანწილად იმატა ადრინდელთან შედარებით. კერძო საპენსიო სისტემა ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არაფორმალური ეკონომიკის შემცირებას, რადგან მომავალ პენსიონერებს უჩნდებათ

ინტერესი მონაწილეობა მიიღონ საპენსიო სისტემებში, მაგალითად, საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული სუბვენციების გზით, რისთვისაც აუცილებელია, რომ ისინი ლეგალურ შრომით ურთიერთობებში ჩაერთონ. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში გვექნება სახეზე, თუ სახელმწიფო სუბსიდიები კერძო პირთა საპენსიო შენატანებზე მიმზიდველი გახდება. პენსიის მიმღების მოლოდინი ასევე ამცირებს კორუფციასაც, თუ, მაგალითად, ეკონომიკური დანაშაულისათვის ნაშამართლეობა საპენსიო მოთხოვნის დაკარგვას იწვევს. გერმანიაში, მაგალითად, საჯარო მოხელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისას, ჩვეულებრივ, ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა, იწვევს თუ არა გამამტყუნებელი მსჯავრის გამოტანა, ამავდროულად, საპენსიო მოთხოვნების დაკარგვას.

გარდა ხსენებულისა, კერძო საპენსიო სისტემის შემოტანას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ქვეყნის სამართლებრივ განვითარებას და გაზარდოს მომავალ პენსიონერთა ინტერესი ამასთან დაკავშირებით, რადგან კერძო საპენსიო სისტემაზე სამართლის სისტემის ყველა ელემენტს აქვს ზეგავლენა. მომავალი პენსიონერები იქნებიან დაინტერესებულები, რომ მათი მოთხოვნები გარანტირებული იყოს. საბოლოო ჯამში, ამ საპენსიო სისტემამ შეიძლება ითამაშოს ასევე ანტიციკლური კატალიზატორის როლი იმგვარად, რომ, როდესაც პენსიონერები მათი სავარაუდო საპენსიო მოთხოვნების შემცირების შესახებ შეიტყობენ, ისევ შრომით ბაზარს დაუბრუნდებიან.

**IV. კერძო საპენსიო სისტემის შემოტანასთან დაკავშირებული სირთულეები**

თუმცა ზემოთ თქმულიდან უკვე ლოგიკურად გამომდინარეობს მთელი რიგი იმ სირთულეებისა, რომელიც უკავშირდება საპენსიო სისტემის შემოტანას: არაერთი კერძო საპენსიო სისტემა ჩავარდა იმის გამო, რომ არასათანადოდ იქნა შეფასებული ამასთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეები. მოკლედ რომ შევჯამოთ, სახელმწიფომ უნდა შექმნას მექანიზმები იმისათვის, რათა სრულად იყოს გარანტირებული სანდო, მოგების მომტანი და მიზნობრივი ინვესტიციები პენსიონერთა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, იმის უზრუნველყოფა, რომ დაზოვილიმა აქტივებმა საპენსიო სისტემის მეშვეობით ხანგძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს თავისი ღირებულება.

ამასთან, მომავალი პენსიონერი მუდმივად უნდა იყოს ინფორმირებული საკუთარი მოთხოვნების შესახებ. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რომ უმეტეს კერძო საპენსიო სისტემებში დაზოვილი თანხის დაბანდება ლიკვიდურ ქონებრივ აქტივებში ხდება, რაც განაპირობებს იმას, რომ დროის თითქმის ყოველ მონაკვეთში საკმაოდ ზუსტადაა შესაძლებელი გასანაწილებელი ქონებრივი მასის დადგენა. ეს ნიშნავს, რომ რეალური კაპიტალდაბანდება მხოლოდ ბირჟის აქციებში და თბლიგაციებშია შესაძლებელი.<sup>9</sup> უფლებამოსილი პირისათვის ცხოვრების ბოლომდე გადასახდელი პენსიის თვიური ოდენობის განსაზღვრისათვის აუცილებელია საკმაოდ კომპლექსური გამოანგარიშების მეთოდის გამოყენება, რომელიც საკუთარ თავში გული-

<sup>6</sup> ამ ფაქტზე ფურტადო უკვე 1983 წელს უთითებდა, იხ. Brasil, A construção interrompida, 15. მთლიანობაში პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს მოსაზრებები და შემოთქმება დღემდე ყურადღების მიღმა დატოვებული.

<sup>7</sup> შანსებთან დაკავშირებით იხ. <https://oc-media.org/opinion-georgia-suspension-reforms-do-nothing-for-most-georgians/>, უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

<sup>8</sup> თანმიმდევრობა არ არის მოყვანილი გავლენის ხარისხის მიხედვით, რისი ცალსახად განსაზღვრაც საკმაოდ რთული ამოცანაა და მოცემული სტატისტიკის ფარგლებს სცდება.

<sup>9</sup> იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს სააქციო პაკეტის ზრდა იხ. [https://www.dai.de/files/dai\\_usercontent/dokumente/studien/190730\\_Studie\\_Altersvorsorge.pdf](https://www.dai.de/files/dai_usercontent/dokumente/studien/190730_Studie_Altersvorsorge.pdf), უკანასკნელად ნანახია: 10.8.2019.

სხმობს ე.წ. სანდო აქტუარების მიერ განხორციელებულ სტატისტიკურ გამოთვლებს.

რუსეთში შიშმა იმისა, რომ შესაბამისი გამოთვლები არ იქნებოდა სარწმუნო და 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის საპენსიო ფონდების მიერ მართულ ქონებას მნიშვნელოვნად შეამცირებდა, განაპირობა საკანონმდებლო ბაზის ცვლილება, რომლის მეშვეობითაც უნდა მომხდარიყო საპენსიო სისტემის რესტრუქტურირება. პირველ რიგში, ეს ეხებოდა საპენსიო ფონდების სამეწარმეო –ორგანიზაციული ფორმის ცვლილებასა და მათი ანგარიშვალდებულების გამკაცრებას. თუმცა მტკიცება იმისა, რომ ამ რესტრუქტურირებამ რეალურად გაზარდა ფონდების ტრანსპარენტულობა, საკმაოდ რთულია. ამან გამოიწვია ის, რომ ინვესტორებმა მათ მიერ მართული ფონდების ქონება ხელოვნურად „გაბერეს“, შემდეგ ფონდებს რეალური ქონება გამოაცალეს და გაიქცნენ.<sup>10</sup> ამას მოსახლეობაში დიდი მღელვარება არ გამოუწვევია, რადგან სახელმწიფომ, საპენსიო გეგმების რეკონსტრუქციის ფარგლებში ნაკისრი გარანტიის საფუძველზე, ეს დახაკარგები თავად დაფარა. ყაზახეთში მსგავსი სცენარის თავიდან აცილების მიზნით ქონება სამართავად მონოპოლისტურ სახელმწიფო ორგანიზაციას გადაეცა.<sup>11</sup>

კერძო საპენსიო სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძლება იყოს ქონების მართველთა — ინდუსტრიის — მრავალფეროვნება.<sup>12</sup> თუმცა არაფერი მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში კერძო საპენსიო სისტემების შემოტანამ მრავალფეროვნების ჩამოყალიბებას რამით მაინც შეუწყობს ხელს. ყაზახეთში სახელმწიფო ქონების მმართველმა თავი ძირითადად სკანდალებით დაგვამახსოვრა.<sup>13</sup> სომხეთში საპენსიო აქტივები ჩაბარდა ორ მმართველს,<sup>14</sup> რომლებზეც სომხეთთან რეალურად ცოტა რამ თუ ჰქონდათ საერთო. მაშინაც კი, თუ მივიჩნევთ, რომ ამ ტიპის მმართველის შერჩევა გამჭვირვალე ტენდერის საფუძველზე ხდება, მაინც ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს არჩევანი, მაგალითად, ძალაუფლების ცვლილების შემდეგ პოლიტიკური იერიშის საგანი არ გახდეს.

გამართლებული და მიზნობრივი ინვესტიციისათვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი ქონების მმართველის არსებობა, მათი პოვნა კი პირველ რიგში იმიტომ არის რთული, რომ მათი საქმიანობა, ქონების დამოუკიდებელ მმართველებთან შედარებით, მრავალმხრივ რეგულაციებს ექვემდებარება, ანუ ნაკლებ მიმზიდველია. კრიზისულ სიტუაციებში ქონების მდგომარეობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, იზრუნა თუ არა მმართველმა საკუთარი პორტფოლიოს რესტრუქტური-

რებაზე. ტიპურ მაგალითად შესაძლებელია შემთხვევის მოყვანა, როდესაც ობლიგაციების გამოშვების მომენტში ემიტენტს, რომელიც ფინანსურ სირთულეებს განიცდის, მნიშვნელოვნად უზრდინ დაფარვის განაკვეთს მოვალის გავორტების შემთხვევისათვის. თუმცა დაფარვის განაკვეთის გაზრდისათვის აუცილებელია მთელი რიგი დისკრეციული გადაწყვეტილებების დროულად მიღება. მაგალითად, აუცილებელია სწრაფი გადაწყვეტა იმისა, სარჩელი მოვალის წინააღმდეგ აღიძვრება თუ მოვალის დირექტორის წინააღმდეგ.

ორგანოსათვის, რომელსაც აკისრია ქონების მმართველის მეთვალყურეობა, ჩვეულებრივ სიტუაციაში საკმაოდ რთულია იმის აღკვეთა, რომ ამ ქონების მმართველმა არ იყიდოს ფასიანი ქაღალდები, რომელთა გამოშვებაც მოხდა ერთ-ერთი, მასთან დაკავშირებული საინვესტიციო ბანკის ხელშეწყობით. რესტრუქტურირების შემთხვევებში გადაწყვეტილებები იმ საკითხთან დაკავშირებით, იყო თუ არა კონკრეტული დაფარვის განაკვეთი მიზანშეწონილი გარემოებების გათვალისწინებით, თითქმის სრულებით არარევიზირებადი. ამიტომაც აუცილებელია შესაბამისი სამეთვალყურეო ორგანოსათვის დისკრეციის მინიჭება.

მაშინაც კი, როდესაც საპენსიო სისტემა კერძო ხასიათს ატარებს და სახელმწიფო უარს ამბობს მასზე რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის აღებაზე, პოლიტიკური არეულობის საფრთხე — იმ შემთხვევაში თუ საპენსიო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა ვერ ხდება — განაპირობებს ხოლმე იმას, რომ სახელმწიფოს სულ მცირე ნაწილობრივ მაინც უწევს ჩარევა და ამ მოთხოვნების უზრუნველყოფა. ამგვარად, სახელმწიფო პრაქტიკულად პასუხს აგებს ზედამხედველობის ხარისხზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რათა მოხდეს ადგილობრივი ბაზრის გაძლიერება, ხშირად საკანონმდებლო რეგულაციები ითვალისწინებენ დაბანდებული ქონების საკუთარ ქვეყანაში ინვესტირების ვალდებულებას. გლობალურ სამყაროში, სადაც კაპიტალის მიმოქცევის კონტროლი უფრო გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე წესს, ამ ტიპის დანაწესების ტექნიკურად გამართვა არც თუ ისე მარტივია. ამასთან საეჭვოა მათი დასაშვებობა, თუ ქვეყანა ჩართულია სავაჭრო ხელშეკრულებაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისთან, რომლის საფუძველზეც მას ეკრძალება სხვა ქვეყნების დისკრიმინირება. მიუხედავად ამისა, ამ დროს ხშირია ხოლმე რეგულაციები, რომელთა მიხედვითაც დასაშვებია მხოლოდ იმ ფასიანი ქაღალდებში ინვესტირება, რომლებიც ქვეყანაში არსებულ ბირჟაზეა გატანილი.<sup>15</sup>

გარდა ამისა, აუცილებელია დრო, რათა საკმარისად განვითარდეს ინფრასტრუქტურა, მაგალითად, ბირჟები, სადეპოზიტო ინსტიტუტები ფასიანი ქაღალდებისათვის, რომლებიც პენსიონერებს დაიცავენ ქონების მმართველისა და ბირჟების გავორტების რისკისგან და, გარდა ამისა, საკანონმდებლო ბაზის განვითარება იმ დონემდე, რომ გამართლებული იყოს ამ ქვეყანაში კაპიტალდაბანდება. ლოკალური ემიტენტების მოძებნა მხოლოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგადაა შესაძლებელი.

<sup>10</sup> იხ. <https://www.vedomosti.ru/finance/articles/2015/08/04/603353-motileva-snyali-s-pensii>, უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019, <https://www.kp.ru/daily/26834/3875390/>, უკანასკნელად ნანახია: 1.4.2019.

<sup>11</sup> იხ. იმ მოლოდინთან დაკავშირებით, რომ მონოპოლია გაუქმდებოდა [https://www.interfax.kz/?lang=eng&int\\_id=13&news\\_id=199](https://www.interfax.kz/?lang=eng&int_id=13&news_id=199), უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

<sup>12</sup> იმას, თუ რამდენად რთულია ამ რეალური და ყველასათვის მოსაწონი მრავალფეროვნების მიღწევა, ნათელყოფს საპროტესტო გამოსვლები ჩილეში, რომლებიც სწორედ ამ მრავალფეროვნების წინააღმდეგ იყო მიმართული <https://www.telesurenghish.net/news/Chileans-Take-to-the-Streets-to-Reject-Current-Pension-Model-20190331-0021.html>, უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

<sup>13</sup> [https://www.inform.kz/en/chief-of-unified-accumulative-pension-fund-arrested-for-2-months\\_a2987032](https://www.inform.kz/en/chief-of-unified-accumulative-pension-fund-arrested-for-2-months_a2987032), უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

<sup>14</sup> <https://www.towerswatson.com/en/Insights/Newsletters/Global/glob-al-news-briefs/2018/01/armenia-pension-reform-to-start-july-2018>, უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

<sup>15</sup> იხ. პოლონეთის მაგალითზე <https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/poland> (უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019) და ამ რეგულაციის გავლენა ბაზარზე <https://www.reuters.com/article/poland-pensions/poland-expects-new-pension-scheme-to-boost-its-bourse-idUSL8N1VK1W0> (უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019), იხ. არგენტინასთან დაკავშირებით <http://www.oecd.org/finance/private-pensions/41408080.pdf>, უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

**V. თემის პოლიტიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით**

ასევე არ ღირს ყურადღების მიღმა იმ საკითხის დატოვება, რომ დაგროვებული თანხები ყოველთვის წარმოადგენს ცდუნებას სახელმწიფოსათვის დაფაროს მათი მეშვეობით საკუთარი ვალდებულებები ხანმოკლე პერსპექტივაში.<sup>16</sup> თუმცა ერთგვარადი ჩარევაც კი კერძო საპენსიო მოთხოვნებში ხანგრძლივ პერსპექტივაში ამ სისტემის მიმართ ნდობის მოშლას განაპირობებს.

ცვლილებები, რომლებიც საპენსიო სისტემებს ეხება, საკუთარ თავში შეიცავს მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების გამოწვევის პოტენციალს. მაგალითად, საკმაოდ დასაბუთებული ჩანს მოსაზრება, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პოლიტიკური სტაბილურობა, მის საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვნად განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ განსაკუთრებით ომის შედეგად იმედგაცრუებული თაობის დამშვიდება და გულის მოგება მოხდა პენსიის ბრუტო შემოსავალზე მიბმის მეშვეობით. მის საფუძველზე პენსიის დონე იზრდებოდა შემოსავლების ზრდის პროპორციულად.<sup>17</sup> ამ ბრუტო ანაზღაურებაზე ბმის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა გერმანიის გაერთიანების შემდეგ წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში და მასზე უარი იქნება ნათქვამი, ამის საჯაროდ აფიშირების გარეშე. რეალურად, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც გამოიწვია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეიტინგის დაღმასვლა და პარტიის „ალტერნატივა გერმანიისათვის“ პოზიციების გაძლიერება, არის სწორედ პენსიონერთა უკმაყოფილება დაბალი პენსიების გამო.

კერძო საპენსიო სისტემები ასევე არარეზისტენტულია კრიზისების მიმართ, რომელიც პოლიტიკოსების მიერ არ ან მხოლოდ არაპირდაპირ არის გამოწვეული. თუ ქვეყნის ვალუტა არამყარია, მაგალითად, ქვეყანაში ძირითადად დოლარი გამოიყენება, იმ შემთხვევაში, როდესაც Emerging Market-ის მიმზიდველობა კლებულობს, შესაძლებელია დაიწყოს უცარი ინფლაცია, რომელიც, რეალურად, ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური მდგომარეობით სულაც არ არის განპირობებული. ინფლაციის გამო მომავალ პენსიონერთა ცხოვრების ხარჯები მნიშვნელოვნად იმატებს, თუ მათი პირველადი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა და ცხოვრების დონის შენარჩუნება ძირითადად იმპორტულ პროდუქციაზე დამოკიდებული. ხოლო თუ საპენსიო ფონდები ძირითადად იმ აქტივებში ახორციელებენ ინვესტიციას, რომელიც ქვეყნის შიდა ვალუტაშია დენომინირებული, ინფლაციასთან ერთად პენსიონერები დაკარგავენ მათ მიერ მანამდე საიმედოდ მიჩნეულ ფინანსურ უზრუნველყოფას.<sup>19</sup> ჩვეულებრივ, ამ სიტუაციაში, გამომდინარე იქიდან, რომ, მოსახლეობას ამგვარი სცენარის წინააღმდეგ არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, პასუხისმგებლობა პოლიტიკურ კლასს აკისრებენ და ხალხის უკმაყოფილების ადრესატიც სწორედ ის ხდება.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ მიიღოს პრევენციული ზომები, თუ ის ტექნიკურად საკმაოდ რთულად მოწყობილი კერძო საპენსიო სისტემის შემოტანას აპირებს.

<sup>16</sup> იხ. 2013 წელს პოლონეთში განხორციელებულ რეფორმასთან დაკავშირებით <https://www.reuters.com/article/poland-pensions/poland-expects-new-pension-scheme-to-boost-its-bourse-idUSL8N1VK1W0> უკანასკნელად ნანახია: 8.8.2019.

<sup>17</sup> W. Abelschauer, Deutsche Wirtschaftsgeschichte seit 1945, München 2004, 195.

<sup>18</sup> G. Bäcker, Sozialpolitik und soziale Lage in Deutschland II, Wiesbaden 2010, 353-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>19</sup> სწორედ ეს ხდება ამჟამად ყაზახეთში.

# ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების არსი და პრობლემები

პროფ. დოქ. გვიად გაბისონია

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

## I. საკითხის დასმა – ბლოკჩეინ ტექნოლოგიის არსი

თანამედროვე მსოფლიოში დიდი სისწრაფით ვითარდება ახალი სისტემა ბლოკჩეინი.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბლოკჩეინის სისტემაში მოქმედმა ათეულობით კრიპტოვალუტამ, მათ შორის ყველაზე პოპულარულმა ბიტკოინმა, ეთერიუმმა და სხვამ, უფრო მეტი საკამათო გარემოება გამოავლინა და დაიკარგა თავად ბლოკჩეინის, როგორც უნიკალური ტექნოლოგიის მთელი მასშტაბურობა და სიბილი.

იმისათვის, რომ საკითხში სწორად გავერკვეთ და მის სამართლებრივ რეგულაციებზე ვისაუბროთ, აუცილებელია თავდაპირველად ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ:

ა) ბლოკჩეინი – როგორც უნიკალური ტექნოლოგია;

ბ) ბიტკოინი და სხვა კრიპტოგრაფიული, ვირტუალური ვალუტა, რომელიც ბლოკჩეინის ტექნოლოგიას იყენებს.

ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია, გამოძინარე იქიდან, რომ საზოგადოებაში, ხშირად ბლოკჩეინი და ბიტკოინი ერთიდაიგივე მნიშვნელობით გამოიყენება, რასაც ტერმინთა ბუნდოვანება განაპირობებს, შესაბამისად იკარგება ამ მოვლენათა უნიკალურობა.

ბლოკჩეინი ესაა კრიპტოგრაფიულად დაცული ჩანაწერების ჯაჭვი. მასში მონაცემების შეცვლა ან წაშლა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ბლოკჩეინი არ იყენებს რომელიმე კონკრეტულ შენახვის ბაზას, სერვერს. შესაბამისად ბლოკჩეინში შედარების და ინფორმაციის მოპარვისათვის ან ჰაკერული თავდასხმისათვის საჭიროა ბლოკჩეინ ქსელში ჩართული ყველა კომპიუტერში ერთდროულად შედგენა, რაც ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ერთ ან რამდენიმე კომპიუტერზე ჰაკერული შეტევა შესაძლებელია, მაგრამ ბლოკჩეინის ტექნოლოგიის უნიკალურობა იმაშია, რომ ინფორმაციის ასლები ინახება ქსელში მონაწილე სხვა მილიონობით კომპიუტერში. ამ ინფორმაციას კი ისეთივე იურიდიული ძალა აქვს როგორც სხვა დანარჩენს. რაც უფრო დიდია ეს ქსელი, მით უფრო რთულია მისი განადგურების ალბათობა. თუ ჩავთვლით იმას, რომ ასტრონომიული სისწრაფით იზრდება ბლოკჩეინის ქსელში მონაწილე პირთა რაოდენობა, გასაგებია რამდენად უნიკალურ ტექნოლოგიასთან გვაქვს საქმე.

ბლოკჩეინი (ინგლ. Blockchain)(თავდაპირველად ბლოკების ჯაჭვი Block chain), არის მუდმივად მზარდი ჩანაწერების სია, სახელად „ბლოკები“, რომლებიც დაცულია კრიპტოგრაფიულად. თითოეული ბლოკი, როგორც წესი, შეიცავს ჰეშ-მარკერებს, როგორც წინა ბლოკთან დამაკავშირებელ ნიშანს, დროის ნიშნულს და ტრანზაქციის მონა-

ცემებს. ის ისეა შექმნილი, რომ არსებითად მტკიცება და მასში მონაცემების შეცვლა თითქმის შეუძლებელია. ბლოკჩეინი შეიძლება გახდეს „ღია, ტრანზაქციების წიგნაკი, რომელიც ხორციელდება ორ მხარეს შორის“. <sup>2</sup> იგი დაფუძნებულია P2P <sup>3</sup> პრინციპზე. ერთხელ განხორციელებული ტრანზაქციის ჩანაწერის შეცვლა შეუძლებელია ყველა მომდევნო ტრანზაქციის ბლოკის შეცვლის გარეშე.

2008 წელს ბლოკჩეინ სისტემის შექმნა უკავშირდება ანონიმურ პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს, რომელიც ცნობილია როგორც *სატომში ნაკამოტო*, უკვე მომდევნო წელს კი ბლოკჩეინი გამოცხადდა კრიპტოვალუტა ბიტკოინის მთავარ შემადგენელ ნაწილად, რომელიც აღრიცხავს და ბლოკებად გარდაქმნის განხორციელებულ ტრანზაქციებს. ბლოკჩეინის გამოგონებამ ბიტკოინს საშუალება მისცა, გადაეტრა ორმაგი ხარჯვის პრობლემა მესამე (სანდო) მხარის ჩარევის გარეშე.

კრიპტოგრაფიულად დაცული ბლოკების ჯაჭვის პირველი ნამუშევარი აღწერილია 1991 წელს *სტიუარტ ჰაბერის* და *სკოტ სორნეტის* მიერ <sup>4</sup>. ისინი შეეცადნენ, შეექმნათ ისეთი სისტემა, რომელიც რამდენიმე დოკუმენტს ერთ ბლოკში გააერთიანებდა <sup>5</sup>.

თავდაპირველად *სატომში ნაკამოტოს* მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში სიტყვები „ბლოკი“ და „ჯაჭვი“ ცალ-ცალკე იყო გამოყენებული. 2016 წელს ეს ორი სიტყვა გააერთიანეს და ოფიციალურად უწოდეს „ბლოკჩეინი“. 2014 წლის აგვისტოში, ბიტკოინ-ბლოკჩეინის ზომამ მიაღწია 20 გიგაბაიტს. 2015 წლის იანვრისთვის მისი ზომა 30 გიგაბაიტამდე გაიზარდა. 2016 წლიდან 2017 წლამდე კი 50 გიგაბაიტის დანახვამდე გაიზარდა 100 გიგაბაიტამდე.

transactions between two parties efficiently and in a verifiable and permanent way.“

<sup>2</sup> S. Raval, (2016). "What Is a Decentralized Application?", Decentralized Applications: Harnessing Bitcoin's Blockchain Technology. O'Reilly Media, Inc., გვ. 1–2.

<sup>3</sup> P2P პრინციპი თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინია. Peer-to-peer, ან შემოკლებით P2P ქსელი, არის ტიპის კომპიუტერული ქსელის გამოყენებით განაწილებული არქიტექტურა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შედის ყველა კომპიუტერი ან მოწყობილობა, რომელიც ქსელის მუშაობას იზიარებს. ასეთ დროს ყოველი გამზიარებული, ერთი და იგივე ქსელშია ჩართული თანაბარი მნიშვნელობით, სწორედ ამიტომ არ არსებობს პრივილეგირებული მონაწილეობა ასეთ ქსელში, შესაბამისად არც ცენტრალიზებული სისტემისთვის დამახასიათებელი ადმინისტრატორი..

<sup>4</sup> S. Haber, W. S. Stornetta, (January 1991). "How to time-stamp a digital document". Journal of Cryptology **3** (2): 99–111. <https://link.springer.com>

<sup>5</sup> D. Bayer, S. Haber, W. S. Stornetta, (March 1992). "Improving the Efficiency and Reliability of Digital Time-Stamping". Sequences **2**: 329–334. <https://link.springer.com>

<sup>1</sup> M. Iansiti, "The Truth About Blockchain", Harvard Business Review, Harvard University, January 2017. წაკითხვის თარიღი: 2017-01-17. „The technology at the heart of bitcoin and other virtual currencies, blockchain is an open, distributed ledger that can record

2014 წელს ტერმინი „ბლოკჩეინ 2.0“ მიუთითებდა ბლოკჩეინ მონაცემთა ბაზის ახალ აპლიკაციებზე. ჟურნალმა The Economist ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ეს მეორე თაობა აღწერა როგორც „მომავალი პროგრამული ენა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, შეიმუშაონ უფრო დახვეწილი, ჭკვიანი კონტრაქტები, ამგვარად კი შექმნან ინვოისები, რომლებიც გადაიხდება ავტომატურად, როდესაც შეკვეთა დანიშნულების ადგილას მივა“ ან „შექმნან მოწმობა, რომელიც მფლობელებს ავტომატურად გაუგზავნის დივიდენდებს, როდესაც მოგება გარკვეულ მდგარს მიაღწევს.“ ბლოკჩეინ 2.0 ტექნოლოგია გასცდა ტრანზაქციების საზღვრებს და შესაძლებელი გახდა „ღირებულების გაცვლა შუამავლის გარეშე, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც მაკონტროლებლები ფულისა და ინფორმაციისა“. შემქმნელების სურვილი იყო, ქსელში მოსახლეობის იმ ნაწილის ჩართვა, რომელიც ამას მანამდე ვერ ახერხებდა, ისევე, როგორც კონფიდენციალურობის დაცვის გაზრდა და უზრუნველყოფა იმისა, რომ ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკური ღირებულება ანაზღაურდებოდა. ბლოკჩეინის მეორე თაობა შესაძლებელს ხდის, რომ მომხმარებელმა შეინახოს „მუდმივი ციფრული ID და მონაცემები“, ასევე, უზრუნველყოს ის გზა, რომელიც სოციალურ უთანასწორობას დაბალანსებს, სიმდიდრის გადანაწილების ბლოკჩეინისეული გზით.

2017 წლის დასაწყისში, ჰარვარდის ბიზნესის მიმოხილველმა განაცხადა, რომ ბლოკჩეინი „არის ფუნდამენტური ტექნოლოგია და მამასადამე აქვს შესაძლებლობა, რომ შექმნას ფუნდამენტურად ახალი ეკონომიკური და სოციალური სისტემა“. დაკვირვებებით უკვე დადასტურებულია, იმისთვის, რომ ბლოკჩეინის სისტემას, როგორც ფუნდამენტურ ინოვაციას ჰქონდეს დიდი გავლენა, მას დასჭირდება ათწლეულები ჩვენ ეკონომიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურაში ინტეგრაციისთვის<sup>6</sup>.

ერთი რამ ცხადია, რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კრიპტოვალუტის ბაზარი მისი წარმოშობიდან დღემდე ძალიან შეიცვალა. მისი გადამეტებული მოთხოვნიდან გამომდინარე, რომელიც ცვალებადი ბაზრის გაჩენასა და ხშირად „საპნის ბუშტის“ საშიშროებასაც ქმნის, რამაც განვითარებულ ქვეყნებს აიძულა თავიანთი მოქალაქე-ინვესტორებისათვის გაფრთხილებები გაეგზავნა მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ქვეყნების უმრავლესობა არ აღმოჩნდა მზად გაეკონტროლებინა ბლოკჩეინის სისტემაში არსებული სხვადასხვა სახის კრიპტოვალუტები და დაეწესებინა ამ ბაზრის მოთამაშეებისთვის გარკვეული ტიპის რეგულაციები.

**II. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის სამართლებრივი რეგულირების საჭიროება**

ბლოკჩეინ ტექნოლოგიის არსში გარკვევისთანავე იბადება კითხვა – როგორ შეიძლება გაზრდილი რისკებიდან გამომდინარე მისი რეგულაცია და საერთოდ შესაძლებელია კი ეს.

ბლოკჩეინ-ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ახალი რეგულაციებისა თუ კანონების მიღება საკმაოდ რთულ პროცესთან არის დაკავშირებული. მთავარი პრობლემა გასაკვებია: წარმოდგენილია ერთი სახელმწიფოს მიერ ისე-

თი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება, რომელიც მის ფარგლებს სცილდება როგორც არსით, ასევე, ფაქტობრივი მდგომარეობით. ნათელია, რომ ახალი ინტერნეტ ტექნოლოგიების გაჩენამ სრულიად შეცვალა თანამედროვე სამართლის გაცემა. ამიტომ ბლოკჩეინის რეგულირებაზე საუბარი მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების რეგულირების მთავარი მიზეზი მანაც კრიპტოგრაფიული ვალუტების გაჩენაა. ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოს კრიპტოვალუტების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს იყენებს. შესაბამისად, ბლოკჩეინის სამართლებრივი რეგულირება მთლიანად ან ნაწილობრივ უკავშირდება ბიტკოინის, ეთერიუმის, და სხვა არსით მსგავსი თუ ოდნავ განსხვავებული კრიპტოვალუტების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულ შეზღუდვებსა თუ რეგულაციებს.

ბლოკჩეინის ტექნოლოგიის სამართლებრივი რეგულირების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნები ძირითადად მუშაობენ რამდენიმე მიმართულების რეგულირებაზე:

1. უნდა იქნას თუ არა აღიარებული ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილი კრიპტოვალუტები (ბიტკოინი, ეთერიუმი, ლიბრა, ლაითკოინი და სხვა) კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალუტად;
2. იმ შემთხვევაში თუ ისინი არ იქნებიან აღიარებული ვალუტად, რა სამართლებრივ ფორმად უნდა იქნას ისინი მიჩნეულნი (ნივთი, ქონება, საქონელი, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ.);
3. როგორ უნდა მოხდეს ცალკეული კრიპტოგრაფიული ვალუტების ემისიის (მაინინგის, შექმნის და სხვ) რეგულირება და საჭიროების შემთხვევაში მათი დაბეგვრა;
4. უნდა იქნეს თუ არა კრიპტოვალუტის მეშვეობით დადებული გარიგებები (უძრავი ქონების ნასყიდობა, ავტომანქანების, სხვადასხვა სახის საქონლის და სხვა მოძრავი ნივთების და ა.შ.) მიჩნეული ნამდვილად;
5. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, კრიპტოვალუტის მფლობელთა მალალი ანონიმურობა და მათ მიერ ბლოკჩეინის გამოყენებით დადებული გარიგებების „საეჭვობის“ მალალი რისკი აიძულებს ქვეყნებს გააფართოვონ „ფულის გათეთრების“ კანონმდებლობის არეული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბლოკჩეინის განვითარებამ საფუძველი დაუდო სრულიად ახალ, ვირტუალური ეკონომიკის წარმოშობას მსოფლიოში. იქმნება მრავალი სერვისი, რომელიც მხოლოდ ვირტუალურ კრიპტოვალუტების ყიდვა-გაყიდვასა თუ მათ რეალურ ვალუტაზე განაღდებაზე მუშაობს. გაჩნდა სრულიად ახალი ტერმინი ICO (Initial Coin Offering) – პირველადი მონეტების შეთავაზება, რომელიც ძალიან ჰგავს საკორპორაციო სამართალში ცნობილ ინსტიტუტს – თავდაპირველ საჯარო შეთავაზებას – IPO (Initial Public Offering), მაგრამ მისგან განსხვავდება ორი მნიშვნელოვანი კრიტერიუმით:

- ა) ინვესტორი არ იქნება მომავალში კომპანიის აქციების მფლობელი;
  - ბ) პროექტი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებას.
- მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ICO შედარებით ახალია და ე.წ. IPO ბევრისთვის უფრო უსაფრთხოდ გამოიყურება, ექსპერტები გამოყოფენ ICO-ს რამდენიმე უპირატესობას:

1. **კონტროლის შენარჩუნება:** თქვენ, როგორც კომპანიის მფლობელი, არ აძლევთ კომპანიის ნაწილს ინვესტორს – თქვენ მასზე უბრალოდ სამომავლოდ ღირებულ კრიპტო

<sup>6</sup> Project Blechley Whitepaper, Microsoft, 2016-09-19, accessed 2016-12-24.  
<sup>7</sup> Ovenden, James. Blockchain Top Trends In 2017.

მონეტებს ჰყიდით. ეს კი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თქვენ მიიღებთ ფულს და, ამასთან ერთად, კვლავ გააკონტროლებთ საკუთარ კომპანიას.

**2. გლობალიზაცია:** მაშინ, როცა ზოგი კომპანია კარდაკარ დადის ინვესტორის საპოვნელად, თქვენ შეგიძლიათ მოკლე დროში მოიზიდოთ ფული ხალხისგან მთელი მსოფლიოდან.

**3. არანაირი რეგულაცია:** ეს კი ნიშნავს არანაირ ბიუროკრატას, რის მოგვარებასაც თვეები სჭირდება. ტექნოლოგიური სტარტაპ კომპანიებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ბაზარზე პირველობას<sup>8</sup>.

სწორედ ბლოკჩეინ ტექნოლოგიების რეგულაციების არარსებობა წარმოადგენს მთავარ გამოწვევას. უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად დიდი მომხიბვლელობისა (გარიგებებში მესამე, შუამავალი სუბიექტის (ბანკები, სხვადასხვა საშუაშელო კომპანიები და ა.შ.) არ არსებობამ), ამ ტექნოლოგიამ ბიძგი მისცა არალეგალურ ბიზნესის განვითარებას (ფულის გათეთრების მაღალი რისკი, არალეგალური ბიზნესის გარიგებათა გადატანა ონლაინ სივრცეში ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენებით).

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს ბლოკჩეინ ტექნოლოგიების რეგულირების აუცილებლობაზე.

**III. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის საკანონმდებლო რეგულირება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)**

ბლოკჩეინ ტექნოლოგიის საკანონმდებლო რეგულირების ანალიზი მოწმობს, რომ ამ ეტაპისთვის სახელმწიფოთათვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია ამ ტექნოლოგიის რეალური არსი და რეგულირება ძირითადად არა თავად ტექნოლოგიას, არამედ ამ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ კრიპტოგრაფიულ ვალუტებს შეეხება. კრიპტოვალუტის კონტროლი ძირითადად შეეხება რეგულაციების დაწესებას „ფულის გათეთრებასთან“, სათამაშო ბიზნესთან და სავადასახადო დაბეგვრასთან მიმართებაში.

**ა) ევროკავშირი.** ევროკავშირის არც ერთ ორგანოს დღემდე არ მიუღია სპეციალური ნორმები ბლოკჩეინ ტექნოლოგიებთან მიმართებაში. 2016 წელს ევროკომისია შემოიფარგლა რეკომენდაციის გაცემით წევრი ქვეყნებისადმი, რომ გაეფრთხილებინათ მოქალაქეები კრიპტოვალუტების მაღალი რისკის შესახებ და დამატებითი რეგულაციები დაეწესებინათ კრიპტოვალუტით მოვაჭრე ონლაინ ბირჟებისა და იმ კომპანიებისათვის, რომლებიც მომხმარებლებს კრიპტოვალუტის ელექტრონული საფულის სერვისებს სთავაზობდა.

**ბ) ავსტრალია.** ქვეყანაში ციფრული ვალუტა არ განიხილება როგორც ფინანსური პროდუქტი და შესაბამისად კრიპტოვალუტების საქმიანობა არ ექვემდებარება სავალდებულო ლიცენზირებას (გარდა ე.წ. „ფიიტურ ფულთან“<sup>9</sup> ან სხვა ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებული საქმიანობა. ავსტრალიაში მოქმედებს „ავსტრალიის ციფრული ვალუტის ინდუსტრიის მოთამაშეთა ქცევის შესახებ კოდექსი“ (Australian Digital Currency Industry Code of Conduct). დოკუმენტი აწესებს კრიპტოვალუტით მოთამაშეების ქცევის ერთიან სტანდარტს, მაგრამ მოქმედებს მხოლოდ ასოცია-

ციის წევრებისათვის. 2017 წლიდან კი ციფრული აქტივებით მოვაჭრე პროვაიდერები ექვემდებარებიან სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში - ავსტრალიის ტრანზაქციების საანგარიშო-ანალიტიკურ ცენტრში (AUSTRAC) რეგისტრაციას.

**გ) დიდი ბრიტანეთი.** 2014 წელს ბრიტანეთის ფინანსური რეგულირებისა და კონტროლის სააგენტომ (Financial Conduct Authority) დაადგინა, რომ კრიპტოვალუტა ბიტკოინი არ წარმოადგენს არც ვალუტას და არც ფულს და არ ექვემდებარება რეგულაციებს. 2017 წლის სექტემბერში კი სააგენტომ განაცხადა, რომ ყურადღებით სწავლობს ე.წ. ICO ინსტიტუტს და დარწმუნებულნი არიან, რომ ტოკენების უმრავლესობა, რომელთა დაფინანსება ICO-ს მეშვეობით ინვესტიციების მოზიდვით ხდება, უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ნორმატიული ბაზით დაწესებულ რეგულაციებს.

**დ) ვიეტნამი.** ვიეტნამის პრემიერ-მინისტრმა 2018 წელს დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვითაც ბიტკოინი ოფიციალურად ცნო გადახდის ფორმად. ასევე შესაბამის სამსახურებს დაევალოთ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული სავადასახადო დაბეგვრის რეჟიმის დამუშავება, რაც 2019 წლიდან განხორციელდა კიდევ.

**ე) ჰონგ-კონგი.** 2013 წლის ნოემბერში ჰონგ-კონგის ფულის მიმოქცევის სამსახურმა (Hong Kong Monetary Authority) განაცხადა რომ ბიტკოინი წარმოადგენს ვირტუალურ საქონელს და შესაბამისად არ ექვემდებარება რეგულაციებს. 2017 წელს ჰონგ-კონგის ფასიანი ქაღალდებისა და ფიუჩერსების კომისიამ (SFC) ოფიციალურად გამოაქვეყნა, რომ ICO-ს მეშვეობით განხორციელებული ტოკენის განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვა, უნდა დაექვემდებაროს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის რეგულაციებს.

**ვ) კანადა.** 2014 წელს კანადის გენერალ-გუბერნატორმა მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც კრიპტოვალუტის ბირჟები ექვემდებარებიან სავალდებულო რეგისტრაციას კანადის ფინანსური ოპერაციების ანალიზისა და ანგარიშგების ცენტრში (Financial Transactions and Reports Analysis Centre of Canada). მათ ევალებათ სრულად დაიცვან „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აკრძალული აქვთ კომერციულ ბანკებში საბანკო ანგარიშების გახსნა. სხვა მიმართულებით რეგულაციები ამ ეტაპისთვის კანადაში არ არსებობს.

**ზ) მექსიკა.** მექსიკის ცენტრალური ბანკი ბიტკოინს და სხვა კრიპტოვალუტებს არ მიიჩნევს ვალუტად. შესაბამისად, მას მიაკუთვნებს საქონლის კატეგორიას, რის შესახებაც თავის საჯარო ლექციაზე განაცხადა მექსიკის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა აგუსტინ კარსენსმა.

**თ) სინგაპური.** 2017 წლის ივლისში სინგაპურის სავალუტო სააგენტომ (MAS) განაცხადა, რომ ICO-ს მეშვეობით ტოკენების განაწილება დაექვემდებარება სინგაპურის ფასიანი ქაღალდების და ფიუჩერსების კანონმდებლობას. ამასთან, რეგულატორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ციფრულ ტოკენებს (რომლებსაც ის განმარტავს, როგორც კრიპტოგრაფიულად დაცულ საშუალებას გარკვეული სახის მოგების ან ფინანსური მომსახურების მისაღებად) და ვირტუალურ ვალუტას, რომელსაც რეგულატორი მიიჩნევს ტოკენის ნაირსახეობად, რომელიც გამოიყენება როგორც „გაცვლის საშუალება, ანგარიშის ერთეული ან ღირებულების საცავი“. ამასთან, ციფრული ტოკენები არ იზღუდება

<sup>8</sup> nb. <https://www.cryptoz.ge/single-post/2018/07/10/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-ICO> (ბლოგ ნახვის თარიღი 10.08.2019).

<sup>9</sup> „ფიიტური ფული“ არის სახელმწიფოს მიერ გამოშვებული და გარანტირებული ვალუტა

ვირტუალური ვალუტის ფუნქციონირებით. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ ფასიან ქალაქებს, რომელიც უზრუნველყოფილია ემიტენტის აქტივებით ან ქონებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სინგაპურის კანონმდებლობით ფასიანი ტოკენები ატარებენ ფასიანი ქალაქების შინაარსს, მაშინ ემიტენტები ექვემდებარებიან სინგაპურის სავალუტო სააგენტოს (MAS) მიერ სავალდებულო ლიცენზირებას.

**ი) შვეიცარია.** 2017 წლის ივლისში შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ განაცხადა, რომ იწყებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კრიპტოგრაფიული ვალუტის სამართლებრივ რეგულირებაზე მუშაობას. ხოლო 2018 წლიდან შვეიცარიის კონფედერაციაში შემავალ ვიასსოს მუნიციპალიტეტში ოფიციალურად დაუშვეს ბიტკოინების მეშვეობით გადასახადების გადახდა.

**კ) სამხრეთი კორეა.** 2017 წლის ივლისში სამხრეთ კორეაში დაიწყო კრიპტოვალუტების რეგულირების შესახებ საკანონმდებლო პაკეტის მომზადება. რეგულირება შეეხება სამ ძირითად მიმართულებას – ფინანსური ტრანზაქციების შესახებ არსებულ კანონმდებლობაში კრიპტოვალუტების გათვალისწინებას, „ფულის გათეთრებისა“ და საგადასახადო დაბეგვრის საკითხების მოდერნიზაციას.

ვფიქრობ, რომ ამ ათი ქვეყნის კანონმდებლობის მოკლე ანალიზი ნათელ სურათს იძლევა დღეის მდგომარეობით ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კრიპტოვალუტების რეგულირების ტენდენციებზე.

სავარაუდოა, რომ მომავალში რეგულირება შეეხება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამომყენებელ სხვა სემგენტებსაც.

**IV. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის რეგულირების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში**

საქართველოში, მცირე გამოხატულების გარდა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არსებობს.

2019 წლის 28 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა N201 საჯარო გადაწყვეტილება „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“, რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „კრიპტოაქტივი არის ციფრული აქტივი, რომლის შენახვა და გაცვლა ხორციელდება ელექტრონულად, ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, არ საჭიროებს სანდო შუამავალს, და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის (Distributed ledger technology) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. კრიპტოაქტივი წარმოადგენს ღირებულების ციფრულ გამოხატულებას, მისი გამოშვება და გაცვლა ხორციელდება დეცენტრალიზებული კონსენსუსის მექანიზმით, ცენტრალური სანდო ემიტენტი და ზედამხედველი/მაკონტროლებელი ორგანოს გარეშე, ხოლო მასზე საკუთრების უფლება დასტურდება კრიპტოგრაფიული მეთოდებით.

საჯარო განმარტებაში, მითითებულია, რომ „კრიპტოაქტივის თითოეულ ერთეულს გააჩნია საბაზრო ღირებულება, იგი შეიძლება იქნეს ემისირებული, ჰყავდეს მესაკუთრე, გადაეცეს საკუთრების უფლება სხვას და დაიყოს ნაწილებად, შესაძლებელია მისი შესყიდვა და გაყიდვა. ამავე დროს, კრიპტოაქტივი არ არის გადახდის კანონიერი საშუა-

ლება და არც ელექტრონული ფული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კრიპტოაქტივის მოპოვება გულისხმობს კრიპტოაქტივის პლატფორმის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ახალი სტრუქტურების (ბლოკების) შექმნის საქმიანობას, რომლის შედეგადაც ამ საქმიანობის განმახორციელებელი პირი (მანერი) ჯილდოვდება კრიპტოაქტივით. აღნიშნული ხორციელდება ორი ძირითადი პრინციპით: მანერი თავის ბლოკში თვითონ ქმნის ახალ კრიპტოაქტივს (კონკრეტული ალგორითმის შესაბამისად) და ამ ბლოკს ადასტურებენ სხვა მანერები ან/და მანერი იღებს ჯილდოს ტრანზაქციების განმახორციელებლებისათვის. ასეთი ჯილდოს ოდენობა შეიძლება იყოს წინასწარ განსაზღვრული, გამოიანგარიშებოდეს ალგორითმით ან განისაზღვრებოდეს თავისუფალი ბაზრით. კრიპტოაქტივის მოპოვების საქმიანობა საჭიროებს სპეციფიკურ დანადგარებს ან/და პროგრამულ უზრუნველყოფას, ასევე, ინტერნეტთან წვდომას. ამ საქმიანობის სწრაფი და ეფექტური განხორციელება, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია შესაბამის გამოთვლით სიჩქარეზე. გამოთვლითი სიჩქარე (სიმძლავრე) კი არის იმ სიმძლავრის საზომი ერთეული, რომლის მეშვეობითაც კომპიუტერი ასრულებს ოპერაციას<sup>10</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ციფრული ფულის დანერგვის ოპტიმისტურ პროგნოზებს ამცირებს ქვეყანაში არსებული პრობლემები. ექსპერტები გამოყოფენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- საქართველოს გააჩნია ნაკლებად განვითარებადი ციფრული ეკონომიკა და განვითარებადი ელექტრონული ბაზარი;
- ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლების დიდი ნაწილი საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონეა, შესაბამისად ონლაინ ვაჭრობის ტემპი ქვეყანაში დაბალია;
- ქვეყანაში დაგვიანებულმა ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესმა არსებითი გავლენა იქონია ციფრული ბაზრის განვითარების დონეზე, ფაქტობრივად ქვეყანა ვარგავს ციფრული ბაზრის შემოსავლებს;
- შთამბეჭდავია აღინიშნოს ბოლო 2 წელიწადში, აღმასრულებელი ხელისუფლების გააქტიურებული პროცესები და პროგრამები, რაც მიმართულია სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების (დასრულებულია სტარტაპების ხელშეწყობის მექანიზმების ფორმირება და ციფრული გარემოს სამართლებრივი რეგულირების სურვილი;
- დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ციფრულ ფულის დანერგვაზე საუბრის დაწყებამდე მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების ინტერნეტ-წიგნიერების ზრდა, ინფორმირების ამაღლებისა და გამავრცელებელი ღონისძიებების საჭიროება;
- ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობაა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც არ იყენებს პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების სერვისს და ბიზნეს საქმიანობას მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ახდენს. ასეთი მოვლენების ფონზე, ციფრული ფულს

<sup>10</sup> იხ. 2019 წლის 28 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს N201 საჯარო გადაწყვეტილება „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

დანერგვის ტემპი არსებული სტრატეგიებისა და დაგეგმვის ფონზე, ჯერ კიდევ რთულად განსაზღვრია.<sup>11</sup>

კრიპტოვალუტის პოპულარობის ზრდის იგნორირება შეუძლებელია, ხოლო ვინც ჯერ არ იყენებს, აღიქმება, რომ ისინი თანამედროვე ბიზნეს მართონს ჩამორჩებიან.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს რომ ციფრული ქვეყნის

შექმნა საჭიროებს ინსტრუმენტებს, სტრატეგიას, ინფორმაციას, მეცნიერ-მკვლევარებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. აღნიშნული რესურსით ქვეყანა შეძლებს გლობალურ სივრცეში ჯეროვანი ადგილის დამკვიდრებას.

<sup>11</sup> <https://commersant.ge/ge/post/mizezebi-romlebic-saqartveloshi-bitkoinis-gavrcelebas-aferxebis> (ბოლო ნახვის თარიღი 17.08.2019).



# აქცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## I. აქცესორულობის პრინციპი

აქცესორულობა წარმოადგენს სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს ერთი უფლების არსებობის დამოკიდებულებას მეორე უფლების არსებობაზე. სამოქალაქო სამართალში აქცესორულობის საკითხი დგება კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებების შემთხვევაში (სკ-ის 153 I მუხლი), კერძოდ, ის არის უზრუნველყოფის საშუალებებისა და უზრუნველყოფილ მოთხოვნას შორის კავშირის გამომხატველი. აქცესორულობა მოიცავს მოთხოვნის არსებობის ყველა სტადიას, მისი წარმოშობიდან გაქარწყლებამდე (მათ შორის, გადაცემასაც) და რაც უფრო ძლიერია აქცესორული ბმა, მით უფრო უკეთ არის დაცული მოვალის პოზიციები.

ქართულ სამოქალაქო სამართალში აქცესორული კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებები ამომწურავად არის მოწესრიგებული სკ-ის ფარგლებში. ეს არის თავდებობა (სკ-ის 891-ე და მომდევნო მუხლები), იპოთეკა (სკ-ის 286-ე და მომდევნო მუხლები) და გირავნობა (სკ-ის 254-ე და მომდევნო მუხლები). ამ უზრუნველყოფის საშუალებების წარმოშობისათვის აუცილებელია უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობა, რითაც უზრუნველყოფის საშუალებების მიზანი — უზრუნველყოფის მიზანი — ქცეულია მათი წარმოშობის, არსებობისა და გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად (კაუზად).

გერმანული გადაწყვეტის მიხედვით, თავდებობა მიჩნეულია იპოთეკასთან და გირავნობასთან შედარებით უფრო მეტად აქცესორულად. ეს დაშვება ემყარება გსკ-ის 216 II 1 პარაგრაფს, რომელსაც სკ-ში ახალგაიხსნია, რის გამოც ამ თემის მტკიცება ქართული სამართლისათვის ამგვარი კატეგორიულობით საკმაოდ პრობლემურია. ამასთან, აქცესორულობის პრინციპი და მისგან გამონაკლისები სკ-ში სწორედ რომ იპოთეკის შემთხვევაში შეიცავს ყველაზე ფართო რეგულატორულ მატერიას, რის გამოც ამ პრინციპის ზოგადი დახასიათება იპოთეკის მაგალითზეა უძრავი.

## II. აქცესორულობის პრინციპი იპოთეკის მაგალითზე

### 1. ზოგადი დახასიათება

სკ-ის 286-ე მუხლში მოცემულია იპოთეკის ლეგალური დეფინიცია და მისი, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის სანივთო საშუალების, დასაშვებობის წინაპირობები.<sup>2</sup> იპო-

თეკა წარმოადგენს აქცესორული ხასიათის სანივთო რეალიზაციის უფლებას<sup>3</sup> და, შესაბამისად, მისი დადგენისათვის აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა, რომელიც არის ე. წ. წამყვანი (უზრუნველყოფილი) მოთხოვნა<sup>4</sup> და რომელთანაც განუყოფლად არის შემრდილი იპოთეკა.<sup>5</sup> უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი და იპოთეკარი (უზრუნველყოფილი კრედიტორი) იდენტური პირი უნდა იყოს.<sup>6</sup> დაუშვებელია, მაგალითად, ერთი და იმავე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ერთი და იმავე საგნის რამდენიმე იპოთეკით დატვირთვა (ორმაგი უზრუნველყოფის აკრძალვა),<sup>7</sup> რადგან ესეც წინააღმდეგობაში მოვიდოდა იპოთეკის აქცესორულობასთან.<sup>8</sup> აქცესორულობის პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს სკ-ის 295-ე მუხლში კონსტატირებული გარემოება,<sup>9</sup> რომ იპოთეკა გადაიცემა უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის გზით (სკ-ის 201 I, 295) (იპოთეკის გადაცემის პრინციპი). იპოთეკა, კანონის საფუძვლამდე, მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ავტომატურად გადადის ახალ კრედიტორზე.<sup>10</sup> ეს წესი ვრცელდება მოთხოვნის გადასვლის ყველა ფორმაზე (გარიგებისმიერი და კანონისმიერი ცესია, მოთხოვნის გადასვლა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს განკარგულებ-

ხლების კომენტარი; ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, მე-60 და მომდევნო გვერდები; ჭანტურია, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 248-ე და მომდევნო გვერდები; ბ. შიტი, სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2003, 327-ე და მომდევნო გვერდები; პ. შნიტგერი, საკრედიტო სამართალი, თბილისი 2011, მე-8 და მომდევნო გვერდები; თ. დარჯანია, იპოთეკის აქცესორულობის პრობლემატიკა საკრედიტო ხელშეკრულებებში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (2013), მე-4 და მომდევნო გვერდები.

<sup>3</sup> ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (იხ. სქ. 2), 61; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება № ას-901-859-2013.

<sup>4</sup> RGZ 81, 268.

<sup>5</sup> Rahe, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1113 Rn. 4.

<sup>6</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 297 1-ლი და მომდევნო ველები; ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (იხ. სქ. 2), 62, 80; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება № ას-901-859-2013.

<sup>7</sup> ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (იხ. სქ. 2), 73.

<sup>8</sup> RGZ 131, 20; OLG Köln NJW-RR 1996, 1107; Rahe, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1113 Rn. 17.

<sup>9</sup> ამასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (იხ. სქ. 2), 62, 65; Rahe, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1153 Rn. 1.

<sup>10</sup> Rahe, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1153 Rn. 2.

<sup>1</sup> D. Medicus, Die Akzessorietät im Zivilrecht, JuS 1971, 497; J. Wilhelm, Sachenrecht, 4. Aufl., Berlin/Boston 2010, 787; J. Th. Füller, Eigenständiges Sachenrecht? Tübingen 2006, 174.

<sup>2</sup> იხ. იპოთეკასთან დაკავშირებით რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, 254-ე და მომდევნო მუ-

ბით).<sup>11</sup> სკ-ის 295-ე მუხლით გარანტირებულია, რომ კრედიტორი და იპოთეკარი ყოველთვის ერთი და იგივე პირია. ამით მინიმუმამდეა დაყვანილი შანსი იმისა, რომ ერთი მოთხოვნისთვის იპოთეკის გამცემ მოვალეს ორმაგად დაეკისროს პასუხისმგებლობა – ერთხელ ახალი კრედიტორისა და მეორეჯერ იპოთეკარის წინაშე.<sup>12</sup> გარდა ამისა, გაუმჯობესებულია ცესიონერის მდგომარეობა, რადგანაც ის იძენს არა ცარიელ მოთხოვნას, არამედ ისეთს, რომელსაც თან მისდევს უზრუნველყოფის საშუალება.

ეს წესი მოქმედებს, რა თქმა უნდა, საბარათე იპოთეკის შემთხვევაშიც – იპოთეკის მოწმობაზე უფლების გადაცემა, იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარეშე (სკ-ის 289<sup>1</sup> I). განკარგვა ეხება მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მაშინაც კი, როდესაც ის მოწმობის მეშვეობით ხდება.<sup>13</sup> ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი – „უფლება ქალაქში მიჰყვება მასში განსხეულებულ უფლებას“, ანუ უზრუნველყოფილ მოთხოვნას. გარდა ამისა, იპოთეკის უფლების დაგირავება შესაძლებელია მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაგირავების ფორმით, რომელსაც მიჰყვება იპოთეკის უფლება სკ-ის 295 I მუხლი<sup>14</sup> გამყარებული აქცესორულობის პრინციპის საფუძველზე.<sup>15</sup> პირადი ფასიანი ქალაქების შემთხვევაში მოქმედი ზოგადი პრინციპის თანახმად, იზიარებს რა დოკუმენტზე უფლება ამ დოკუმენტში განსხეულებული უფლების ბედს,<sup>16</sup> გირავნობის უფლება ვრცელდება ასევე იპოთეკის მოწმობაზეც.<sup>16</sup>

## 2. იპოთეკის მოვალის შესაგებლები, რომელიც ამავდროულად არ არის პირადი მოვალე

იპოთეკის (ისევე, როგორც თავდებობის) აქცესორულობის პრინციპის ერთ-ერთ მთავარ გამოვლინებას წარმოადგენს იპოთეკის მოვალისათვის იმ შესაგებლების მინიჭება, რომლებიც წარმოდგება კრედიტორსა და პირად მოვალეს შორის ურთიერთობიდან (სკ-ის 291 I).

სკ-ის 291-ე მუხლი მიზნად ისახავს დატვირთული საგნის ისეთი მესაკუთრის დაცვას, რომელიც ამავდროულად არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე.<sup>17</sup> მუხლის ორივე ნაწილი იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს. უზრუნველყოფილი მოთხოვნა და იპოთეკა ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ მოთხოვნის წარმოშობა და განხორციელებადობა გავლენას ახდენს ასევე იპოთეკის წარმოშობასა და განხორციელებამაც.<sup>18</sup> ამ ურთიერთგადაჯაჭვულობაზე აპელირების უფლება აქვს ასევე არამოვალე მესაკუთრესაც – დანაწესის პირველი ნაწილი უფლებას ანიჭებს მას, პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებლის წაყენების გზით დაიცვას თავი კრედიტორის მხრიდან ნივთის რეალიზაციის მოთხოვნისაგან.

სკ-ის 291 II მუხლის იმპერატიული<sup>19</sup> ხასიათის მქონე დანაწესი იცავს არამოვალე მესაკუთრეს იმგვარად, რომ აწესებს მისი ინფორმირების აუცილებლობას იპოთეკის ვადამოსულობის შემთხვევაში.

### ა) შესაგებლის წარდგენის უფლება

სკ-ის 291 I მუხლში დაფიქსირებული უფლების მქონე უზრუნველყოფილი ქონების მესაკუთრე, რომელიც ამავდროულად არ არის პირადი მოვალე, ჩანაწერში „რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს“ იგულისხმება მოცემული უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე.<sup>20</sup> ნორმა ემსახურება მესაკუთრის საკუთრების უფლების დაცვას<sup>21</sup> და ანიჭებს მას უფლებას, გამოიყენოს მოვალის შესაგებელი არა უზრუნველყოფილი მოთხოვნის განხორციელების ხელშეშალეულად,<sup>22</sup> არამედ უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციის წინააღმდეგ.<sup>23</sup> მესაკუთრეს უფლება აქვს, გამოიყენოს როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი.<sup>24</sup> სკ-ის 291 I ეხება მხოლოდ იმ შესაგებელს, რომელიც პირად მოვალეს აქვს:

### ბ) იპოთეკის უფლების წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი

#### ა) იპოთეკის არსებობის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი

გემოთ თქმულის საპირისპიროდ, თავისთავად ცხადია, რომ მესაკუთრეს აქვს სკ-ის 291 I მუხლის მიღმა საკუთარი შესაგებლის წარდგენის უფლებაც, რომელიც მიმართული იქნება იპოთეკის უფლების არსებობის წინააღმდეგ.<sup>25</sup> მესაკუთრეს შეუძლია ამტკიცოს, რომ იპოთეკა არ წარმოშობილა, რადგანაც, მაგალითად, იპოთეკის რეგისტრაციისას დარღვეული იყო შესაბამისი წესი.<sup>26</sup> გარდა ამისა, მესაკუთრეს შეუძლია მიუთითოს, რომ იპოთეკარმა დაკარგა იპოთეკა, რადგანაც ის მესაკუთრის იპოთეკად გარდაიქმნა (სკ-ის 288) ან გადავიდა მესამე პირზე.<sup>27</sup>

ასეთ დროს მესაკუთრეს უწევს 312 I მუხლით გათვალისწინებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის წინააღმდეგ რეესტრში არსებული ჩანაწერის საწინააღმდეგო მტკიცება და, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მთლიანად

<sup>11</sup> BayObLG Recht 1912, Nr. 256; კანონმდებლის მოცემული გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ემსახურება სამართლის ეკონომიურობას (*Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 1153 Rn. 2). ცესიონერს არ სჭირდება იპოთეკის თავიდან დადგენა, არამედ ორი უფლების გადაცემა თავმოყრილია ერთ გარიგებაში. შესაბამისად, მხარეები ზოგავენ დამატებითი გარიგების დადების ხარჯებსაც (*Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 1153 Rn. 2).

<sup>12</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 1153 Rn. 3.

<sup>13</sup> *Wilhelm*, Sachenrecht (nb. სქ. 1), Rn. 1577.

<sup>14</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 199 მე-8 ველი; *Sosnitzer*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2011, § 1274 Rn. 8.

<sup>15</sup> გსკ-ის 952-ე პარაგრაფი, რის არაზუსტ შესატყვისსაც 928 II მუხლი წარმოადგენს.

<sup>16</sup> RG WarnR 1918 Nr. 56.

<sup>17</sup> *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (nb. სქ. 2), 86; *Rohe*, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1141 Rn. 1.

<sup>18</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 1.

<sup>19</sup> KG JW 1931, 3284; LG Hamburg Rpfleger 1957, 116.

<sup>20</sup> *H. J. Wieling*, Sachenrecht, Berlin/Heidelberg 1992, § 27 III 2 b.

<sup>21</sup> სკ-ის 291-ე მუხლი იცავს მესაკუთრეს და მისთვის მოვალის შესაგებლების მინიჭება გამართლებულია, რადგანაც ნივთის ბედი მთლიანადაა დამოკიდებული კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ ვადებულებებისამართლებრივ ურთიერთობაზე. ამასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის № ას-866-1152-09 განჩინება; 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-737-699-2015(ბ).

<sup>22</sup> თუძცა შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 თებერვლის № ას-1664-1652-2011 განჩინება.

<sup>23</sup> *Rohe*, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1137 Rn. 3.

<sup>24</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 4.

<sup>25</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 3.

<sup>26</sup> *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (nb. სქ. 2), 88.

<sup>27</sup> *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (nb. სქ. 2), 89.

მას აწვევა.<sup>28</sup> ამის საპირისპიროდ, მესაკუთრეს შეუძლია, მოსთხოვოს იპოთეკარს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა და იპოთეკის რეალიზაციის მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა.<sup>29</sup>

**ბბ) ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმება მესაკუთრესა და კრედიტორს შორის**

იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციას შესაძლოა გამოირიცხავდეს მესაკუთრესა და კრედიტორს შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმება. ასეთი ხელშეკრულება შესაძლოა დამატებით წინაპირობას ითვალისწინებდეს კრედიტორის მხრიდან იპოთეკის უფლების გამოყენებისათვის.<sup>30</sup> შესაძლოა, იპოთეკარი ხელშეკრულებით, გარკვეული პირობების არსებობისას, უარს ამბობდეს იპოთეკაზე, მის რეალიზაციაზე იძულებითი აღსრულების ფარგლებში<sup>31</sup> ან, ზოგადად, რეალიზაციაზე გარკვეული დროის განმავლობაში<sup>32</sup>. ასევე, შესაძლებელია, მესაკუთრე და კრედიტორი შეთანხმდნენ, რომ იპოთეკარი დაკმაყოფილებას ვერ პირადი მოვალისგან მოითხოვს და მხოლოდ შემდეგ განახორციელებს იპოთეკის საგნის რეალიზაციას.<sup>33</sup> ყველა ამ შემთხვევაში მესაკუთრეს ენიჭება შესაგებელი იპოთეკარის რეალიზაციის მოთხოვნის წინააღმდეგ.

ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების რელატიური ბუნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ასეთი შესაგებელი ახალ მესაკუთრეზე არ გადადის.<sup>34</sup>

**გ) უზრუნველყოფილი მოთხოვნის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი**

**აა) ზოგადი დებულება**

იპოთეკის აქცესორული ბუნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე შესაგებლები ვრცელდება აგრეთვე იპოთეკაზეც და მათი გამოყენება შეუძლია მესაკუთრესაც.<sup>35</sup> ასეთი შესაგებელი სახეზეა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს შეუძლია, დროებით ან ხანგრძლივად თქვას უარი შესრულებაზე.<sup>36</sup> მათ რიცხვს მიეკუთვნება მოთხოვნის გადავადება, ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე შესაგებელი,<sup>37</sup> საპასუხო შესრულების დაკავების შესაგებელი (ერთდროულად შესრულების შესაგებელი)<sup>38</sup>, შეთანხმება, რომლის ძალითაც კრედიტორი უარს ამბობს უზრუნველყოფილი მოთხოვნის სასამართლო წესით განხორციელებაზე<sup>39</sup> ან, ზოგადად, მის

გამოყენებაზე<sup>40</sup>, აგრეთვე უსაფუძვლო გამდიდრების შესაგებელი.<sup>41</sup>

**ბბ) ხანდაზმულობის შესაგებელი**

მოთხოვნის ხანდაზმულობა გამოირიცხავს მოთხოვნის იძულებით განხორციელებას. შესაბამისად, მესაკუთრეს უფლება აქვს, მიუთითოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობაზე<sup>42</sup> და ამ საფუძვლით წინ აღუდგეს იპოთეკის საგნის რეალიზაციას.<sup>43</sup>

**გგ) უფლებამონაცვლის ან მემკვიდრის შესაგებელი**

მესაკუთრეს უფლება აქვს, გამოიყენოს შესაგებელი, რომელიც პირად მოვალეს აქვს და არა ის, რომელიც დამოუკიდებლად წარმოემოხა პირადი მოვალის უფლებამონაცვლეს ან მემკვიდრეს. ასე, მაგალითად, მესაკუთრეს არ შეუძლია გამოიყენოს ის შესაგებელი, რომელიც მოვალის მემკვიდრეებს აქვთ მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლებთან დაკავშირებით (სკ-ის 1484 I).<sup>44</sup>

**დდ) „გასახივრების შესაგებელი“ – თავდების შესაგებლები**

გერმანულისაგან განსხვავებით, ქართული სამართალი არ ითვალისწინებს დათქმას, რომ მესაკუთრეს აქვს იმავე შესაგებლის წარდგენის უფლება, რომელიც თავდებს.<sup>45</sup> მაგრამ მესაკუთრისა და თავდების არსებითად იდენტური მდგომარეობის<sup>46</sup> გამო ქართულ სამართალშიც დასაშვებია სკ-ის 900-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება. კანონმდებლის ჩანაწერი „მოთხოვნის გასახივრება“ სწორედ 900-ე მუხლის დისპოზიციაში დაფიქსირებულ „სადავოდ გახდას“ შეესაბამება. იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თუ მოვალეს შეუძლია სადავო გახადოს მოთხოვნის არსებობა, მესაკუთრესაც შეუძლია წაუყენოს კრედიტორს შესაგებელი, რომ არც მისი ნივთის რეალიზაციის უფლება აქვს მას ასეთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ესენია შეცილების შესაგებელი და გაქვითვის შესაგებელი.<sup>47</sup> სკ-ის 894-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია.<sup>48</sup> მესაკუთრეს შეუძლია, უარი თქვას იპოთეკარის მიერ იპოთეკის გამოყენებაზე, სანამ პირად მოვალეს აქვს ხელშეკრულების შეცილების უფლება.<sup>49</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში მო-

<sup>28</sup> BGH MDR 1956, 542; RGZ 127, 261  
<sup>29</sup> ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (იხ. სქ. 2), 90.  
<sup>30</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 7.  
<sup>31</sup> BayObLG FGPrax 1998, 164  
<sup>32</sup> LG Saarbrücken Rpfleger 2000, 213;  
<sup>33</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 7.  
<sup>34</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 7.  
<sup>35</sup> Rohe, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1137 Rn. 3.  
<sup>36</sup> *Bassenge*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 1137 Rn. 1  
<sup>37</sup> *Wolfsteiner* in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1137 Rn. 7.  
<sup>38</sup> RGZ 78, 32.  
<sup>39</sup> RGZ 67, 390.

<sup>40</sup> KG KGJ 53, 157.  
<sup>41</sup> RGZ 86, 304; *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 16.  
<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის განჩინება № ას-369-350-2015 (1.6.).  
<sup>43</sup> გერმანულისაგან განსხვავებით, ქართული სამართალი არ ითვალისწინებს სპეციალურ დათქმას, რომელიც მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის უფლებას მინიჭებდა კრედიტორს. ამასთან დაკავშირებით იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (იხ. სქ. 2), 87.  
<sup>44</sup> *Rohe*, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1137 Rn. 36; გსკ-ის 1137 I 2 პარაგრაფი პირდაპირ მიუთითებს ამ გამოირიცხავაზე, რაც ამავე ფორმით ძალაში უნდა დარჩეს ქართული სამართლის შემთხვევაში. იპოთეკის უფლება მიზნად ისახავს იპოთეკარისათვის ისეთი უზრუნველყოფის საშუალების მინიჭებას, რაც მისი ქონებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია და რისი გვერდის ავლაც არ უნდა მოხდეს 1484 I მუხლის მიხედვით.  
<sup>45</sup> გერმანულ რეგულაციასთან დაკავშირებით იხ. *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 17.  
<sup>46</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 17.  
<sup>47</sup> *Wilhelm*, Sachenrecht (იხ. სქ. 1), Rn. 1767.  
<sup>48</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 30.  
<sup>49</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის განჩინება № ას-580-551-2013.

ხდებოდა ისეთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება იპოთეკის რეალიზაციით, რომელიც შესაძლოა შემდგომში შეცილების გზით გაბათილებულიყო. ეს კი წინააღმდეგობაში მოვიდოდა იპოთეკის აქცესორულ ბუნებასთან. ამის საპირისპიროდ, თავად შეცილების უფლება მესაკუთრეს არა აქვს, რადგანაც ეს მხოლოდ პირადი მოვალისათვის გათვალისწინებული გარდაქმნითი უფლებაა.<sup>50</sup> ვალდებულებათა გაქვითვის შესაგებებლზე კანონმდებელი უშუალოდ მიუთითებს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს აქვს სხვა მოთხოვნა კრედიტორის მიმართ, და ამ ვალდებულებათა გაქვითვა სკ-ის 442-ე და შემდგომი მუხლებით შესაძლებელია, მესაკუთრეს აქვს უფლება, წინ აღუდგეს ნივთის რეალიზაციას.<sup>51</sup> არა აქვს მნიშვნელობა, იყენებს თუ არა ამ შესაგებებელს თავად მოვალე. მაშინაც კი, როდესაც მოვალე გაქვითვის წინააღმდეგია და არ წყვეტს ამ გზით უზრუნველყოფილ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, კრედიტორს მაინც არ აქვს იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის უფლება მანამ, სანამ რეალურად ჯერ კიდევ შესაძლებელია გაქვითვა.

საკამათოა, შესაძლებელია თუ არა, მესაკუთრემ წარუდგინოს გაქვითვის შესაგებელი იპოთეკარს, როდესაც პირად მოვალეს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კრედიტორის წინაშე ჯანმრთელობის დაზიანების ან მარჩენალის გარდაცვალების გამო.<sup>52</sup> გავრცელებული შეხედულებით, ასეთ შემთხვევაში, სკ-ის 447 გ) მუხლის შესაბამისად, მესაკუთრეს არ შეუძლია გამოიყენოს მოცემული შესაგებელი, რადგან გაქვითვის უფლება მხოლოდ მოვალეს აქვს (და არა იპოთეკარს). მოცემული შეხედულება ნაკლებ დამაჯერებელია. მესაკუთრეს მაინც უნდა ჰქონდეს უფლება, უარი უთხრას კრედიტორს იპოთეკის რეალიზაციაზე, თუ არსებობს გაქვითვის შესაძლებლობა. სკ-ის 407 გ) მუხლი ემსახურება მხოლოდ დაზარალებულის ინტერესების დაცვას, რომ მეორე მხარემ (იპოთეკარმა) არ გაქვითოს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა ზემოთ ხსენებული დელიქტური მოთხოვნის ანგარიშში, თუმცა, ამის საპირისპიროდ, პირად მოვალეს მოცემული მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა არ ეზღუდება. არამოვალე მესაკუთრის შესაგებელი ნაწარმოებია რა პირადი მოვალის უფლებებიდან, მასაც უნდა ჰქონდეს უფლება, უარი უთხრას იპოთეკარს იპოთეკის რეალიზაციაზე მანამ, სანამ დაზარალებულ პირად მოვალეს აქვს გაქვითვის ეს შესაძლებლობა.

**დ) პირადი მოვალის უარი შესაგებებლზე**

როდესაც პირადი მოვალე უარს ამბობს შესაგებებლზე, მესაკუთრეს მაინც რჩება მისი წარდგენის უფლება.<sup>54</sup> მოვალეს (მაგალითად, იპოთეკართან შეთანხმებით) არ უნდა ჰქონდეს უფლება, უარი თქვას შესაგებებლზე და ამით მესაკუთრეს მოუჭრას სკ-ის 291 I მუხლით გარანტირებული თავის დაცვის შესაძლებლობა. ამიტომ მესაკუთრეს ზემოთ მოყვანილი შესაგებლებით სარგებლობა უნდა შეეძლოს მანამ, სანამ მოვალეს რეალურად გააჩნია ეს შესაგებლები. ამის საპირისპიროდ, მესაკუთრე ამ უფლებას კარგავს, თუ,

პირადი მოვალე თავად იმ უფლებაზე ამბობს უარს, რომელსაც ეფუძნება შესაგებელი, მაგალითად, ადასტურებს საცილო გარეგებას (სკ-ის 61 III) ან კრედიტორის წინაშე ქვითავს სხვა მოთხოვნას და არა იპოთეკით უზრუნველყოფილს.<sup>55</sup>

**III. გამონაკლისები იპოთეკის აქცესორულობის პრინციპიდან**

იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე ის უზრუნველყოფილი მოთხოვნის არწარმოშობის, გაქვითვის ან მესაკუთრეზე გადასვლის შემთხვევაში მესაკუთრის იპოთეკად გარდაქმნება (სკ-ის 289),<sup>56</sup> თუმცა ეს უკანასკნელი უკვე წარმოადგენს გამონაკლისს აქცესორულობიდან. იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მოთხოვნაზე უარის თქმით კრედიტორი კარგავს იპოთეკასაც. თუმცა ამ შემთხვევაში იპოთეკა არ ქრება, არამედ სკ-ის 299 I მუხლის მიხედვით გადადის მესაკუთრეზე, თუ სახეზე არ არის სკ-ის 298 II მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.<sup>57</sup> თუ კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნაზე, მაშინ აქცესორულობის პრინციპიდან გადახვევა გამართლებულია იმ მოტივით, რომ მოთხოვნა აღარ არსებობს. როდესაც იპოთეკარი უარს ამბობს იპოთეკაზე, ხოლო მოთხოვნა ძალაში რჩება, იპოთეკა გადადის არა სხვა კრედიტორზე, არამედ მესაკუთრეზე და აქაც ორმაგი პასუხისმგებლობის რისკის არარსებობის გამო დასაშვებია აქცესორულობის პრინციპიდან გამონაკლისის დაშვება.<sup>58</sup> მართალია, თავად მესაკუთრის იპოთეკა სკ-ის 288-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ვარიანტში გათვალისწინებულ შემთხვევებში აქცესორულობის პრინციპის დარღვევით (უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარეშე) არსებობს, თუმცა ეს გამონაკლისი მხოლოდ მესაკუთრის სასარგებლოდ დაიშვება და ამ უფლების გადაცემა სხვა პირისათვის უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარეშე დაუშვებელია.

იპოთეკის აქცესორულობიდან გამონაკლისის უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკული მაგალითები შემდეგია:

**1. უზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩანაცვლებისა და კრედიტორის დაკმაყოფილებისას**

აქცესორულობის პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩანაცვლების შემთხვევა 286 III მუხლი მიხედვით.

აქცესორულობის პრინციპიდან გამონაკლისს უშვებს ასევე სკ-ის 298 II მუხლი, როდესაც კრედიტორს აკმაყოფილებს პირადი მოვალე და მასზე გადადის იპოთეკა, მაგრამ

<sup>50</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 18.  
<sup>51</sup> *Wilhelm*, Sachenrecht (nb. სქ. 1), Rn. 1767.  
<sup>52</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 20.  
<sup>53</sup> RGZ 137, 36.  
<sup>54</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 32.

<sup>55</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1137 Rn. 33.  
<sup>56</sup> *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (nb. სქ. 2), 63.  
<sup>57</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1168 Rn. 6, § 1153 Rn. 12.  
<sup>58</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1168 Rn. 19.  
<sup>59</sup> რის გამოც ქართულ სამართალში მესაკუთრის იპოთეკა გერმანული „მესაკუთრის მიწის ვალის“ შესაბამის ეკონომიკურ ფუნქციას ვერ იტვირთავს (შდრ. მაგალითისათვის ზემოთ სქ. 10), მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც გერმანიაში მესაკუთრის მიწის ვალი წარმოიშობა. მესაკუთრის იპოთეკა გერმანიაში მხოლოდ უზრუნველყოფილი მოთხოვნის იპოთეკის მოვალეზე გადასვლის (§ 177 II გსკ) შემთხვევაშია შესაძლებელი, ყველა სხვა შემთხვევაში მესაკუთრის მიწის ვალი წარმოიშობა. იმისათვის დაკავშირებით *დარჯანიძე*, იპოთეკის აქცესორულობის პრობლემები საკრედიტო ხელშეკრულებებში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (2013), 9.  
<sup>60</sup> *რუსთაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 286 მე-19 და მომდევნო ველეები.

არა უზრუნველყოფილი მოთხოვნა.<sup>61</sup> ასეთ დროს ვალდებულება უკვე შესრულებულია და წყვეტს არსებობას სკ-ის 427-ე მუხლის მიხედვით. მოვალე იძენს მხოლოდ იპოთეკას იმ სხვა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, რომელიც მას გააჩნია მესაკუთრის მიმართ.<sup>62</sup>

**2. რეგისტრირებული არაიპოთეკარის მიერ არარსებული მოთხოვნის დათმობისას**

იპოთეკის აქცესორულობის პრინციპიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მოთხოვნაგამოცლილი იპოთეკის შემთხვევა. პირი, რომელიც რეგისტრირებულია კრედიტორ-იპოთეკარად, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა სინამდვილეში არ არსებობს, გადასცემს მასა და იპოთეკას სხვა პირს. ასეთ დროს, დაცულია რა შემძენის კეთილსინდისიერება, მასზე მაინც გადადის იპოთეკა მოთხოვნის არსებობის ფიქციით. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ცესიონერის რეგისტრისადმი ნდობა და იპოთეკის აქცესორული ბუნება.<sup>63</sup> იპოთეკის ბრუნვაუნარიანობის გაადვილების მიზნით კანონმდებელი არჩევანს კეთილსინდისიერი ცესიონერის ნდობის დაცვის სასარგებლოდ აკეთებს (სკ-ის 297-ე მუხლი).

აქ აქცესორულობა კოლიდირებს, სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენის<sup>64</sup> დაცვის აუცილებლობასთან. კრედიტორის სასარგებლოდ რეგისტრში შეტანილი მოთხოვნა და სანივთო უფლება არ წარმოშობილა, თუმცა კრედიტორი უთმობს ამ უფლებას სხვა კეთილსინდისიერ მესამე პირს.<sup>65</sup> ერთი მხრივ, სკ-ის 295 I მუხლის მიხედვით, იპოთეკა და მისით უზრუნველყოფილი მოთხოვნა მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად შეიძლება გადაიცეს, მეორე მხრივ, 198-ე და მომდევნო მუხლები არ ითვალისწინებენ მოთხოვნის კეთილსინდისიერად მოპოვების შესაძლებლობას და ამგვარად შეუძლებელს ხდიან რეგისტრის ჩანაწერის მიმართ არსებული და სკ-ის 312-ე მუხლით დაცული ნდობის რეალიზებას. გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებელს არ უნდოდა არც აქცესორულობის პრინციპზე უარის თქმა და არც იპოთეკის კეთილსინდისიერად მოპოვების შეუძლებლად ქცევა<sup>66</sup>, შექმნა სკ-ის 297-ე მუხლის სახით 312-ე მუხლის ანალოგი იპოთეკისათვის იმ მოდიფიკაციით, რომ ამ შემთხვევაში ხდება მოთხოვნის არსებობის ფიქცია (სკ-ის 297 3). თუმცა ეს ფიქცია მოთხოვნისა, რომელიც განპირობებულია რეგისტრის ჩანაწერის მიმართ შემძენის ნდობის დაცვის მიზნით, მოქმედებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს აუცილებელია იპოთეკის უფლების მოპოვებისათვის<sup>67</sup>. ეს

დოგმატურად საკმაოდ რთული კონსტრუქცია სრულებით გამართლებულია სამართლის პოლიტიკის კუთხით.<sup>68</sup>

**3. იპოთეკის კეთილსინდისიერად მოპოვება (სკ-ის 297 2-3 მუხლი) – მთავარი გამოწვევის იპოთეკის აქცესორულობიდან**

ზემოთ ნახსენები მოთხოვნაგამოცლილი იპოთეკა წარმოადგენს მთავარ გამოწვევის იპოთეკის აქცესორულობის პრინციპიდან და იმის დასტურს, რომ ეს აქცესორულობის პრინციპი არ არის ყოველთვის მოქმედი უნივერსალური დოგმა, საიდანაც გადახვევა დაუშვებელია, როგორცაა მიჩნევის მას, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლო.<sup>69</sup>

თუ რეგისტრში რეგისტრირებულია მოთხოვნა და იპოთეკა, ცესიონერის (ახალი კრედიტორის) ინტერესებიდან გამომდინარე ეს მონაცემები მიიჩნევა სწორად (სკ-ის 297 2) და მოვალე ვეღარ მიუთითებს, რომ მოთხოვნა არ არსებობდა (სკ-ის 297 3). პრობლემატურია, კანონის ეს ჩანაწერი გულისხმობს თუ არა, როგორც სანივთო უფლების (იპოთეკის), ისე მოთხოვნის კეთილსინდისიერ მოპოვებას. განსხვავებით თავისი გერმანული ანალოგისაგან (§ 1138 გსკ) პირდაპირ არ იკითხება მხოლოდ იპოთეკის კეთილსინდისიერად მოპოვების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ჩანაწერი „მოვალეს არ შეუძლია მიუთითოს, რომ მოთხოვნა არ არსებობს“ მოთხოვნის მხოლოდ ფიქციაა, რამდენადაც ეს აუცილებელია იპოთეკის კეთილსინდისიერი მოპოვებისათვის.<sup>70</sup> ეს გამომდინარეობს ამ დათქმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, რომელიც არ საუბრობს მოთხოვნის კეთილსინდისიერ მოპოვებაზე, არამედ მხოლოდ საწინააღმდეგობე მითითების შეუძლებლობაზე იპოთეკის მოპოვების პროცესში და წარმოადგენს მხოლოდ დანამატს მე-2 წინადადებაში მოწესრიგებული სისწორის პრეზუმციისა, რომელიც მხოლოდ იპოთეკას ეხება.<sup>71</sup>

ამგვარად, სკ-ის 297 2-3 მუხლი იძლევა მხოლოდ იპოთეკის და არა მოთხოვნის კეთილსინდისიერად მოპოვების შესაძლებლობას. თუ კრედიტორი მოითხოვს სარჩელით არა მარტო იპოთეკის საგნის რეალიზაციას, არამედ ასევე ვალდებულებითი მოთხოვნის შესრულებასაც, მაშინ უნდა დაამტკიცოს მისი წინაპირობები.<sup>72</sup> მოვალეს ამ შემთხვევაში უფლება აქვს წაუყენოს მას უფლების გამაქარწყლებელი და მისი განხორციელების შემაფერხებელი ყველა შესაგებელი;<sup>73</sup> რის გამოც, ერთი და იმავე პროცესის ფარგლებში

<sup>61</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1153 Rn. 13.

<sup>62</sup> *Wieling*, Sachenrecht (nb. სქ. 20), §27 IV b.

<sup>63</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 2.

<sup>64</sup> შემძენის კეთილსინდისიერება განისაზღვრება ზოგადი წესების მიხედვით (185, 312); იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის განჩინება № ას-200-187-2015.

<sup>65</sup> *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (nb. სქ. 2), 65-ე და მომდევნო გვერდი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება № ას-465-435-2010.

<sup>66</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 289 მე-2 და მომდევნო ველები.

<sup>67</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 274 მე-3 და მომდევნო ველები.

<sup>68</sup> *F. Baur/R. Stürner*, Sachenrecht, 18. Aufl., München 2009, § 38 Rn. 22.

<sup>69</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 2; შდრ. ასევე *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი (nb. სქ. 2), 65-ე და მომდევნო გვერდი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება № ას-465-435-2010.

<sup>70</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება № 2ბ/3792-18.

<sup>71</sup> *Rohe*, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1138 Rn. 3; ბუნდოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის № ას-200-187-2015 განჩინებაში მოყვანილი სააპელაციო სასამართლოს ფორმულირება: „იპოთეკის რეგისტრაციის მიმართ უტყუარობის პრეზუმცია გამოიხატება იმაში, რომ შემძენი თავიდან ვერ აირიდებს იმ სანივთო უზრუნველყოფით წარმოქმნილ ვალდებულებებს, რომლებიც, მართალია, მას არ აუღია, მაგრამ მასზე, როგორც ნივთზე უფლების ახალ მფლობელზე, გადავიდა ნივთის გადაცემის შედეგად.“

<sup>72</sup> ამიტომაც არასწორია იპოთეკასთან ერთად მოთხოვნის კეთილსინდისიერად მოპოვებაზე საუბარი – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება № 2ბ/4449-11 და უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის განჩინება № ას-803-1123-07.

<sup>73</sup> RGZ 93, 237; *Wolfsteiner*, in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1138 Rn. 6; *Konzen*, in Soergel BGB, 13. Aufl. 2001, § 1138 Rn. 5.

<sup>74</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 5.

იპოთეკის საგნის რეალიზაციისა და ვალდებულებითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ დაკმაყოფილდება, როგორც დაუსახულებელი, ხოლო პირველი მოთხოვნა კი დაკმაყოფილდება<sup>75</sup>.

სკ-ის 297-ე მუხლის მნიშვნელობა ენიჭება, პირველ რიგში, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცესიისას (სკ-ის 295)<sup>77</sup>. ის მოქმედებს ასევე ე. წ. უზრუნველყოფითი ცესიისას, რადგან ამ დროს მხოლოდ შიდა ურთიერთობიდან შეზღუდული სრული უფლების გადაცემა ხდება<sup>78</sup>. სკ-ის 297-ე არ გამოიყენება ე. წ. ინკასო ცესიისას. ამ შემთხვევაში ნამდვილი გადაცემის გარიგება სინამდვილეში არ არის ნასურვები, ანუ უფლება ეკონომიკურად „გამსხვინებულთან“ რჩება.

სკ-ის 297 2-3 მუხლის მიხედვით გამორიცხული უნდა იყოს მესაკუთრის მიერ არა მარტო მოთხოვნის არარსებობაზე, არამედ სკ-ის 291 I მუხლით გათვალისწინებულ შესაგებებლებზე მითითება, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადახვევაა იპოთეკის აქცესორულობის პრინციპიდან. საბოლოო ჯამში, ცესიონერის მიერ მოპოვებული სამართლებრივი პოზიცია მეტწილად გაუფასურდებოდა, თუ მესაკუთრე იპოთეკის მოპოვებასთან ერთად შეძლებდა ცესიონერი-იპოთეკარისათვის დაეპირისპირებინა მოთხოვნის ნაკლიდან წარმომდგარი შესაგებებლები<sup>80</sup>, რომლებიც არც რეესტრიდან და არც იპოთეკის მოწმობიდან არ იკითხება.

ამგვარად, სკ-ის 297-ე მუხლი ადგენს ე. წ. „მოთხოვნა-გამოცლილი იპოთეკის“ გადასვლის შემთხვევას, როდესაც სკ-ის 295-ე მუხლით გამტკიცებული აქცესორულობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, ახალი კრედიტორი იძენს იპოთეკას, მაგრამ არა მოთხოვნას<sup>82</sup>. მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, იპოთეკის აქცესორული ბუნება და, მეორე მხრივ, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის მიმართ ახალი კრედიტორის კეთილსინდისიერი ნდობა<sup>83</sup>. კანონმდებელი უარს ამბობს პირველზე და იხრება ახალი კრედიტორის კეთილსინდისიერების და-

ცვისაკენ, რაც გამართლებულია, აგრეთვე, იპოთეკის ბრუნვაუნარიანობის გამარტივების მოტივით.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სკ-ის 297-ე მუხლი იცავს ახალი კრედიტორის ნდობას მხოლოდ იპოთეკის შესახებ რეესტრის ჩანაწერის მიმართ. უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ის არ ვრცელდება<sup>85</sup>. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც დათმობილი მოთხოვნა რეალურად არსებობს, მაგრამ სხვის ხელშია, ხდება ამ მოთხოვნის, გამონაკლისის სახით, „ხელიდან გამოცლა“ და იპოთეკარის მიერ ასევე მისი კეთილსინდისიერად მოპოვება<sup>86</sup>.

#### IV. თავდებობის აქცესორული ხასიათი

თავდებობის ხელშეკრულების ძალით თავდები კისრულობს ვალდებულებას მესამე პირის, მთავრი მოვალის, კრედიტორის წინაშე პასუხი აგოს ამ მესამე პირის ვალდებულებისათვის — ძირითადი ვალი (სკ-ის 891 I). შეუძლებელია საკუთარი ვალის თავდებობით უზრუნველყოფა<sup>87</sup>. თავდებობის შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადი ვალდებულებისაგან გასამიჯნ, თავდების მიერ ცალმხრივად ნაკისრ შესრულების ვალდებულებას<sup>88</sup>, რომელიც საკუთარ სამართლებრივ საფუძველს (კაუზას) თავის თავში შეიცავს და მისი ნამდვილობა სხვა ვალდებულების გარიგების ნამდვილობაზე არ არის დამოკიდებული. თავდებობა წარმოშობს შესრულების დამოუკიდებელ ვალდებულებას და არა მხოლოდ პასუხისმგებლობას სხვისი ვალისათვის. თავდები შესრულებით ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, რის შემდეგაც ძირითადი ვალდებულება გადადის მასზე 905 1 მუხლის მიხედვით, ამიტომაც თავდები და ძირითადი მოვალე ვერ ჩაითვლებიან სოლიდარულ მოვალეებად<sup>89</sup>, მათ შორის, ვერც სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, თავდების ვალდებულება არის აქცესორული, ანუ წარმოშობის, გაქარწყლების, მიკუთვნების, ისევე როგორც პასუხისმგებლობის ფარგლებისა (სკ-ის 898) და მოთხოვნის განხორციელების (სკ-ის 899) კუთხით ხანგრძლივად დამოკიდებულია მთავარ ვალდებულებაზე და წარმოადგენს ამგვარად ე. წ. დამხმარე ვალდებულებას<sup>92</sup>. თუმცა ეს აქცესორული ბმა შეიძლება შერბილდეს ან საერთოდ მოირღვეს იმ შემთხვევაში, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის უზრუნველყოფის მიზანთან<sup>93</sup>. განსხვავებული შეთანხმების შემთხვევაში სახეზე აღარ არის თავდებობა, არამედ, მაგალითად, ვალის გადაკისრება ან სხვა ტიპის უზრუნველყოფის შეთანხმებაა.

<sup>75</sup> RGZ 49, 367; *Wolfsteiner*, in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1138 Rn. 7; *Konzen*, in Soergel BGB, 13. Aufl. 2001, § 1138 Rn. 5.

<sup>76</sup> ვალდებულებითი მოთხოვნის განხორციელებისათვის 297 2-3 მუხლი არ მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნის მოვალე ამავდროულად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა, RGZ 93, 237; RG JW 1934, 3055; *Wolfsteiner*, in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1138 Rn. 7.

<sup>77</sup> არასწორია სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მსჯელობა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება № 28/4449-11; 2012 წლის 12 ივლისის განჩინება № ას-893-839-2012 და უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის განჩინება № ას-803-1123-07): „[297 II მუხლით] დადგენილი დანაწესი ეხება არა მარტო ახალ კრედიტორს, რომელმაც გადადის იპოთეკა და მოთხოვნა, არამედ ნებისმიერი იპოთეკის უფლებით უზრუნველყოფილ კრედიტორს“, თუ ამ კრედიტორის ქვეშ თავდაპირველ ვითომ-იპოთეკარს გულისხმობს.

<sup>78</sup> *Wolfsteiner*, in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1138 Rn. 5; OLG Hamburg MDR 1953, 171.

<sup>79</sup> RGZ 72, 379; *Wolfsteiner*, in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1138 Rn. 5; *Konzen*, in Soergel BGB, 13. Aufl. 2001, § 1138 Rn. 11.

<sup>80</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 4, 17.

<sup>81</sup> RGZ 78, 32; RGZ 81, 82; RGZ 91, 223; *Wolfsteiner*, in Staudinger BGB, 16 Aufl., 2015, § 1138 Rn. 2.5

<sup>82</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 16; *Rohe*, in Beck OK BGB, 42. Aufl., 2017, § 1138 Rn. 3; *Bassenge*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 1018 Rn. 6.

<sup>83</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 2.

<sup>84</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 3.

<sup>85</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1138 Rn. 2.

<sup>86</sup> *რუსთაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 295 მე-12 ველი; *Baur/Stürner*, Sachenrecht (nb. S. 68), § 38 Rn. 28; *Bassenge*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 1153 Rn. 2; *Konzen*, in Soergel BGB, 13. Aufl. 2001, § 1138 Rn. 10; განსხვავებული მოსაზრებისათვის იხ. *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1153 Rn. 17.

<sup>87</sup> *Celle BauR* 2002, 1711, თუმცა შესაძლებელია ამ შეთანხმების მოვალის გარანტიად კონვერსია.

<sup>88</sup> BGHZ 139, 214.

<sup>89</sup> BGH NJW 2001, 1857.

<sup>90</sup> *Sprau*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl. 2014, Einf v § 765 Rn. 1.

<sup>91</sup> BGH WM 1968, 916.

<sup>92</sup> *T. Lettl*, Akzessorietät contra Sicherungszweck – Rechtsfragen bei der Gestaltung von Bürgschaftserklärungen, WM 2000, 1316

<sup>93</sup> BGH NJW 2005, 2157.

<sup>94</sup> BGH WM 1966, 124.

თავდებობის მიზანს წარმოადგენს ძირითადი მოვალის წინააღმდეგ მიმართული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა დამხმარე ვალდებულების კისრებით. ინტერცესიის — სხვისათვის ვალდებულების კისრების — სხვა შემთხვევებზე სკ-ის 891-ე და მომდევნო მუხლები ანალოგიითაც არ გამოიყენება, ამიტომაც სკ-ის 905-ე მუხლი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომელიც არ არის თავდები, ისტუმრებს სხვის ვალს, ამ შემთხვევაზე შეიძლება სკ-ის 372 2 მუხლის გამოყენება, თუ, რა თქმა უნდა, სახეზეა სკ-ის 372 1 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

თავდებობა წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით<sup>95</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კანონის საფუძველზე „თავდების დარ“ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.

მართალია, თავდებობის ხელშეკრულება წარმოიშობს თავდების სამართლებრივად დამოუკიდებელ ვალდებულებას, რომელიც უნდა გაიმიჯნოს უზრუნველყოფილი (ძირითადი) მოთხოვნისაგან, თუმცა განსხვავებით, მაგალითად, გარანტიისაგან, თავდების ვალდებულება არის აქცესორული, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი წარმოშობა, არსებობა, შინაარსი, განხორციელება და ა. შ. დამოკიდებულია მთავარ ვალდებულებაზე.<sup>96</sup> ამგვარი „დინამიური“ ბმა თავდებობისა მთავარ ვალდებულებაზე, პირველ რიგში, ტექნიკურ-სამართლებრივად აადვილებს მდგომარეობას, კერძოდ იმას, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილება უშუალოდ აისახება თავდებობიდან მოთხოვნაზე და ამისთვის საჭირო აღარ არის ცალკე გარიგება ამ დამატებით მოთხოვნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აქცესორულობის პრინციპის მთავარი მიზანია თავდების დაცვა — როდესაც კანონი კრედიტორის უფლებას თავდებობიდან აბამს მთავარ ვალდებულებას, ამით ის ანგარიშს უწევს თავდებობის (უზრუნველყოფის) მიზანს, „კრედიტორი თავდებისაგან მიიღებს მხოლოდ იმას, რისი მიღების უფლებაც ჰქონდა ძირითადი მოვალისაგან მოთხოვნის მდგომარეობის გათვალისწინებით“.<sup>98</sup> შეუძლებელია თავდებობიდან მოთხოვნის დამოუკიდებლად განკარგვა, მისი გადაცმა შეუძლებელია მხოლოდ მთავარ მოთხოვნასთან ერთად. აქ აქცესორულობის პრინციპს ენიჭება მიკუთვნების ფუნქცია და გამოირიცხავს ერთი და იმავე საფუძველით ორმაგი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, თავდებობა იპოთეკის მსგავსად, რა თქმა უნდა, არ არის მკაცრად აქცესორული. აქცესორულობის „შერბილება“<sup>99</sup> ხდება, მაგალითად, სკ-ის 891 II მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც თავდებობა უზრუნველყოფს სამომავლო ან პირობით მოთხოვნას. ასევე სკ-ის 893 2 მუხლში გაკეთებული დათქმაც, რომლის მიხედვითაც, თავდებობის

აღების შემდეგ ძირითადი მოვალის მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულებები თავდების პასუხისმგებლობას არ აფართოებს, აქცესორულობის პრინციპის შემლუდვას წამოადგენს. სკ-ის 899 I 2 მუხლი, რომელიც ძალაში ტოვებს თავდების შეუზღუდავ პასუხისმგებლობას, მიუხედავად მოვალის მემკვიდრის პასუხისმგებლობის შემლუდვისა, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამონაკლისს თავდებობის აქცესორულობიდან და მთავარ დასტურს იმისა, რომ კანონმდებელი თავდებს არ იცავს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების რისკისაგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემულ კონტექსტში და რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

**V. გამონაკლისი იპოთეკისა და თავდებობის აქცესორულობიდან ძირითადი/პირადი მოვალის გაკოტრებისას**

მოცემულ კონტექსტში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საკითხი, უნდა დარჩეს თუ არა ძალაში თავდებისა და იპოთეკარის პასუხისმგებლობა ძირითადი, პირადი, მოვალის გაკოტრებისა და ამ მიზეზით სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შემდეგაც. მოვალის გაკოტრება და ზოგადად გადახდისუუნარობა, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც აქცესორულობა უკან იხევს უფრო ფუნდამენტური პრინციპის უზრუნველყოფის მიზნის წინაშე და უნდა დავუშვათ გამონაკლისი ამ პრინციპიდან,<sup>100</sup> რომელიც, როგორც ზემოთ ვიხილეთ, მთელ რიგ სხვა შემთხვევაშიც ირღვევა. გერმანიაში გადახდისუუნარობისას აქცესორულობიდან დაშვებულ გამონაკლისთაგან ნაწილი მოწესრიგებულია სპეციალურ კანონებში, როგორც არის გაკოტრების შესახებ გერმანიის კანონის 254 II 1 და 301 II 1 პარაგრაფები.<sup>101</sup> ამ დანაწესების მიხედვით ძირითადი ვალდებულების შემცირება სარეაბილიტაციო გეგმისა და მონარჩენი ვალდებულების ჩამოწრის შემთხვევაში თავდების ვალდებულებას უცვლელს ტოვებს და ის მაინც თავდაპირველი მთლიანი ვალდებულებისათვის აგებს პასუხს.<sup>102</sup> თუმცა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ძალაში დატოვება, მაშინ, როდესაც ძირითადი მოვალე ნაწილობრივ თუ სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, არ წარმოადგენს მხოლოდ ამ სპეციალური შემთხვევებისათვის გათვალისწინებულ საგამონაკლისო წესს, არამედ პირიქით, თავის მხრივ, ეს კანონისმიერი დანაწესებია, ზოგადი პრინციპის კონკრეტული გამოვლინება. ეს ზოგადი პრინციპი კი მდგომარეობს იმაში, რომ აქცესორულობა უკან იხევს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარ მოვალესთან ერთად თავდების პასუხი-

<sup>95</sup> შტრ. მაგალითისათვის გსკ-ის 566 II და 1251 II 2 პარაგრაფები.  
<sup>96</sup> Medicus, JuS 1971 (nb. სქ. 1), 497; Lettl, WM 2000 (nb. სქ. 92), 1316; M. Habersack, Die Akzessorietät — Strukturprinzip der europäischen Zivilrechte und eines künftigen europäischen Grundpfandrechts, JZ 1997, 860; W. Lindacher, Festschrift Gerhard, 2004, 587, 592 f.; E. Becker-Eberhard, Die Forderungsgebundenheit der Sicherungsrechte, Bielefeld 1993, 48, 104, 251; C. Schmidt, Die sogenannte Akzessorietät der Bürgschaft, Berlin 2001 45, 96.  
<sup>97</sup> Medicus, JuS 1971 (nb. სქ. 1), 498.  
<sup>98</sup> BGH NJW 1998, 2972; Fischer, Aktuelle höchstrichterliche Rechtsprechung zur Bürgschaft und zum Schuldbeitritt — Teil I, WM 2001, 1051.  
<sup>99</sup> Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 765 Rn. 61.

<sup>100</sup> Becker-Eberhard Forderungsgebundenheit, 201 ff., 459, 477; Habersack JZ 1997, 857, 862; Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 765 Rn. 61; § 768 Rn. 7.  
<sup>101</sup> ის ფაქტი, რომ ამ ზემოთ მოყვანილ დანაწესებში გამყარებული აქცესორულობის პრინციპიდან გამონაკლისი თავად არ წარმოადგენს გამონაკლისს, დადგენილს მხოლოდ სპეციალური კანონით, მტკიცდება იმითაც, რომ გერმანიაში „გაკოტრების შესახებ კანონის“ ძალაში შესვლამდე მოქმედი „მთლიან ქონებაზე პასუხისმგებლობის მიქცევის კანონი“ მის მე-16 პარაგრაფში, მართალია, გაცხადებულია არ ითვალისწინება უზრუნველყოფის საშუალებების ძალაში დატოვების შესაძლებლობას, თუმცა სამართლის დოქტრინისათვის ეს ამ გაცხადებული მითითების გარეშე ცალსახა იყო, შტრ. Eickmann, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 1137 Rn. 25.  
<sup>102</sup> U. Noack/C. Bunke, Zur Stellung gesamtschuldnerisch oder akzessorisch Mithaftender im Insolvenzverfahren Festschrift Uhlenbruck, Köln 2000, 351; BGH NJW 2003, 60; BGH NJW 1978, 107; BGH NJW 1979, 415; OLG Dresden ZIP 2001, 2291; Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 774, § 768 Rn. 7; Rn. 13, 21; BGH NJW 1952, 1049; BGH WM 1962, 550; OLG Köln WM 1995, 1224; OLG Hamm WM 1995, 153.

სმგებლობის შეზღუდვა ან მისი სრული გათავისუფლება ჩაშლიდა უზრუნველყოფის მიზანს, ანუ კრედიტორს უკან გადმოაკისრებდა იმ რისკს, რომლის გასანეიტრალებლადაც მოითხოვა მან თავდებობა. ამიტომაც თავდები სრულად (თავდაპირველი ვალდებულების ოდენობით) აგებს პასუხს მოვალის გადახდისუუნარობის<sup>103</sup> ან მისი ინდივიდუალური უსახსრობით გამოწვეული ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის (სკ-ის 398-ე მუხლი) შემთხვევაში,<sup>104</sup> რადგან ეს სწორედ ის რისკებია, რისგან თავის დაზღვევის მიზნითაც მოითხოვა კრედიტორმა თავდებობა და ამ რისკისაგან თავდების განტვირთვა ამ ინსტიტუტის მიზანს საერთოდ ჩაშლიდა.

ამ გზით ყველა მოვალეს შეეძლებოდა თავის ვალაუვალიად ან გაკოტრებულად გამოცხადებით პასუხისმგებლობისაგან გაეთავისუფლებინა ასევე თავდებიც და ამით საერთოდ ჩაეშალა ზღვარი უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს შორის. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტის დაშვება საშუალებას მისცემდა მოვალესა და თავდებს, წინასწარ შეთანხმებული არაკეთილსინდისიერი ქცევით კრედიტორისათვის ხელიდან გამოეცვლათ თავდებობით მინიჭებული სამართლებრივი პოზიცია.<sup>105</sup> კრედიტორი სწორედ იმიტომ ითხოვს ვალის უზრუნველყოფას თავდებობით, რომ არ დარჩეს განხორციელებადი მოთხოვნის გარეშე მოვალის ვალაუვალობის ან გაკოტრების შემთხვევაშიც, ამიტომაც ყველა მართლწესრიგი, რომელიც იცნობს ამ ინსტიტუტს, მოვალის უსახსრობის საბაბით „გამოთიშვის“ შემთხვევაში აღიარებს და ძალაში ტოვებს თავდების შეუზღუდავ პასუხისმგებლობას (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ).

გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, არ იცნობს ფიზიკური პირის გაკოტრების შესაძლებლობას, იურიდიული პირის გაკოტრებისას მისი თავდების გათავისუფლებით წარმოიშობა ყოვლად გაუმართლებელი დისონანსი ფიზიკური და იურიდიული პირების კრედიტორების უზრუნველყოფას შორის, რაც მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ იურიდიული პირის გაკოტრების შესაძლებლობის, რომელთაც ითვალისწინებს კანონი, მიზანი იქნებოდა ასევე იმ პირების დაცვა, რომლებიც იურიდიულ პირს თავდებად დაუდგნენ, რაც, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ეს არ იკითხება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონიდან და ზოგადად აბსურდულია იმის მტკიცება, რომ იურიდიული პირის თავდები უფრო დასაცავია, ვიდრე თავდები, რომელიც ფიზიკური პირის სასარგებლოდ კისრულობს თავდებობას.<sup>106</sup> ამიტომაც ამ განსხვავების გაკეთება გაუმართლებ-

ბელია როგორც დოგმატური, ისე სამართლის პოლიტიკის კუთხით. დოგმატურად იმიტომ, რომ აქცესორულობის პრინციპი ამ შედეგს ვერ ფარავს, ხოლო სამართლის პოლიტიკის მხრივ ეს პრეცედენტი დააფრთხობს იურიდიული პირებს, რომელთათვისაც უფრო მნიშვნელოვანია კრედიტის თავისუფლად აღების შესაძლებლობა, აგრეთვე პოტენციურ კრედიტორებს. ყოველგვარი სხვა გადაწყვეტა რეალურად დააკარგვინებდა თავდებობას პრაქტიკულ მნიშვნელობას, რადგან კრედიტორები მის მაგივრად მოითხოვენ საბანკო გარანტიას, რომელიც წარმოადგენს უზრუნველყოფის არა-აქცესორულ საშუალებას და რომელიც დამატებით ფინანსურ ტვირთად დააწევა კრედიტის აღების მსურველს ან ხშირ შემთხვევაში საერთოდ ჩაშლის კრედიტის მოპოვებას.

ის ფაქტი, რომ (მოვალის გაკოტრების გამო) ძირითადი მოთხოვნის განუხორციელებლობა ვერ დაუპირისპირდება იპოთეკიდან წარმომდგარ სანივთო უფლებას ან თავდებობიდან მოთხოვნას, გამომდინარეობს უზრუნველყოფის სპეციალური მიზნიდან, რომელიც იცავს კრედიტორს მოვალის ვალაუვალობისაგან. იპოთეკის შემთხვევაში ეს წესი მოქმედებს ასევე მაშინაც, როდესაც პირადი მოვალე და მესაკუთრე ერთი და იგივე პირია,<sup>107</sup> მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობის საქმის დაწყებისას უზრუნველყოფის საშუალებები, როგორც არის იპოთეკა, უზრუნველყოფილ კრედიტორს გადახდისუუნარობის პროცესში პრივილეგირებულ მდგომარეობას ანიჭებს და ძალაში ტოვებს მის მოთხოვნას იმ ფარგლებშიც, რა ფარგლებშიც ეს უზრუნველყოფის გარეშე ძალაში ვერ დარჩებოდა (მაგ., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 29 IV, 39, 40 I დ), 41, 47 მუხლები). ეს დანაწესებულება აქცესორულობის პრინციპის საწინააღმდეგოდ ნათელყოფენ, რომ სწორედ იპოთეკით უზრუნველყოფა განაპირობებს იმას, რომ კრედიტორი საკუთარი მოთხოვნისათვის უფრო მეტს იღებს, ვიდრე მიიღებდა, ეს მოთხოვნა უზრუნველყოფილი რომ არ ყოფილიყო. ანუ უზრუნველყოფის მოცულობა კი არ მცირდება მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, არამედ, პირიქით, მოთხოვნა რჩება ძალაში იპოთეკიდან წარმომდგარი დაკმაყოფილების უფლების მიხედვით. ანუ წარმმართველს ამ სიტუაციაში წარმოადგენს სწორედ იპოთეკიდან წარმომდგარი სანივთო უფლება (და მისი ფარგლები) და არა პირადი ვალდებულება. ეს სხვა არაფერია, თუ არა აქცესორულობის პრინციპიდან გადახვევა, უფრო ზუსტად კი მისი გარკვეულწილად შეტრიალება უზრუნველყოფის საშუალების სასარგებლოდ — უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილება კი არ აისახება უზრუნველყოფილის საშუალებაზე, არამედ უზრუნველყოფის საშუალების ძალაში დატოვება ტოვებს ძალაში ასევე მოთხოვნასაც. ამ კანონში გამყარებული პრინციპიდან გამომდინარეობს უკვე a maiore ad minus-არგუმენტი იმ შემთხვევისათვის, როდესაც საქმე ეხება გარეშე, არა თავად გადახდისუუნარო, პირის პასუხისმგებლობას იპოთეკიდან და მით უმეტეს თავდებობიდან. თუ პირადი მოვალისა და იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრის იდენტურობისას წარმმართველს და პასუხისმგებლობის ფარგლების განმაპირობებელს წარმოადგენს იპოთეკიდან წარმომდგარი უფლება და არა უზრუნველყოფილი ვალდებულება, მით უფრო უნდა იყოს ეს ძალაში მაშინ, როდესაც საქმე ეხება არა იმ პირის პასუხისმგებლობას იპოთეკიდან ან თავდებობიდან, რომლის ქონებაზეც არის დაწყე-

<sup>103</sup> BGH NJW 1993, 1917, 1918; *Habersack*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 765 Rn. 50, § 765 Rn. 62; BGH NJW 2003, 1250; BGH BB 1956, 830; BGH NJW 1982, 875; BGH NJW 2003, 1250; BGH ZIP 2008, 1376 Rn. 24; BGH NJW 2003, 59, 60; 1993, 1917, 1918.

<sup>104</sup> BGHZ 6, 385.

<sup>105</sup> მაგ., ძირითადი მოვალის დაჩქარებული წესით გაკოტრებულად გამოცხადება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება № 2ბ/3792-18. იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტა პირდაპირი წაქეზებაა ამგვარი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისათვის იხ. *N. Hörnig*, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, Tübingen 2018, 44.

<sup>106</sup> პირიქით, სწორედ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება უზრუნველყოფის მოვალე იურიდიული პირის დარჩენილი ქონების მაქსიმალურად მოძიებას და მისი კრედიტორების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის ზრდის შეჩერებას (მაგ., პროცენტების, პირგასამტეხლოსა და საურავის დარიცხვის შეჩერებით,

იხ. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 21 II დ) მუხლი), რასაც მოკლებულია ფიზიკური პირი-მოვალის თავდები.  
<sup>107</sup> BGH NJW 1974, 147.



ბული გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, არამედ გარე-  
შე პირის პასუხისმგებლობას, მით უფრო უნდა შეინარჩუნოს  
უზრუნველყოფის საშუალებამ აქ დამოუკიდებელი ხასიათი  
და დარჩეს ძალაში სრული მოცულობით. მოკლედ რომ შე-  
ვაჯამოთ, თუ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფა-  
რგლებშიც კი გადახდისუუნარო პირის იპოთეკიდან პასუხი-  
სმგებლობის ფარგლები არ უნდა დავიდეს უზრუნველყოფი-  
ლი მოთხოვნის ფარგლებამდე, მით უფრო ვერ შეცვლის ეს  
პროცედურა და მისი შედეგი გარეშე პირის პასუხისმგე-  
ბლობის ფარგლებს იპოთეკიდან თუ თავდებობიდან. სწო-  
რედ ეს წარმოადგენს უზრუნველყოფის მიზნის რეალურ გა-  
ნხორციელებას — პირმა, რომელმაც მოითხოვა იპოთეკა და  
თავდებობა, გააკეთა ეს არა მხოლოდ იმისათვის, რომ  
უფრო სწრაფი დაკმაყოფილება მიეღო, არამედ, პირველ  
რიგში, იმიტომ, რომ მიეღო უფრო „მეტი“, ვიდრე მიიღებდა  
მხოლოდ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ფლობის შე-  
მთხვევაში.<sup>108</sup>

**VI. დოგმატური დასაბუთება — დამოუკიდებელი მო-  
თხოვნა თავდებობიდან და იპოთეკიდან**

ამგვარად, როგორც თავდებობის, ისე იპოთეკის შე-  
მთხვევაში შედარებით სამართლებრივ ჭრილში ერთმნი-  
შვნელოვანი და უალტერნატივო კონსენსუსის საგანია ის  
ფაქტი, რომ მოვალის ვაკოტრებასთან ერთად თავდებობა  
და იპოთეკა არ უნდა შეწყდეს, არამედ თავდები თუ იპოთე-  
კის მოვალე პასუხს აგებს სრული ოდენობით, თუმცა ამ გა-  
დაწყვეტის დოგმატური დასაბუთება არაერთგვარია.

ამ კონტექსტში ხშირად ასხენებენ ხოლმე ე. წ. ნატურა-  
ლური ვალდებულების (Naturalobligation) კონცეპტის სა-  
ფუძველზე თავდებისა და იპოთეკის მოვალის პასუხისმგე-  
ბლობის ძალაში დატოვებას.<sup>109</sup> ნატურალური ვალდებულე-  
ბა ეს არის ვალდებულება, რომელიც აღარ არის იძულების  
წესით განხორციელებადი, თუმცა შესრულების შემთხვევა-  
ში წარმოშობს მიღებულის შენარჩუნების საფუძველს (მაგ.,  
სკ-ის 951 II მუხლი), ანუ თუ პირი (თავად ვაკოტრებული —  
თუ ფიზიკურ პირს ეხება საქმე, რაც ვეროპის ქვეყნებში და-  
საშვებია — ან მესამე პირი 371-ე მუხლის მიხედვით) ნება-  
ყოფლობით შესრულებს ვაკოტრების შედეგად „ჩამოწე-  
რილ“ ვალდებულებას და ეს შესრულება იქნება ნამდვილი  
და არაკონდიციონერადი, რადგან ნატურალური ვალდებუ-  
ლება წარმოადგენს საფუძველს კონდიციური სამართლის  
გაგებით, მაშინ ძალაში უნდა დარჩეს მისი უზრუნველყოფის  
საშუალებაც. ეს მოსაზრება დოგმატურად საკამოდ დაუსა-  
ბუთებელია: იზიარებს რა აქცესორული თავდებობა და იპო-  
თეკა მის საფუძველად მდებარე უზრუნველყოფილი მოთხო-  
ვნის ბედს, თუ ეს უკანასკნელი ნატურალურ ვალდებულე-  
ბად გარდაიქმნებოდა, უზრუნველყოფის საშუალებებიც ამა-

ვე სამართლებრივი სტატუსის არაგანხორციელებად ვა-  
ლდებულებად იქცეოდნენ, — ანუ მხოლოდ თავდებისა და  
იპოთეკის მოვალის მიერ ნებაყოფლობით შესრულების შე-  
მთხვევაში განაპირობებდნენ მიღებულის შენარჩუნების სა-  
ფუძველს. ამიტომაც უფრო დამაჯერებელია სხვა დასაბუთე-  
ბები, რომლებიც ქვემოთ იქნება მოყვანილი.

ყველა ეს თეორია ეხება და განვითარდა იმ შემთხვევე-  
ბის მაგალითზე, როდესაც მთავარ/პირად მოვალეს წარმო-  
ადგენდა იურიდიული პირი, რომლის ლიკვიდაციაც მოხდა  
ვალაუვალობის გამო. თუმცა აქ მიღებული შედეგები მით  
უფრო სავალდებულოა ფიზიკური პირის ვალაუვალობის  
შემთხვევაში, რომლის ვაკოტრების (და უზრუნველყოფილი  
მოთხოვნის ამ გზით ჩამოწერის) შესაძლებლობასაც გერმა-  
ნული სამართალი (და ზოგადად ევროპული მართლწესრი-  
გი) ბოლო პერიოდამდე არ იცნობდა, ხოლო ქართული სა-  
მართალი კი დღესაც არ იცნობს, რაც ნიშნავს იმას, რომ აქ  
აქცესორული ბმის მორღვევის პრობლემა რეალურად საე-  
რთოდ არ დგება, რადგან ფიზიკური პირი-მოვალის ვალდე-  
ბულება ვალაუვალობის გამო ვერ გაქარწყლდება.<sup>111</sup>

**1. თავდებობის დამოუკიდებელ ვალდებულებად გარდა-  
ქმნა**

იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მოვალე სამეწა-  
რმეო რეესტრიდან ამოშლის მომენტისათვის — ან თავდე-  
ბობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერ სხვა  
მომენტში — სრული უქონელობის გამო უქმდება როგორც  
სამართალსუბიექტი<sup>112</sup> და ამ მიზეზით მის წინააღმდეგ მიმა-  
რთული მოთხოვნა აზრს კარგავს, გერმანიის უზენაესი ფე-  
დერალური სასამართლოს მიხედვით, თავდებობა, მიუხე-  
დავად მისი აქცესორულობისა, გამონაკლისის სახით დამო-  
უკიდებელი მოთხოვნის ფორმით უნდა დარჩეს ძალაში.<sup>113</sup>  
სააქციო, კომანდიტური თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის  
საზოგადოების (პერსონალური საზოგადოებების შემთხვე-  
ვაში ეს პრობლემა არ დგება, რადგან აქ მოვალეობის მატა-  
რებელი ბოლომდე სახეზეა პირადად პასუხისმგებელი პა-  
რტნიორ(ებ)ის სახით) რეესტრიდან ამოშლა შეიძლება გა-  
მოწვეული იყოს მისი უქონელობით. ამ დროს რეალიზდება  
სწორედ ის რისკი — ძირითადი მოვალის გადახდისუუნარო-  
ბა — რისგანაც უნდა დაეზღვივა კრედიტორი თავდებობას.<sup>114</sup>  
საბოლოო ჯამში, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასა-  
მართლო კრედიტორის ინტერესებში უპირატესობას ანი-  
ჭებს უზრუნველყოფის მიზანს მთავარ ვალდებულებაზე და-  
მოკიდებულებასთან შედარებით და არღვევს თავდების და-  
მცავ აქცესორულობის პრინციპს მის საზიანოდ. პირველ  
რიგში, ეს გადაწყვეტა იკითხება ხელშეკრულების დადები-  
სას თავად თავდების მიერ დაფიქსირებული ნებიდან, რომ  
ის დაამღვევდა კრედიტორს მოვალის ქონებრივი მდგომა-  
როების გაუარესებისაგან, მათ შორის სრული უქონელობი-  
საგანაც. ყოველგვარი სხვა განმარტება წინააღმდეგობაში

<sup>108</sup> მოვალის ვაკოტრების შემთხვევაში თავდებობის აქცესორულობის  
პრინციპიდან გამონაკლისს ითვალისწინებს ასევე Draft Common  
Frame of Reference, იმავე დანაწესში (IV. G. — 2:102), სადაც ეს აქცე-  
სორულობის პრინციპია მოწესრიგებული: **თავდების ვალდებულების  
დამოკიდებელი ხასიათი. ... თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები  
ვერ ვასცდება მოვალის ვალდებულების ფარგლებს. ეს წესი არ მოქმე-  
დებს იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ვალდებულება შემიერთდა ან  
გაქარწყლდა: (ა) ვაკოტრების პროცედურის ფარგლებში; (ბ) ნებისმი-  
ერი სხვა საფუძველით, რომელიც გამოწვეულია ვაკოტრებული კრედი-  
ტორის უუნარობით შესრულოს ნაკისრი ვალდებულება; ან (გ) ან იმ  
კანონის საფუძველზე, რომელიც უკავშირდება მოვლენას, რომელიც  
მხოლოდ მოვალის პიროვნებას ეხება.**

<sup>109</sup> Eickmann, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB §  
1113 Rn. 81; U. v. Lübtow, Die Struktur der Pfandrechte und  
Reallasten, Festschrift Lehmann, Bd. I, 1956, 328; BGH WM 1968, 39.

<sup>110</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, nb. ზემოთ სქ. 105,  
157.

<sup>111</sup> რეალურად აქ შეიძლება დადგეს უზრუნველყოფილი ვალდებულების  
ხანდაზმულობასთან ერთად ასევე თავდებობიდან მოთხოვნის ხანდა-  
ზმულობის საკითხი, რაც უპრობლემოდ წყდება 899 I მუხლის საფუძვე-  
ლზე.

<sup>112</sup> Knops in: Derleder/Knops/Bamberger, Handbuch zum deutschen und  
europäischen Bankrecht, 2. Aufl., Berlin, Heidelberg 2009, § 25 Rn.  
17.

<sup>113</sup> BGHZ 82, 327; BGH WM 1956, 1209; KG NJW 1955, 1152; BGH NJW  
1955, 1152; BGHZ 25, 217.

<sup>114</sup> Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB  
§ 765 Rn. 50

მოვიდოდა უზრუნველყოფის მიზანთან. გაუგებარია, თუ რატომ უნდა ისარგებლოს თავდებმა ძირითადი მოვალისათვის გაკოტრების საქმის წარმოებაზე უარის თქმისა და მისი ამით განპირობებული გაქრობიდან უფრო მეტად, ვიდრე თავდებობის ურთიერობის ჩვეული მიმდინარეობიდან.<sup>115</sup>

თუმცა თავდების პასუხისმგებლობის ძალაში დატოვების მიზეზი არ არის მხოლოდ ის, რომ თავდებობა მიზნად ისახავს კრედიტორის დაზღვევას ძირითადი მოვალის ვალაუვალობისაგან და ამგვარად უნდა განიშარტოს თავად თავდების ნების გამოხატვა, არამედ ისიც, რომ კანონი (საქართველოში: სკ-ის 899 | 2 მუხლი) თავად ითვალისწინებს აქცესორულობიდან განზოგადებაუნარიან გამონაკლისს, როდესაც გამორიცხავს იმას, რომ ძირითადი მოვალის ვალაუვალობის საბაბით „გამოთიშვამ“ — მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვამ — გამოიწვიოს ასევე თავდების პასუხისმგებლობის შეზღუდვა. გარდა ამისა, კანონით მოწესრიგებული სხვა გამონაკლისები აქცესორულობის პრინციპიდან, რომლებიც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენენ არა სპეციალურ და განზოგადებაუნარო წესებს სპეციალური შემთხვევისათვის, არამედ ზოგადი პრინციპის ნორმატიულ გაფორმებას.<sup>116</sup> მაგალითად, აქცესორულობის პრინციპიდან გადახვევა, გაკოტრების შესახებ გერმანიის კანონით გათვალისწინებულის იძულებითი მორიგებისას<sup>117</sup>, ცალსახად აფიქსირებს კანონმდებლის ნებას, რომ თავდებობა ძირითადი მოვალის გაქრობის შემთხვევაშიც ძალაში უნდა დარჩეს.<sup>118</sup> ამ დანაწესებიდან იკითხება კრედიტორის ინტერესის უპირობო უპირატესობა ყველგან, სადაც კი არსებობს იმის საშიშროება, რომ თავდებმა მიიღოს სარგებელი ძირითადი მოვალის ვალაუვალობიდან.

უკანასკნელ პერიოდში გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ უფრო დააკონკრეტა თავისი გადაწყვეტა და დაადგინა, რომ თავდების პასუხისმგებლობისათვის დამოუკიდებელი ხასიათის მინიჭება არ გულისხმობს, რომ ის კარგავს ყოველგვარ ბმას მთავარ მოთხოვნასთან, არამედ მხოლოდ იმას, რომ ის დამოუკიდებელია ძირითადი მოთხოვნის ძალაში ყოფნისაგან, შინაარსობრივად კი ის მაინც ამ მთავარ მოთხოვნაზე მიბმულია. ანუ ეს დამოუკიდებლად ქცევა არ ნიშნავს თავდებობიდან მოთხოვნის გარდაქმნას, არამედ თავდებისათვის მხოლოდ იმ შესაგებლების ჩამორთმევას ითვალისწინებს, რომლებიც ძირითადი მოვალის ქონებრივი სიტუაციით არის განპირობებული. ამ შესაგებლებს თავდები კრედიტორს ვერ დაუპირისპირებს.<sup>119</sup>

## 2. „ვალისა და პასუხისმგებლობის“ შესახებ მოძღვრება

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკას წინ უძღოდა მოძღვრება „ვალისა და პასუხისმგებლობის“ შესახებ, რომელსაც ვერ კიდევ რაიხის სასამართლომ ჩაუყარა საფუძველი თავისი ერთ-ერთი გადაწყვეტილებით,<sup>120</sup> ხოლო მოგვიანებით კი ფართო აღიარება პოვა როგორც სასამართლო პრაქტიკაში,<sup>121</sup> ისე სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>122</sup> ეს მოძღვრება, როგორც ეს დასახელებიდან ჩანს, ერთმანეთისაგან მიჯნავდა ვალსა და პასუხისმგებლობას. მის მიხედვით, პასუხისმგებლობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ რეპრესიულ ზომას იმ მოვალის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს ვალდებულებას,<sup>123</sup> მაშინ, როდესაც ვალი (მოვალეობა) უნდა იქნეს გაგებული, პირველ რიგში, როგორც „ის, რაც კრედიტორს ეკუთვნის“ და არა „ის, რაც მოვალემ უნდა შეასრულოს“.<sup>124</sup> გამომდინარე იქიდან, რომ ამ თეორიის მიხედვით ვალის ცნების განმსაზღვრელი არის ის გარემოება, რომ ვალი წარმოადგენს კრედიტორის მიერ „მისაღებს“, გაჩნდა ისეთი კატეგორია, როგორც არის „კრედიტორის ვალი“, რათა ხაზი გასმოდა კრედიტორისადმი კუთვნილებას, როგორც მთავარ მომენტს ვალის დეფინიციისას.<sup>125</sup> ამ პოზიციიდან პასუხისგება, ისევე, როგორც შესრულების ვალდებულება, წარმოადგენდა მოვალის საქმეს, რის საპირისპიროდაც კრედიტორის მიერ „მისაღების“ მისთვის გადაცემა შეუძლია ნებისმიერ მესამე პირს (შდრ. სკ-ის 371-ე მუხლი).<sup>126</sup> თავდებობა თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე არის არა მარტო პასუხისმგებლობა, არამედ ასევე ვალიც და მასში მთავარ მომენტს კრედიტორისათვის „მისაღების“ გადაცემა წარმოადგენს.<sup>127</sup> ამიტომაც ძირითადი ვალდებულების გაქარწყლების შემდეგაც ვალის თავდაპირველი ელემენტი, კერძოდ, კრედიტორისათვის „მისაღების“ მინიჭება, როგორც ვალის არსებითი მახასიათებელი, ძალაში რჩება, რადგან ძირითადი ვალდებულების გაუქმებით ქარწყლდება მხოლოდ მეორეული ელემენტი — კერძოდ, მოვალის პასუხისმგებლობა (შესრულების ვალდებულება).<sup>128</sup> კრედიტორი ნებისმიერ შემთხვევაში ჯერ კიდევ არსებობს და ამგვარად შეიძლება ნებისმიერ მომენტში დაკმაყოფილდეს მესამე პირის — მათ შორის თავდების მიერაც და ამისთვის არ არის აუცილებელი მთავარ ვალდებულებაზე მიბმული თავდებობის მოდიფიცირება. დღეს ამ თეორიის საფუძველზე მიუხეხის მიწის უმაღლესი სასამართლოს მიერ განვითარებული „კრედიტორის ვალის“ იდეა<sup>129</sup> ძირითადად უკუგდებულია გაბატონებული მოსაზრების მიერ,<sup>130</sup> თუმცა მის საფუძველად მდებარე მოძღვრებას „ვალისა და პასუხისმგებლობის“ შესახებ დღესაც ჰყავს მიმდევრები. მიუხედავად ამისა, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ის მაინც ვერ ჩაითვლება საზოგადო კონსენსუსის საგნად.<sup>131</sup> მაგრამ ამავედროულად მიჩნეულია, რომ ეს მოძღვრება, რომელიც ვალდებულებას მისაღებს და შესასრულებელ ელემენტებად ანაწევრებს, დოგმატურად გაცილებით უფრო დასაბუთებულია, ვიდრე უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადა-

<sup>115</sup> BGHZ 82, 328.

<sup>116</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, ob. ზემოთ სქ. 105, 12.

<sup>117</sup> BGHZ 6, 385, 392.

<sup>118</sup> KG NJW 1955, 1152.

<sup>119</sup> BGH WM 2003, 488.

<sup>120</sup> RGZ 148, 66.

<sup>121</sup> OLG München JW 1936, 2007.

<sup>122</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, ob. ზემოთ სქ. 105, მე-8 და მომდევნო გვერდები.

<sup>123</sup> C. v. Schwerin, Grundzüge des deutschen Privatrechts, 2. Aufl., Leipzig 1928, 9.

<sup>124</sup> Schwerin, Grundzüge des deutschen Privatrechts (ob. სქ. 123), 16; Strohal, Schuldpflicht und Haftung, FS Binding, 1914, 282, 291.

<sup>125</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, ob. ზემოთ სქ. 105, 8.

<sup>126</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, ob. ზემოთ სქ. 105, 8.

<sup>127</sup> Schneider, JW 1935, 2626; OLG München JW 1936, 2008.

<sup>128</sup> Schneider, JW 1935, 2626.

<sup>129</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, ob. ზემოთ სქ. 105, 48.

<sup>130</sup> KG NJW 1955, 11 52.

<sup>131</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, ob. ზემოთ სქ. 105, 48.

წყევტა,<sup>132</sup> რომელიც პრაქტიკაში იდენტურ შედეგებამდე მიღის.

**3. ივერსენისა და კრისტოფ შმიტის ალტერნატიული თეორიები**

აქვე უნდა აღინიშნოს ივერსენისა და კრისტოფ შმიტის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული თეორიები, კერძოდ, ივერსენის მოძღვრება „აქცესორულობის როგორც შერაცხვის მოდელი“ და კრისტოფ შმიტის თეორია „კაუზალური აქცესორულობის“ შესახებ.

ივერსენის თეორია თავდებობას აბამს არა მოთხოვნას სკ-ის 128 I მუხლის მიხედვით, არამედ, კრედიტორის დაკმაყოფილების ინტერესს<sup>133</sup> და ამგვარად განმარტავს აქცესორულობას. გადაწყვეტა მგომარეობს კრედიტორის დაკმაყოფილების ინტერესისათვის გადამწყვეტი ხასიათის მინიჭებაში, რისი მეშვეობითაც ივერსენი ახერხებს თავდებობის ძალაში დატოვებას, მიუხედავად თავდაპირველი ვალდებულების გაქარწყლებისა. სწორედ დაკმაყოფილების ინტერესი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს მთავარ ვალდებულებასა და თავდებობიდან წარმომდგარ ვალდებულებას შორის აქცესორული ბმისათვის და მხოლოდ ამ ინტერესის განხორციელებისას არის შესაძლებელი კრედიტორის წინაშე გამათავისუფლებელი ეფექტის მქონე შესრულებაზე საუბარი.<sup>134</sup> თავდებობიდან წარმომდგომი ვალდებულება ქარწყლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე იმგვარად ასრულებს კრედიტორის წინაშე, რომ ამით სრულდება ამ უკანასკნელის ინტერესი ძირითადი ვალდებულებიდან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, ვალდებულების ე. წ. შესრულების ექვივალენტური ცვლილება.<sup>135</sup> ის, თუ რა ქმედება ჩაითვლება შესრულების ექვივალენტად, განისაზღვრება კანონის ან კერძო ავტონომიური შეთანხმების საფუძველზე.<sup>136</sup> თუმცა ყველა მათგანს აერთიანებს ის გარემოება, რომ სავალდებულოა მათი ეფექტი პირდაპირ აისახოს კრედიტორის დაკმაყოფილების ინტერესზე. ძირითადი ვალდებულების შესრულების ექვივალენტურობაზე, როგორც თავდებობიდან წარმომდგარი ვალდებულების შესრულების კონსტიტუტურ მახასიათებელზე აკეთებს აქცენტს, ერთი მხრივ, სკ-ის 891 I მუხლი, რომელიც ამტკიცებს თავდების ვალდებულებას, რომ პასუხი აგოს მთავარ მოვალესა და კრედიტორს შორის წარმომდგომი ვალდებულებისათვის. სკ-ის 893 I მუხლი ადგენს გარეგან ბმას მთავარ ვალდებულებასთან, რომელიც აისახება თავდებობის ურთიერთობის გაგრძელებაზე.<sup>137</sup> ამ დანაწესით, ხდომილებები კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაში აისახება ასევე კრედიტორსა და თავდებს შორის ურთიერთობაზე, თუმცა მათი ეფექტი შემოსაზღვრულია შესრულებაზე გავლენის მქონე ცვლილებებით.<sup>138</sup> ანუ სხვაგვარად რომ

ითქვას, ყველა ის შესაგებელი და ზოგადად კონტრპოზიცია, რომელიც შეიძლება თავდებმა კრედიტორს დაუპირისპიროს, უნდა ჯდებოდეს შესრულების სქემაში. ასეთია, მაგალითად, ხანდაზმულობის შესაგებელი, ძირითადი მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვა ან ვალის პატიება. ძირითადი მოვალის გაკოტრება ამ სქემაში არ ჯდება. ის, მართალია, ძირითადი მოვალის მიმართ მოთხოვნას განუხორციელებლად აქცევს, თუმცა არ წარმოადგენს არც შესრულების სუროგატს, არც მის გამაქარწყლებელ თუ განხორციელებისათვის ხელშემშლელ შესაგებელს, რის გამოც ეს შემთხვევა საერთოდ არ არის მოცული აქცესორულობის პრინციპით და თავდების ვალდებულება სრული ოდენობით უნდა დარჩეს ძალაში.

კრისტოფ შმიტის თეორიაც აქცესორულობის პრინციპის ახლებურად გადაზრებას ემყარება. რომლის მიხედვით, აქცესორულობის პირველი და უმთავრესი მიზანია არა თავდების დაცვა, არამედ სწორედ უზრუნველყოფის მიზნის ეფექტიანად განხორციელება, ამიტომაც ამ ორს შორის კოლიზია იმთავითვე გამოიწვევება.<sup>139</sup> იმის გამო, რომ სწორედ ეფექტიანი უზრუნველყოფა წარმოადგენს აქცესორულობის პრინციპის მიზანს, ეს პრინციპი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაშლის მას და ვერ მოვა მასთან წინააღმდეგობაში, არამედ ავტომატურად იხევს უკან ამ მიზნის წინაშე.

**4. საზოგადოების, როგორც უფლებებისა და მოვალეობების მატარებლის (უწყვეტად) ძალაში დატოვება**

უკანასკნელ პერიოდში გამოთქმული მოსაზრებებიდან ყველაზე კარგად დასაბუთებული და ანგარიშგასაწევია პოზიცია, რომელიც არსებულ კონფლიქტს წყვეტს — რა თქმა უნდა, შედეგის მხრივ სრულ თანხმობაშია ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებთან — არა აქცესორულობიდან გამონაკლისის, არამედ მხოლოდ სამეწარმეო სამართლის პრინციპების საფუძველზე, უფრო ზუსტად კი ვალდებულების მატარებელი (იურიდიული) პირის როგორც უფლებებისა და მოვალეობების მატარებლის (უწყვეტად) ძალაში დატოვებით.<sup>140</sup> ეს მოსაზრება შეჯამებული სახით<sup>141</sup> შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ცალსახაა, რომ თავდები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს — და ეს წარმოადგენს აბსოლუტურ და უალტერნატივო შედეგს — ძირითადი მოვალის უქონელობის მიზეზით (ვითომ) ჩამოწერის შემდეგაც. თუმცა ეს გამომდინარეობს არა აქცესორულობის პრინციპიდან გამონაკლისიდან, არამედ იმ გარემოებიდან, რომ ძირითადი მოვალე — საზოგადოება — რეალურად არასოდეს არ წყვეტს იყოს უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი. ეს ნათელი ხდება თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 273 IV პარაგრაფის მიხედვით, რომელიც ანალოგიით გამოიყენება ყველა საზოგადოებაზე, ე.წ. დამატებითი ლიკვიდაციის (Nachtragsliquidation) ფარგლებში<sup>142</sup> ლიკვიდაციის შემდეგაც არის შესაძლებელი საზოგადოებას დაეწეროს გარკვეული, ახლად აღმოჩენილი, ქონება. ეს გულისხმობს იმას, რომ

<sup>132</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, *იხ.* ზემოთ სქ. 105, 48.  
<sup>133</sup> M. Iversen, Die Akzessorietät als Zurechnungsmodell des Bürgschaftsrechts, Berlin 2009, მე-20 და მომდევნო გვერდები; J. D. Harke, Allgemeines Schuldrecht, Berlin, Heidelberg 2010, 474 სქ. 54.  
<sup>134</sup> Iversen, Die Akzessorietät als Zurechnungsmodell des Bürgschaftsrechts (*იხ.* სქ. 133), 17, 20.  
<sup>135</sup> Iversen, Die Akzessorietät als Zurechnungsmodell des Bürgschaftsrechts (*იხ.* სქ. 133), 17, 66.  
<sup>136</sup> Iversen, Die Akzessorietät als Zurechnungsmodell des Bürgschaftsrechts (*იხ.* სქ. 133), 17, 66.  
<sup>137</sup> Iversen, Die Akzessorietät als Zurechnungsmodell des Bürgschaftsrechts (*იხ.* სქ. 133), 138, 66.  
<sup>138</sup> Iversen, Die Akzessorietät als Zurechnungsmodell des Bürgschaftsrechts (*იხ.* სქ. 133), 62.

<sup>139</sup> Schmidt, Die sogenannte Akzessorietät der Bürgschaft (*იხ.* სქოლიო 96), 53-ე და მომდევნო გვერდები.  
<sup>140</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, *იხ.* ზემოთ სქ. 105, 99.  
<sup>141</sup> Hörnig, Fortbestand akzessorischer Sicherheiten, *იხ.* ზემოთ სქ. 105, 185.  
<sup>142</sup> დამატებითი ლიკვიდაცია იწყება განცხადების საფუძველზე, როდესაც კაპიტალური საზოგადოების, კოოპერატივისა თუ კავშირის რეესტრიდან ამოშლის შემდეგ აუცილებელია ლიკვიდაციის დამატებითი ღონისძიების გატარება.

მთელი ამ დროის განმავლობაში არსებობას აგრძელებს როგორც უფლების მატარებელი ისე მისი ვალდებულებები, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია ამ ქონების სამართლის სუბიექტისათვის მიკუთვნება და კრედიტორებისათვის შანსის მიცემა წააყენონ საკუთარი მოთხოვნები ამ დამატებითი ლიკვიდაციისას.

ეს გადაწყვეტა უნივერსალური მოქმედებისაა, რადგან არასოდეს შეიძლება იყოს სრულებით გამორიცხული მორჩენილი ქონების აღმოჩენა. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობა ვერ იქნება ხან გაქარწყლებული და ხან წარმოშობილი — იმისდა მიხედვით, არსებობს თუ არა საზოგადოება მოცემულ მომენტში — აუცილებელია, რომ ეს ვალდებულება უწყვეტად არსებობდეს. მხოლოდ ეს უწყვეტი არსებობა უზრუნველყოფს ძველი ვალდებულებების შესრულებას და ამ გზით კრედიტორის მოთხოვნების დამატებითი ლიკვიდაციას. რეალურად გადაწყვეტისათვის, რომ მოთხოვნის უფლება წარმოიშობა, შემდეგ დროებით (მოჩვენებითად) აღარ არსებობს, ხოლო მოგვიანებით ისევ „ცოცხლდება“, ისე, რომ თავიდან არ სრულდება მისი წარმოშობის წინაპირობები, არ არსებობს რაიმე ალტერნატიული დოგმატური ახსნა. რადგან სხვაგვარად

ერთხელ და სამუდამოდ გაქარწყლებული მოთხოვნის აღდგენისათვის აუცილებელი იქნებოდა მის შინაარსთან დაკავშირებით თავიდან შეთანხმება ახალი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

ამით რეალურად მოცემულია გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში არსებული გადაწყვეტების შესახებ ძირითადი ინფორმაცია. მიუხედავად ამ თავისებური დოგმატური პალიტრისა, გერმანიაში არ არსებობს მოსაზრება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა მოვალის ვაკოტრების შემდეგ თავდების შეუზღუდავ პასუხისმგებლობას. ეს წარმოადგენს ასევე შედარებით სამართლებრივ ჭრილში უალტერნატივო კონსენსუსის საგანს. რა თქმა უნდა, ზედმეტია იმის დამატება, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი მოსაზრება წარმოადგენს აქცესორულობის პრინციპიდან გამონაკლისს თუ ალტერნატიულ დოგმატურ დასაბუთებას, რომლის მიხედვითაც ძალაში რჩება თავდებობა, ავტომატურად ავრცელებს ასევე სხვა აქცესორულ საშუალებებზე, როგორცაა, მაგალითად, იპოთეკა, რომელიც გერმანიაში თავდებობასთან შედარებით უფრო ნაკლებ აქცესორულად ითვლება<sup>143 144</sup>.

<sup>143</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით შესავალში.

<sup>144</sup> ასევე გირავნობისასაც, პირადი მოვალის გადახდისუნარობის საქმის ფარგლებში მისი ვალის შევეცა (გერმანიის ვაკოტრების შესახებ კანონის 224-ე პარაგრაფი), ან საერთოდ ჩამოწერა (კანონის 225-ე პარაგრაფი), არ ანიჭებს არაპირად მოვალე-დამგირავებელს რაიმე ტიპის შესაგებელს (კანონის 254 II პარაგრაფი) და კრედიტორს შეუძლია გირაოს რეალიზაცია თავდაპირველი მოთხოვნის სრული ოდენობით დაკმაყოფილებისათვის (*Damrau*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2017, § 1213 Rn. 2). აქაც, ზუსტად ისევე, როგორც თავდებობისა და იპოთეკის შემთხვევაში, აქცესორული ბმა გირავნობასა და უზრუნველყოფილ მოთხოვნას შორის მორღვეულია იმ მიზნის მიღწევისათვის, რისთვისაც მოხდა გირაოს გაცემა და რაც მდგომარეობს კრედიტორის დაცვაში მოვალის გადახდისუნარობისაგან არამოვალე დამგირავებლის ხარჯზე, მისი პასუხისმგებლობის სრულად ძალაში დატოვებით. ამიტომაც, იპოთეკის დარად, მოქმედებს პრინციპი, რომ გადახდისუნარობის საქმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებამ მხოლოდ მაშინ უნდა შეზღუდოს ან შეამციროს (მაგ., სარეაბილიტაციო გეგმის მიხედვით) გირავნობით დატვირთული ნივთის პასუხისმგებლობა, როდესაც დამგირავებელი და მოვალე იდენტური პირები არიან (*Damrau*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2017, § 1255 Rn. 3), შესაბამისად, პირს, რომელიც სხვისი ვალისთვის ტვირთავს საკუთარ ნივთს, არ შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მისი ვაკოტრების შემდეგ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება, ან ეს პასუხისმგებლობა რაიმე ფორმით შეეზღუდება.

# საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მფლობელობის შესახებ ნორმების რედაქტირების ცდა

ცივილისტური დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

## დოქ. ქეთევან ქოჩაშვილი

ევროპული ცივილისტური დოქტრინა და კანონმდებლობა ისტორიულად და თანამედროვეობაშიც მფლობელობას (ლათ. *possessio*) ნივთზე ნებით განხორციელებულ ფაქტობრივ ბატონობად მოიაზრებს. ამ მიდგომით ის ერთგულია მფლობელობის ინსტიტუტის რომის სამართლისეული გააზრებისა. მფლობელობა ფაქტია, რომლითაც ცხადი ხდება ნივთის პირისადმი ბუნებრივი დამორჩილება, საკუთრებისგან განსხვავებით, რომელიც ნივთის პირისადმი დაქვემდებარების სამართლებრივი ფორმაა (*პუხტა*).<sup>1</sup> მფლობელობა დამოუკიდებელი ფასეულობაა, რომლის უკან შესაძლოა იყოს როგორც საკუთრება, ისე სხვა სანივთო თუ ვალდებულებითი უფლება ანდა ის არსებობდეს ყოველგვარი ტიტულის გარეშე. ამ თვალსაზრისის გაზიარებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა მფლობელობა საკუთრებისგან დამოუკიდებელი მოწესრიგების ღირს სიკეთედ მიიჩნია და მას ცალკე თავი დაუთმო სანივთო სამართლის წიგნში.

მფლობელობაში ჯერ კიდევ რომაელმა იურისტებმა გამოყვეს ორი ელემენტი: მატერიალური ანუ ობიექტური – *corpus* და ნებითი ანუ სუბიექტური – *animus*, სადაც ეს ორი ელემენტი არ არსებობს აშკარად ან ნაგულისხმევად, იქ არც მფლობელობაა. ამგვარია თანამედროვე ევროპული სამართლის მიდგომა. საქართველო ტრადიციულად კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს მიეკუთვნება. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესით, მფლობელობა წარმოიშვება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით (155-ე მუხლის პირველი ნაწილი). *Corpus* გულისხმობს არა მხოლოდ ნივთის ხელთშეკრობას<sup>2</sup> (ამგვარი გააზრება „ადამიანთა მოდგმის პრიმიტიული მართლშეგნების გამოძახილი იქნებოდა,“ (*ზოიძე*)<sup>3</sup> არამედ ვითარებას, როდესაც პირს ძალუძს ნივთზე სამეურნეო ძალაუფლების განხორციელება და მისგან სასარგებლო თვისებების მიღება. სწორედ ამ დროს ასრულებს ნივთი თავის ფუნქციას – ემსახუროს ადამიანს, რაც არის კიდევ მფლობელობის სოციალური ფუნქცია, მისი გარდაუვალობის განმაპირობებელი ადამიანთა მოდგმისთვის მართლწესრიგის არარსებობის პირობებშიც კი (*დერნბურგი*).

რაც შეეხება ნებით ელემენტს, ის არ დაიყვანება მხოლოდ ნივთის ფლობის გაცნობიერებამდე. ნების გამოხატვის გარეშე ნივთთან სხეულებრივი კავშირი მხოლოდ ფიზიკური შემხებლობაა, რომელიც არავითარ სამართლებრივ

ფიგურას არ ჰქმნის: მაგ., მძინარე ადამიანის ან ქმედუნარო პირის მიერ ნივთის ხელთქონა. პირველ შემთხვევაში ნება საერთოდ არ გამოვლენილა, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოხატული ნება არ არის სამართლებრივად ვარგისი, თუმცა ნამდვილი, ის არაეფექტური ნებაა.<sup>4</sup> მფლობელობის დაფუძნებისას გადამწყვეტია ნების თვისობრიობა: ფლობდე საკუთარი ინტერესებისთვის, შენს სასარგებლოდ. თუ სახეზეა სხვის ინტერესებში ფლობა, ნივთზე ფაქტობრივი ზემოქმედების განხორციელება ნივთის პირადი გამოყენების პრეტენზიის გარეშე, მაშინ ჭერა-პყრობასთან გვაქვს საქმე (სსკ-ის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). ზოგჯერ ნებითი ელემენტი აშკარად არ არის გამოკვეთილი, მაგრამ ის ივარაუდება. მაგ., პირი ითვლება იმ ნივთის მფლობელად, რომელიც მის სახლში მისი არყოფნისას მიიტანეს, ნივთის მიკუთვნება სამეურნეო გარემოსადმი ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ პირს სურს მასზე ბატონობის განხორციელება.

ამასთან, *animus*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომის სამართლისა და მასზე დაფუძნებული ევროპული ქვეყნების სამოქალაქო კოდიფიკაციებისგან განსხვავებით, საკუთარი ინტერესებით ფლობას, ფართოდ მოიაზრებს და მას არ აიგივებს მხოლოდ სურვილთან – ფლობდე როგორც მესაკუთრე, რის საფუძველზეც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, მფლობელად მესაკუთრისა და არამართლმომიერი მფლობელის გვერდით მიიჩნევენ იმ პირებს, ვინც ფლობს მესაკუთრესთან შეთანხმებით სანივთო ან ვალდებულებითი უფლების საფუძველზე. ამ მიდგომით გერმანული სამოქალაქო სამართლის დარად, ჰქმნის ორმაგი მფლობელობის დაფუძნების შესაძლებლობას პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობის სახით (სსკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამასთან, მისგან განსხვავებით, მატერიალური ელემენტის განხორციელება არ მოიცავს ნებით ელემენტს (*corpus* არის განსხვავებული *animus*)<sup>5</sup> და აშკარად ითხოვს სუბიექტური ელემენტის არსებობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიდგომა ემყარება ცივილისტურ დოქტრინაში არსებულ თეორიას, რომელსაც შუალედური პოზიცია უჭირავს მფლობელობის სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს, მფლობელობის შესახებ რომაულ და გერმანულ წარმოდგენებს შორის.<sup>6</sup>

<sup>4</sup> *ზარანდია თ.*, ფაქტი VS უფლება: მფლობელობა და საკუთრების უფლება – ურთიერთმიმართება ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით. პროფ ბ. ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედ. *ჭახტურია ლ., ბურდული ი.*, თბ., 2013, 266.

<sup>5</sup> *შოთაძე თ.*, შედარებითი სანივთო სამართალი, თბ., 2015, 30.

<sup>6</sup> *Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 156.

<sup>7</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, СПб., 1895, 5.

<sup>8</sup> *Васьковский Е. В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 212.

<sup>1</sup> *Пухта Г. Ф.*, Курс римского права, Т.1, М., 1874, 321. მითითებულია: *Бабаев А. Б.*, Система вещных прав, М., 2007, 3.

<sup>2</sup> „ფაქტობრივი ბატონობა სწორედაც რომ არ გულისხმობს ნივთზე ფიზიკურ შემხებლობას“; *ნაჭყეძია ა.*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 58.

<sup>3</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 56.

ორმაგი მფლობელობის დროს მფლობელობის დანაწევრება ორსაფეხურიანია ანუ ფაქტობრივი ბატონობის განმარტოვებული სუბიექტები ერთმანეთთან ვერტიკალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, თუმცა ვერტიკალი გულისხმობს მფლობელობის დაფუძნების პროცესს და არა ძალაუფლების ხარისხის მიხედვით დანაწევრებას, რადგან თითოეული მათგანი მართლმომიერი მფლობელია და დაცვის ერთნაირი საშუალებები გააჩნიათ მესამე პირთა მიმართ, ასევე, თითოეულის მფლობელობა ერთურთის თვითნებობისგანაც დაცულია (სსკ-ის 162-ე მუხლი). თუ პირი არავის უყოფს მფლობელობას, ის პირდაპირი მფლობელია, ხოლო თუ სანივთო ან ვალდებულებითი უფლების საფუძველზე ხდება პირდაპირი მფლობელობის სხვისთვის გადაცემა, მაშინ პირდაპირი მფლობელი გარდაისახება არაპირდაპირ მფლობელად, ხოლო სხვა პირი პირდაპირ მფლობელად გვევლინება (სსკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ორმაგი მფლობელობისგან განსხვავებით თანამფლობელობისას დანაწევრება ერთსაფეხურიანია. თანამფლობელობა შესაძლოა იყოს მარტივი ან კვალიფიციური, განსხვავება ნივთის მიმართ ძალაუფლების განხორციელების ფარგლებშია. მარტივი თანამფლობელობის დროს, რომელიც თანაბარი საკუთრების არსებობას შეესაბამება, თითოეული სუბიექტი ნივთზე ბატონობას დამოუკიდებლად, სრულად ახორციელებს, ხოლო კვალიფიციურის დროს, რაც წილადი თანასაკუთრების შესატყვისია, მფლობელობა ხორციელდება ნივთზე არა სრულად, არამედ გარკვეულ წილზე, რომელიც შესაძლოა, თავიდანვე იყოს ნატურით გამოკვეთილი, ან იდეალური სახით არსებობდეს.

სსკ-ის თანახმად, მფლობელობის განხორციელება დასაშვებია ნივთზე ანუ სხეულებზე საგანზე. ამასთან, ქონების, როგორც სანივთო უფლების ობიექტის, განსაზღვრება თავის თავში მოიცავს როგორც ნივთებს, ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, რომლის მიმართ სარგებლობასთან და განკარგვასთან ერთად დადგენილია მათი ფლობის შესაძლებლობა ანუ დასაშვებია საკუთრების შინაარსის ელემენტების ტრიადის სახით განსხეულება. მართალია, კოდექსისეული დანაწესი მატერიალური ნივთის ფლობის იდეას აღვივებს,<sup>9</sup> მაგრამ არათუ თანამედროვე ცივილური სამართალი, რომელიც ითვალისწინებს რა *res incorporales*, როგორც სამოქალაქო ბრუნვისთვის აუცილებელ სიკეთეს და მისი მოწესრიგების ფორმებს ჰქმნის, არამედ რომის სამართალმაც შორეულ წარსულში მოქმენა ამგვარი ნივთების ფლობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის გზა ე.წ. კვამი მფლობელობის თეორიის შექმნით. იდეალურ ქონებრივ ობიექტს სხეული არა აქვს, მისი ფლობა ფიზიკურად ვერ ვლინდება, მას ხელით ვერ შევხებით, მაგრამ ის ექვემდებარება სარგებლობასა და განკარგვას,<sup>10</sup> უფლების ფლობა მისი განხორციელების შესაძლებლობაა. ზემოთ ხსენებული თეორიით, უფლებით სარგებლობა გაუთანაბრდა ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, უფრო ზუსტად, საკუთარი ინტერესებისთვის უფლებით სარგებლობის გულმრავა მიჩნეულ იქნა მფლობელობის ნებით ელემენტად, ხოლო მატერიალური ელემენტი უფლების რეალურად განხორციელებამ შეადგინა.

<sup>9</sup> *მარანდია თ.*, ფაქტი VS უფლება: მფლობელობა და საკუთრების უფლება-ურთიერთმიმართება ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით. პროფ ბ. ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედ. *ჭანტურია ლ., ბურდული ი.*, თბ., 2013, 256.

<sup>10</sup> *ძამუკაშვილი დ.*, ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006, 103.

<sup>11</sup> *Пухан. И., Поленак — Акимовская М., Римское право*, М., 1999, 166.

რაც შეეხება მფლობელობის შეწყვეტას, ის უკავშირდება მისი ელემენტების არ არსებობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია ამ ელემენტების თანხვედრის აუცილებლობაზე, კერძოდ, სუბიექტური ნება (პირის სურვილი აღარ განახორციელოს ნივთის ფლობა) უნდა თანაარსებობდეს ობიექტურ მდგომარეობასთან (პრაქტიკულად ნივთის ფლობის შეწყვეტა).<sup>12</sup> მფლობელობა შესაძლოა შეწყდეს როგორც პირის ნების საფუძველზე (ნივთზე საკუთრების უფლებაზე უარის თქმის მიზნით მისი მიტოვება ან სხვა პირზე გადაცემა), ისე მისი ნების გარეშე (ნივთის დაკარგვა, მოპარვა, განადგურება, პირის გარდაცვალება და სხვა). ზოგჯერ მფლობელობის სუბიექტური ელემენტი შენარჩუნებულია, თუმცა ობიექტური ელემენტის არარსებობა მფლობელობის შეწყვეტას განაპირობებს. ამასთან, ამ დროს ნივთზე არსებული უფლება ძალაშია, რაც მასზე მფლობელობის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

მართალია, მფლობელობა ფაქტია, მაგრამ უფლებრივი თვისობრიობის მქონე, ანუ მას ყოველთვის უფლებრივი შედეგები უკავშირდება, კერძოდ, უფლების არსებობა განაპირობებს ფლობის ფაქტს, ან მართლწესრიგი ფაქტს უფლების წარმოშობის შესაძლებლობას აძლევს ანდა სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფს. მფლობელობაში ფაქტისა და უფლების თანხვედრის კულმინაცია მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის არსებობაა, რომლის თანახმადაც მოძრავი ნივთის მფლობელი მის მესაკუთრედ ივარაუდება. ეს გულისხმობს, რომ ყოველ შემთხვევაში სამართალში არსებობდა და თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართალშიც აგრძელებს არსებობას: მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესით - ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (158-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, ეს პრეზუმფცია არ მოქმედებს უძრავი ნივთის მიმართ, რადგან თუ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა უკავშირდება ე.წ. ტიტულუსის და მოდუსის თანაარსებობას ანუ სამართლებრივი საფუძვლისა და ნივთის მფლობელობაში გადაცემის ელემენტების ერთიანობას, უძრავი ნივთების მიმართ მოქმედებს ე.წ. საადგილმამულო წიგნის სისტემა, რომლის ძალით საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესი ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით სრულდება. შესაბამისად, უძრავი ნივთის მესაკუთრე მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერიდან ვლინდება და არა მარტოდ ფლობის ფაქტობრივი ვითარებიდან. ეს პრეზუმფცია არ გამოიყენება ასევე, ძველი მფლობელის ანუ მფლობელობადაკარგული პირის სასარგებლოდ, რომლის მიმართაც ის მხოლოდ ნივთზე მისი ფაქტობრივი ძალაუფლების განხორციელებისას მოქმედებდა (158-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ადამიანთა მოდგმის არსებობის მანძილზე ისტორიულად და ლოგიკურად სწორედ, მოძრავ ნივთზე განხორციელებული ფლობის ფაქტი ჩამოყალიბდა მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად. რა თქმა უნდა, პირველყოფილი ადამიანის და მართლწესრიგით განმტკიცებული საკუთრების უფლების სუბიექტის მიერ ნივთზე ბატონობა თვისობრივად განსხვავებულია, მაგრამ სწორედ, ნივთის ფიზიკური ხელთპყრობით, რაც ხორციელდებოდა ადამიანთა მიერ საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თუ შემდგომ, სხვაზე მეტი ძალაუფლების მოპოვების მიზნით, ფაქტობრივმა ბატონობამ დასაბამი მისცა საკუთრე-

<sup>12</sup> *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 58.

ბის უფლების წარმოშობას. ნივთის დაუფლების აქტს განაპირობებდა ადამიანში იმანენტურად არსებული საკუთრების გრძობა, რომელიც ჯერ არ იყო ნორმატიულად განმტკიცებული,<sup>13</sup> ამდენად, საკუთრება მართებულად მიიჩნევა წინარესახელმწიფოებრივ უფლებად, აპრიორულ სამართლებრივ კატეგორიად.

ადამიანი სოციალური არსებაა და თანდაყოლილი სიკეთეების გარდა თავის მსგავსთა საზოგადოებაში – სოციუმში უყალიბდება მოვალეობის განცდა. მისთვის ცხადი ხდება, რომ არა მხოლოდ მის მიერ განხორციელებული დაუფლების ფაქტი იმსახურებს დაცვას, არამედ სხვის ხელთ არსებულიც ხელშეუვალია. უფლება და მოვალეობა ჯერ მხოლოდ ლოგიკური აღიარების დონეზე არსებობს და არა როგორც პოზიტიური სამართლის ელემენტები. თავდაპირველად ეს ვითარება თვალსაჩინოა მოძრავ ნივთებთან მიმართებაში, რადგან ჯერ მათი დაუფლების აუცილებლობა ჩნდება. ადამიანის სამეურნეო ძალაუფლების განზრდასთან ერთად ეს პროცესი უძრავ ნივთებზეც ვრცელდება, რომლებზეც ჯერ მხოლოდ გვაროვნული, საერთო საკუთრება არსებობს. მართებულად შენიშნავს *ჟან-ჟაკ რუსო*: „პირველი ადამიანი, ვინც მიწის ნაკვეთი შემოღობა და განაცხადა, რომ მისია, რაშიც ხალხიც დაარწმუნა, სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი ფუძემდებელი იყო.“<sup>14</sup>

სოციალური ინსტიტუტების – სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების შედეგად, ბუნებით მდგომარეობაში ნივთის ფლობამ უფლებრივი ფლობის თვისობრიობა შეიძინა, მფლობელობა საკუთრებად ანუ ფაქტი-უფლებად გარდაიქმნა. „საზოგადოებრივი ხელშეკრულებით ადამიანმა დაკარგა ბუნებითი თავისუფლება და განუსაზღვრელი უფლება ყოველივეზე, რასაც შეიძლება დაეუფლოს, საპირწონედ მიიღო სამოქალაქო თავისუფლება და უფლება იმაზე, რაც გააჩნია“.<sup>15</sup>

მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციას რამდენიმე ფუნქცია გააჩნია, პირველი – ის ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის განვითარებასა და სიმყარეს, რამდენადაც განპირობებული საქონელგაცვლის პირობებში არავის უწევს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის მტკიცება და ბრუნვის მონაწილეები კეთილსინდისიერების პოზიციიდან ერთმანეთს უფლებამოსილ პირებად აღიქვამენ, „კეთილსინდისიერება მათთვის არა მოვალეობა, არამედ შინაგანი მოთხოვნილებაა“ (*ბოიდე*).<sup>16</sup> სწორედამ, რომ „არ არსებობს ნივთის მფლობელობაზე უკეთესი მაჩვენებელი მასზე საკუთრების უფლების არსებობისა“ (*ბურჟონი*), „მფლობელობა საკუთრების სინამდვილეა“ (*იერინგი*), ნივთის ფლობით უფლების არსებობა ვლინდება, რაც ბრუნვის მონაწილეებს მისდამი ნდობას აღუძრავს. ნივთის კეთილსინდისიერ შემქმნად ითვლება ის, ვინც მოძრავი ნივთის შექმნისას ამ ნდობით მოქმედებს, თვლის რომ უფლებას იძენს მართლზომიერად<sup>17</sup>, სხვისი უფლების ხელყოფის გარეშე და არსებული გარემოებები სხვაგვარი ფიქრის შესაძლებლობას გამორიცხავს, და პირიქით, ის, ვინც იცის, რომ სხვის კუთვნილ სიკეთეს მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება ანდა ვისთვისაც ცნობილია გარემოებები, რომლებიც სალად მოაზროვნე ადამიანს გარეგნობის მიმართ ეჭვს აღუძრავს,<sup>18</sup> არაკეთილსინდისიერი მფლობელია.

კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება უკანონო მფლობელობის კატეგორიებია, ორივე მათგანი მოიცავს მართლსაწინააღმდეგობას, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელის ქცევა არაბრალეულია. სწორედ ამის გამო მართლწესრიგი მას გარკვეული სამართლებრივი სიკეთეებით ავილდობს: მხოლოდ მის მიმართ დაიშვება ვინდიკაციის შეზღუდვა, მხოლოდ მას გააჩნია ნაყოფზე უფლება ვინდიკაციის განხორციელებისას, მხოლოდ მას ეძლევა უფლება შესაგებებლზე (ნივთის დაკავება) მესაკუთრის მიმართ, მხოლოდ მან შეიძლება მოიპოვოს მოძრავ ნივთზე საკუთრება შექმნითი ხანდაზმულობის გზით.

რომის სამართლისგან განსხვავებით, სადაც შეუზღუდავი ვინდიკაციის პრინციპი მოქმედებდა, შუა საუკუნეების გერმანულ ჩვეულებით სამართალში ჩამოყალიბდა ვინდიკაციის შეზღუდვის წესი, რომლის თანახმად, მესაკუთრე უძღურია დაიბრუნოს მისი მფლობელობიდან ნებით გასული და კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ სასყიდლით შექმნილი ნივთი. ამ წესს, რომელიც დღემდე მოქმედებს თანამედროვე ევროპულ სამართალში, თუ 187-ე მუხლით განამტკიცებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის სავინდიკაციო მოთხოვნა კმაყოფილდება, მისი შედეგები განსხვავებულია უკანონო მფლობელთა სახეების მიხედვით.

არაკეთილსინდისიერი მფლობელისგან განსხვავებით, რომელსაც არათუ არ ეძლევა ნაყოფის დატოვების შესაძლებლობა – „საწინააღმდეგოს დაშვება იქნებოდა სამართალდარღვევის ურცხვი ტრიუმფი, რაც შეურაცხყოფდა საზოგადოებრივ მართლშეგნებას“<sup>19</sup>, არამედ ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულების გადახდაც ევალება (სსკ-ის 164-ე მუხლის პირველი და მეორე წინადადება), კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელსაც სამართლიანად აქვს განცდა, რომ მესაკუთრეა, ენიჭება ამ შეგნების არსებობის მანძილზე მიღებული ნაყოფის დატოვების უფლება (სსკ-ის 163-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება). თავის მხრივ, კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს მესაკუთრეს ნივთზე გაწეული შენახვისა (ნივთის სუბსტანციის შესანარჩუნებლად) და გაუმჯობესების ხარჯების (რაც ბრდის ნივთის სამეურნეო ღირებულებას) ანაზღაურება მოსთხოვოს, თუ აღნიშნული არ არის კომპენსირებული ნივთიდან მიღებული სიკეთით (ანალოგიური უფლება არაკეთილსინდისიერ მფლობელს მხოლოდ მაშინ გააჩნია, თუ მისი გამოუყენებლობა მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრებას იწვევს: სსკ-ის 164-ე მუხლი). ამ მოთხოვნის შესრულებამდე კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის დაკავების უფლება აქვს (სსკ-ის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სსკ იცნობს რომაული *usucapio*-ს თანამედროვე მოდეულ შექმნითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის მიხედვითაც, კანონით დადგენილ პირობებში ნივთზე მფლობელობა მასზე საკუთრების უფლებას აფუძნებს. ეს ინსტიტუტი მაშინ მოქმედებს, როცა ბუნდოვანია ნივთზე უფლებამოსილი პირის ვინაობა და სიცხადე მხოლოდ ფაქტობრივი ხასი-

<sup>13</sup> ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება-ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2015, 17.

<sup>14</sup> ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997, 6.

<sup>15</sup> ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997, 25.

<sup>16</sup> ბოიდე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა (უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში), ესეები, თბ., 2013, 179.

<sup>17</sup> შექმნის სამართლებრივი საფუძველი არის კეთილი რწმენის მტკიცებულება, ის ემსახურება *bona fides*-ის გამართლებას. *Дернбург Г., Пандекты, Т. 2, пер. Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А., под. ред. Мейендорфа А.Ф., СПб., 1905, 66.*

<sup>18</sup> *ჯულელი გ.*, კაპიტალის დაცვა საქციო საზოგადოებაში, თბ., 2010, 220.

<sup>19</sup> *Петражицкий Л.И., Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, СПб., 1902, 4.*

ათის ხელისუფლებაშია. შექმნილი ხანდაზმულობის ობიექტური (სათანადო ნივთი, კანონით დადგენილი ვადა, უწყვეტი ფლობა) და სუბიექტური (საკუთრად ფლობის განზრახვა და კეთილსინდისიერება) პირობები რომის სამართლიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე ბევრჯერ შეიცვალა და სსკ-ში ამჟამად არსებული რედაქციით, მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრად ფლობის განზრახვით კანონით დადგენილ ვადებში განხორციელებული უწყვეტი მფლობელობა მათზე საკუთრებას წარმოშობს.

ამასთან, თუ მოძრავ ნივთთან მიმართებაში კეთილსინდისიერება კონსტიტუციური ელემენტია, უძრავ ნივთთან დაკავშირებით მისი სავალდებულობა არ ჩანს, მთავარია, რომ ფაქტობრივი მფლობელი და რეესტრში რეგისტრირებული პირი ერთი და იგივე იყოს. რომაული და შუა საუკუნეების სამართლისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებდა ფორმულა – შემდგომი არაკეთილსინდისიერება არ ვნებს საკუთრების ხანდაზმულობით შექმნას, თუ პირი მფლობელობის მოპოვების მომენტში კეთილსინდისიერია, თანამედროვე ევროპული სამართალი მფლობელის კეთილსინდისიერებას ითხოვს არა მხოლოდ მფლობელობის მოპოვებისას, არამედ მფლობელობის მთელ პერიოდში (ეს მიდგომა შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში ჩამოყალიბდა). ამასთან, კეთილსინდისიერების, როგორც პირის სინდისში დამალული ფაქტის მტკიცება რთულია, ამიტომ ის ივარაუდება. რაც შეეხება მეორე სუბიექტურ ელემენტს, მფლობელობის დაფუძნებისგან განსხვავებით, სადაც მოითხოვება საკუთრად ფლობის განზრახვა ფართო გაგებით, ანუ საკუთარი ინტერესებით ფლობის შინაარსით, შექმნილი ხანდაზმულობის დროს სწორედ, მისი ვიწრო, რომაული გაგება (ვფლობდე ვითარცა მესაკუთრე) სახეზე. ამდენად, მხოლოდ უკანონო მფლობელს ხელეწიფება, გახდეს მესაკუთრე და არა მართლმომიერ ხანდაზმულ მფლობელს.

შექმნილი ხანდაზმულობის შესახებ არსებული ნორმებიდან არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადების შეჯამების შესაძლებლობა უფლებამქვიდრების დროს. თუმცა მფლობელობის თავში არსებული ნორმა, რომელიც წარმოადგენს მფლობელობის დაფუძნების შემთხვევას მისი ელემენტების გათვალისწინების გარეშე, ფიქციის გზით, და მიზნად ისახავს მემკვიდრეთა ინტერესების დაცვას (მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა მემკვიდრეებთან – სსკ-ის 157-ე მუხლი) მემკვიდრეობითი ურთიერთობის დროს მემკვიდრეებისა და მემკვიდრის მიმართ არსებული შექმნილი ხანდაზმულობის ვადების შეჯამების შესაძლებლობას იძლევა.

საკამათოა შექმნილი და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართების საკითხი. მართალია, სავინდიკაციო მოთხოვნა აბსოლუტური ხასიათის ქონებრივი სიკეთის – საკუთრების დასაცავად არსებობს, მაგრამ რამდენადაც ის მიმართულია არა პირთა განუსაზღვრელი წრის, არამედ კონკრეტული პირის მიმართ, რელატიურ (შეფარდებით) ხასიათს ატარებს.<sup>20</sup> შესაბამისად, ხანდაზმუ-

ლობის წესრიგს ექვემდებარება, კერძოდ, სავინდიკაციო მოთხოვნა არასახელმწიფოებო ხასიათისაა და მასზე ვრცელდება 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამგვარად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ნორმების მიხედვით, მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით, შექმნილი ხანდაზმულობის ვადის (5 წელი) გასვლა დროით წინ უსწრებს უფლების დაცვის ხანდაზმულობის ვადას, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით, დაცვისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შესაძლოა, ჯერ კიდევ არ იყოს წარმოშობილი ნივთზე საკუთრების უფლება (უძრავი ნივთების მიმართ შექმნილი ხანდაზმულობის ვადა 15 წელს შეადგენს). ამ უკანასკნელ შემთხვევაში რომის სამართალში არსებული ე.წ. ბონიტარული საკუთრების მსგავსი მოვლენა ფიქსირდება, როცა ნივთი ჯერ არ იყო პირის საკუთრებაში, თუმცა განმტკიცებული იყო მის მფლობელობაში, მისი ქონების შემადგენლობაში. ამდენად, ანობრივი წინააღმდეგობების გათვალისწინებით, გადასახედია უფლების დაცვის და შექმნილი ხანდაზმულობის ვადების საკითხი.

ზემოთ მითითებულ მსჯელობათაგან იკვეთებოდა კეთილსინდისიერი მფლობელის, როგორც უკანონო მფლობელის, ფიგურა, თუმცა სსკ იცნობს კეთილსინდისიერების ფართო განმარტებასაც (159-ე მუხლი), რომელიც ამ ცნებაში ერთდროულად მოიხარებს მას, როგორც მართლმომიერების, ისე არამართლმომიერების სივრცეში. მფლობელობის კანონიერება ნიშნავს იმას, რომ ის ხორციელდება კანონის საფუძველზე, მისი მოთხოვნების დაცვით. ასეთია მესაკუთრის და მისგან ნაწარმოები სანივთო თუ ვალდებულებითი უფლების მქონე პირთა მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა. თუმცა იმის დაფიქსირება, რომ მესაკუთრე, დამქირავებელი ან მოგირაგე კეთილსინდისიერი მფლობელია, დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და რაიმე დამატებით უფლებრივ შედეგებს ამ ტიტულოვან მფლობელთათვის არ წარმოშობს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია, ერთგან ის მართლმომიერებას მიჯნავს კეთილსინდისიერებისგან სწორედ სამართლებრივი საფუძვლის არსებობა-არარსებობის ფაქტით,<sup>21</sup> სხვაგან კი ამ ცნებებს ერთმანეთთან აიგივებს.<sup>22</sup>

ამავე მუხლის მეორე წინადადება კი გადმოსცემს უკანონო კეთილსინდისიერი მფლობელის ცნებას, კერძოდ მის ერთ-ერთ გამოვლინებას: კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ნორმის სიცოცხლისუნარიანობის დადასტურების უტყუარი მტკიცებულებაა, ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოირჩევა მიგნებათა სიუხვით. ის ცდილობს ამ აბსტრაქტულ დეფინიციას მოარგოს კეთილსინდისიერი მფლობელობის გამოვლინების ის შემთხვევები, რომლებიც არ არიან კავშირში კეთილსინდისიერ შექმნასთან. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, ამ გაგებით კეთილსინდისიერად მიჩნეულ იქნა მიწის მესაკუთრე, რომელიც ამუშავებდა საკუთარი ნაკვეთის მიმდებარე ტერიტო-

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში სხვაგვარი აზრია დაფიქსირებული, კერძოდ სასამართლო გამოდის რა საკუთრების შინაარსის ცნებიდან, რაც მესაკუთრეს ნივთის მიმართ ტრიადით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობას ანიჭებს, მიიჩნევს, რომ მესაკუთრე დროში შეზღუდული არ უნდა იყოს სხვა პირისაგან კუთვნილი ნივთის დაბრუნების მოთხოვნის თვალსაზრისით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის №სს526-847-05 გადაწყვეტილება. მითითებულია: *ბარანდია თ.*, ფაქტი VS უფლება: მფლობელობა და საკუთრების უფლება-ურთიერთმიმართება ქართული და ფრანგული სამართლის

მიხედვით. პროფ ბ. ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედ. *ჭანტურია ლ., ბურდული ი.*, თბ., 2013, 260-261.

<sup>21</sup> *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 61.

<sup>22</sup> *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 59.



რიას, რომელიც არ წარმოადგენდა მის საკუთრებას და სხვა უკანონო მფლობელის მხრიდან განხორციელებული ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მას შესაბამისი დაცვის უფლება მიენიჭა. ალბათ, მართებული იქნება კეთილსინდისიერი მფლობელის იმგვარი განსაზღვრების მოცემა, რომელიც მას მხოლოდ უკანონო მფლობელობის სივრცეში მოიაზრებს და მისი დაფუძნების შემთხვევებს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად ასახავს.

სსკ-ის 159-ე მუხლით გადმოცემული კეთილსინდისიერი მფლობელობის არაერთგვაროვანი გააზრების მიზეზი 160-161 მუხლების არსებობაში უნდა ვეძიოთ, რომლებიც მფლობელობით დაცვას განამტკიცებენ (ნივთის დაბრუნების ან ხელშეშლის აღკვეთის გზით). აღნიშნული სიკეთე ხელმისაწვდომია მხოლოდ კეთილსინდისიერი მფლობელისთვისაა, რომელშიც სსკ მოიაზრებს როგორც ტიტულოვან, ისე უტიტულო მფლობელს. ისტორიულადაც და თანამედროვეობაშიც პოსესორული დაცვით მხოლოდ აღნიშნული სუბიექტები სარგებლობდნენ.

მფლობელობითი დაცვის არსი ჯერ კიდევ რომის სამართალში განისაზღვრა თავდაპირველად, პრეტორის ინტერდიქტებით, შემდეგ პრეტორული და ცივილური სარჩელებით. მფლობელობითი დაცვა გულისხმობს დაცვას ფაქტზე და არა უფლებაზე დაყრდნობით, აქ „უფლებრივი ყოფიერების მტკიცება შეცვლილია ფაქტობრივი ყოფიერების მტკიცებით“ (იერინგი).<sup>23</sup> ამასთან, მას დროებითი ხასიათი აქვს, რადგან, თუ მოდავე მხარე უკმაყოფილო რჩება პოსესორული პროცესის შედეგით, მას შეუძლია პეტიტორული პროცესის წამოწყება, სადაც უფლებაზე დაყრდნობით შეეცდება საკუთარი ინტერესების დაცვას. მფლობელობითი

დაცვა არა მხოლოდ უკანონო კეთილსინდისიერი მფლობელისთვის არის მართლწესრიგით მინიჭებული სიკეთე იმის გამო, რომ მისთვის პეტიტორული პროცესი ხელმიუწვდომელია, არამედ ის უპრიანია კანონიერი მფლობელებისთვისაც სიმარტივის, მოქნილობის გამო. პეტიტორულ პროცესში მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან მფლობელის სასარგებლოდ ფლობის ფაქტი მეტყველებს.

მფლობელობითი სარჩელით უკანონო კეთილსინდისიერი მფლობელს თავის დაცვა შეუძლია არა მხოლოდ სხვა უტიტულო მფლობელისგან, არამედ თავად მესაკუთრისგანაც, უფლებამოსილი ე.წ. უპირატესი უფლების მქონე პირისგან, თუ ის უკანონო გზებით შეეცდება საკუთარი ინტერესების დაცვას.

ერთი შეხედვით, პოსესორული დაცვა სამართლებრივი პარადოქსიაა, „მისი არსი მიუწვდომელია იურიდიული განათლების არმქონე ადამიანის გონებისთვის“ (*შერშენევიჩი*)<sup>24</sup>, მაგრამ დოქტრინალურად დასაბუთებულია მისი სარგებლიანობა სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ის უზრუნველყოფს სამოქალაქო წესრიგის, მშვიდობის გამყარებას, ნივთის მიმართ ჩამოყალიბებული ფაქტობრივი წესრიგის ხელშეუვალობით, უზრუნველყოფს ნივთის მესაკუთრის ინტერესების დაცვას, რომელიც იმედოვნებს, რომ ნივთს დაიბრუნებს დანაკარგების გარეშე, რადგან ის უკანონო მფლობელთანაც დაცულია მესამე პირთა ხელყოფისაგან, ასევე, უმაღლესი სიკეთის – ადამიანის ღირსების, დაცვას განაპირობებს, რადგან ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის სამართალდამრღვევი კულტურული მართლწესრიგის მიერ უზენაეს ფასეულობად მიიჩნევა.

ქართული სასამართლო პრაქტიკა უკვე მდიდარი მფლობელობითი დაცვის შესახებ გადაწყვეტილებებით, სადაც ხშირად სწორადაც მიეთითება მფლობელობითი სარჩელების ბუნებაზე და არ ხდება მათი გაიგივება საკუთრების დაცვის სარჩელებთან.<sup>25</sup>

<sup>23</sup> *Иеринг Р., Об основании защиты владения, М., 1883, 148.*

<sup>24</sup> *Шершеневич Г.ф., Учебник русского гражданского права, Т.1, М., 1914, 151.*

<sup>25</sup> *Brandes in Bork/Schäfer (Hrsg.), (2012), GmbHG, §16 Rn. 38.*

# ვირტუალური ქონება, როგორც სანიმთო სამართლის ობიექტი

გიორგი ჟორჯოლიანი

ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტის წევრი

## I. შესავალი

ვირტუალური ქონება, როგორც საკუთრების ობიექტი, რომელიც თითქმის ყოველთვის იურიდიულ ლიტერატურაში დაკავშირებული იყო ვირტუალურ სამყაროსთან,<sup>1</sup> მოიაზრებოდა როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და ფიზიკური სამყაროსგან განცალკევებული მოვლენა, თუმცა აღნიშნული მოსაზრება არ წარმოადგენს იურიდიულად გამყარებულ პოზიციას და იგი უარყოფილი უნდა იქნეს.

ერთგვარი მღელვარება ვირტუალური სამყაროს გარშემო, სხვადასხვა მასიური მრავალმოთამაშეანი ონლაინ თამაშების დამსახურება იყო 2000-იანი წლების შუა პერიოდში. სწორედ ამ დროს ხდებოდა ასეთი თამაშების ფარგლებში არსებული უძრავი თუ მოძრავი ნივთების,<sup>2</sup> რამდენიმე ათასეული დოლარით დაწყებული დამთავრებული ასობით ათასი დოლარით, გასხვისება.<sup>3</sup> ონლაინ თამაშებში მოთამაშეები გეგმავდნენ საკუთრების კომერციალიზაციას, მაგალითად, მათ ვირტუალურ მიწაზე სხვა მოთამაშეების მიერ მონაპოვარი სიკეთის დაბეგვრას, ანდაც ვირტუალური უძრავი ქონებით ვაჭრობას,<sup>4</sup> რაც თავის მხრივ ერთგვარ ვირტუალურ ეკონომიკას ქმნიდა ვირტუალურ სამყაროში.<sup>5</sup> თუმცა ვირტუალური სამყარო, როგორც ფიზიკური სამყაროს რეპლიკა, როგორც სამართლებრივი ინტერესის წყარო მალევე ამოიწურა, იგი მხოლოდ კომპიუტერული თამაშებისთვის დარჩა აქტუალური, რაც თავის მხრივ სწორედ ყველა იმ იურიდიული ნაშრომის დამსახურებაა, რომელიც ვირტუალური სამყაროს აუცილებელ საკანონმდებლო ჩრტილში მოქცევასა და მისთვის იურიდიული დოქტრინის შექმნას ემსახურებოდა.

ვირტუალური საკუთრება, როგორც ტექნოლოგიური განვითარების თანმდევი მოვლენა, გაუმართლებელია მხო-

ლოდ ვირტუალური სამყაროს ფარგლებში მოექცეს და კომპიუტერული თამაშებით ამოიწუროს. ამ თემატიკისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური იურიდიული ნაშრომები, მას მოიაზრებს ისეთ კომპიუტერულ კოდად, რომელიც მხოლოდ მომხმარებლის კომპიუტერში არსებობით არ შემოიფარგლება და მისი რეგულირება უნდა დაუახლოვდეს უძრავი და მოძრავი ნივთებისათვის განსაზღვრულ სამართლებრივ პარადიგმას. იგი გამოირჩევა ექსკლუზიური მიკუთვნებადობით, თუ ერთი პირი მესაკუთრეა, მას შეუძლია სხვას აუკრძალოს მისი ფლობა და ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედება,<sup>6</sup> რასაც თავის მხრივ უკავშირდება საერთო სამართლისთვის დამახასიათებელი სხვათა ზემოქმედების გამორიცხვის უფლება (right to exclude),<sup>7</sup> რაც ერთობ ემსგავსება გერმანულ სამოქალაქო სამართალში აკრძალული თვითნებობის დაუშვებლობის ცნებას,<sup>8</sup> ხოლო ქართულ სამართალში აუცილებელ მოგერიებას,<sup>9</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ორი ცნება ერთიან ჩრტილში არ არის განხილული არც ფიზიკური და არც ვირტუალური სამყაროსთვის.<sup>10</sup> ვირტუალურ ქონებას ახასიათებს მყარი, ფიქსირებული ბუნება,<sup>11</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მისი მესაკუთრის დამოუკიდებლად არსებობს და არ საჭიროებს კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის აქტივაციას ხელმისაწვდომობისთვის. ბოლო მახასიათებლის მიხედვით კი კოდს, როგორც საკუთრების ობიექტს, სრულყოფს მისი ურთიერთდაკავშირებულობა, შესაბამისად, პირთა ფართო წრეს მასთან ინტერაქციის საშუალება აქვს<sup>12</sup> და იგი არ ინახება მხოლოდ ერთი პირისთვის, მხოლოდ ამ პირის მყარ დისკზე. შესაბამისად აღნიშნული სამი კომპონენტი განაპირობებს ვირტუალური ქონების და მასზე საკუთრების უფლების გავრცელებას, რაც ნიშნავს იმას რომ სხვა ნებისმიერი კოდი, რომელიც ამ კომპონენტებს არ აკმაყოფილებ-

<sup>1</sup> ვირტუალური სამყარო, გაბატონებული მოსაზრების თანახმად ფაქტიურად ანალოგია ფიზიკური სამყაროსი, რომელიც ინტერნეტისა და კომპიუტერული თამაშების განვითარებასთან ერთად, იურიდიულ ლიტერატურაშიც საინტერესო განმარტებებს იძენდა. მაგალითისთვის ავტორი უზუფრუქტის რომის სამართლის ტრადიციულ განმარტებას იყენებს ვირტუალური საკუთრებისა და ვირტუალური სამყაროს სამართლებრივი ტრანსფორაციისთვის იხ. *Velaso M. G.*, Virtual Property Rights, A Modified Usufruct of Intangibles, *Philippine Law Journal*, Vol 82, No 4, 2008, 70-73.

<sup>2</sup> იგულისხმება ვირტუალური მიწის ნაკვეთი, ვირტუალური სახლი, ვირტუალური ავეჯი და სხვა, რაც მხოლოდ კომპიუტერული თამაშის, პროგრამის ან უფრო ფართო გაგებით კომპიუტერული კოდის ფარგლებში არსებობს. იხ. *Abramovitch S./ Cummings D.*, Virtual Property, *Real Law: The Regulation of Property in Video Games*, *Canadian Journal of Law and Technology*, Vol 6, No 2, 2007, 74.

<sup>3</sup> *Barfield W.*, On money, taxes, and property in virtual reality, *Virtual Reality*, Vol 13, Issue 1, 2009, 37.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> *Abramovitch S./ Cummings D.*, Virtual Property, *Real Law: The Regulation of Property in Video Games*, *Canadian Journal of Law and Technology*, Vol 6, No 2, 2007, 74.

<sup>6</sup> *Fairfield J.*, Virtual Property, *Boston University Law Review*, Vol 85, 2005, 1049.

<sup>7</sup> *Carrier A. M./Lastowka G.*, Against Cyberproperty, *Berkeley Technology Law Journal*, Vol. 22, 2007, 1485.

<sup>8</sup> *რუსთაშვილი გ./ ევნატაშვილი დ./ სირდაძე ლ.*, სანიმთო სამართალი, კანონების კრებული, თბილისი, 2018, 97-98.

<sup>9</sup> *ჩაჩავა ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ქანტურია ლ.* (რედ), თბილისი, 2017, მუხ. 116 მე-2 ველი.

<sup>10</sup> ზემოქმედების გამორიცხვის უფლება ჩარევის აღკვეთასა და სიკეთის ხელშეუხებლობას ემსახურება, ხოლო, აკრძალული თვითნებობის დაუშვებლობა, კი მისი შედეგის ბათილობისკენაა მიმართული. თავის მხრივ, აუცილებელი მოგერიებაც სიკეთის დაცვისკენ არის მიმართული, შედეგის დადგომამდე.

<sup>11</sup> *Fairfield J.*, Virtual Property, *Boston University Law Review*, Vol 85, 2005, 1049.

<sup>12</sup> იქვე, 1050.

ბს არ უნდა იყოს მოაზრებული როგორც ვირტუალური ქონება.<sup>13</sup>

აქედან გამომდინარე, ვირტუალური ქონება შეიძლება იყოს ვებგვერდები,<sup>14</sup> ზემოხსენებული ვირტუალური სამყაროსა და კომპიუტერული თამაშების კომპონენტები, ონლაინში განთავსებული წიგნები, მუსიკა, ფილმები,<sup>15</sup> როგორც ციფრული ფაილები და არა მათთან დაკავშირებული საავტორო/მოძიჯნავე უფლებები და ბოლოს, კრიპტოვალუტა, თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

წინამდებარე სტატიის მიზანია ვირტუალური საკუთრებისთვის ზოგადად კანონისმიერი რეგულატორული რეჟიმის დადგენა, მოძრავი-უძრავი ნივთების კანონისმიერი დიქტომიის მიღმა.<sup>16</sup> საკვლევ საკითხთან მიმართებაში ფაქტობრივად შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზი და შეპირისპირება, გამომდინარე იქიდან, რომ ვირტუალური საკუთრება საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული არ არის. შესაბამისად, სტატიაში შემთავაზებული იქნება ერთიანი დოქტრინალური მიდგომის შედარებით-სამართლებრივ დისკურსი და მცდელობა ვირტუალურ საკუთრებაზე ტრადიციული საკუთრების უფლების გავრცელებისა.

### II. ვირტუალური საკუთრება, როგორც სანივთო სამართლის გაგების საკუთრება

ფიზიკური კომპონენტის არარსებობის გამო ვირტუალური ქონება, წარსულში ხშირად მოიხსენიებოდა როგორც ინტელექტუალური საკუთრება,<sup>17</sup> აღნიშნული მოსაზრება ყოველთვის მცდარი იყო.<sup>18</sup> ვირტუალური საკუთრება, რა თქმა უნდა, ვერ გაუთანაბრდება და ვერ იქნება სრულად სანივთო სამართლის ტრადიციული ობიექტებთან ერთად ერთ რანგში ჩაყენებული. მაგალითად, ვირტუალური სახლი, ვერასდროს ჩაითვლება უძრავ ქონებად, რაც ერთი მხრივ, მისი საფუძვლით, კომპიუტერული კოდის ოპერირებით არის განპირობებული, ხოლო, მეორე მხრივ, დაკავშირებულია იმ უფლებების არქონასთან, რაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას ახასიათებს, ანალოგიურადაა საქმე უძრავი ნი-

ვთების შემთხვევაშიც.<sup>19</sup> თუმცა მოცემული მოსაზრების გამართლება და ვირტუალური საკუთრების სანივთო სამართლისგან სრული მოწყვეტა, ნებისმიერი სამართლის სისტემისთვის, იქნება ეს საერთო თუ კონტინენტური ევროპის სამართალი, ვირტუალურ ქონებას დაცვის გარეშე დატოვებდა, რაც ცალსახად გაუმართლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ვირტუალური საკუთრებისთვის განხილული უნდა იქნეს ყველა ის წინაპირობა, რაც მას ფიზიკურ სამყაროში არსებულ საკუთრების უფლებად აქცევს.

### 1. ვირტუალური საკუთრების რეალური მახასიათებელი

კონკურენტულობა, ფიქსირებულობა და ურთიერთდაკავშირებულობა თავისთავად ახასიათებს ფიზიკურ სამყაროში არსებულ მოძრავ თუ უძრავ ნივთებს. მაგალითისთვის, სახლზე საკუთრების უფლება მხოლოდ მესაკუთრეს აქვს და სხვა პირი მის საკუთრებას შესაბამისი ნებართვისა და უფლების გარეშე ვერ გამოიყენებს, იგივე სახლი დროსა და სივრცეში ფიქსირებულია, ერთხელ აშენების შემდეგ მას პერიოდული ხელახალი აშენება არ სჭირდება და ბოლოს, მასთან კავშირი მესაკუთრის გარდა სხვებსაც შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად ქუჩაში გამვლელებს, სტუმრებს და სხვებს. აღნიშნული მახასიათებლების გარდა საკუთრებიდან მთელი რიგი უფლებები გამომდინარეობს, ესენია შემოსავლის მიღება, სარგებლობისა და განკარგვის თავისუფლება, არგამოყენების უფლება და მისი ხელყოფის შემთხვევაში მისი გამოთხოვა და ზიანის ანაზღაურება.<sup>20</sup> აღნიშნული უფლებები ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში მეტნაკლებად ერთმანეთს ჰკავს და განსაზღვრავს საკუთრების ძირითად შინაარსს. თუმცა საინტერესოა, რომ ყველაფერი ის, რაც ფიზიკურ სამყაროში არსებული საკუთრების მახასიათებელს იზიარებს უნდა იქნეს თუ არა მოაზრებული საკუთრების უფლების ობიექტად?<sup>21</sup> კითხვამ ერთმნიშვნელოვანი პასუხი ფაქტობრივად ამოწურავდა საკუთრების მოცულობას და მის ფარგლებში მოაქცევდა ნებისმიერ სამომავლო ტექნოლოგიურ სიახლეს. თუმცა წინამდებარე სტატიის მიზანი საკუთრების ფარგლების დადგენა არაა, არამედ საპირისპიროდ კონკრეტული მოვლენის, ვირტუალური ქონების, როგორც ტრადიციული საკუთრების ობიექტად განხილვა.

ზემოდასმული საკითხისთვის მთავარი წინააღმდეგობა კომპიუტერული კოდია, მედიუმი, რომელიც ფაქტობრივად შემქმნელია ვირტუალური ქონებისა.

### 2. კომპიუტერული კოდი საკუთრებისთვის

კოდი როგორც თვითრეგულატორული კომპლექსი, რომელიც მოიცავს კიბერსივრცესა და ინტერნეტსივრცეს, ყველაფერს, რაც კოდის საფუძველზე იქმნება,<sup>22</sup> არის მოსაზრება, რომელიც შეიძლება გადამწყვეტად მივიჩნიოთ კოდის

<sup>13</sup> მაგალითად ოფლაინ თამაშები, ფაილები, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა კოდები, რომელიც მხოლოდ მყარ დისკზეა, შესაბამისად არ გააჩნია ფიქსირებული ხასიათი, ანუ ხელმისაწვდომია მხოლოდ კომპიუტერის ჩართვის შემდეგ და არ არის ურთიერთდაკავშირებული სხვა პირებთან.

<sup>14</sup> იგულისხმება ვებგვერდი, როგორც ინტერნეტ პროტოკოლზე (IP) არსებული საბოლოოდ აღქმადი მასალა და არა დომენური სახელწოდება ვებგვერდისთვის, როგორც სასაქონლო ნიშანი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დომენური სახელი არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნების სამართლის ობიექტს, ვრცლად იხ. *Farley C. H., Confusing the Similarity of Trademarks Law in Domain Name Disputes, Akron Law Review, Vol 52, issue 3, 2019, 613.*

<sup>15</sup> წიგნებთან, ფილმებთან და მუსიკასთან ხშირად დავის საგანს წარმოადგენს მათი ბუნება, როგორც საკუთრება საავტორო და მოძიჯნავე უფლებებიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი არ განიხილავს ამ უფლებებს, არამედ ჩამოთვლილ ობიექტებს გულისხმობს, როგორც ციფრულ ფაილებს. ვრცლად იხ. *Erlank W., Books, Apps, Movies and Music – Ownership of Virtual Property in the Digital Library, European Property Law Journal, Vol 2, Issue 2, 2013, 196-200.*

<sup>16</sup> შეერთებული შტატებისთვის დოქტრინალური კრახით დასრულდა ინტერნეტ რესურსების, როგორც მოძრავი ნივთების დეფინიციის ჩამოყალიბება, საკითხთან მიმართებაში იხ. *Epstein R. A., Cybertrespass, University of Chicago Law Review: Vol. 70, Iss. 1, Article 6, 2003, 83; Hedley S., Cybertrespass – A Solution in Search of a Problem?, Journal of European Tort Law, Vol. 5, Issue 2, 2014, 175-178.*

<sup>17</sup> *Fairfield J., Virtual Property, Boston University Law Review, Vol 85, 2005, 1050.*

<sup>18</sup> იქვე, 1064-1065.

<sup>19</sup> *Lawrence D. E., It Really Is Just a Game: The Impracticability of Common Law Property Rights in Virtual Property, Washburn Law Journal, Vol 47, Issue 2, 2008, 511.*

<sup>20</sup> *Fairfield J., Virtual Property, Boston University Law Review, Vol 85, 2005, 1053.*

<sup>21</sup> *Lawrence D. E., It Really Is Just a Game: The Impracticability of Common Law Property Rights in Virtual Property, Washburn Law Journal, Vol 47, Issue 2, 2008, 510.*

<sup>22</sup> *Erp S., European property law: A methodology for the future, European Private Law – Current Status and Perspectives, Schulze R./Schulte-Nölke H. (Eds.), sellier, Munich, 2011, 246.*

<sup>23</sup> *Lessig L., Code: And Other Laws of Cyberspace, Version 2.0, Basic Books, New York, 2006, 83-85.*

უსაზღვრო არაკანონისმიერი<sup>24</sup> რეგულირებისთვის. მიუხედავად ამისა, ვირტუალური საკუთრებისთვის კოდის მოწესრიგება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, გამომდინარე იქიდან რომ ვირტუალური ქონება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებას შეიძლება წარმოადგენდეს.<sup>25</sup>

კოდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს ვირტუალური ქონების საფუძველს, ანუ ქმნის მას. თავის მხრივ, კოდს ქმნის ფიზიკური პირი, თუმცა ეს არ არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი კოდი, არამედ კოდის შიგნით შექმნილი კოდი,<sup>26</sup> რომელიც ტრანსფორმირდება ვირტუალურ საკუთრებაში. მიუხედავად ამისა, საწყისი კოდი მოქმედებს არ წყვეტს, იგი მუდმივად აქტიური რჩება, რაც ფაქტობრივად მის ფარგლებში არსებული ყველა ვირტუალური ქონების ფიქსაციის წყაროა. ვირტუალური საკუთრება მისი საწყისი კოდის გარეშე არსებობას წყვეტს. მაგალითისთვის, საკმარისია გაითიშოს სერვერები, სადაც რომელიმე ვირტუალური სამყაროს საწყისი კოდი განთავსებული, ვირტუალური საკუთრება აღარ იარსებებს.<sup>27</sup> დამატებითი თვალსაზრისებისთვის, თუ ვებგვერდის ჰოსტინგის სერვერი გაითიშება, ვებგვერდზე საკუთრება არ დაიკარგება, თუმცა საკუთრების უფლების რეალიზაცია შეუძლებელი გახდება, ვებგვერდის მიუწვდომლობის გამო, რაც, თავის მხრივ, ფიზიკურ სამყაროში არასდროს მოხდება, შეუძლებელია მოძრავი თუ უძრავი ნივთი ერთ დღეს უბრალოდ გაქრეს და მასზე საკუთრება დაიკარგოს.<sup>28</sup>

აღნიშნული მოცემულობა, ისევე და ისევე, მიუთითებს იმაზე, რომ ვირტუალური ქონება მისი ფიზიკური ელემენტის გარეშე არ შეიძლება ტრადიციულ ქონებად იქნეს აღქმული, რაც არასწორია, მაგალითისთვის, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, ხშირად საერთოდ არ არის ფიზიკური ფორმით<sup>29</sup> გამოხატული.<sup>30</sup> თავის მხრივ, საკუთრების ობიექტი, როგორც აბსტრაქცია, ინტელექტუალური საკუთრებით არ ამოიწურება, რისი ნათელი მაგალითია საკუთრება საწარმოს წილზე.<sup>31</sup> შესაბამისად, ფიზიკური ელემენტის არა-

რსებობა არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ვირტუალური საკუთრება, როგორც საკუთრება, უარყოფილ იქნეს. პირიქით, ასეთ შემთხვევაში იმ სოციალურმა და ეკონომიკურმა სიკეთემ, რომლის კონტრიბუციაც ვირტუალურ ქონებაში ხდება, უნდა გადაწონოს საკუთრების ობიექტებად მხოლოდ მოძრავ და უძრავ, ანუ ფიზიკურ ნივთებად, შეზღუდვა.<sup>32</sup> გამომდინარე აქედან, ვირტუალური საკუთრება დაცული უნდა იყოს ისე, როგორც ფიზიკურ სამყაროში არსებული ნებისმიერი საკუთრება. ვირტუალური საკუთრების შემოგანხილული საერთო სამართლის საკუთრების რეალური მახასიათებლები, თავის მხრივ, საქართველოსთვისაც საკუთრების შინაარსში მეორდება,<sup>34</sup> ექსკლუზიურობის<sup>33</sup> და თავისუფალი სარგებლობის სახით.

ქონებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი მოიცავს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, რაც აღრეული არ უნდა იქნეს ვირტუალურ ქონებაში, გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 152-ე მუხლით დაზუსტებულია, რომ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე მხოლოდ მოთხოვნები და უფლებებია.

### 3. ვირტუალური საკუთრების სავალდებულო ქონებრივი დაცვა

ვირტუალური საკუთრების, როგორც საკუთრების დაცვის სავალდებულობას მისი ღირებულების სტაბილურობა წარმოადგენს. თუ მომხმარებელი, ანუ, ვირტუალური ქონების მესაკუთრე არ იქნება დაცული, ისე როგორც ფიზიკურ სამყაროში არსებული ქონების მესაკუთრეა, მაშინ ვირტუალური საკუთრება აზრს დაკარგავდა, თავის მხრივ, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ დიდ სოციალურ თუ ეკონომიკურ დანაკარგად არ ჩაითვლება, თუ კომპიუტერულ თამაშებში მოთამაშებები ნივთებს დაკარგავენ და ისინი საკუთრებას ვერ დაიცავენ. თუმცა ვირტუალური ქონებრივი სიკეთეა კრიტპოვალუტაც, რომლის მნიშვნელობაც შეუდარებლად უფრო დიდია. შესაბამისად, ვირტუალური საკუთრება, მისი შინაარსის მიუხედავად, დაცული უნდა იყოს, როგორც ქონებრივ უფლებათა ერთობლიობა.

ვირტუალური საკუთრების, როგორც ქონების დაცვა, ერთგვარი გარანტიაა ტექნოლოგიური ბაზრის ღირებულებისთვის და სამომავლო განვითარებისთვის.<sup>35</sup> შესაბამისად ვირტუალური საკუთრების, როგორც ტრადიციული საკუთრების დაცვისას, მესაკუთრე მიიღებს მყარ გარანტიას, რომ მისი საკუთრება ხელშეუხებელი იქნება და თავისუფლად შეძლებს მის შექმნასა და შემდეგ განკარგვას, ასევე, ეკონომიკური სარგებლის მიღებას.<sup>36</sup>

მნიშვნელოვანია სამართლებრივი ვირტუალური ქონების რეგულაციის ჩინური მოდელი. ჩინეთში პირველი სამართლებრივი დავა ჯერ კიდევ 2003 წელს იქნა განხილუ-

<sup>24</sup> იგულისხმება ზოგადად სამართლებრივი რეგულირება.

<sup>25</sup> 2018 წლისთვის ვირტუალური საკუთრება ვირტუალური სამყაროს ფარგლებში მილიონობით დოლარის სანაცვლოდ იყიდებოდა. ვრცლად იხ. <https://www.bbc.com/news/av/stories-45275461/the-virtual-land-selling-for-millions>

<sup>26</sup> თავისთავად კოდი როგორც პირველწყარო შესაძლოა წარმოადგენდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს, მაგალითად, ვიდეო თამაში, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა. თუმცა მათ ფარგლებში მოთამაშის მიერ შექმნილი საკუთრება სცდება ინტელექტუალურ საკუთრებას.

<sup>27</sup> Lawrence D. E., It Really Is Just a Game: The Impracticability of Common Law Property Rights in Virtual Property, Washburn Law Journal, Vol 47, Issue 2, 2008, 515.

<sup>28</sup> იქვე, 513-514.

<sup>29</sup> ფიზიკური ფორმა არ უნდა იქნეს აღრეული ფიქსირებულ ფორმაში, რომელსაც შეერთებული შტატების კანონმდებლობა იყენებს ნაწარმებისთვის, საავტორო უფლებათა ნაწილში. ასევე, არც ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ობიექტური ფორმა არ ნიშნავს ფიზიკურად ხელშეუხებლობას. ორივე ცნება ისეთ მედიუმს მოიაზრებს რომელიც აღქმადი და დროში განვრცობადი ფორმით არსებობს. ვრცლად იხ. 17 U.S. Code §101; საქართველოს საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის 5 II მუხლი.

<sup>30</sup> Gonçalves D. T., Taxation of virtual worlds: An approach to face virtual worlds as electronic commerce, Information Communication Technology Law, Protection and Access Rights: Global Approaches and Issues, Portela I. M./ Cruz-Cunha M. (Eds.), Information Science Reference, New York, 2010, 104

<sup>31</sup> Clarke A./ Kohler P., Property Law, Commentary and Materials, Cambridge University Press, Cambridge/New York, 2005, 18.

<sup>32</sup> იქვე, 104.

<sup>33</sup> რუსიაშვილი გ., იპოთეკის რეფორმა - ბინას არ კარგავს მხოლოდ ის, ვისაც ეს ბინა არა აქვს, ანუ სახელმწიფო, რომელიც პირს მისი ძირითადი უფლებისაგან იცავს, შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 2019, 40.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> Nelson J. W., The Virtual Property Problem: What Property Rights in Virtual Resources Might Look Like, How They Might Work, and Why They Are a Bad Idea, McGeorge Law Review, Vol. 41, Issue 2, 294.

<sup>36</sup> იქვე, 295-297.

ლი,<sup>37</sup> რომლის მიხედვითაც თამაშის ოპერატორი ვალდებული იყო მისი მოთამაშისთვის დაებრუნებინა მესამე პირის მიერ წართმეული ვირტუალური საკუთრება, გამომდინარე იქიდან რომ ოპერატორს გააჩნდა ამის უფლებამოსილება, როგორც ადმინისტრატორს. სასამართლომ, ასევე, უარი თქვა სახელშეკრულებო მოწესრიგებაზე, რადგანაც იგი პირის ინტერესს ვერ იცავს მესამე პირების მხრიდან ზემოქმედებისაგან, არამედ მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობას აწესრიგებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩინეთის სამართლებრივი მდგომარეობა კრიპტოვალუტის მიმართ, რაც უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო მეტად წინ წამოწევს ვირტუალური ქონების სამართლებრივი მდგომარეობის საკითხს. ჰანჯოუს (ჩინეთის) ინტერნეტის სასამართლო<sup>38</sup> ერთ-ერთ საქმეზე,<sup>39</sup> სადაც მოსარჩელე მომხმარებელმა კრიპტოსაფულის გათიშვის გამო დაკარგა ბიტკოინები, სასამართლომ კრიპტოვალუტა, ვირტუალური ქონებად მიიჩნია და შესაბამისად მასზე საკუთრების დაცვის რეჟიმი გაავრცელა. მიუხედავად იმისა, რომ დავა მოსარჩელისთვის წარუმატებლად დამთავრდა მტკიცებულებების არარსებობის გამო, გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა ვირტუალური საკუთრების მნიშვნელობას, რომ იგი არ იკარგება კონკრეტული საიტის თუ ინტერნეტსერვისის გათიშვის შემდეგ, არამედ საკუთრების შექმნა და დაკარგვა უნდა მოხდეს ისე, როგორც ეს ფიზიკურ სამყაროში ხდება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ უფრო მეტად გაამყარა მოსაზრება, რომ ვირტუალური საკუთრება, იგივე ქონებრივ უფლებათა ერთიანობას წარმოადგებს, რასაც ფიზიკურ სამყაროში, შესაბამისად მას უნდა გააჩნდეს სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებები.

**IV. სახელშეკრულებო მოწესრიგების უარყოფა**

წინამდებარე სტატიის ფარგლებში უკვე აღინიშნა, რომ კოდს, რომელიც ვირტუალური ქონების საწყისია, ქმნის ფიზიკური პირი, ხოლო არსებულ კოდში კი მისი მომხმარებელი დამოუკიდებლად ქმნის დამატებით კოდს, რომელიც მისი საკუთრებაა. თუმცადა არსებობს მოსაზრება, რომ ვირტუალური საკუთრება, სანივთო მოწესრიგებას საერთოდ არ საჭიროებს და ურთიერთობა მომხმარებელსა და კოდის შემქმნელს შორის შეთანხმებამ უნდა დაარეგულიროს.<sup>40</sup> ასეთი ურთიერთობის, სახელშეკრულებო მოწესრიგების ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობა კი სამომხმარებლო ხელშეკრულებაა (EULA), რომელიც ბუსტად განსაზღვრავს თუ რისი უფლება აქვს მომხმარებელს და რისი არა.

სამომხმარებლო ხელშეკრულებები, არამართო ურთიერთობას აწესრიგებს მომხმარებელსა და შემქმნელს შორის, არამედ განუსაზღვრელ უფლებას აძლევს კოდის შე-

მქმნელს მართოს კოდის ფარგლებში არსებული ნებისმიერი მოვლენა, ობიექტი, ეკონომიკა<sup>42</sup> და, მათ შორის, მომხმარებლების საკუთრებაც. შესაბამისად, სწორედ კოდის შემქმნელი წყვეტს გადასცეს თუ არა საკუთრება მომხმარებელს, როდესაც იგი კოდის ფარგლებში რაიმეს ქმნის, რასაც ისიც ემატება, რომ ასეთი ხელშეკრულებები ძირითადად clickwrap ფორმით არის მოცემული და მომხმარებელს გააჩნია მხოლოდ ორი შესაძლოა არჩევანი, ან დათანხმდეს ხელშეკრულების პირობებს, ან უარი თქვას მასზე.<sup>43</sup> გამომდინარე აქედან, მომხმარებელს არანაირი საშუალება არ აქვს ხელშეკრულებაში ცვლილება შეიტანოს, რაც კოდის შემქმნელს განუსაზღვრელ უფლებას ანიჭებს შეიმუშავოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უპირობოდ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე მომხმარებლისთვის ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცდება რაიმე კონტრიბუცია განახორციელოს ვირტუალური ქონებაში და სახელშეკრულებო მოწესრიგების იმედად იყოს, რომელიც, თავის მხრივ, სრულიად მართულია გაბატონებული ხელშეკრულების, კოდის შემქმნელის, მიერ. მაგალითისთვის, როდესაც მომხმარებელი ყიდულობს ნ მილიონი დოლარის ღირებულების ვირტუალურ პლანეტას<sup>44</sup> და სანაცვლოდ ვერ იღებს მასზე საკუთრებას, თავისთავად იგი ასეთ ტრანზაქციას არასდროს დათანხმდებდა, რაც ვირტუალური საკუთრებისა და ყველა მასთან დაკავშირებული სოციალური თუ ეკონომიკური ღირებულებების გაქრობას გამოიწვევს. ხოლო, თავის მხრივ კი, სანივთო სამართლის მოწესრიგებამ უნდა ჩაანაცვლოს ყველა ის სახელშეკრულებო მოწესრიგება, რომელიც მომხმარებელს საკუთრების უფლებისა და შესაბამისად დაცვის გარეშე ტოვებს.

**V. დასკვნა**

უდავოა, რომ ვირტუალური ქონება მნიშვნელოვან ეკონომიკურ თუ სოციალურ ღირებულებას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც კრიპტოვალუტა ასე ფართოდ გამოყენებადია. მომხმარებლები ხშირად თვითონვე გაუცნობიერებლად ვერ აღიქვამენ მათ ვირტუალურ აქტივებს, როგორც საკუთრებას. რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ასეთი აქტივების არაფიზიკური ღირებულებებით. თუმცადა ეს არ არის იმის საფუძველი, რომ ვირტუალური საკუთრების ობიექტები და მათი მესაკუთრეები ადეკვატური დაცვის გარეშე დარჩნენ.

კონკურენცია სანივთო და სახელშეკრულებო მოწესრიგებებს შორის, ნათელია რომ სანივთო სამართლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მომხმარებელი, როგორც ბაზარზე არაგაბატონებული ხელშეკრულები მხარე ვერასდროს მიიღებს ისეთ დაცვას, რომელიც უზრუნველყოფს მის ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესს ვირტუალური ქონების მიმართ. გამომდინარე აქედან მომხმარებლები კოდის შემქმნელისგან დამოუკიდებლად უნდა იღებდნენ საკუთრებას მათ მიერ შექმნილ ან შექმნილ ვირტუალურ

<sup>37</sup> Li Hongchen v. Beijing Arctic Ice Technology Development Co. Ltd, მითითებულია *Fairfield J.*, Virtual Property, Boston University Law Review, Vol 85, 1084 მიხედვით.

<sup>38</sup> აღნიშნული სასამართლო არის სპეციალური იურისდიქციის მქონე განხილვის ინტერნეტთან დაკავშირებული დავები. ვრცლად იხ. <https://www.chinadaily.com.cn/a/201808/18/w55b77c8f4a310add14f386801.html>

<sup>39</sup> ვრცლად იხ. <https://technode.com/2019/07/19/chinese-court-recognizes-bitcoin-as-virtual-property-a-first/>

<sup>40</sup> *Fairfield J.*, Virtual Property, Boston University Law Review, Vol 85, 2005, 1092.

<sup>41</sup> *Cifrino C. J.*, Virtual Property, Virtual Rights: Why Contract Law, Not Property Law, Must be the Governing Paradigm in the Law of Virtual Worlds, Boston College Law Review, Vol 55, Issue 1, 2014, 243.

<sup>42</sup> *Bonar-Bridges J.*, Regulating Virtual Property with EULAs, Wisconsin Law Review Forward, 2016, 84.

<sup>43</sup> *Cifrino C. J.*, Virtual Property, Virtual Rights: Why Contract Law, Not Property Law, Must be the Governing Paradigm in the Law of Virtual Worlds, Boston College Law Review, Vol 55, Issue 1, 2014, 244.

<sup>44</sup> ყველაზე ძვირადღირებული ტრანზაქციები ვირტუალური საკუთრებისთვის, რომელიც ვიდრე თამაშის ფარგლებში განხორციელებულა ვრცლად იხ. <https://retrowizard.com/most-expensive-virtual-items/>

ქონებაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მომხმარებელი დაცული ყველა სავარაუდო რისკისაგან, მაგალითად, მაშინაც კი, როდესაც სერვისის მომწოდებელი კრიპტოსაფულეს მიუწვდომელს გახდის მომხმარებლისთვის, ან, მაშინ, როდესაც კონკრეტული მომსახურების ადმინისტრაცია სერვერებს გათიშავს, სადაც მომხმარებლის ვირტუალური ქონებაა განთავსებული. თუმცაღა შესაძლოა არსებობდეს კონკურენტული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დეცენტრალიზებული,<sup>45</sup> სისტემებისთვის სანივთო სამართლის მოწესრიგება შეუძლებელია, მისი კომპლექსურობის გამო. ხოლო ცენტრალიზებული<sup>46</sup> სისტემებისთვის, თავად

სისტემის შემქმნელის მიერ შემუშავებული სამომხმარებლო ხელშეკრულებები, ამოწურავენ საკუთრების გადნაწილების საკითხს. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, მომხმარებლის მხოლოდ კოდის რეგულირების ან სამომხმარებლო ხელშეკრულებით დაცვა, რიგ შემთხვევებში, გაუმართლებელია.

ამრიგად, ვირტუალური ქონება და შესაბამისად ვირტუალური საკუთრება, უნდა იქნეს აღქმული, როგორც ჩვენთვის აქამდე ცნობილი ტრადიციული ქონება და საკუთრების უფლება, რათა მომხმარებლებს ჰქონდეთ ადეკვატური დაცვის საშუალებები.

<sup>45</sup> მაგალითად, ბლოკჩეინი და მაინინგის დროს საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხი.

<sup>46</sup> მაგალითად Steam-ზე ნივთის ყიდვისას საკუთრების უფლების საკითხი.

# იძულებით გადაცემულის უკუქცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლის მიხედვით

ნინო ქავჭავაძე

## I. შესავალი

სტატიის მიზანია იძულების შედეგად გამოვლენილი ნების გააზრება კონკრეტულ სამართლებრივ კონსტრუქციებთან მიმართებაში. შეძლებისდაგვარად განხილულია იძულების, როგორც ნების მომდრეკი ქმედების, მნიშვნელობა, აგრეთვე იძულებით დადებული გარიგების უკუქცევის გამართული გზები იძულებით განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმის არსებობის პირობებში, ამასთან, იძულების საფუძველზე გადაცემულის დაბრუნების მოთხოვნის ადგილი კონდიქციური სამართლის სისტემაში.

## II. იძულება

ნების გამოვლენის თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც გამოდინარეობს პირის თავისუფალი განვითარების უფლებიდან<sup>1</sup>. სახელმწიფო ტოვებს სივრცეს, სადაც სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობას წარმოადგენს პირის ავტონომია, შეიბოჭოს ან არ შეიბოჭოს თავი ვალდებულებით. ამიტომ, ამ სივრცის ხელყოფა სხვა პირის მიერ დაუშვებელი ჩარევის გზით გამოვლენილ ნებას ნაკლულს ხდის. საჭიროა, განისაზღვროს ამგვარი ხელყოფის შინაარსი და ამ დაუშვებელი ზემოქმედებით გამოხატული ნების ადგილი გარიგების მიერ სიბრტყეში.

### 1. იძულების შინაარსი

თავისუფალი ნების რეალიზაცია შეუძლებელია პირის იძულებისას, რაც ნების ფორმირების პროცესში ჩარევის ყველაზე მკაცრ და აშკარა ფორმად შეიძლება იყოს მიჩნეული<sup>2</sup>. იძულება არის ქმედება, რომელიც პირს მნიშვნელოვნად უზღუდავს ნამდვილი ნების გამოხატვას და მას უბიძგებს, განახორციელოს ამ ნების საწინააღმდეგო მოქმედება<sup>3</sup>. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოქმედება გამოირიცხავს პირის არჩევანის შესაძლებლობას (ე.წ. vis absoluta) და ამ

უკანასკნელს მოქმედების ნება<sup>4</sup> არ გააჩნია, ნების გამოხატვა საერთოდ არ არსებობს, ამდენად, არ დგება მისი საცილოობის საკითხიც<sup>5</sup>.

სკ-ის 85-ე მუხლიდან გამომდინარე, იძულება კრებისთი ტერმინია ძალადობისა და მუქარისთვის, რომელთაგან ორივე პირის ნებაზე დაუშვებელ ზემოქმედებად არის მიჩნეული მართლწესრიგის მიერ. პრაქტიკულ მნიშვნელობას ეს განსხვავება იძენს იძულების მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისას<sup>6</sup>.

ძალადობა უნდა იყოს განმარტებული სისხლისსამართლისეული დოგმატიკის მიხედვით, როგორც პირზე ფიზიკური ზემოქმედება, ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა. მისი ინტენსივობა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის (გამოიწვია თუ არა პირზე განხორციელებულმა იძულებამ იძულებულის მიერ გარიგების დადება/რაიმეს გადაცემა) განხილვისას იძენს აქტუალობას. ობიექტური შემადგენლობის დონეზე, ფიზიკური ტკივილის განმეორებადი ხელისკვრით მიყენება და წამებად დაკვალიფიცირებადი ქმედებაც ძალადობად ჩაითვლება.

მუქარა იძულებულზე ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა, რომელიც პირდაპირ არ იწვევს ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევას. შინაარსობრივად, მუქარა სამომავლო საფრთხეზე მითითება, უარყოფითი შედეგის დადგომის გაცხადება (დაპირება)<sup>7</sup>. ამასთან, ამგვარი მითითება ვერ ჩაითვლება მუქარად, თუ პირს არ აქვს უარყოფითი შედეგზე ზემოქმედების შესაძლებლობა, მსგავსი შემთხვევა უნდა შეფასდეს არა მუქარად, არამედ – გაფრთხილებად<sup>8</sup>.

ერთ-ერთი მოსაზრებით, ძალადობისა და მუქარის შინაარსობრივი გამიჯვნა ერთმანეთისგან გაუმართლებელია და იძულებაში მხოლოდ ფსიქიკური ხასიათის ზემოქმედება

<sup>1</sup> ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 3.

<sup>2</sup> იგივე მსჯელობა გარიგებებთან მიმართებაში იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380, ძ. ბოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 85, 2002 გვ. 246.

<sup>3</sup> ს. ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, II, 2011, გვ. 193; მითითება რადიკალურ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების დადებისას პირი ყოველთვის იძულებულია ან, სხვა შეხედულების მიხედვით, პირს ყოველთვის (თოფმიზენილ მდგომარეობაშიც კი) აქვს არჩევანი, იხ. Stephen A. Smith, Contracting under Pressure: A Theory of Duress, The Cambridge Law Journal, Vol. 56, II, (Jul., 1997), pp 358-359.

<sup>4</sup> მოქმედების ნება პირის სურვილია, იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, იხ. ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 5.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 85, ველი 8.

<sup>7</sup> იქვე, მუხლი 88, ველი 16.

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 85, ველი 16.

<sup>9</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 350

<sup>10</sup> R. Nozick, "Coercion" in Philosophy, Science and Method: Essays in Honour of Ernest Nagel, 1969; J. Beatson, "Duress, Restitution and Contract Modification" in The Use and Abuse of Unjust Enrichment, 1990, pp-118-112, ციტირებულია Stephen A. Smith, Contracting under Pressure: A Theory of Duress, The Cambridge Law Journal, Vol. 56, II, (Jul., 1997), p 346

უნდა ვიგულისხმობთ<sup>11</sup>. ხსენებული დასაბუთებულია შემდეგნაირად – თუკი პირს ხელს აწერინებენ მისი ნების საწინააღმდეგოდ, ნების საცილობის განხილვა საჭირო არ ხდება, რადგან თავად ნების გამოვლენა არ არსებობს. ეს შეხედულება გაკრიტიკებულია<sup>12</sup>. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების, საზღვარგარეთული სამართლის დანაწესების გაზიარების არააუცილებლობასთან ერთად (ზემოაღნიშნული შეხედულება იმასაც მიუთითებს, რომ გერმანულ, ავსტრიულ, შვეიცარიულსა და ფრანგულ სამართალში იძულებაში მოაზრებულია მხოლოდ ფსიქიკური ზემოქმედება<sup>13</sup>) შეიძლება ითქვას ისიც, რომ მსგავსი შეხედულებით, ფაქტობრივად, ჰიპოთეტურად შეუძლებლად არის დასახული ფიზიკური იძულებით პირის ნების მოდრეკა, არამედ ძალადობა ყოველთვის გაიგივებულია ნების გატეხვასთან და მოქმედების ნების არარსებობასთან. ეს არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს: თუკი პირს თანხმობის ნიშნად თავს აქნევენებენ, ბუნებრივია, ნება არ ითვლება გამოვლენილად, მაგრამ თუკი პირს საათ-ნახევრის განმავლობაში ფეხებჩამოკიდებულ მდგომარეობაში აქნავენებენ და, საბოლოოდ, ის აწერს გარიგებას ხელს,<sup>15</sup> ნება გამოვლენილია, თუმცა – ნაკლები. განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ზემოთხსენებული გაგებით, ორივე შემთხვევა ფიზიკური იძულების, ძალადობის მაგალითია.

## 2. ტერმინოლოგიური ასისტემურობისთვის

თუკი სკ-ის 85-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იძულების ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შემადგენლობაზე, ძალადობასა და მუქარაზე, სკ-ის 978-ე მუხლი ამ მიდგომას არ იზიარებს და, სიტყვასიტყვითი განმარტებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ერთმანეთისგან განსხვავებულ დატვირთვას ანიჭებს იძულებასა და მუქარას: “გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ *იძულების* ან *მუქარის* საფუძველზე”. რთულია მოიძებნოს არგუმენტი, რომელიც ამ გადაწყვეტას გაამართლებს. ერთი მხრივ, ტერმინთა აღრევა ან განსხვავებული შინაარსით გამოყენება ასისტემურია და ვერ პასუხობს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს<sup>16</sup>. ამასთან, არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ კონდიციურ სამართალში ნების თავისუფლების ხელყოფით განხორციელებული „რაიმეს გადაცემა“ სხვა ფაქტობრივ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს.

## III. იძულებით დადებული გარიგება (სკ-ის 85-ე მუხლი) და იძულების საფუძველზე გადაცემა

იძულების ნების თავისუფლებაზე დაუშვებელ ზემოქმედებად მიჩნევა არ იწვევს ვჯვ სკ-ის 85-ე და 978-ე მუხლების ანალოგიიდან გამომდინარე. პირველი აძლევს უფლებას იძულებულ პირს შეცლილებით გააქარწყლოს იძულების შედეგად გამოვლენილი ნებით დადებული გარიგება, რაც მას უკუქცევითი ძალით არანამდვილს ხდის. კონდიციური სამართლის დანაწესი კი მას ანიჭებს შესაძლებლობას, იძულებით გადაცემული უკან დაიბრუნოს. ერთი შეხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სკ-ის 978-ე მუხლი წარმოადგენს იძულებით დადებული გარიგების უკუქცევის სპეციალურ დანაწესს (როგორც შესრულების კონდიციის კერძო სახე), ხოლო სხვა ნებისმიერი გარიგების არანამდვილობისას უკან დაბრუნება განხორციელდება სკ-ის 976-ე მუხლით. ამის მიუხედავად, დაუსაბუთებელი იქნებოდა სპეციალური დანაწესის არსებობა, როდესაც სამართალურთიერთობის უკუქცევა უკვე არის შემოთავაზებული შესრულების (ზოგადი) კონდიციით – 976-ე მუხლით. ამასთან, 978-ე მუხლის მოქმედების არეალს მნიშვნელოვნად ამცირებს გამიჯვნის პრინციპი, რომელიც მოქმედებს ქართულ სამოქალაქო სამართალში.

## 1. სანივთო გარიგების აღიარების მნიშვნელობა სკ-ის 978-ე მუხლის მოქმედების ფარგლების განსაზღვრისთვის

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები საკუთრების უფლების გადაცემის კონსტრუქციასთან დაკავშირებით. შეხედულებები მერყეობს გამიჯვნისა და ერთიანობის პრინციპებს შორის<sup>17</sup>. პირველი ერთმანეთისგან მიჯნავს ვალდებულებით გარიგებასა და განკარგვით გარიგებას, განიხილავს რა მათ განსხვავებული სამართლებრივი ეფექტის მქონე გარიგებებად, ხოლო მეორე საკუთრების უფლების გადაცემისთვის საკმარისად მიიჩნევს ვალდებულებითსამართლებრივ შეთანხმებასა და ნივთზე მფლობელობის გადაცემას (რეალაქტს)<sup>18</sup>. დასახელებული მიდგომებიდან ერთ-ერთის არჩევა გადამწყვეტი მნიშვნელობის ხდება, სხვა სამართლებრივი კონსტრუქციების გარდა, სკ-ის 978-ე და 976-ე მუხლების განმარტებისასაც. თუკი საკუთრების უფლების გადამცემსა-შუალეზად ჩავთვლით ისეთ ფაქტობრივ ხდომილებას, როგორცაა მფლობელობის გადაცემა, იძულების შედეგად რაიმე ნივთზე საკუთრების გადაცემისას (როდესაც ვალდებულებითი გარიგება დაიღო ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე) პირი ვერ შეეცილება რეალაქტს, ამდენად გასაგები შეიძლება გახდეს კანონმდებლის მიერ კონდიციის სპეციალური შემთხვევის შემოთავაზება სკ-ის 978-ე მუხლის სახით. თუმცა თუ სანივთოსამართლებრივი ეფექტის გამომწვევად დამატებით ჩაითვლება განკარგვითი გარიგება, პირს შეუძლია საკუთარი ნების გამოვლენას (რომელიც

<sup>11</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 349; ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 6.

<sup>12</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 85, ველი 10; ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 381; ბ. მოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხლი 85, გვ. 247.

<sup>13</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 349-350.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 349.

<sup>15</sup> გ. რუსიაშვილი, ლ. სირდაძე, დ. ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, ვაზუსების კრებული, 2019, გვ. 46.

<sup>16</sup> გ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, გ. კვერე-ნხილაძე, ნ. ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2016, გვ. 104.

<sup>17</sup> საბოლოო ჯამში, განსხვავებული შეხედულებები დაიყვანება განკარგვითი გარიგების, როგორც საკუთრების უფლების გადამცემი ორმხრივი ნების გამოვლენის აღიარება-არაღიარებაზე, განსხვავებულ მოსაზრებებზე მითითება იხ. გ. რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, I, 2019, გვ. 20-21.

<sup>18</sup> ლ. თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2018, მუხლი 186, ველები 7-9.



ეხება საკუთრების უფლების გადაცემას) შეეცილოს<sup>19</sup> სკ-ის 85-ე მუხლიდან გამომდინარე და გარიგება უკუაქციოს შესრულების კონდიქციის ზოგადი შემადგენლობით (სკ-ის 976-ე მუხლი)<sup>20</sup>.

უმენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების<sup>21</sup> ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელის წინააღმდეგ იყო დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და აღმკვეთ ღონისძიებად გამოყენებული გირაო, რომელიც თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა ამ დანაშაულისათვის სხვა შემთხვევებში გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობას. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე მოსარჩელემ მიატოვა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, შემდგომ კი გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიება გაუქმდა და მოგვიანებით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალდებულსა და პროკურორს შორის. მოსარჩელე ითხოვდა ცალმხრივი გარიგების ბათილად ცნობას იმ არგუმენტაციით, რომ მან ნება გამოავლინა სახელმწიფოს მხრიდან იძულების შედეგად. საკასაციო სასამართლომ, საბოლოო ჯამში, დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, თუმცა მოთხოვნის დამფუძნებელ მუხლებად სკ-ის 978 და 979 I მუხლები მიუთითა. სინამდვილეში, სწორი იქნებოდა გადაცემულის დაბრუნების მოთხოვნისთვის სკ-ის 976 I ა) მუხლზე მითითება, რადგან საკუთრების უფლების მიტოვება (დერელიქცია) სანივთო გარიგებაა, რასაც, მართალია, არათანმიმდევრულად, მაგრამ სასამართლო მიიჩნევს თავად აღიარებს, მოიხსენიებს რა საკუთრების მიტოვებას არა რეალაქტად, არამედ გარიგებად.

მიზანშეწონილია, ნორმათა განმარტებისას არჩევანი შეჩერდეს განკარგვითი გარიგების აღიარებაზე ქართული სამოქალაქო სამართლის დანაწესების სისტემური გააზრებიდან გამომდინარე,<sup>22</sup> რაც აზრს უკარგავს სკ-ის 978-ე მუხლის გამოყენებას, როცა „რაიმეს გადაცემა“ თავისი შინაარსით შეცილებადი განკარგვითი გარიგებაა<sup>23</sup>. ასეთ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძვლებიდან უნდა მიეთითოს სკ-ის 976 I ა) მუხლზე<sup>24</sup>.

#### IV. სკ-ის 978-ე მუხლის (condictio ex iniusta causa) ადგილი კონდიქციური სამართლის სისტემაში

ქართული სამართლის კონდიქციური სისტემა დაეყრდნო გერმანელი მეცნიერის, დეტლფე კონიგის უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო პროექტს, რომელიც საბოლოოდ გერმანული სამოქალაქო კოდექსის ნაწილი არ გამხდარა<sup>25</sup>. თუმცა გერმანელი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული კონდიქციათა ტიპოლოგია აისახა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მათ შორის, თითოეული ტიპის მოთხოვნის ფარგლების დამდგენ ნორმებთან ერთად.

შესაძლოა, კონდიქციის განსახილველი ტიპის დანიშნულება და გამოყენების არეალი რომაული სამართლის მოშველიებით იყოს გააზრებული. მას არ ჰქონია კონდიქციური მოთხოვნების განზოგადებული ტიპოლოგია, კონკრეტული კონდიქციური ვალდებულება მიესადაგებოდა შემთხვევათა წინასწარ დადგენილ ფაქტობრივ შემადგენლობებს და თითოეული კონდიქცია დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი იყო,<sup>26</sup> თუმცა იმ ფაქტობრივი შემადგენლობების აღწერა, რომლებიც მეტნაკლებად შეესაბამება სკ-ის 978-ე მუხლში მოცემული მოთხოვნის ანალოგს, გაამარტივეს მისი არსებობის აუცილებლობის შეფასებას.

სკ-ის 978-ე მუხლი წარმოადგენს რომაული სამართლის მიხედვით მოწესრიგებულ condictio ex iniusta causa-ს შემთხვევას,<sup>27</sup> რომელიც მოთავსებულია შესრულების კონდიქციის კერძო შემთხვევის, ე.წ. მიზნის ჩაშლის კონდიქციის (სკ-ის 977-ე მუხლი), შემდეგ და წინ უსწრებს შესრულების კონდიქციისთვის განკუთვნილ მოთხოვნის ფარგლების დამდგენ ნორმას. ამდენად, შეიძლება განიმარტოს, რომ ქართველმა კანონმდებელმა ის შესრულების კონდიქციის ერთ-ერთ სახედ მიიჩნია, რაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მცდარ არჩევანადაა შეფასებული<sup>28</sup>.

#### 1. Condictio ex iniusta causa, როგორც შესრულების კონდიქციის სახე

შესრულების კონდიქცია ჩაშლილი შესრულების უკუქცევის მექანიზმია, რომელიც სახელშეკრულების სამართლის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს<sup>29</sup>. მის მთავარ განმასხვავებელ ნიშანდაა მიჩნეული პირის მიერ სხვისი ქონებრივი ფონდების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შეგვიძინა, რასაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. ერთი შეხედვით, იძულების შედეგად გადაცემული შეიძლება ამ გაგებით ჩაითვალოს შესრულებად. თუკი პირი დაუშვებელი ზემოქმედების შედეგად დებს გარიგებას მხოლოდ იმის გამო, რომ იძულება შეწყდეს, არ გააჩნია გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ნება და ეს იძულების განმასხვავებელი პირისთვის გასაგებია, გარიგება უნდა შეფასდეს არა იძულებით დადებულად, არა-

<sup>19</sup> განკარგვითი გარიგების შეცილება აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულებითი გარიგება ნამდვილია და ნაკლულია განკარგვითი გარიგების დადებისას გამოვლენილი ნება. თუ ნაკლულია ვალდებულებითი გარიგება, მაშინ საკუთრების გადაცემა ავტომატურად გამოირიცხება საქართველოში მოქმედი კანონის პრინციპის გამო.

<sup>20</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 85, ველი 32.

<sup>21</sup> სუსგ № ას-688-654-2015 (21 ივლისი, 2015).

<sup>22</sup> გამიჯვნის პრინციპის ქართულ სამართალში მოქმედების დასაბუთებისთვის იხ. ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008; გ. რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, I, 2019.

<sup>23</sup> ამის საპირისპიროდ მავალითისთვის იხ. სუსგ № ას-688-654-2015 (21 ივლისი, 2015 წელი), სადაც უმენაესი სასამართლო მოთხოვნის საფუძვლად უთითებს სკ-ის 978-ე მუხლს. სასამართლოს მიდგომის არაერთგვაროვნებისთვის აგრეთვე სუსგ № ას-224-213-2017 (28 აპრილი, 2017 წელი); სუსგ საქმე № ას-225-215-2016 (25 მაისი, 2016 წელი).

<sup>24</sup> განსხვავებული გადაწყვეტა იხ. შ. ძიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, 2018, გვ. 184-185, სადაც უძრავ ქონებაზე მიტოვებული საკუთრების უფლების უკუქცევისთვის სკ-ის 978-ე მუხლის გამოყენება გამართლებულად არის მიჩნეული სასამართლო გადაწყვეტილების მავალითზე (სუსგ № ას-688-654-2015, 21 ივლისი, 2015 წელი).

<sup>25</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 80.

<sup>26</sup> R. Zimmermann, The Law of Obligations, Roman Foundation of the Civilian Tradition, 1990, p 839.

<sup>27</sup> კ. შნიტგერი, ლ. შატბერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 978, ველი 1, ხელმისაწვდომია ელბმულზე <http://www.gccc.ge>, ნანახია 08.06.2019.

<sup>28</sup> გ. რუსიაშვილი, ლ. სირდაძე, დ. ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 2019, გვ. 57.

<sup>29</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 89.

მედ მოჩვენებითად (სკ-ის 56-ე მუხლის ანალოგია)<sup>30</sup>. ამასთან, ნების გამტეხი იძულების განხორციელებისას ნება საერთოდ არ ითვლება გამოხატულად და აქტუალური არაა გარიგების შეცილების საკითხი (იხ. ზემოთ). უკუდასვენით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იძულების შედეგად გადაცემაც შესრულებად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, გაუმართლებელია სკ-ის 978-ე მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობის განხილვა შესრულების კლასიკურ გამოვლინებად იმ ნიშნადანვე გამომდინარე, რომელიც ამ შემადგენლობის კონსტიტუციური ნაწილს ქმნის. მიზეზი, რის გამოც პირს ენიჭება გადაცემულის უკან დაბრუნება, მის მიერ გამოვლენილი ნების ნაკლული ბუნებაა. შესრულების ცნების განხილვა, როგორც პირის სუბიექტურ წარმოდგენაში არსებული ვალდებულების გაქარწყლებისკენ მიმართული მოქმედება, ყოველთვის მოიცავს პირის ნებელობითი (მიზანმიმართული) და ინტელექტუალური (გაცნობიერებული) ელემენტების ერთობას. დაუშვებელი ზემოქმედებისას პირის ქმედება მიმართულია არა იმ ვალდებულების გაქარწყლებისკენ, რომლითაც მან საკუთარი თავი თავისუფალი ნების ფარგლებში შეიბოჭა, არამედ რომლითაც თავი შეაბოჭინეს<sup>31</sup> ნების მომდრეკი ძალის გამოყენებით: ის, რის გამოც პირს ენიჭება მოთხოვნის უფლება, არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი მოთხოვნის სწორი საფუძვლის დადგენის პროცესში.

## 2. *condictio ex iniusta causa*, როგორც ხელყოფის კონდიქციის სახე

სკ-ის 978-ე მუხლში შემოთავაზებული კონდიქციური მოთხოვნის ანალოგი რომაულ სამართალში ყოველთვის აღიქმებოდა მესაკუთრის სამართლებრივი პოზიციების დაცვის დამატებით და არა ძირითად საშუალებად. ძალადობით მიწის ნაკვეთიდან გამოდევნილი პირისთვის გამოყენებად იყო მიჩნეული გამოძალავებისგან მიწის ნაკვეთის მფლობელობის კონდიქცირება, მოძრავი ნივთის დაუფლების შემთხვევის მსგავსად,<sup>32</sup> ამასთან, კონდიქციის იგივე ტიპი მისადაგებული იყო იმ შემთხვევისთვის, როდესაც მეუღლე იპარავდა ნივთს მეუღლისგან, რაც არ იყო მოწესრიგებული *condictio ex causa furtiva*-თი (ქურდისგან ნივთის დაბრუნებისკენ მიმართული კონდიქციური მოთხოვნა), რადგან თანაცხოვრების ფაქტიდან გამომდინარე, მიიჩნეოდა, რომ ის ხდებოდა ნივთის თანამესაკუთრე<sup>33</sup>. გადაწყვეტა საბუთდებოდა იმითაც, რომ მეუღლისადმი არ შეიძლებოდა წარდგენილიყო გამაწილებელი მოთხოვნა<sup>34</sup>. დასახელებული შემთხვევები კარგად წარმოაჩენს სკ-ის 978-ე მუხლში შემოთავაზებული კონდიქციის წინარე ისტორიას: მოთხოვნის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა არამართლობრივი საფუძვლით გადაცემულის უკან დაბრუნება, სწორედ ამიტომ, *condictio ex iniusta causa* შინაარსობრივად ყველაზე მეტ მსგავსებას ავლენდა *condictio ex causa furtiva*-თან<sup>35</sup>. განსახილველი მოთხოვნის არსებობის მი-

ზანი საბუთდება ზოგადი პრინციპიდანაც – არ მიიჩნევა ნამდვილად ის, რაც განხორციელებულია ძალადობის შედეგად და შიშის გამო<sup>36</sup>.

რომაული სამართლის მიერ შემოთავაზებული კონდიქციის ტიპებს შორის *condictio ex iniusta*-ს ყველაზე მეტად *condictio ex causa furtiva*-თან (ტიპოლოგიური დაყოფისას – ხელყოფის კონდიქციასთან) მსგავსება წარმოაჩენს იმ გადაწყვეტის სიმცდარეს, სკ-ის 978-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა შესრულების კონდიქციის სახედ იყოს მიჩნეული. ისევე, როგორც პირის მიერ ნივთის არამართლობრივად დაუფლება შესაბამისობაშია სამართლებრივი პოზიციების ხელყოფის შემადგენლობასთან, ასევე პირის იძულება რაიმეს გადაცემაზე არ უნდა იყოს აღქმული შესრულებად. ამ აზრზეა *კონიგიც*, როცა უარყოფს იძულებით რაიმეს გადაცემისას სხვისი ქონების გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ შევსებად შეფასებას<sup>37</sup>. საპირისპიროს მტკიცება იმაზე მითითებით, რომ პირის მიერ რაიმეს გადაცემა მიმღების პერსპექტივიდან შეიძლება იყოს აღქმული შესრულებად, უადგილოა *კონიგის* ვალდებულებითი სამართლის პროექტის პირობებში<sup>38</sup> – *კონიგი* საეჭვობისას შესრულების ეფექტს ობიექტური მიმღების თვალსაწიერიდან არ განმარტავს<sup>39</sup>. ამდენად, შეუძლებელი ხდება სკ-ის 978-ე მუხლში შემოთავაზებული კონდიქციის ტიპი განხილული იყოს შესრულების კონდიქციის კერძო სახედ.

## 3. *condictio ex iniusta causa*-ს შესრულების კონდიქციად განხილვის შესაძლო შედეგი

ქართულ უსაფუძვლო სამართალში კონდიქციის თითოეული ტიპისთვის მოთხოვნის ფარგლების დამდგენი დანაწესის არსებობა ავალდებულებს სამართალშემფარდებელს, დაიცვას შესაბამისობა და კონკრეტული კონდიქციისთვის გამოიყენოს ის მუხლი, რომელიც სწორედ მას მიემართება. ეს გადაწყვეტი ხდება განსახილველ შემთხვევაში, როცა იძულებით გადაცემულის დაბრუნების მოთხოვნა, მისი სამოქალაქო კოდექსში ადგილს თუ მივაქცევთ ყურადღებას, შესრულების კონდიქციადაა მიჩნეული, თუმცა შინაარსობრივად – ხელყოფის კონდიქციას წარმოადგენს. შესრულების უკუქცევის ფარგლებს აწესრიგებენ სკ-ის 979-981 მუხლები, ხოლო ხელყოფის ვალდებულებებს – 984-985 მუხლები. შესაძლო სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისთვის საჭიროა, ერთმანეთთან შეპირისპირებული იყოს მიმღების პასუხისმგებლობის ფარგლები შესრულების კონდიქციის დანაწესის მიხედვით და ხელყოფისადმი მიმართული მოთხოვნის ფარგლები ხელყოფის კონდიქციისთვის დადგენილი ნორმების მიხედვით. ამასთან, რადგან იძულების განმასხორციელებელი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერად (პირად, რომელმაც არ იცის უფლებამოსილების ხარვეზი), შეპირისპირებული უნდა იყოს მხოლოდ პირის არაკეთილსინდისიერებაზე მორგებული მუხლები

<sup>30</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 85, ველი 26.

<sup>31</sup> D. 4. 2. 21. 5 : coactus volui-გამოხებატე მოქმედების ნება, თუმცა იმით, რომ ვიყავი იძულებული; N. Andrews, Contact Law, 2015, p. 310.

<sup>32</sup> D. 47. 2. 25. 1.

<sup>33</sup> D. 25. 2. 1.

<sup>34</sup> D. 25. 2. 2.

<sup>35</sup> И.Б. Новицкий и И.С. Перетерский (ред.), Римское частное право, § 156. *Condictio ex causa furtiva* и *condictio ex iniusta*

*causa*, იხ. ელზმულზე [http://av-ue.ru/rimsk\\_lav.php?d=rl\\_7\\_38\\_153.htm](http://av-ue.ru/rimsk_lav.php?d=rl_7_38_153.htm), ნანახია 12.06.2019.

<sup>36</sup> D. 4. 2. 1.

<sup>37</sup> König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, 1543, ციტირებულია გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 90.

<sup>38</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 91.

<sup>39</sup> König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, 1541, ციტირებულია გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 85.

(არაკეთილსინდისიერი პირი ვერ მიუთითებს სკ-ის 979 III,<sup>40</sup> 980-ე<sup>41</sup> და 984-ე მუხლებზე).

შესრულების უკუქცევის ძირითად პრინციპებს შორის ერთ-ერთი მხარეებს შორის არსებული მოთხოვნა-ვალდებულებების ორმხრივობაა:<sup>42</sup> მიღებული უნდა დააბრუნოს როგორც ერთმა მხარემ, ისე – მეორემ. ამასვე ემსახურება მოთხოვნის კორექცია სკ-ის 979-ე IV, V მუხლებში, რომელიც ზღუდავს განმდიდრების შესაგებებლზე მითითების შესაძლებლობას და ემსახურება პასუხისმგებლობის განაწილებას ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობის სინალაგმატური ბუნებიდან გამომდინარე. ეს დანაწილი არ არსებობს ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში, რადგან ის, თავისი ბუნებით, ცალმხრივი ხასიათისაა (მსგავსად ვინდიკაციისა და დელიქტური მოთხოვნისა, რომლის დანამატადაც ხშირად მოიპოვება ხელყოფის კონდიქცია<sup>43</sup>). იძულებით გადაცემულის უკუქცევისას ეს საკითხი საერთოდ არ დგება, რადგან დაუშვებელი ზემოქმედების განმახორციელებს არაკეთილსინდისიერების გამო საერთოდ ერთმევა უფლება, მიუთითოს განმდიდრებაზე.

განსხვავებულადაა მოწესრიგებული გამდიდრებულთა პასუხისმგებლობა შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციების გამოყენებისას მიღებულ საგანზე გაღებული ხარჯების მოთხოვნის საკითხი: სკ-ის 981 III მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ აუცილებელი ხარჯები, როცა სკ-ის 984 II მუხლის მიხედვით, გამოყენებული სიკეთისადმი გაჩეული ხარჯები ვერ შეამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას.

თუკი სკ-ის 979 I მუხლი მიუთითებს შეძენილის, სარგებლისა და მიღებულის სუროგატის დაბრუნების ვალდებულებებზე, სკ-ის 985 I მუხლი არაკეთილსინდისიერ ხელმოყოფს ავალდებულებს დააბრუნოს ის მოგებაც, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს. ერთი შეხედვით, ქონებრივი დანაკლისის ცნების გამოყენება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში უადგილოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ქონებრივი დანაკლისის არსებობა დელიქტური მოთხოვნებისთვის ხდება გადამწყვეტი და კონდიქციური მოთხოვნები ნეიტრალურია ქონებრივი აქტივების შემცირებასა თუ პასივების ზრდის საკითხებისადმი. მეორე მხრივ, კანონმდებლის ეს გადაწყვეტა დასაბუთებადია: უფრო ცხადი ხდება ხელყოფის კონდიქციის მიზნები და დამოუკიდებლობა ქონებრივი დანაკლისის არსებობა-არარსებობისგან. მაგალითად, იძულებით საწარმო მანქანა-დანადგარების გადაცემისას, თუკი ამას შესრულების კონდიქციად მოვიანბრებთ, მიმღების მიერ გადაცემული საგნის საწარმო პროცესებში ჩართვა და ამით მიღებული მოგება ვერ იქნება მოთხოვნა-

ლი მეორე მხარის მიერ,<sup>46</sup> როცა ხელყოფის კონდიქციისთვის განსაზღვრული ნორმისთვის ეს შესაძლებელია. შინაარსობრივად ხელყოფის კონდიქციის მორგება შესრულების კონდიქციის პრინციპებზე მცირედით, მაგრამ მაინც ცვლის სამართლებრივ შედეგს. თუმცა საკითხავია ისიც, მხოლოდ სკ-ის 978-ე მუხლის შესრულების კონდიქციად მიჩნევა არის საეჭვო თუ საერთოდ მოთხოვნის ამ შინაარსით არსებობა უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში.

**V. სკ-ის 978-ე მუხლის მოქმედების შესაძლო არეალი**

განკარგვითი გარიგების აღიარებისა (იხ. ზემოთ) და შესრულების კონდიქციის ზოგადი ნორმის არსებობის პირობებში სათუო ხდება იძულებით გადაცემულის უკუქცევის სპეციალური დანაწილის არსებობის აუცილებლობა. გაუგებარი რჩება, რა შემთხვევებს მოიცავს სკ-ის 978-ე მუხლის მოქმედების სფერო და რომელი ფაქტობრივი შემადგენლობები უნდა იყოს მოწესრიგებული ამ ნორმით. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს ვალდებულებითი და განკარგვითი გარიგებები და ნივთის გადაცემა სკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით. ნივთის გადაცემა, ანუ რეალაქტი, საკუთრების გადამცემი სანივთო გარიგებისგან განსხვავებით, არაა შეცილებადი<sup>47</sup>. თუკი მაქსიმალურად შევეცდებით სკ-ის 978-ე მუხლის არსებობის გამართლებას, შეიძლება განიშარტოს, რომ ეს ნორმა საშუალებას აძლევს იძულებულ პირს დაიბრუნოს ისიც, რაც გადასცა იძულების განმახორციელებელს რეალაქტით და ამ უკანასკნელის შეცილებისა თუ ეფექტის გამაქარჩელებელი სხვა საშუალება ნორმატიულ ინსტრუმენტებში არ მოიპოვება<sup>48</sup>. თეორიულადაც კი უსუსურად დასაბუთებული აზრი საერთოდ გაუგებარ შინაარსს იძენს პრაქტიკულად: როდესაც პირს აიძულებენ, დათმონ ნივთი, ამ უკანასკნელის გადაცემით ივლისსხმება, რომ პირი გამოხატავს ამ ნივთზე საკუთრების გადაცემის ნაკლულს, თუმცა იმ მომენტში (შეცილებამდე) მაინც ნამდვილ ნებას<sup>49</sup>. რეალაქტის, ვალდებულებითი და სანივთო გარიგებების ასეთი მექანიკური დანაწევრება საკუთრების გადაცემას ზედმეტად ფორმალურ პროცესად გადააქცევს და საერთოდ მოწყვეტს სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულ რიტმს. ამიტომ სკ-ის 978-ე მუხლის შემადგენლობაში იმის მოაზრება, რომ როგორც ვალდებულებითი, ისე სანივთო გარიგება იყო ნამდვილი და ნივთის მფლობელობის დათმობა და გადაცემა მოხდა იძულების შედეგად, არამართებულად უნდა ჩაითვალოს.

**VI. იძულებით გადაცემულის დაბრუნების ინსტრუმენტები**

condictio ex iniusta causa კონიკის ვალდებულებითი სამართლის პროექტში იძულებული პირის ინტერესების დაცვის დამატებით საშუალებად საბუთდებოდა, რომელიც მას

<sup>40</sup> კ. შნიტგერი, ლ. შატერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 979, ველი 15, ხელმისაწვდომია ელბმულზე <http://www.gccc.ge>, ნანახია 15.06.2019.

<sup>41</sup> იქვე, მუხლი 980, ველი 1.

<sup>42</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 123.

<sup>43</sup> კ. შნიტგერი, ლ. შატერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 979, ველები 18 და 22, ხელმისაწვდომია ელბმულზე <http://www.gccc.ge>, ნანახია 15.06.2019.

<sup>44</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ევანტაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 89.

<sup>45</sup> მსკელობისას სკ-ის 984-ე მუხლის განხილვა ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, რადგან თუკი კეთილსინდისიერ პირს, რომელმაც გაუცნობიერებლად ხელყო სხვისი სამართლებრივი პოზიციები, არ აქვს გაჩეული ხარჯებზე მითითების უფლება გამდიდრების ოდენობის შემცირებისთვის, ამის უფლება მით უმეტეს ვერ ექნება იმას, ვინც ხელყოფისას საკუთარი უფლებამოსილების ხარვეზი იყოდა.

<sup>46</sup> კ. შნიტგერი, ლ. შატერაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 979, ველი 14, ხელმისაწვდომია ელბმულზე <http://www.gccc.ge>, ნანახია 15.06.2019.

<sup>47</sup> გ. რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, I, 2019, გვ. 27.

<sup>48</sup> ისევე, როგორც ზემოთ, აქაც მსჯელობაში ივლისსხმება შემთხვევები, როდესაც ვალდებულებითი გარიგება ნამდვილია, ხოლო საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში გამოვლენილი ნება იყო ნაკლული.

<sup>49</sup> ეს გასაგები ხდება იმ მოსაზრებებითაც, რომლითაც ნება საერთოდ არ ითვლება გამოვლენილად, როდესაც იძულება ნების გამტეხი ხასიათისა ან იძულებული ავლენს ნებას, თუმცა შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილის გარეშე (იხ. ზემოთ).

ათავისუფლება დელიქტური პასუხიმგებლობისთვის საჭირო წინაპირობების დამტკიცების ტვირთისგან<sup>50</sup>. შესრულების კონდიქციის ზოგადი დანაწესის გარდა სხვა ნორმის შექმნა მართლებოდა იმით, რომ დაზარალებულს არ უწყევდა იმის მტკიცება, რომ პირს უფლება არ აქვს მიღებულზე ფაქტობრივად, *condictio ex iniusta causa*-ს თანამედროვე ანალოგს პროცესუალური დანიშნულება აქვს, ხოლო მატარიალურსამართლებრივად მისი მიზანი გაურკვეველია, სულაც, არარსებულია.

### 1. ვინდიკაციური სარჩელი

უფლებამოსილი პირის მიერ იმ გარიგების შეცილების შემდეგ, რომელიც მართლწესრიგით საცილო გარიგებათა კატეგორიასაა მიკუთვნებული, ორმხრივი ნების გამოვლენა ითვლება ბათილად მისი გამოვლენის მომენტიდან. ამდენად, ვალდებულებითი გარიგების ბათილობისას იქმნება ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, რომელშიც მიმღებმა ვერ შეიძინა საკუთრება ნივთზე (თუკი შესრულების საგანი იყო ნივთზე საკუთრება) კაუზალური პრინციპის გამო და ეს ნივთი მის უკანონო მფლობელობაშია. ეს შემადგენლობა სრულიად მიესადაგება ვინდიკაციური მოთხოვნის წინაპირობებს: მოსარჩელე, რომელსაც საკუთრების უფლება აქვს ნივთზე და მოპასუხე, როგორც მფლობელი ფლობის უფლების გარეშე.

ვინდიკაციისას იძულებულს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ მასზე განხორციელდა იძულება და ის გარიგებას შეეცილა. ამ გარემოებების დამტკიცება გულისხმობს იმას, რომ მოპასუხეს არ აქვს ფლობის უფლება, რადგან შეცილების უფლების განხორციელება გარიგების ბათილობით აცლის მის ფლობას სამართლებრივ საფუძველს. შეცილებად კი ითვლება ნების გამოვლენა, რომელიც ცალსახად მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისა და უკუქცევისკენ.<sup>52</sup> ამდენად, ეს სამართლებრივი საშუალება არ აწევს დაზარალებულს მტკიცების განუზომელ ტვირთად, რის ჩამნაცვლებელ მოთხოვნადაც შეიძლება გამოდგეს სკ-ის 978-ე მუხლი.

ერთ-ერთი გადაწყვეტილების<sup>53</sup> მიღებისას უზენაესმა სასამართლომ განიხილა იძულებით დათმობილი წილების საკუთრების ბედი, რომელიც ნების გამოვლენაში განხორციელებული დაუშვებელი ჩარევის შემდეგ რამდენჯერმე გასხვისდა და მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თითოეული გარიგება იყო მოსაჩვენებლად დადებული. რთული ფაქტობრივი გარემოებებისთვის სამართლებრივი კონსტრუქციის მისადაგებისგან განსხვავებით, სიძნელეს არ წარმოადგენდა იმის საზგასმა, რომ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებთან (თუნდაც რეგისტრირებადთან) მიმართებაში დაუშვებელია ვინდიკაციური მოთხოვნის გამოყენება, რადგან უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება მხოლოდ ნივთებს მიემართება.

### 2. დელიქტური პასუხიმგებლობა

იძულებულს რჩება კიდევ ერთი საშუალება დაიცვას საკუთარი სამართლებრივი პოზიციები დელიქტური პასუხიმგებლობის დამდგენი ნორმების საშუალებით<sup>54</sup>. სკ-ის 992-ე მუხლი აკისრებს პირს იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიყენებულია მისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. მოსარჩელეს მოუწევს იძულების ფაქტისა და იძულებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის<sup>55</sup> დამტკიცება, რადგან იძულების შემადგენლობა თავისთავად მართლსაწინააღმდეგოა და ბრალეულიც. დასახელებული აგრეთვე არ განსხვავდება მტკიცების ტვირთის იმ მოცულობისგან, რომელსაც სთავაზობს დაზარალებულს იძულების შედეგად უკუქცევის სპეციალური წესი.

ამდენად, იძულებულს აქვს საჭირო და განხორციელება-დი სამართლებრივი საშუალებები დარღვეული უფლების აღსადგენად, რაც *condictio ex iniusta causa*-ს არსებობას კონდიქციური სამართლის სისტემაში უსარგებლოს ხდის. ეს გაუგებრობა კარგად ჩანს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებებში, როდესაც უცნობი რჩება, რატომაა გამოყენებული დასახელებული ნორმა და არა რომელიმე სხვა.

### 3. სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი ინსტრუმენტები

ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილების<sup>56</sup> მიხედვით, მოსარჩელე ითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულებით დათმობილი ქონების დაბრუნებას, თუმცა სასამართლო იმის მაგივრად, რომ ვრცლად ემსჯელა მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებებზე, დასაბუთების მეტი ნაწილი დაუთმო იმის განხილვას, რომელი სამინისტრო (რომლის თანამშრომელმაც განახორციელა იძულება თუ რომელიც პასუხიმგებელია სახელმწიფო ფინანსებზე და, ამდენად, შეძლებს დაკისრებული თანხის გადახდას) უნდა ჩათვლილიყო სათანადო მოპასუხედ. სამოტივაციო ნაწილში ვერ ვხვდებით რაიმე მითითებას იმაზე, რატომ დასჭირდა სასამართლოს როგორც სკ-ის 976 (ა), ისე 978-ე მუხლის გამოყენება, როცა ორივე მათგანი მოთხოვნის დამფუძნებელ დამოუკიდებელ ნორმებად უნდა იყოს მოაზრებული.

მსგავს ფაქტობრივ შემადგენლობაში, როგორც უკვე განხილული იყო, ზედმეტია მითითება სკ-ის 978-ე მუხლზე, როდესაც შესრულების კონდიქციის ზოგადი შემადგენლობა საეხებით საკმარის საშუალებად გვევლინება იძულებით გადაცემული საკუთრების უკუქცევისთვის.

მოთხოვნის ორ საფუძველზე მითითა საკასაციო სასამართლომ სხვა შემთხვევაშიც,<sup>57</sup> როდესაც მოსარჩელე ითხოვდა ქალაქის თვითმმართველობის მხრიდან განხორციელებული იძულებით დათმობილი ქონების დაბრუნე-

<sup>50</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 91.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (სუსგ №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017) იძულებულის საჩივრებით მიმართვა პროკურატურისადმი, რაც მოქმედი კანონმდებლობით აძლევდა დაზარალებულს უფლებას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი, ჩათვალა შეცილებად.

<sup>53</sup> სუსგ №ას-664-635-2016 (2 მარტი, 2017).

<sup>54</sup> ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლო სწორად განმარტავს დელიქტური ნორმების გამოყენების შესაძლებლობას და მართებულად იყენებს მათ იძულებით გაცემული საკუთრების მოსარჩელისთვის მიკუთვნებისთვის, რაც, ვინდიკაციური სარჩელისგან განსხვავებით, მიემართება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც.

<sup>55</sup> პირობითად, მიზეზობრიობა დადასტურებულად ჩათვლება, თუკი იძულება (არამართლმომიერი ქცევა) იყო ეფექტური მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების დადებაზე დაყოლიებისთვის, *Stephen A. Smith, Contracting under Pressure: A Theory of Duress*, *The Cambridge Law Journal*, Vol. 56, II, (Jul., 1997), p 355.

<sup>56</sup> სუსგ №ას-225-215-2016 (25 მაისი, 2016)

<sup>57</sup> სუსგ №ას-224-213-2017 (28 აპრილი, 2017)

ბას. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ არ დაასაბუთა ორი საფუძვლის გამოყენების აუცილებლობა და მხოლოდ მუხლებზე მოკლე კომენტარით შემოიფარგლა, რომელიც ნორმების დისპოზიციას იმეორებდა: „შეიკლების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩლის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა“. სწორედ ეს დასაბუთებაა მიმანიშნებელი იმაზე, რომ სკ-ის 978-ე მუხლზე (რომელიც მოყვანილი ციტატის შემდეგ წინადადებაშივეა ნახსენები) მეტად ფაქტობრივ შემადგენლობას სკ-ის 976 I ა) მუხლი მიესადაგება, რომელიც გაქარწყლებული სამართლებრივი საფუძვლისას გადაცემულის დაბრუნების ვალდებულებას ადგენს.

სხვა გადაწყვეტილებაში<sup>58</sup> სასამართლო იძულებით დათმობილი ქონების დაბრუნების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ ნება გამოვლენილი საერთოდ არ ყოფილა, რაც გარიგების უცილოდ ბათილად აქცევდა. საკასაციო პალატამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად გამოიყენა სკ-ის 976-ე მუხლი, რაც სწორ გადაწყვეტად უნდა შეფასდეს, თუმცა არც უცდია დაესაბუთებინა, რატომაა მიზანშეწონილი სკ-ის 978-ე მუხლის მითითება. სასამართლო იძულებით გადაცემულის უკუქცევისთვის ხან იყენებს სკ-ის 976-ე მუხლს, ხან მიუთითებს სკ-ის 978-ე მუხლზე, ხან-ორივე მათგანზე. ერთ შემთხვევაში მოსამართლე დავას გადაწყვეტს ერთი მუხლით, მეორე შემთხვევაში-განსხვავებულით; მსგავსი შემადგენლობებიდან გამომდინარე ერთნაირი შინაარსის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მსჯელობა სხვადასხვა ნორმებთან კავშირში ვერ იქნება სამართლებრივ სტაბილურობაზე მიმანიშნებელი.

**VII. ძალადობაზე სახელმწიფოს მონაპოლიისთვის გვერდის ავლა**

უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა ყოველთვის მხოლოდ მაშინაა განხორციელებადი, როდესაც წანაცვლებული სიკეთე ერთი ქონებრივი ფონდიდან მეორისკენ სამართლებრივი საფუძვლის არმქონეა. კონდიქციის თითოეული ტიპი ამავე მიუთითებს სპეციალური ტერმინების გამოყენებით (სკ-ის 976-ე მუხლში მიმღების „ვითომ-კრედიტორად“ მოხსენიება, სკ-ის 982-ე მუხლში- „მისი თანხმობის გარეშე“, სკ-ის 983-ე მუხლში- „იღებს არაუფლებამოსილი პირი“ და ასე შემდეგ). სკ-ის 978-ე მუხლში მიმღების არაუფლებამოსილების დაკონკრეტება თითქოს არ უნდა იყოს რთულად გასაგები, მაგრამ ნორმის შინაარსის მაგალითზე გადატანა არასახარბიელო შედეგამდე მიგვიყვანს: თუკი პირთა მიერ დადებული სანივთო და ვალდებულებითი გარიგებები ნამდვილია და პირზე განხორციელებული იძულების შედეგად მან გადასცა იძულების განმახორციელებელს ნივთზე მფლობელობა,<sup>59</sup> მიმღებს შეეძლება მიუთითოს, რომ მას გადაცემულზე უფლება გააჩნია ნამდვილი ვალდებულებითი და სანივთო გარიგებებიდან გამომდინარე. მუხლი იძლევა იძულების ლეგიტიმაციის

შესაძლებლობას, რაც შეუთავსებელია ძალადობაზე სახელმწიფოს მონაპოლიის პრინციპთან<sup>60</sup>. ფაქტობრივად მართლსაწინააღმდეგო და ამიტომ დაუშვებელი ქმედებები კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს მართლმორიერად, რაც განისაზღვრება სკ-ის 116-118 მუხლებით. სკ-ის 978-ე მუხლის პრობლემურ ნაწილს ყველაზე მეტად შინაარსობრივად უახლოვდება თვითდახმარების უფლება (სკ-ის 118-ე მუხლი), რომელიც პირს აძლევს საშუალებას, უფლების (ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, მოთხოვნის<sup>61</sup>) დარღვევის თავიდან ასაცილებლად თვითნებურად განახორციელოს ნორმაში მითითებული ქმედებები (ნივთის განადგურება, წართმევა ან დაზიანება, ვალდებულები პირის შეპყრობა ან მისი წინააღმდეგობის აღკვეთა იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა). შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ *condictio ex iniusta causa* არის თვითდახმარების უფლების კერძო გამოვლინება.

თვითდახმარების უფლების განხორციელების ხერხებიდან მხოლოდ რამდენიმე შეიძლება მოთავსდეს იძულების შემადგენლობაში სკ-ის 978-ე და 118-ე მუხლების შინაარსობრივი ბმის მიზნებისთვის: ვალდებულები პირის შეპყრობა და მისი წინააღმდეგობის აღკვეთა იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, ხოლო დანარჩენი ვერ ჩაითვლება ადამიანზე ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებად. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, სკ-ის 978-ე მუხლი დამატებით საშუალებას აძლევს თვითდახმარების უფლების განმახორციელებელს, რადგან მას შეუძლია მიუთითოს სამართლებრივი საფუძვლის არსებობაზე და მიღებული შეინარჩუნოს, რაცა ამას ვერ შეძლებდა ზოგადი ნორმების გამოყენებით<sup>62</sup>. მსგავსი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად. *Condictio ex iniusta causa*-თვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება მიღებულზე უფლებისთვის თვითდახმარების წინაპირობებს უვლის გვერდს და ახალისებს კერძო პირების ისეთ ქმედებებს, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს იძულების ღონისძიებებად უნდა გვევლინებოდეს. სკ-ის 118-ე მუხლი თვითდახმარების უფლების წარმოშობას უკავშირებს კომპეტენტური ორგანოების დახმარების დროულად ვერმოსწრებას და მოქმედების სისწრაფის აუცილებლობას. მსგავსი წინაპირობებს სკ-ის 978-ე მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს, რაც ნებას რთავს პირს, სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს, მაგალითად, ცემით ან ცემის მუქარით. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს არა გამომძალველის სამართლებრივი პოზიციების დაცვის საშუალებების შექმნა, არამედ *condictio ex iniusta causa*-ს მოქმედების მაქსიმალურად დავიწროება და გადაცემულის უკუქცევა მიღებულზე უფლების მიუხედავად.

შესაძლოა სკ-ის 978-ე მუხლის არსებობის გამართლება დასაბუთდეს სკ-ის 85-ე მუხლით, რომელიც იძულებულ პირს დაუშვებელი ზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების შეცილების უფლებას აძლევს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იძულება მომდინარეობს მესამე პირისგან და არა გარიგების მხარისგან. თუკი გარიგების მხარემ მიიღო იძულების შედეგად გადაცემული იმის შეცნობის გარეშე, რომ შემსრულებელზე იძალადეს ან დაემუქრნენ, თითქოს გამართლებული ჩანს კონდიქციის დაუშვებლობა, თუ მიმღებს

<sup>58</sup> სუსგ № ას-761-729-2016 (31 იანვარი, 2017)  
<sup>59</sup> შემთხვევის ანომალიურობაზე, როდესაც ნამდვილია ვალდებულებითი და სანივთო გარიგებები და რეალაქტი არის იძულების შედეგი იხ. ზემოთ. მსჯელობისას ამ შემთხვევის ამოსავალ წერტილად აღქმა თეორიულად საჭიროა ნორმის გაუმართლებელი შედეგების წარმოჩენისთვის. ეს შედეგი უცვლელია სკ-ის 978-ე მუხლის შესაძლო არამართებული განმარტების პირობებშიც, რომლის მიხედვითაც ის მიიჩნევა იძულებით დადებული გარიგების უკუქცევის სპეციალურ წესად.

<sup>60</sup> გ. რუხიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 85, ველი 33.  
<sup>61</sup> ს. ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 118, ველი 3.  
<sup>62</sup> იქვე, მუხლი 119, ველი 2.

ეკუთვნოდა გადაცემული „რაიმე“. თუმცა ამგვარი განმარტება არათანმიმდევრულია, რადგან შეცილების უფლების არსებობის დაკავშირება კონტრაპენტის კეთილსინდისიერებასთან გათვალისწინებულია მხოლოდ პირის მოტყუების გამო შეცილების უფლების გამოყენების მომწესრიგებელ ნორმებში (სკ-ის 831 მუხლი). ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოტყუების გამო კონტრაპენტის ნება ნაკლულია და პირმა ამის შესახებ არ იცის, ერთმანეთს უპირისპირდება გარიგების სარგებლის მიძღვრის ნდობა და მოტყუებულის ნდობა,<sup>63</sup> რასაც კანონი წყვეტს მიძღვრის სასარგებლოდ, თუ მიძღვრის არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა მოტყუების შესახებ. იგივე გადაწყვეტა არ გამოიყენება იძულებისას პირის ნების ფორმირებაში ჩარევის უფრო მაღალი ხარისხის გამო: იძულების ქვეშ მყოფ მხარეს ყოველთვის შეუძლია გარიგების ბათილობა მოითხოვოს<sup>64</sup>.

კეთილსინდისიერი მხარის ინტერესების გასათვალისწინებლად გამოდგება არა სკ-ის 978-ე მუხლი, რომლის განხილული ხერხით განმარტება არასწორია, არამედ სკ-ის 79 II მუხლის ანალოგიის გამოყენება,<sup>65</sup> რაც მის ნდობას დაიცავს გარიგების ბათილობიდან გამორჩეული ზიანის ანაზღაურებით.

### VIII. დასკვნა

სკ-ის 978-ე მუხლი ითვალისწინებს იძულების შედეგად გადაცემული უკუქცევის წესს, რაც აღქმულია შესრულების კონდიქციის კერძო სახედ. განკარგვითი გარიგების კონსტრუქციის აღიარების პირობებში იძულების შედეგად დადებული სანივთო გარიგების უკუქცევა უნდა ხორციელდებოდეს სკ-ის 976 I ა) მუხლით, რადგან განკარგვითი გარიგება შეცილებადა. *Condictio ex iniusta causa*, რომაული სამართლის დანაწესების ანალიზიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ემსგავსება ხელყოფის კონდიქციის შემადგენლობას და არა შესრულების კონდიქციას, რასაც კარგად გამოხატავს დასახელებული მოთხოვნისა და ქურდობით მისაკუთრებულის კონდიქციის წესის (*condictio ex causa furtiva*) მონათესავე მოთხოვნებზე განხილვა რომაულ სამართალში. შესრულების კონდიქციის ფარგლების მასშტაბი

შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე გამკაცრებული პასუხისმგებლობისგან, რაც თავს იჩენს იძულებით გადაცემულის უკუქცევის სხვადასხვა სამართლებრივ შედეგში იმისდა მიხედვით, კონდიქციის რომელ ტიპად იქნება მიჩნეული *condictio ex iniusta causa*.

სათუთა სკ-ის 978-ე მუხლის არსებობის გამართლება იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა, ქონებრივი დანაკლისი მოითხოვოს დელიქტური მოთხოვნების გამოყენებით, ან გადაცემულზე მფლობელობა დაიბრუნოს ვინდუკაციური სარჩელით. დასახელებულ ინსტრუმენტებში მტკიცების ტვირთის ხარისხი არსებითად არ განსხვავდება სკ-ის 978-ე მუხლში შემოთავაზებული სგან. გაუგებრობა აისახება სასამართლო გადაწყვეტილებებშიც, როდესაც სამართალშემფარდებელს უჭირს მოთხოვნის სწორი საფუძვლის შემთხვევისადმი მისადაგება. მიღებულზე უფლების არსებობისას გადაცემულის კონდიქციის გამოორიცხვა აძლევს უფლებას კერძო პირს, მოთხოვნის განუხორციელებლობის საშიშროების შემთხვევაში ვალდებულ პირს დაემუქროს ან მასზე იძალადოს ისე, რომ არ დაიცვას თვითდაზარების უფლებისთვის წაყენებული აუცილებელი წინაპირობები; კანონმდებლის ამგვარი გადაწყვეტა გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

სამართლებრივი ინტერესების დაცვის დამატებითი საშუალების შექმნა ყოველთვის უნდა შეფასდეს დადებითად, თუკი ეს სისტემურად გამართლებული და თანმიმდევრულად დასაბუთებადია. თუმცა იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა თავი დაიცვას სამოქალაქო კოდექსით შემოთავაზებული სხვა მოთხოვნებით, გაუგებარი ხდება კანონმდებლის მისწრაფება შექმნას კონდიქციის ისეთი სახე, რომელიც თავისი არსებობით აჩენს მეტ გაუგებრობას და იცავს ვერავის. გამოსავალი იქნებოდა არა სკ-ის 978-ე მუხლის შექმნა და მისი პრაქტიკაში დაუსაბუთებლად გამოყენება, არამედ მისი მოქმედების ფარგლების მაქსიმალურად შეზღუდვა კანონმდებლის ხარვეზის ამოსავლებად, რაც წარმოუდგენელია სასამართლოს მონაწილეობის გარეშე. სამართალშემფარდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ისეთ შემთხვევებში, როგორც აღწერილია, განმარტოს ნორმები და დაამკვიდროს გამართული პრაქტიკა ერთმანეთის მსგავს ფაქტობრივ შემადგენლობებთან დაკავშირებით.

<sup>63</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 83, ველი 1.

<sup>64</sup> ბ. შიძიე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხლი 85, გვ. 242.

<sup>65</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 7. Aufl. 2015, &123 Rn. 117, ციტირებულია გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 85, ველი 24.

# მოთხოვნის გადასვლა ექსპედიციისა და ლიზინგის ხელშეკრულებებში

თათია ჯორბენაძე

## შესავალი

ლიზინგისა და სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებები, მონაწილე პირთა რაოდენობის მიუხედავად, ორმხრივი გარიგებების რიცხვს მიეკუთვნება.<sup>1</sup> გამომდინარე იქიდან, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება სამხმრივი ხელშეკრულებებისგან რადიკალურად განსხვავდება<sup>2</sup>, სალიზინგო ურთიერთობაში, მიმწოდებელსა და ლიზინგის გამცემს შორის არსებული ხელშეკრულება ლიზინგის მიმღების სასარგებლოდ, ხოლო სატრანსპორტო ექსპედიციის დროს გადამზიდველისა და ექსპედიტორის ხელშეკრულება – შემკვეთის სასარგებლოდ დადებულად უნდა ჩაითვალოს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც, მესამე პირის ინტერესებიდან გამომდინარე კონტრაქტული საკუთარი სახელითა და მესამე პირის ხარჯზე მოქმედებს. ასეთ დროს ხელშეკრულების მეორე მხარე შეიძლება არც იცოდეს, რომ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ იდება. შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად დამდგარი ზიანის შემთხვევაში რთულია იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა მესამე პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უშუალო უფლება. წინამდებარე სტატიის მიზანია ლიზინგისა და ექსპედიციის მაგალითზე განვიხილოთ მესამე პირებზე მოთხოვნის გადასვლის საფუძვლები მათ სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებში და ჩამოაყალიბოს ალტერნატიული შეხედულება ექსპედიციის 741-ე მუხლის სამოქალაქო კოდექსის კომენტართან დაკავშირებით.

### I. მესამე პირის ცნება სამოქალაქო სამართალში

მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არის ორმხრივი, კრედიტორსა (შეპირების მიმღები) და მოვალეს (შემპირებელი) შორის დადებული გარიგება, რომლის მიზანია სარგებელი მოუტანოს მესამე პირს. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ არის ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახე. ასეთად შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირისთვის სარგებლის მიღების შესაძლებლობას იძლევა. და-

დების მიზანი ასევე შეიძლება იყოს ვალდებულების მარტივად და მოკლე დროში შესრულება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მონაწილეობენ შემპირებელი (მოვალე), შეპირების მიმღები (კრედიტორი) და მესამე პირი, ვის სასარგებლოდაც უნდა შესრულდეს ხელშეკრულება (ბენეფიციარი).<sup>3</sup> თითოეულ მათგანს შორის ურთიერთობა შეიძლება ცალ-ცალკე დახასიათდეს.<sup>4</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობის სავარაუდო შედეგების განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია იმ წინაპირობების გააზრება, თუ როდის აქვს მესამე პირს მოთხოვნის უფლება მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. საკანონმდებლო დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისუფლების არეალში მხოლოდ იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ასეთი ხელშეკრულების მიზანი კანონით დადგენილ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს.<sup>5</sup> ცალკე რაიმე შეზღუდვა მესამე პირთა სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას არ გვხვდება.<sup>6</sup> სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მესამე პირს მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლება აქვს, თუმცა რიც შემთხვევებში, ვალდებულების არსიდან გამომდინარე, მესამე პირს არ შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება და კრედიტორის მოთხოვნის უფლება მასზე არ გადადის, რადგან „ხელშეკრულებიდან სარგებლის მომლოდინე პირია და არა კრედიტორი“.<sup>7</sup>

### II. მესამე პირის მოთხოვნის ზოგადი ფარგლები

როდესაც მესამე პირს მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან შესრულების მოთხოვნა შეუძლია, ასეთ ხელშეკრულებებს მესამე პირთა დამოუკიდებელი მოთხოვნით დადებულს უწოდებენ,<sup>8</sup> ხოლო როდესაც მოთხოვნის უფლება არ აქვს, ასეთი მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ხელშეკრულებად მოიხსენება.<sup>9</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცნობს ცნებებს მესამე პირის მიმართ დადებულ „ნამდვილ“, სრულ ხელშეკრულებას (სა-

<sup>1</sup> ჯანხოთელი, ლიზინგი, ჟურნალი აღმანახი, ოქტომბერი, 1998, 55, <<http://www.library.court.ge/upload/ar%20devs%2012.pdf>> [15.09.2019]; თუმანიშვილი, ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 142, <<http://eprints.iliauni.edu.ge/588/1/Contract%20Drafting%20Technique%20and%20Legal%20Liability%20Normative%20Regulation.pdf>> [15.09.2019].

<sup>2</sup> ლევაშვილი, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი N2, 2016, 108.

<sup>3</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 349, ველი 1, <[gccc.ge](http://gccc.ge)> [23.09.2019].

<sup>4</sup> ქუჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, 85.

<sup>5</sup> კობახიძე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, 233, მუხლი 328, ველი 5.

<sup>6</sup> ავტორთა კოლექტივი, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 214.

<sup>7</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 280.

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, 03.10.2003, 3გ-ად-185-პ-03.

<sup>9</sup> ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, სამართალი, 2001, მუხლი 349, 214-215.

<sup>10</sup> ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, სამართალი, 2001, მუხლი 349, 214-215.

დაც შესაძლებელია მოთხოვნა) და არასრულ, „არანა-  
მდივლ“ ხელშეკრულებას.<sup>11</sup>

განსახილველი საკითხის მიზნებისთვის, მოთხოვნად ძი-  
რითადად მეორადი მოთხოვნის უფლება იგულისხმება. ეს  
დასაბუთება გამომდინარეობს იქიდან, რომ მესამე პირი არ  
არის ხელშეკრულების კონტრაპენტი და უფლება არ აქვს  
შეცვალოს შეთანხმებული პირობები.<sup>12</sup> მესამე პირის მეო-  
რადი მოთხოვნა უნდა ჯდებოდეს მის სასარგებლოდ დადე-  
ბული ხელშეკრულების მოთხოვნის ფარგლებში<sup>13</sup> და არ  
უნდა წყვეტდეს, ცვლიდეს ან ეწინააღმდეგებოდეს<sup>14</sup> ხელშე-  
კრულების არსებით პირობებს, რომლებსაც უშუალოდ კო-  
ნტრაპენტები განსაზღვრავენ და მესამე პირიც სწორედ ამ  
ხელშეკრულების ფარგლებში იღებს სარგებელს.<sup>15</sup>

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მეორადი მო-  
თხოვნის საფუძველი მხოლოდ პირველადი მოთხოვნის შე-  
უსრულებლობაა<sup>16</sup> და ორივე მოთხოვნის ერთდროულად  
დაყენება დაუშვებელია.<sup>17</sup> შესაძლოა გაჩნდეს კონკურენცია  
კონტრაპენტსა და მესამე პირის მოთხოვნებს შორის. მაგა-  
ლითად, მოვალე მეორად ვალდებულებას ასრულებს მესა-  
მე პირის მიმართ, რაზეც კრედიტორი თანახმა არ არის. სა-  
კითხი უფრო რთულად გადასაწყვეტი იქნება თუ ვალიარებთ  
სამართლებრივ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას,  
რომ მესამე პირი უფლებამოსილია გამოიყენოს ნებისმიერი  
სამართლებრივი საშუალება იმ ვალდებულების შესრულე-  
ბის უზრუნველსაყოფად, რომლიდანაც სარგებელს იღებს.  
გამოდის, მესამე პირი თადარიგს იმთავითვე იჭერს ვალდე-  
ბულების დარღვევაზე და უფლება აქვს მოვალეს (შემპირე-  
ბელს) მოსთხოვოს როგორც პირგასამტეხლო, ისე უძრავი  
ქონების იპოთეკით დატვირთვა და სხვა.

### III. მესამე პირის მოთხოვნა ექსპედიციის ხელშეკრულებაში

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ექსპედიციის ხელშე-  
კრულება შემკვეთსა და ექსპედიტორს შორის იდება. ექსპე-  
დიტორი მოქმედებს საკუთარი სახელით, ხოლო ხარჯს შე-  
მკვეთი იღებს. ექსპედიტორი რაც უნდა დამოუკიდებლად  
მოქმედებდეს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შე-

მკვეთის ინტერესები.<sup>19</sup> ექსპედიტორმა შესაძლოა ტვირთის  
გადასაზიდად სხვა პირს მიმართოს.<sup>20</sup> ასეთ დროს შემკვეთი  
არის ის მესამე პირი, ვის სასარგებლოდაც იდება გადამზი-  
დველსა და ექსპედიტორს შორის გარიგება,<sup>21</sup> შემკვეთსა და  
ექსპედიტორის ხელშეკრულების მიზნებისთვის კი, გადა-  
მზიდველი უბრალოდ სხვა მესამე პირია და არ უნდა ჩაი-  
თვალოს გარიგებით მოსარგებლე მესამე პირად, რადგან  
შემკვეთსა და ექსპედიტორს შორის დადებული ხელშეკრუ-  
ლების უშუალო მიზანი არ არის გადამზიდველისთვის სა-  
რგებლის მიღება. ამის საწინააღმდეგოდ, ექსპედიტორისა  
და გადამზიდველის გარიგებისთვის შემკვეთი არის ის მესა-  
მე პირი, ვის სასარგებლოდაც იდება ხელშეკრულება.

#### 1. მოთხოვნა 741-ე მუხლის მიხედვით

741-ე მუხლში ნახსენები „ხელშეკრულება“ ეხება უშუა-  
ლოდ ექსპედიტორსა და შემკვეთს შორის დადებულ გარი-  
გებას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, თუ ექსპედიციის ხე-  
ლშეკრულების შესრულებისას დგება ზიანი ურთიერთობაში  
მონაწილე მესამე პირის (მაგალითად, გადამზიდველის) მი-  
ზებით, მაშინ ექსპედიტორი ვალდებულია შემკვეთს გადა-  
სცეს მოთხოვნა მესამე პირის წინააღმდეგ (გამონაკლისია  
შემთხვევა, როცა ექსპედიტორი და შემკვეთი სპეციალურად  
შეთანხმდებიან და ექსპედიტორი კისრულობს მოთხოვნის  
გამოყენებას შემკვეთის ხარჯითა და რისკით).

741-ე მუხლი არ ეხება მესამე პირის სასარგებლოდ და-  
დებულ „ნამდივლ“ ხელშეკრულებას, რადგან „ნამდივლი“  
ხელშეკრულებისას მოსარგებლე მესამე პირს ავტომატუ-  
რად წარმოემობოდა მოთხოვნის უფლება და შემკვეთს  
ალარ დასჭირდებოდა ექსპედიტორისგან მოეთხოვა მო-  
თხოვნის გადაცემა. ანუ, კანონმდებელი თვითონ მიუთითე-  
ბს, რომ მოთხოვნა აქვს ექსპედიტორს და არა შემკვეთს.  
დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ  
დადებული ხელშეკრულების დროს, მესამე პირს (სარგე-  
ბლის მიმღებს) იმთავითვე აქვს შესრულების მოთხოვნის  
უფლება და მას დამატებითი განაცხადი არ სჭირდება მო-  
თხოვნის გადასვლაზე, როგორც ამას 741-ე მუხლი აჩვენებს.

#### 2. 741-ე მუხლის კომენტარის ალტერნატივა

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში 741-ე მუხლის  
მოთხოვნის გადაცემა აღიარებულია ცესიად,<sup>22</sup> თუმცა მასში  
უფრო გერმანული „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“  
პრინციპია ასახული, ვიდრე მოთხოვნის დათმობა ხელშე-  
კრულებით (ცესია). 741-ე მუხლი უშუალოდ დაბინებულს  
ანიჭებს მოთხოვნის უფლებას და ექსპლიციტურად, სიტყვა-  
სიტყვით გამომდინარეობს, რომ შემკვეთის მოთხოვნის შე-  
მთხვევაში ექსპედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობა არის  
იმპერატიული დათქმა და ექსპედიტორს უფლება არ აქვს  
უარი თქვას მასზე (ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა  
მუხლის მეორე დანაწესშივეა მითითებული). შესაბამისად,

<sup>11</sup> რუსიაშვილი, ევნატაშვილი, კაბუსები კანონისმიერ ვალდებულებით  
სამართალში, თბილისი, 2016, 187.

<sup>12</sup> ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,  
მუხლი 391, ველი 3. <GCCC.GE> [24.06.2018]; რუსიაშვილი, საქე-  
რთველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 349, ვე-  
ლი 27-32. <GCCC.GE> [24.09.2019].

<sup>13</sup> <https://www.meyer-pritzl.jura.uni-  
kiel.de/de/ver/28.Vertrag%20Zugunsten%20Dritter%20und%20V  
ertrag%20mit%20Schutzwirkung%20fuer%20Dritte.pdf>  
[24.06.2018], 8.

<sup>14</sup> <http://www.jura-  
basic.de/aufref.php?file=2&art=6&find=VertragzugunstenDritter\_  
\_Anspr%FCche-des-Dritten> [26.06.2018];

<sup>15</sup> კროპოლევი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილი-  
სი, 2014, 234, მუხლი 328, ველი 10.

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
განჩინება, 12.07.2017, ას-1209-1169-2016;

კროპოლევი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 241-ე მუ-  
ხლი, ველი 3, თბ, 2014, 108.

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
განჩინება, 04.06.2012, ას-12-12-2012;

ძლიერიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტა-  
რი, მუხლი 639, ველი 5. <GCCC.GE> [25.06.2018].

<sup>18</sup> ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, სამართალი,  
2001, 222, მუხლი 349.

<sup>19</sup> ცერცვაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,  
მუხლი 730, ველი 5. <GCCC.GE> [09.06.2018].

<sup>20</sup> მამახიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი  
741, თბილისი, წიგნი მე-4, ტომი 1-ლი, 2001, 438.

<sup>21</sup> მამახიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი  
730, თბილისი, წიგნი მე-4, ტომი 1-ლი, 2001, 423.

<sup>22</sup> ცერცვაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,  
მუხლი 741, ველი 2, მით. სქოლიო 1. <GCCC.GE> [16.09.2019].



შემკვეთის მოთხოვნა არ წარმოადგენს გარიგებას,<sup>23</sup> როგორც ეს სამართლებრივ ლიტერატურაშია მითითებული.

მოთხოვნის შესახებ პრეტენზიის წაყენების ფორმას კანონი არ ითვალისწინებს და წერილობითი ფორმა სავალდებულო არ არის, თუმცა, კოდექსის მიხედვით, წერილობითი ფორმა არც თვით ექსპედიტორთან დადებული გარიგებისთვისაა საჭირო, მაგრამ პრაქტიკა საპირისპიროდ დამკვიდრდა.<sup>24</sup>

741-ე მუხლში საუბარია მოთხოვნის გადაცემაზე: „...მოვალეა გადასცეს შემკვეთს თავისი მოთხოვნა“. იგი რადიკალურად განსხვავდება 198, 199 მუხლებში ნახსენები მოთხოვნის დათმობისგან (ცესიისგან),<sup>25</sup> რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს გარიგების, ანუ მხარეთა ურთიერთშეთანხმების და არა კანონის საფუძველზე მოთხოვნის დათმობას. 741-ე მუხლზე ვერ გავრცელდება ვერც რეგრესული მოთხოვნის დამრეგულირებელი 207-ე მუხლი: „მოთხოვნის დათმობა კანონის ძალით“<sup>26</sup>, რადგან რეგრესის დროს კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშვება ახალი ვალდებულება, ერთი ვალდებულება მეორეთი ნაცვლდება,<sup>27</sup> 741-ე მუხლის შემთხვევაში კი იცვლება მხოლოდ კრედიტორი და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა იგივე რჩება.

### 3. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის პრინციპი

Drittschadensliquidation, ქართულ ლიტერატურაში ნათარგმნი, როგორც მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია (აღმოფხვრა)<sup>28</sup>, მესამე პირების დასაცავად დადგენილი პრაქტიკული ინსტიტუტია, რომელიც ისეთ შემთხვევებში გამოიყენება, როცა: ა. პირს არ მისდგომია ზიანი, მაგრამ აქვს მოთხოვნის უფლება; ბ. დაზარალებული მხარე სხვა პირია, რომელსაც არ აქვს მოთხოვნის უფლება;<sup>29</sup> გ. დაზიანებულ პირსა (მესამე პირი, რომელსაც არ აქვს მოთხოვნის უფლება) და მოთხოვნის უფლების მქონე (თუმცა ზიანის არ მქონე) პირს უნდა აკავშირებდეთ სახელშეკრულებო ურთიერთობა.<sup>30</sup> გერმანული სამართლის მიხედვით, ამგვარ შემთხვევებში დაზარალებულ მესამე პირს შეუძლია მოთხო-

ვნის გადასვლა მოთხოვნის ასეთი უფლების მქონე პირისგან, რათა შეეძლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა<sup>31</sup>.

#### ა. გამოყენების წინაპირობები გერმანულ სამართალში

გერმანულ სამართალში პრინციპის გამოყენების ძირითადი შემთხვევებია გამოყოფილი: არაპირდაპირი წარმომადგენლობა, სავალდებულო საფრთხის ჩამოშორება, რისკის კისრება და სხვა.<sup>32</sup> იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია გერმანული სამართლის სავალდებულო ინსტიტუტია და თავისებური სპეციფიკით ხასიათდება, მისი აბსოლუტური გაიგივება 741-ე მუხლთან სავალდებულოდ რთულია, თუმცა პრინციპულ დონეზე მსგავსება აშკარად შესამჩნევია.

#### ბ. მსგავსება 741-ე მუხლის მიზანთან

მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის მიზანია მოთხოვნისა და ზიანის სხვადასხვა პირთან არსებობის მიუხედავად ხელმოფხვის პასუხისგება, რათა ზიანი აღმოფხვრული არ დარჩეს და გამოირიცხოს ერთგვარი „სამართლებრივი შავი ხვრელის“ გაჩენა.<sup>33</sup> ასეთი შემთხვევები ხელმოფხვის ობიექტური თვალსაწიერიდან ისე უნდა ჩანდეს, როგორც წინასწარ დაუგეგმავი, შემთხვევამდე დაუძინებელი.<sup>34</sup> მესამე პირის ზიანის აღმოფხვრისას ხდება სუბიექტის ცვლილება, რათა ზიანმა და მოთხოვნის უფლებამაც ერთ პირთან მოიყაროს თავი.

მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის პრინციპის მსგავსად, სამოქალაქო კოდექსის 741-ე მუხლის მიზანაც სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა, სამართალურთიერთობის გამართლება და ასევე პრევენციის იმისა, რომ შემკვეთისთვის მიყენებული ზიანი აუნაზღაურებელი არ დარჩეს – ექსპედიტორთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე მხოლოდ ექსპედიტორის წინაშე აგებს პასუხს, რადგან იგი გამოდის საკუთარი და არა შემკვეთის სახელით.

## IV. მოთხოვნის გადასვლის განსხვავებული საფუძველი ლიზინგის ხელშეკრულებაში

### 1. გამიჯნა ექსპედიციის ხელშეკრულებაში არსებული მოთხოვნის გადასვლისაგან

ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის არსებული ნასყიდობის (მიწოდების) ხელშეკრულება ითვლება მესამე პირის – ლიზინგის მიმღებისთვის სასარგებლოდ დადებულად, მიმწოდებლის ვალდებულების შინაარსი უნდა განისაზღვროს იმგვარად, როგორც ლიზინგის მიმღებთან პი-

<sup>23</sup> განსხ. აზრი იხ. *ცერცვაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 741, ველი 2, მით. სქოლიო 1. <GCCC.GE> [16.09.2019].

<sup>24</sup> *გაბიჯაძე*, სატრანსპორტო ექსპედიციის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N3 (42), 2014, 130.

<sup>25</sup> განსხვავებული აზრი იხ. *ცერცვაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 741, ველი 2. <GCCC.GE> [09.06.2018]; *ცერცვაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 741, ველი 2, სქოლიო 1 <GCCC.GE> [09.06.2018].

<sup>26</sup> *თათლაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 207, ველი 1, 3. <civilcode.ge> [22.09.2019].

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, 05.09.2012, ას-581-549-2011.

<sup>28</sup> *კროპოლევი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 130, ველი 25.

<sup>29</sup> Westermann, Bydlinski, Weber, BGB – Schuldrecht Allgemeiner Teil, 2007, 298, 299.

<sup>30</sup> <https://juraeinmaleins.de/schema-drittschadensliquidation-dsl/NfN4> [25.05.2018];

<http://www.juraindividuell.de/artikel/grosser-bgb-schein-die-drittschadensliquidation-in-der-klausur/> [25.05.2018];

<http://www.juraexamen.info/ubersicht-drittschadensliquidation/> [25.05.2018];

<https://jura-online.de/lernen/drittschadensliquidation-dsl/174/exkursus> [25.05.2018].

<sup>31</sup> Köhler/Lorenz, Prüfe Dein Wissen, Rechtsfälle in Frage und Antwort, Band 2, Schuldrecht I, 2005, 381-384.

<sup>32</sup> *რუსიაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 408, ველი 27 <gcccc.ge> [06.06.2018]; კროპოლევი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 131, ველი 26; მუხლი 249, 2019, 301, ველი: 108-111; Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 2009, 354, 355; M. S. Silva, The Draft Common Frame of Reference as a "Toolbox" for Domestic Courts: A Solution to the Pure Economic Loss Problem from a Comparative Perspective, Springer, 2017, 169.

<sup>33</sup> M. S. Silva, The Draft Common Frame of Reference as a "Toolbox" for Domestic Courts: A Solution to the Pure Economic Loss Problem from a Comparative Perspective, Springer, 2017, 168.

<sup>34</sup> <https://jura-online.de/lernen/drittschadensliquidation-dsl/174/exkursus> [27.05.2018]

<sup>35</sup> *ცერცვაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 741, ველი 1. <GCCC.GE> [09.06.2018].

რდაპირი კონტრაპირების შემთხვევაში მოხდებოდა.<sup>36</sup> განსახილველი საკითხი ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ლიზინგის მიმღები გამცემისაგან ითხოვს მოთხოვნის უფლების გადასვლას მიმწოდებლის წინაშე.

ექსპედიციის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, თუ სალიზინგო ურთიერთობაში სამი სხვადასხვა პირი მონაწილეობს, მათთვის აუცილებლად ცნობილი იყოს ურთიერთობის სამმხრივობის შესახებ, რადგან სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მიმწოდებელსაც და ქონებასაც ლიზინგის მიმღები ირჩევს, მიმწოდებლისთვის კი ცნობილია, რომ ქონებას ლიზინგით გასაცემად ასხვისებს. შესაბამისად, ექსპედიციისგან განსხვავებით, ლიზინგის ხელშეკრულებაში სამივე პირი თავისი სახელითა და ხარჯით მოქმედებს.

## 2. სუბროგაცია და მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია

ლიზინგის გამცემის ლიზინგის მიმღებზე კანონისმიერ მოთხოვნის გადასვლას სამოქალაქო კოდექსის 577 II მუხლი აწესრიგებს, რომლის თანახმად: „ლიზინგის გამცემი ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუთმოს ლიზინგის მიმღებს თავისი უფლებები, რომლებიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას“.

სალიზინგო ურთიერთობაში რთულია მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის პრინციპების დანახვა. პრინციპის მთავარი მოთხოვნაა, რომ ზიანი მხოლოდ ერთ პირს ადგებოდეს, ხოლო მოთხოვნის უფლება მხოლოდ მეორე პირს ქონდეს. სამოქალაქო კოდექსის 577 I მუხლის მიხედვით კი, მიმწოდებლის ბრალით შესაძლოა ერთი და იგივე ზიანი მიადგეს როგორც ლიზინგის მიმღებს, ისე ლიზინგის გამცემს, რაც მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის პრინციპს გამოორიცხავს. ლიზინგის მიმღები უბრალოდ ისეთი მესამე პირია, ვისაც აქვს მოთხოვნის უფლება მის სასარგებლოდ დადებულ მიწოდების ხელშეკრულებაში. სამოქალაქო კოდექსი ლიზინგის მიმღებს მიმწოდებლისგან მოთხოვნის უფლებას მაშინ ანიჭებს, როცა იღებს ლიზინგის საგანს და მაშინაც, როცა უარს ამბობს მის მიღებაზე. შესაბამისად, დამატებითი პრინციპების ძებნა საჭირო არ არის. 577 II მუხლი უფრო პრევენციული ხასიათისაა და ისეთ შემთხვევებს ეხება, რომლებიც შესაძლოა ხელშეკრულებაში ანდა საკანონმდებლო დონეზე სათანადოდ გათვალისწინებული არ იყოს და ხელს უწყობდეს ლიზინგის გამცემისა და მიმღების ინტერესების ეფექტურ დაცვას.

ლიზინგის ხელშეკრულებაში მოთხოვნის გადასვლა არც სადამზღვევო სამართლის სუბროგაციის პრინციპს გავს. მართალია, ლიზინგის გამცემის ადგილს ლიზინგის მიმღები ისე იკავებს, რომ ურთიერთობა და მოთხოვნა არ იცვლება<sup>37</sup>, ამასთან, ზიანის მიმცენებელი (მიმწოდებელი) ერთდროულად ორი პირის (ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის) წინაშე ერთსა და იმავე ზიანზე (577 I მუხლი) პასუხისმგებელი ვერ იქნება, რაც თითქოსდა სუბროგაციის პრინციპს ამსგავსებს, მაგრამ არსებითად მაინც განსხვავებულია. სადამზღვევო სუბროგაციის დროს მოთხოვნის გადასვლის წინაპირობა ანაზღაურებაა: მზღვეველს ზიანის მიმცენებელი მესამე პირის წინაშე მოთხოვნის დაყენება მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, რაც დაზღვეულს თანხას

აუნაზღაურებს<sup>38</sup>. სალიზინგო ურთიერთობაში კი პირიქით – რომის მოდელური კანონის მიხედვით, კონტრაპენტებს შორის ანაზღაურება მოთხოვნის გადასვლის ხელშეკრულებით ფაქტორია.

## 3. რომის მოდელური კანონი

მიუხედავად იმისა, რომ ოტავის კონვენციის ხელმოწერის მხარე საქართველო არ არის,<sup>39</sup> როგორც ოტავის კონვენციას, ისე რომის მოდელური კანონებს ქართული სასამართლო სალიზინგო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად აქტიურად იყენებს.<sup>40</sup>

სამოქალაქო კოდექსის 577 II მუხლის მსგავსი დანაწესია რომის მოდელური კანონის 7 II მუხლში, თუმცა მოთხოვნის გადასვლა ლიზინგის გამცემის თანხმობაზე დამოკიდებულია. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლიზინგის გამცემი უაქცეპტოდ უნდა დათანხმდეს ლიზინგის მიმღების განაცხადს იმ მოთხოვნის გადასვლაზე, რაც მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღებს შეეხება. რომის მოდელური კანონის მე-7 მუხლის კომენტარის მიხედვით, ლიზინგის გამცემს ეძლევა არჩევანის შესაძლებლობა: დაეთანხმოს ლიზინგის მიმღებს და თავიდან აირიდოს ლიზინგის მიმღების მიმართ ისეთი პასუხისმგებლობა, რომელიც სცდება მის კომპეტენციას და წარმოიშობა ნივთის სპეციფიკიდან თუ მიმწოდებლის არჩევანიდან გამომდინარე, ან არ დააკმაყოფილოს ლიზინგის მიმღების განაცხადი. თუ ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღების მოთხოვნაზე უარს იტყვის, სანაცვლოდ ვალდებული ხდება, რომ თავის თავზე აიღოს შემკვეთის პასუხისმგებლობა და ლიზინგის მიმღებისთვის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ადრესატად ჩანაცვლდეს.

რომის მოდელური კანონისა და სამოქალაქო კოდექსის დანაწესები ვერ ჩაითვლება ურთიერთწინააღმდეგობრივად, რადგან მოდელური კანონის ოფიციალური განმარტების მიხედვით, ლიზინგის მიმღებისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილება გარანტირებულია, ლიზინგის გამცემის ნება-სურვილზე კი მხოლოდ ამ მოთხოვნის განხორციელების ხერხია დამოკიდებული – მოთხოვნის ადრესატად დატოვოს მიმწოდებელი თუ თვითონ გახდეს პასუხისმგებელი მიმწოდებლის ნაცვლად.

## შეჯამება

სამოქალაქო კოდექსის 741-ე და 577 II მუხლებში მოთხოვნის გადასვლის შესახებ განცხადება იმპერატორული ხასიათისაა და მხარეთა შორის შეთანხმებაზე დამოკიდებული არ არის. მოთხოვნის გადასვლის საჭიროებაა ისეთ ხელშეკრულებაში, სადაც მხარეებმა შესაძლოა არ იცოდნენ ურთიერთობის სამმხრივობის შესახებ (სატრანსპორტო ექსპედიცია) და ისეთ ხელშეკრულებაშიც, სადაც ურთიერთინფორმირებულობა კანონის უშუალო მოთხოვნაა (ლიზინგის ხელშეკრულება).

<sup>38</sup> ირემბაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 832, ველი 2. <GCCC.GE> [22.09.2019].

<sup>39</sup> <https://www.unidroit.org/status-leasing-conv-1988> [15.09.2019].

<sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 04.12.2018, 4/8878-18;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 26.11.2018, 4/8876-18, პუნქტი 6.3;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 15.10.2018, 4/7503-18, პუნქტი 6.3.

<sup>41</sup> Unidroit Model Law on Leasing, Official Commentary, Doc 24, May, 2010, 13, ველი 44. <https://www.unidroit.org/explanatory-model-law-leasing-2008/english> [15.09.2019].

<sup>36</sup> ირემბაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 577, ველი 3. <GCCC.GE> [15.09.2019].

<sup>37</sup> მოწონილი, სუბროგაციის გამოყენა რეგრესისა და ცესიისაგან, სამართლის ჟურნალი, №1, 2014, 161.

სამოქალაქო კოდექსის 741-ე მუხლი უფრო მეტად მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის მსგავსი პრინციპია. იგი არ უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის დათმობად (ცესიად), რადგან ეს უკანასკნელი მხარეთა შორის დადებულ გარიგებაზე დაფუძნებულია. 741-ე მუხლი ეხება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ „არანამდვილ“ ხელშეკრულებას, რადგან მესამე პირს (შემკვეთს) მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლება რომ ჰქონოდა, კანონმდებელი მოთხოვნის გადასვლაზე განაცხადის უფლებას აღარ მიანიჭებდა.

ლიზინგის ხელშეკრულებაზე, როცა ლიზინგის მიმღები მოთხოვნის გადასვლას ითხოვს მიმწოდებლის წინაშე, ცალსახად იმავეს თქმა გამორიცხებულია, რადგან სამოქალაქო

კოდექსი რიგ შემთხვევებში პირდაპირ მიუთითებს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის შესაძლო ვარიანტებს ლიზინგის მიმღების წინაშე. ლიზინგის მიმღები ის მესამე პირია, ვისაც აქვს მოთხოვნის უფლება მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში და მოთხოვნის დათმობის განმარტებისას მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციისა და სუბროგაციის პრინციპის ძებნაა ზედმეტია. შეიძლება ითქვას 577 II მუხლი უფრო პრევენციული ხასიათისაა და ისეთ შემთხვევებს შეეხება, რომლებიც შესაძლოა ხელშეკრულებაში ანდა საკანონმდებლო დონეზე სათანადოდ გათვალისწინებული არ იყოს და ხელს უწყობდეს ლიზინგის გამცემისა და მიმღების ინტერესების ობიექტურ დაცვას.

## სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### I. შესავალი

სანივთო გარიგება არის მართლწესრიგში გამიჯვნის პრინციპის მოქმედების შედეგი. გამიჯვნის პრინციპის მიხედვით, განკარგვა წარმოადგენს დამოუკიდებელ გარიგებას, რომელიც, ფაქტობრივი შემაღვნილობის მხრივ, შეიძლება ემთხვეოდეს მავალდებულებელ შეთანხმებას, თუმცა სამართლებრივად როგორც დამოუკიდებელი გარიგება, ისე უნდა შეფასდეს. ამ მოდელის პირობებში საკუთრების, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სანივთო უფლების, გადაცემა ხდება შემდეგნაირად: იდება ვალდებულებითი გარიგება — მაგალითად, ნასყიდობა — საიდანაც გამსხვისებელი კისრულობს საკუთრების გადაცემის ვალდებულებას. შემდეგ იდება სანივთო გარიგება, უშუალოდ ამ საკუთრების გადაცემის გარიგება, შესაბამის რეალაქტთან ერთად (იქნება ეს მფლობელობის გადაცემა თუ რეგისტრაცია). სანივთო გარიგების არდაშვების შემთხვევაში, საკუთრების გადაცემისათვის საკმარისია ვალდებულებითი გარიგება და რეალაქტი, რასაც, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, სრულებით გაუმართლებელ შედეგებამდე მივყავართ.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნისას სკ-ის 186-ე მუხლიდან მექანიკურად ამოშალეს სანივთო გარიგება, თუმცა ის დარჩა ყველა სხვა დანაწესში და არა მხოლოდ კონკრეტულ მუხლებში,<sup>1</sup> არამედ მისით არის განპირობებული სამოქალაქო კოდექსის მთლიანი სისტემატიკა. უძრავ ნივთებზე უფლების გადაცემის კონტექსტში განსაკუთრებით ხაზგასასმელია სკ-ის 311 II მუხლი. უძრავ ნივთებზე დადებული გასხვისების მავალდებულებელი გარიგებისათვის, სკ-ის 323-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია მხოლოდ მარტივი წერილობითი ფორმის დაცვა. თუმცა სკ-ის 311<sup>1</sup> მუხლის თანახმად, რეგისტრაციისათვის საჭიროა რეესტრში ან სანოტარო ფორმით დამოწმებული გარიგების წარდგენა (311<sup>1</sup> I), ან ამ ხელშეკრულებაზე მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ხელის მოწერა (311<sup>1</sup> II). აქიდან არც ერთი არ წარმოადგენს მარტივ წერილობით ფორმას. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ სკ-ის 323-ე და 311-ე მუხლებში ერთი და იმავე გარიგება, კერძოდ, ვალდებულებითი გარიგება იგულისხმება — და ეს გარდაუვალია, თუ არ არსებობს სანივთო გარიგება — ეს ორი დანაწესი ერთმანეთთან სრულ წინააღმდეგობაშია. ერთი ნორმის მიხედვით, უძრავი ნივთის ნასყიდობისათვის საკმარისია მარტივი წერილობითი ფორმა, თუმცა, მეორეს მიხედვით, ეს საკმარისი არ არის. საკმაოდ აბსურდულია,

კანონი გარიგების ნამდვილობისთვის ითვალისწინებდეს რაიმე ფორმას და ამავდროულად შეუძლებელი იყოს ამ ფორმით დადებული გარიგების შესრულება და აუცილებელი იყოს შესრულებამდე მისი ახალი ფორმით დადება. სხვაგვარადაა საქმე, თუ სკ-ის 323-ე მუხლში უძრავი ნივთის ნასყიდობის ფორმა იგულისხმება, ხოლო სკ-ის 311-ე კი სანივთო გარიგების ფორმას განსაზღვრავს. ეს შეესატყვისება სკ-ის 311-ე მუხლის გრამატიკულ გაგებასაც: მოცემული ნორმა საუბრობს უფლების რეგისტრაციაზე, ანუ ამ უფლების გადაცემის გარიგებაზე, ხოლო, როგორც ეს სკ-ის 477-ე მუხლში და ყველა სხვა ვალდებულებითი ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმაშია აღნიშნული, მავალდებულებელი გარიგებით სანივთო უფლების გადაცემა არ ხდება; მავალდებულებელი გარიგებით წარმოიშობა მხოლოდ ამ უფლების გადაცემის ვალდებულება.

### II. გამიჯვნის პრინციპის კრიტიკა

გამიჯვნის პრინციპის კრიტიკას გრძელი ისტორია აქვს, თუმცა ის ერთი მარტივი წინადადებით შეიძლება შევამდგინო: აბსურდულია ფუნთუშის ნასყიდობისას დაიდოს სამი გარიგება — ერთი ნასყიდობა და ორი სანივთო გარიგება პურზე და ფულზე. ეს სინამდვილეში ასე არ არის, უფრო ზუსტად კი, ის, რომ მოცემული კონსტრუქცია აბსურდულად ჟღერს, არ ნიშნავს, რომ არასწორია. ზუსტად ასევე აბსურდულად ჟღერს, იურისტისათვის ლინგვისტური კონსტრუქციები ან მათემატიკური ფორმულები, თუმცა ეს სრულებითაც არ აკნინებს მათ რეალურ მნიშვნელობას. თუ ნასყიდობისას, ფუნთუშის ნასყიდობა იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა ნასყიდობა, ყველაფერი წესრიგშია — გამყიდველი ვალდებულებას ასრულებს უნაკლოდ და მყიდველიც იხდის დათქმულ ფასს —, მაშინ უმნიშვნელოა, აქ სამი გარიგება დაიდოს თუ მხოლოდ ერთი, რადგან სამივე, როგორც ერთი, ისე შესრულდა. თუმცა სამად დანაწევრება აუცილებელია, თუ ყველაფერი წესრიგში არ არის, მაგალითად, ერთი გარიგება უნდა გაბათილდეს ისე, რომ მეორე ძალაში დარჩეს და ამავდროულად საკუთრება არ გადავიდეს. ანუ, მოკლედ რომ შევჯამოთ, რთული სამართლებრივი კონსტრუქცია ფაქტობრივ ხდომილებას არაფრით არ ართულებს; ფუნთუშის ნასყიდობა ზუსტად ისევე იდება და სრულდება, როგორც მის გარეშე, თუმცა, თუ ეს ფაქტობრივი ხდომილება თავისთავად გართულებულია, — მაგალითად, გამყიდველი ნასყიდობის დადებასა და საკუთრების გადაცემას შორის შუალედში შეურაცხადი ხდება — მხოლოდ გამიჯვნის პრინციპის მეშვეობით შეიძლება დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა. მხოლოდ მისი წყალობით არის შესაძლებელი, კაუზალური ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობა, მაშინაც კი, როდესაც სანივთო გარიგება არანამდვილი უნდა იყოს.

<sup>1</sup> მაგ., სკ-ის მუხლები: 477, 188, 102, 982 II, I, ვარ. 1, 199 II 1, 324, 114, 184, 299, 272, 238 I, 260<sup>1</sup>, 300 I, 301 I<sup>1</sup> და ა. შ., იხ. გ. რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, მე-20 და მომდევნო გვერდები.

საკუთრების გადაცემის ეს დანაწევრება ორ სამართლებრივ შემადგენლობად, რომლებიც განსხვავებულ წინაპირობებზეა დამოკიდებული, იძლევა საკუთრების გადასვლის ჩაშლის შესაძლებლობას მაშინაც, როდესაც ვალდებულებითი გარიგება ნამდვილია.<sup>2</sup> გამიჯვნის პრინციპის გარეშე ეს შედეგი საკმაოდ რთულად მისაღწევია, რადგან, თუ არ არსებობს სანივთო გარიგება, მაშინ ვალდებულებითი გარიგება ყველა მის შედეგს საკუთარ თავში მოიცავს. ანუ მავალდებულებელი გარიგების შინაარსის ნებისმიერი ტიპის გამართვა ავტომატურად აისახება სანივთო სიბრტყეში და ამის გამო ყოველთვის არ ხერხდება საკუთრების გადასვლის უარყოფა ამავდროულად მავალდებულებელი გარიგების გაბათილების გარეშე. თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი და მიღებული შედეგი ხანდახან პირდაპირ ეწინააღმდეგება მხარეთა ინტერესებს.

ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია და ნათლად ჩანს ისეთი კომპლექსური სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში, როგორც არის უძრავი ნივთების გასხვისება. სწორედ ამ საკითხს ეხება ქვემოთ მოყვანილი ოთხი შემთხვევა საჯარო რეესტრის პრაქტიკიდან.

**III. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ განხორციელებული რეესტრაცია**

*კაზუსი 1: მარტოხელა მოხუცებულ ქალბატონ ლამარას გააჩნდა მხოლოდ ერთადერთი ბინა. მწვავე სიდუხჭირის გამო, დიდი ყოყმანის შემდეგ, გადაწყვიტა ამ ბინის გაყიდვა და აღებული ფულით მომცრო ბინის შეძენა, ხოლო მონარჩენით — სიბერის უბრუნველყოფა. ლამარას ბინაზე უკვე დიდი ხანია თვალი ჰქონდა დადგმული მეორე მემობელს, რომელიც მის შემოერთებას აპირებდა. ამიტომაც, ამ მემობელმა ყველას დაასწრო და პირველმა დადო ლამარასთან ნასყიდობის ხელშეკრულება. ეს იყო ატიპური ნასყიდობა, რადგან მყიდველმა იკისრა არა მხოლოდ ფასის გადახდა, არამედ ასევე ლამარასთვის სადმე გარეუბანში მომცრო ბინის მოძებნა. ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებმა სპეციალურად გაითვალისწინეს, რომ, სანამ მემობელი ლამარას ბინას არ მოუძებნიდა და ფულს არ გადაუხდიდა, ლამარა არ იყო ვალდებული „გადაფორმებინა“ საკუთარი ბინა. ხელშეკრულება დაიდო მარტივი წერილობითი ფორმით. სანამ ყველაფერი მოგვარდებოდა, ლამარა მოხვდა ავარიისში, რომლის შედეგადაც დაუზიანდა თავის ქალა. სომატური ჩივილები მალევე გაუქრა, თუმცა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ისე დაუზიანდა ტვინი, რასაც თან დაერთო ასევე ასაკი, რომ დაკარგა რეალობის გაცნობიერება.*

*ბის უნარი. მიუხედავად ამისა, მარტივ მოქმედებებს სწორად ახორციელებდა. მემობელმა, რომელმაც მალევე გაიგო ყველაფერი, არ გაუშვა ეს შანსი; ჩაიყვანა ლამარა საჯარო რეესტრში და გადააფორმებინა ბინა. ფული, რა თქმა უნდა, არ გადაუხადა.*

**1. უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის პროცედურა**  
ამ კონტექსტში განსამარტია უძრავ ნივთზე უფლების წარმოშობისა და გაუქმების საკითხები, რომლებიც ცხდება მხოლოდ რეგისტრაციის პროცედურის ფარგლებს. ქართული საჯარო რეესტრის სამართალში არ მოქმედებს გერმანიაში მოქმედი ე. წ. „თანხმობის პრინციპი“,<sup>4</sup> რომლის მიხედვითაც, რეესტრში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელიც ამ პოზიციამაზე რეგისტრირებული. საქართველოში რეგისტრაცია ხდება შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი ხელშეკრულების საფუძველზე — ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გაცხადების გარეშე. რეგისტრაციისათვის აუცილებელია რეესტრის სამსახურისათვის ხელშეკრულების წარდგენა, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველს.<sup>5</sup> რეგისტრაციის გაუქმებაც ამავე წესით ხდება: რეესტრის მიერ დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას თუ არ გავითვალისწინებთ, ყველა სხვა შემთხვევაში, პირველ რიგში, სასამართლოს მიერ უნდა გაუქმდეს რეგისტრაციის საფუძველად მდებარე ხელშეკრულება. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც, ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობისდა მიუხედავად, რეგისტრაცია მაინც გასაუქმებელია, მაგრამ, სანივთო გარიგების არაღიარების შემთხვევაში, სრულებით გაუგებარია, თუ რა წარმოადგენს ამ გაუქმების საფუძველს.  
მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც ნასყიდობის დადებისა და საკუთრების გადაცემას შორის შუალედში გამყიდველი შეურაცხადი ხდება. იგივე შეიძლება ითქვას ყველა იმ კონსტელაციაზე, როდესაც ნასყიდობა ნების ნაკლის გარეშეა დადებული, მაგრამ მხარეები მოგვიანებით რეესტრის ფორმულარს ხელს აწერენ უკვე ნების ნაკლის საფუძველზე (შეცდომა, მოტყუება, იძულება). ნების ნაკლის გათვალისწინება მხოლოდ გარიგების სიბრტყეშია შესაძლებელი. თუმცა, თუ ნასყიდობის გარდა სხვა გარიგებში სმიერი სიბრტყე არ არსებობს, მაშინ რეგისტრაცია ძალაში უნდა დარჩეს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. ცალსახაა, რომ, თუ ნასყიდობა ნების ნაკლის გარეშე დაიდო, ის ნამდვილი უნდა დარჩეს, მაგრამ ამავდროულად ასევე ცალსახაა, რომ რეგისტრაცია გასაუქმებელია, თუმცა რეგი-

<sup>2</sup> St. *Habermeier*, Das Trennungsdenken: Ein Beitrag zur europäischen Privatrechtstheorie, Das Archiv für die civilistische Praxis (AcP) 195 (1995), 293.  
<sup>3</sup> სანივთო გარიგებაზე საუბრისას ყოველთვის მოჰყავთ ის არგუმენტი, რომ მას პრაქტიკაში არანაირი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, თუმცა ეს ასე არ არის. ქვემოთ მოყვანილია სწორედ რეალობასთან მიახლოებული შემთხვევები, რომელთა დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტაც სანივთო გარიგების გარეშე შეუძლებელია. იხ. დამატებით *გ. რუსიაშვილი/ლ. სირდაძე/დ. ევანტაშვილი*, სანივთო სამართალი, თბილისი 2019, მე-6 და მომდევნო კაზუსები; *გ. რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015, 257-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>4</sup> შდრ. საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 და საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-12 მუხლები; იხ. დამატებით ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი/სირდაძე/ევანტაშვილი*, სანივთო სამართალი, მე-10 მთ სქ. 4, 251.  
<sup>5</sup> საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 26 I ბ) და საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის 17 II მუხლი.  
<sup>6</sup> აქ არადადამავრებულია იმის თქმა, რომ მყიდველი შეიძლება რეგისტრირებულ მესაკუთრედ დარჩეს, რადგან გამყიდველი მაინც ინარჩუნებს მის მიმართ ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლებას. ეს არასწორია, რადგან ნაადრევი რეგისტრაციით გამყიდველმა შეიძლება დაკარგოს, მაგალითად, დაკავების უფლება — როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში — ეს კი მას დააკისრებდა რისკს, რომელიც თავდაპირველი ნასყიდობით არ ჰქონია ნაკისრი და რომლის მოგვიანებით კისრებასაც გარიგებისმიერი ნების გამოხატვა სჭირდებოდა, რაც აქ ნების ნაკლის გამო ჩაიშალა. დაკავების უფლების გარეშე, მხოლოდ ფასის მოთხოვნის შენარჩუნება გამყიდველს ვერაფერში დაეხმარება, თუ მყიდველი ვაკო-

სტრაციის გაუქმება შეუძლებელია მის საფუძვლად მდებარე გარიგების გაუქმების გარეშე. შესაბამისად, ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს ნასყიდობის ძალაში დატოვება, მაგრამ სანივთო გარიგების ბათილად ცნობა და სწორედ ამ საფუძვლით რეგისტრაციის გაუქმება (საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 26 I ბ მუხლი) და საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის 17 II მუხლი).

## 2. 1-ლი კაზუსის გადაწყვეტა

შედეგის მხრივ აქ ცალსახაა, რომ მეზობელმა საკუთრება არ უნდა მოიპოვოს, რადგან რეგისტრაციის მომენტში ლამარა შეურაცხადი იყო. მუხედავად ამისა, სანივთო გარიგების გარეშე ამ შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

### ა) რეესტრში დადებული „ნასყიდობა“

პირველ რიგში, აქ დასადგენია, თუ ზოგადად რად უნდა დაკვალიფიცირდეს ეს მეორე ხელშეკრულება, რომელსაც მხარეებმა რეესტრში მოაწერეს ხელი და რომელიც, ისევე, როგორც პირველი ხელშეკრულება, „ნასყიდობად“ იყო დასათაურებული. ეს წარმოადგენს სტანდარტულ შემთხვევას, როდესაც მხარეები დებენ უძრავი ნივთის ნასყიდობას წერილობითი ფორმით, რაც ნამდვილია სკ-ის 323-ე მუხლის მიხედვით, თუმცა ვერ არეგისტრირებენ მას სკ-ის 311-ეს გამო და ამიტომაც უშუალოდ რეესტრში თავიდან ავსებენ რეესტრის ნასყიდობის ფორმულას. ამ სიტუაციაში იმის თქმა, რომ რეესტრში კიდევ ერთი ნასყიდობა დაიდო, პრინციპულად არასწორი იქნებოდა. როდესაც მხარეებმა უკვე შეათანხმეს ერთი ნასყიდობა შესაბამისი ფორმის დაცვით და როდესაც ამის შემდეგ მიდიან და თავიდან ავსებენ ე. წ. ნასყიდობის ფორმულას, ამით მათ არ სურთ ახალი ნასყიდობის დადება, ან უკვე დადებული თავიდან დადება. აქ მოქმედებს წესი, რომ ერთი და იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე დადებული ყოველი მომდევნო, იმავე ტიპის გარიგება, აუქმებს წინას — მაგალითად, თუ მხარეებმა დადეს ნივთის ნასყიდობა 5000 ლარად და მეორე დღეს იმავე ნივთზე დადეს ნასყიდობა 4000 ლარად, ამ მეორე გარიგებიდან იკითხება წინას გაუქმების შეთანხმება (ე. წ. გაუქმების ხელშეკრულება).<sup>7</sup> მხარეებს, რომლებიც ჯერ წერილობით ნასყიდობას დებენ, ხოლო შემდეგ მიდიან რეესტრში და თავიდან ავსებენ ფორმულას, ეს არ სურთ. მათ სწორედ რომ არ უნდათ აქ ახალი ნასყიდობის დადება და ამით ფორმის დაცვით დადებული ძველი ნასყიდობის გაუქმება. ფორმულარის შევსებით მათ სურთ მხოლოდ უკვე დადებულის შესრულება — უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმულას აწერია ნასყიდობა, რეალურად ეს არის უკვე დადებული ნასყიდობის შესრულების გარიგება, ანუ სანივთო გარიგება. რატომ გამოიწვევდა სხვაგვარი დაშვება გაუმართლებელ შედეგებს? ანუ იმის დაშვება, რომ რეესტრში თავიდან იდება ახალი ნასყიდობა, რომელიც წინას აუქმებს? იმიტომ, რომ, ჩვეულებრივ, მხარეებს, როდესაც მათ უკვე დადეს ნასყიდობა შესაბამისი ფორმის დაცვით და გაითვალისწინეს მასში სხვადასხვა პირობები (მაგ. ფასის განწილვადებული გადახდა, ცალკეული დამატებითი ვალდებულებები და ა. შ.), რეესტრის ფორმულარში ეს პირობები უკვე აღარ გადააქვთ. ამ ფორ-

მულარს არ აქვს შესაბამისი გრაფები, რეესტრში არც საკმარისი დრო არ არის ამისათვის და მხარეები, ზოგადად, ვერ ხედავენ ამის აუცილებლობას, მათ ხომ უკვე უჭირავთ ხელში ნამდვილი ნასყიდობა. ამიტომაც, თუ რეესტრის შევსებული ფორმულარი ჩაითვლებოდა ახალ ნასყიდობად, მაშინ ეს გააუქმებდა წინა ნასყიდობას ყველა იმ პირობასთან ერთად, რომელიც მხარეებმა მასში ჩადეს. ეს ნასყიდობა კი, რომელშიც შეიძლება ფასიც კი არასწორადაა მითითებული — იმიტომ რომ მხარეები ფასს აქ გადაიწყვეტენ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ — იქნებოდა ნამდვილი. ამიტომაც რეესტრში დადებული გარიგება უნდა ჩაითვალოს არა ახალ ნასყიდობად, არამედ — სანივთო გარიგებად. ამ შემთხვევიდან ნათლად ჩანს, რომ, ფუნქციის ნასყიდობის შემთხვევისაგან განსხვავებით, აქ სწორედ ვალდებულებითი და სანივთო გარიგების ერთმანეთისაგან გამიჯვნა შეესაბამება მხარეთა ინტერესებს და არა ერთი და იმავე ნასყიდობის ორჯერ დადება. ეს პრობლემა დგება, მაგალითად, უძრავ ნივთზე დადებული ყოველი ატიპიური ნასყიდობის დროს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების მარტივ წერილობით ვერსიას ხუნძლავენ სხვადასხვა დამატებითი პირობებით და ვალდებულებებით, თუმცა რეესტრის ფორმულარში მათ აღარ უთითებენ, აქაც თუ შევსებული მახლობლი მეორე (და პირველი ნასყიდობის გამაუქმებელ) ნასყიდობად ჩაითვლებოდა, მხარეები საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ; რადგან ყველა ის დამატებითი პირობა, რის გამოც დადეს ნასყიდობა, ძალას დაკარგავდა.

### ბ) საკუთრების გადაცემის გაუმართლებლობა

ზემოგანხილული არ არის მთავარი არგუმენტი სანივთო გარიგების სასარგებლოდ. მთავარი არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა გადაწყდეს ეს შემთხვევა სანივთო გარიგების გარეშე? აქ ცალსახაა მხოლოდ ის, თუ როგორ არ უნდა გადაწყდეს, ანუ რა შედეგი არ უნდა მივიღოთ. ეს შედეგია: მეზობელზე საკუთრების სამუდამოდ და შეუქცევადად გადასვლა, რადგან ამ გადაცემის მომენტში ლამარა იყო შეურაცხადი სკ-ის 58 III მუხლის მიხედვით. ამ დროს კი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ პირს არ უნდა ჰქონდეს გარიგებით საკუთარი ქონების გაცემის შესაძლებლობა.

მართალია, ამ კონტექსტში ხშირად მოჰყავთ არგუმენტი, რომ მოცემულ სიტუაციაში ლამარას მიერ საკუთრების დაკარგვა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ნასყიდობის გადახდის მოთხოვნა მას მაინც რჩება. თუმცა ეს რეალურად ასე არ არის: თუ მეზობელი ლამარას ბინაზე საკუთრების დარეგისტრირების შემდეგ მას მალევე გადაყიდის და მიღებულ ფულთან ერთად უცხოეთში გადაიხვეწება, მის მიმართ მოთხოვნის უფლება ლამარას ვერ დაეხმარება — ლამარას კი ექნება მთელი ამ დროის განმავლობაში ფასის გადახდის მოთხოვნა, მაგრამ ეს მოთხოვნა ვერაფერს უშველის კრედიტორს, როდესაც მოვალე გადახდისუუნაროა, არ იძებნება და ა. შ. სწორედ ამ შედეგის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად დაკავების უფლება სკ-ის 369-ე მუხლის მიხედვით — მხარე არ არის ვალდებული შეასრუ-

<sup>8</sup> გარდა ზემოთ თქმულისა, ეს დაშვება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კანონის დანაწესთან, კერძოდ სკ-ის 323-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც უძრავი ნივთის ნასყიდობა შეიძლება დაიდოს წერილობითი ფორმით და არის ნამდვილი. ზემოთ აღწერილი კონსტრუქციის მიხედვით კი, ვერ იქნება ნამდვილი, რადგან მხარეებს აუცილებლად მოუწევთ მისთვის ახალი ფორმის მიცემა (311 II) და ამით მისი გაუქმება, თუ სურთ მისი შესრულება.

ტრდა, მანამდე კი მოასწრო ნივთის გადაყიდვა და ფულის გაფლანგვა. ამ რისკისაგან მისი დაცვა მხოლოდ დაკავების უფლებას შეუძლია.  
<sup>7</sup> სხვაგვარი განმარტება შეუძლებელია, იმიტომ რომ თუ ორივე ნამდვილი იქნა, რა ფასად უნდა გადასცეს გამყიდველმა ეს ნივთი მიყიდველს, 5000 თუ 4000 ლარად?

ლოს პირველმა, საპირისპირო შესრულების მიღების გარეშე, რათა არ დარჩეს ხელცარიელი, იმიტომ რომ მეორე მხარე არ ან ვერ ასრულებს. აქ ეს დაკავების უფლება სპეციალურად გაითვალისწინეს მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ანუ ლამარამ შეგნებულად დაიზღვია თავი ამ რისკისაგან, თუმცა შემდეგ გახდა შეურაცხადი და ამ მგომარობაში უარი თქვა მისი დაცვის ამ მექანიზმზე, თავის არსებულ სამართლებრივ პოზიციაზე. მაგრამ სწორედ ამას ემსახურება სკ-ის 58 III მუხლი — დაიცვას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი საკუთარი სამართლებრივი პოზიციების თავისივე ხელით განიავებისაგან. ამგვარად, უალტერნატივოა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირს არ უნდა ჰქონდეს საშუალება დამოუკიდებლად, საკუთარი ნების გამოხატვით, დაკარგოს საკუთრება უძრავ ქონებაზე როგორც ზოგადად, ისე მოცემულ შემთხვევაში და ეს სადავო ვერ იქნება. პრობლემატური მხოლოდ ის კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ეს შედეგი — საკუთრების არგადასვლა. სანივთო გარიგების გარეშე მისი მიღწევა შეუძლებელია. თუ არ არსებობს სანივთო გარიგება, ანუ საკუთრების გადასვლისათვის მხოლოდ ნასყიდობის დადება და რეგისტრაცია საჭირო, რომელიც რეალაქტს წარმოადგენს, მაშინ აქ შეუძლებელია საკუთრების მეზობელზე გადასვლის ჩაშლა. რადგან ნასყიდობა დაიდო ნების ნაკლის გარეშე — მისი დადების მომენტში ლამარა სრულებით შერაცხადი იყო — ხოლო რეგისტრაციას, როგორც რეალაქტს, ნების ნაკლი ვერ ჩაშლის, იმიტომ რომ ეს არ არის გარიგება ან რაიმე გარიგებისმიერი მოქმედება.<sup>10</sup> შესაბამისად ნასყიდობის დადების შემდეგ წარმოშობილი ფსიქიკური აშლილობა ამ რეალაქტს ძალას ვერ დააკარგვინებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეზობელი ვახდება და დარჩება ნივთის მესაკუთრე და ამას ვერაფერი ვერ შეცვლის.

**გ) საკუთრების გადაცემის ჩაშლა სანივთო გარიგების მეშვეობით**

სხვაგვარად არის საქმე სანივთო გარიგების არსებობის შემთხვევაში. მისი მეშვეობით შესაძლებელი ამ უსამართლო შედეგის თავიდან აცილება. კერძოდ, თუ სანივთო გარიგება არსებობს და ის საკუთრების რეგისტრაციის წინაპირობას წარმოადგენს, რაზეც მიანიშნებს ყველა ზემოთ მოყვანილი დანაწესი, უძრავი ნივთების შემთხვევაში კი, განსაკუთრებით, სკ-ის 311<sup>1</sup> მუხლი (იხ. ზევით), მაშინ აუცილებელია, რომ ნების ნაკლი სახეზე არ იყოს არა მხოლოდ ნასყიდობის, არამედ ასევე, მოგვიანებით, რეესტრში დადებული სანივთო გარიგების მომენტშიც.<sup>11</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, მართალია, ნასყიდობა და მისგან წარმომდგარი ვალდებულება ძალაში რჩება, თუმცა საკუთრება სანივთო გარიგების ბათილობის გამო შემძენვე ვერ გადავა. ეს არის კიდევაც მოცემულ სიტუაციაში ერთადერთი გამა-

<sup>9</sup> F. Baur/R. Stürner, Sachenrecht, 18. Aufl., München 2009, § 64 Rn. 58 (929).

<sup>10</sup> ნების ნაკლი, როგორც ამას თავად ცნება გვეუბნება, შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ ნების გამოხატვას. რეალაქტს, რომელიც არის ფაქტობრივი ხდომილება და არა ნების გამოხატვა, ის ბათილად ვერ აქცევს.

<sup>11</sup> რეესტრში სანივთო გარიგება იდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები რეესტრში აწერენ ხელს ხელშეკრულებას, არამედ მაშინაც, როდესაც ერთი ან ორივე მხარე ნოტარიალური ფორმით დადებულ ხელშეკრულებას რეგისტრაციის მიზნით წარადგენს რეესტრში. ამ დროს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული შეთანხმება საკუთრების გადასვლასთან დაკავშირებით და მისი წარდგენა საჯარო რეესტრში კუმულატიურად ასრულებს სანივთო გარიგების შემადგენლობას და აკმაყოფილებს სკ-ის 311<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნებს.

რთლებული შედეგი — სანივთო გარიგების გაბათილება სკ-ის 58 III მუხლის საფუძველზე იმისათვის, რათა ლამარამ არ დაკარგოს საკუთრება. ყოველგვარი სხვა შედეგი 58-ე მუხლში დაფიქსირებული მიზნის უგულვებელყოფა იქნებოდა.

მოცემული სიტუაცია, ანუ შემთხვევა, როდესაც ნასყიდობა იდება ნების ნაკლის გარეშე, ხოლო, მოგვიანებით, საკუთრების გადაცემის მომენტისათვის ნების ნაკლია სახეზე, შესაძლებელია ათასგვარ ვარიაციაში გათამამდეს. ნების ნაკლი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ შუალედში პირს ემართება ფსიქიკური აშლილობა ან არასრულწლოვანთან გვაქვს საქმე, რომელსაც კანონისმიერი წარმომადგენელი დაუდო (ვალდებულებითი) გარიგება, თუმცა მოგვიანებით განხორციელებული საკუთრების გადაცემაში ეს წარმომადგენელი უკვე აღარ მონაწილეობდა. იგივე ეხება კანონისმიერი აკრძალვისა თუ არაუფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევებს. ამ ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ნების ნაკლის ვარიაციები უამრავია. როგორ წყდება ეს შემთხვევები? პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თუ გვაქვს მხოლოდ ნასყიდობა და რეალაქტი. ანუ მხარეები დებენ მხოლოდ ნასყიდობას და საკუთრებას კი რეგისტრაციის რეალაქტით გადასცემენ, ასეთ პარადიგმაში შუალედში მომხდარი ნების ნაკლის გათვალისწინება შეუძლებელია — რეალაქტი არის რეალური ხდომილება და ის ვერ მოხდება ისე, რომ რეალურად მოხდეს, თორღუნ სამართლებრივად იყოს ნაკლოვანი, ანუ არ წარმოშვას არანაირი სამართლებრივი შედეგები. რეალაქტი ან ხდება, ან არ ხდება. მფლობელობის გადაცემა და რეგისტრაცია, რომლებიც რეალაქტებია, სახეზეა — და იწვევს სამართლებრივ შედეგებს — მაშინაც კი, როდესაც გადაცემის მომენტში გამცემი იყო თორმეტი წლის ან ფსიქიკური აშლილობის მქონე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთოდ ვერ აცნობიერებდა საკუთარი მოქმედების შინაარსს). ამგვარად, რეალაქტზე ნების ნაკლი ვერ აისახება, რის გამოც ვიღებთ შედეგს: ნასყიდობა ნების ნაკლის გარეშე დადებული და ნამდვილია, ხოლო რეალაქტი კი ნამდვილია იმიტომ, რომ მოხდა, ანუ საკუთრება უნდა გადავიდეს, რაც სრულებით გაუმართლებელი შედეგია.

**IV. სანივთო გარიგების კონვენსია**

*კამუსი 2: მეზობლები ა და ბ ერთმანეთს უცვლიან კუთვნილ ბინებს. იმის გამო, რომ ეჩქარებათ და თან ნოტარიუსის ხარჯების დაზოგვაც სურთ, თვითონ ადგენენ გაცვლის ხელშეკრულებას მარტივი წერილობითი ფორმით, აწერენ ხელს და მიდიან რეესტრში. რეესტრი არ იღებს მათ წერილობით ხელშეკრულებას და სთავაზობს რეესტრის სახელშეკრულებო ფორმულარის შევსებას. თუმცა აქ წარმოიშობა ერთი პრობლემა — რეესტრს არ აქვს გაცვლის ფორმულარი. ამიტომაც, რეესტრის თანამშრომელი, როგორც მისი რეაქციიდან ჩანს არაპირველად, ურჩევს მხარეებს ორი ჩუქების დადებას რეესტრის შაბლონის მეშვეობით; რადგან მხარეთა მიზანი მაინც ისაა, რომ თავ-თავიანთ ბინებზე ერთმანეთს საკუთრება გადასცენ, ეს შესაძლებელია ორი ჩუქების მეშვეობითაც, ანუ ა-მ უნდა აჩუქოს თავისი ბინა ბ-ს და ბ-მაც იგივე უნდა გააკეთოს. მხარეები, საბოლოო ჯამში, ასეც იქცევიან. ავსებენ ჩუქების შაბლონებს და ამგვარად გადასცე-*

მენ ერთმანეთს საკუთრებას. მოგვიანებით აინტერესებთ, აქვს თუ არა ამ ყველაფერს სამართლებრივი ძალა.

### 1. სანივთო გარიგების დამოუკიდებლად გარდაქმნის აუცილებლობა

სანივთო გარიგების დამოუკიდებლად, ანუ მავალდებულებელი გარიგების გარეშე, გარდაქმნა (შეცილება, კონვერსია და ა. შ.) მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს სანივთო გარიგება აღიარებულია მართლმწესრიგის მიერ, ანუ გამოცალკევებულია ვალდებულებითი გარიგებისაგან.<sup>12</sup> სანივთო გარიგების გარდაქმნის შესაძლებლობა არც თუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობს პრაქტიკაში, რადგან ყოველთვის არ არის ხოლმე საკუთრების გადაცემასთან ერთად, ასევე, მის საფუძვლად მდებარე კაუზალური გარიგება იმავე ან სხვა მიზეზით საცილო. მაგალითად:<sup>13</sup> მხარეები დებენ ნასყიდობას, თუმცა იმის გამო, რომ გამყიდველს მყიდველის გადახდისუნარიანობაში ეჭვი ეპარება, ფასის სრულად დაფარვამდე ის მხოლოდ პირობადებული საკუთრების (მოლოდინის უფლების<sup>14</sup>) გადაცემას კისრულობს, თუმცა საკუთრების გადაცემამდე მყიდველი მოახერხებს დაარწმუნოს გამყიდველი საკუთარ გადახდისუნარიანობაში, რაც არ შეესატყვისება სიმართლეს, მაგრამ ეს განაპირობებს იმას, რომ გამყიდველი გადასცემს მას სრულ საკუთრებას ყოველგვარი პირობის დადების გარეშე. აქ სახეზეა მოტყუება. თუმცა მოტყუება სკ-ის 81-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით იძლევა მხოლოდ გარიგების საცილობის შესაძლებლობას. მაგრამ რომელია აქ ეს მოტყუებით დადებული გარიგება? ნასყიდობა ვერ იქნება მოტყუებით დადებული, იმიტომ რომ ნასყიდობის დადებისას მყიდველს გამყიდველისთვის არანაირი მცდარი ცნობა არ მიუწოდებია. მოტყუება მოხდა მხოლოდ მისი შესრულებისას, ანუ მეორე დონეზე. თუმცა, თუ ამ მეორე დონეზე არ იარსებებს გარიგება — კერძოდ, სანივთო გარიგება, მაშინ შეუძლებელია მოტყუების სამართლებრივ სფეროში შემოტანა და მისი გათვალისწინება, ანუ შეუძლებელია რეალურად მოტყუებით გადაცემული საკუთრების უკუქცევა, რაც, რა თქმა უნდა, არაა დამაკმაყოფილებელი შედეგია.<sup>15</sup> სხვაგვარად არის საქმე საკუთრების გადაცემის სანივთო გარიგებად დაკვალიფიცირებისას, რა დროსაც ის აქ შეცილებადი იქნებო-

<sup>12</sup> იხ. სანივთო გარიგების შეცილებასთან დაკავშირებით *Th. Mayer-Maly*, in Münchener Kommentar zum BGB, 3. Aufl. 1993, § 142 Rn. 19; *St. Grundmann*, Zur Anfechtbarkeit des Verfügungsgeschäfts, JA 1985, 82; OLG Hamm VersR 1975, 814; *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl. 2014, § 142 Rn. 4; Die gesamten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, hrsg. von Benno Mugdan, Band I, 473; *H. H. Jakobs/W. Schubert*, Die Beratung des Bürgerlichen Gesetzbuches in systematischer Zusammenstellung unveröffentlichter Quellen, Berlin-New York 1985, 738; *H.-P. Haferkamp*, Anfechtung von Grund- und Erfüllungsgeschäft, Jura 1988, 512.

<sup>13</sup> მაგალითი ადებულია: *H. P. Westermann* in *Westermann/Eickmann*, Sachenrecht, 7. Aufl., Heidelberg 1998, § 4 IV I.

<sup>14</sup> იხ. მოლოდინის უფლებასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი/სირაძე/ე-გნატაშვილი*, სანივთო სამართალი, ზემოთ სქ. 4, 159-ე, 171-ე, მე-200 და მომდევნო გვერდები.

<sup>15</sup> მოტყუებულს უნდა ჰქონდეს ვაკოტრებული კონტაპენციისაგან შეცილების მეშვეობით საკუთრების უკუქცევითი ძალით დაბრუნების უფლება და ამით თავისი ნივთის ვაკოტრების მასიდან გამოცალკევების შესაძლებლობა, შდრ. *Grundmann*, JA 1985, ზემოთ სქ. 13, 84; *A. Lindemann*, Die Durchbrechungen des Abstraktionsprinzips durch die höchststrichterliche Rechtsprechung seit 1900, Konstanz 1989, 53; *J. T. Fuller*, Eigenständiges Sachenrecht? Tübingen 2006, 144 და იქ მითითებული ლიტერატურა.

და და გამყიდველს საკუთრება უკუქცევითი ძალით დაუბრუნდებოდა (59 II 1).

### 2. რეესტრში სხვა ტიპის ხელშეკრულების ფორმულარზე ხელის მოწერა

საჯარო რეესტრში სხვა ტიპის ხელშეკრულების ფორმულარზე ხელის მოწერა არის საკმაოდ გავრცელებული გადაწყვეტა რეესტრის პრაქტიკაში. როდესაც რეესტრში არ მოიპოვება სასურველი ხელშეკრულების ფორმულარი, მხარეები — ხშირად თავად რეესტრის თანამშრომლის რჩევით — ავსებენ სხვა მსგავსი ხელშეკრულების ფორმულარს და ამ გზით გადასცემენ ერთმანეთს შესაბამის უფლებას.

ეს გადაწყვეტა მოცემულ შემთხვევაში (ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში) საკმაოდ პრობლემურია, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ჩუქება მოჩვენებითი გარიგებაა სკ-ის 56 I მუხლის მიხედვით და არის ბათილი. აქ ნების გამოხატვა მოხდა ურთიერთშეთანხმებით მხოლოდ მოსაჩვენებლად — არც ერთი მხარე აპირებდა ბინის ჩუქებას და არც მეორე მხარე მისგან ამ საჩუქრის მიღებას. შესაბამისად, თუ ორივე ჩუქება ბათილია და საკუთრების გადაცემის გარიგებისმიერ საფუძველს მხოლოდ ისინი წარმოადგენდნენ, მაშინ საკუთრება არ გადასულა და ორივე მხარეს აქვს გადაცემული ბინების უკუმოთხოვნის უფლება, რაც არც თუ ისე მომხიბლავი პერსპექტივაა. მართალია, მხარეებს შორის მანამდე (წერილობითი ფორმით) დადებული გაცვლის ხელშეკრულება ნამდვილია, თუმცა ეს ამ კონტექსტში ვერაფერს შეცვლის — საკუთრების რეგისტრაცია მოხდა ამ ორი ჩუქების და არა გაცვლის საფუძველზე.

ამ მიდგომის შედეგად მივიღებთ იმას, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების არც თუ ისე უმნიშვნელო წილი უკუსაქცევი იქნება, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდულია. ერთადერთი მისაღები გამოსავალი ამ შემთხვევაში არის ვალდებულებითი გარიგებისაგან — აქ ბათილი ჩუქებისაგან — დამოუკიდებელი გარიგებისმიერი შემადგენლობის გამოცალკევება სანივთო გარიგების სახით, რომელიც შეიძლება „გადარჩეს“ და წარმოადგენდეს ნამდვილი გაცვლის შესრულებას, რასაც ქვემოთ დეტალურად შევხებით.

### 3. სანივთო გარიგების ვალდებულებითისაგან გამოცალკევება და კონვერსია

ვალდებულებითი გარიგების გარდა უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია აგრეთვე სანივთო გარიგების დადება — შეთანხმება უშუალოდ საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით, მაშინ აქ მხარეებმა ეს სანივთო გარიგება დადეს საჯარო რეესტრში, ჩუქების ფორმულარზე ხელის მოწერით, საიდანაც იკითხებოდა არა მხოლოდ ბინის ჩუქების, არამედ ასევე — მასზე საკუთრების გადაცემის ნება, რაც წარმოადგენს კიდევ სანივთო გარიგებას. ანუ ჩუქების ფორმულარი შეიცავს როგორც ვალდებულებით, ისე სანივთო გარიგებას.

თუმცა ჩუქების ხელშეკრულება იყო ბათილი, როგორც მოჩვენებითი გარიგება. საკითხავია, თუ როგორ აისახება ეს იმავე ფორმულარში დაფიქსირებული სანივთო გარიგების ნამდვილობაზე. ეს სანივთო გარიგება, მიუხედავად მოცემული ტექსტუალური ბმისა ჩუქებასთან, არის არა მისი ნაწილი, არამედ დამოუკიდებელი შეთანხმება და მისი გარიგებისმიერი შემადგენლობის ნამდვილობის შენარჩუნებისათვის სკ-ის 52-ე მუხლის გამოყენება აუცილებელი არ არის. მიუხედავად ამისა, კაუზალობის პრინციპის თანახმად,



სანივთო გარიგება, მაშინაც კი, როდესაც ნების ნაკლის გარეშე დადებული, ვერ გამოიღებს შედეგს, თუ მას საფუძვლად ნამდვილი კაუზალური გარიგება არ უდევს. ამ შემთხვევაში ეს კაუზალური გარიგება ვერ იქნება გაბათილებული ჩუქება, თუმცა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მოჩვენებითი ჩუქების გარდა სახეზეა ასევე გაცვლა, რომელიც ნამდვილია და საიდანაც წარმოსდგებოდა მხარის მოთხოვნის უფლება იმავე ბინაზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით (521 I). მიუხედავად ამისა, სანივთო გარიგება, რომელიც დაიდო ჩუქების შესასრულებლად ავტომატურად ვერ ჩაითვლება გაცვლის შესასრულებლად დადებულად, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილია, ხოლო პირველი კი — ბათილი. აქ სანივთო გარიგება დაიდო ჩუქების შესასრულებლად, ანუ „ვალის დაფარვის მიზანი“ მიმართული იყო ამ საფუძვლისაკენ. ვალის დაფარვის მიზანი წარმოადგენს გარიგებისდარ მოქმედებას,<sup>16</sup> რომელიც შეიძლება საივლო გახდეს ისევე, როგორც ნების გამოხატვა<sup>17</sup> და ზოგადად ექვემდებარება ნების გამოხატვის წესებს.

საკითხავია, შეიძლება თუ არა მოცემულ შემთხვევაში ამ ვალის დაფარვის მიზნის „ტრანსფორმირება“ და მისი ბათილი ჩუქების შესრულებიდან გაცვლის შესრულების გარიგებად ქცევა. ეს, მართალია შეუძლებელია მისი განმარტების მეშვეობით,<sup>18</sup> რადგან აქ მხარეებს არ სურდათ გაცვლის შესასრულებლად საკუთრების გადაცემა და არ დაურქმევიათ მისთვის მხოლოდ არასწორი სახელი — „ჩუქების შესასრულებლად საკუთრების გადაცემა“ — არამედ უნდოდათ სწორედ მოჩვენებითი ჩუქების საფუძველზე საკუთრების გადაცემა და ამით იმავე მიზნის მიღწევა, რაც დაფარული გაცვლის ხელშეკრულებით იყო დასახული. მხოლოდ საერთო მიზნის ქონა არ არის საკმარისი იმისათვის, რათა ჩუქების შესრულების მიზანი გაცვლის შესრულების მიზნად განიმარტოს. თუმცა იდენტური საერთო მიზნის გათვალისწინება შესაძლებელია ამ „ვალის დაფარვის მიზნის“ კონვერსიის გზით მე-60 მუხლის მიხედვით.<sup>19</sup>

კონვერსიის წინაპირობაა მხარეთა მიერ დადებული გარიგების არანამდვილობა და ჩამნაცვლებელი გარიგების — რომელშიც კონვერტირდება თავდაპირველი გარიგება —

წინაპირობების შესრულება. გარდა ამისა, ჩამნაცვლებელი გარიგების შედეგები არ უნდა იყოს უფრო შორსმიმავალი, ვიდრე თავდაპირველი გარიგებისა და შეესატყვისებოდეს მხარეთა სავარაუდო ნებას. იგივე წესი მოქმედებს გარიგებისდარი მოქმედების კონვერსიის შემთხვევაშიც. აქ კონვერსიის ყველა წინაპირობა სახეზეა. ვალის დაფარვის მიზანი არ არის უფრო შორსმიმავალი — ორივე შემთხვევაში საქმე ეხება საკუთრების გადაცემის ვალდებულების შესრულებას, ეს მიზანი მოცემული შინაარსით გამოიწვევდა საკუთრების გადასვლას და ის შეესატყვისება მხარეთა ნებას.

ამგვარად, მოჩვენებითი ჩუქების დაფარვის მიზანი უნდა კონვერტირდეს გაცვლის დაფარვის მიზნად, რაც სანივთო გარიგებას ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შესრულების გარიგებად აქცევს. შედეგად, სანივთო გარიგება უნდა ჩაითვალოს გაცვლის შესრულების გარიგებად და მის საფუძველზე თითოეულმა მხარემ უნდა მოიპოვოს ბინაზე საკუთრება.

რა თქმა უნდა, აქაც ზედმეტია კიდევ ერთხელ იმის გამეორება, რომ ამ კონსტრუქციის აგება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ვალდებულებითი გარიგებიდან (ბათილი ჩუქებიდან), სანივთო გარიგების სახით, დამოუკიდებელ გარიგებისმიერ შემადგენლობას გამოვაცალკევებთ, რომელიც ვალის დაფარვის მიზნის კონვერსიის საფუძველზე გაცვლის შესრულებად გარდაიქმნება.

**V. „ბინის გირავნობა“**

*კამუხი 3: ა და ბ, რომლებიც ფიზიკური პირები არიან, გადაწყვეტენ, რომ ბ-ს მიერ ა-სათვის მიცემული სესხის უზრუნველსაყოფად უნდა გამოიყენონ ა-ს ამჟამინდელი საცხოვრებელი ბინა, რომელშიც ბ პირადად აპირებს ცხოვრებას. თუმცა იმის გამო, რომ ბ-ს სასარგებლოდ უკვე არის რეგისტრირებული ორი სხვა იპოთეკა საცხოვრებელ ბინებზე, მხარეები აცნობიერებენ, რომ იპოთეკის როგორც უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება აქ არ მოხერხდება და აინტერესებთ, არსებობს თუ არა, რაიმე სხვა, ალტერნატიული საშუალება.*

**1. „ბინის გირავნობა“ ქართულ პრაქტიკაში**

საერთო სურათის შექმნისათვის აუცილებელია ასევე იმ შემთხვევაზე მითითება, რომლებიც ნათელყოფენ, რომ მხოლოდ გამიჯვნის პრინციპის მეშვეობითაა შესაძლებელი კაუზალური გარიგებისა და მისი შესრულების აქტის შინაარსობრივად დამაკმაყოფილებლად გამართვა. ის გარემოება, რომ პირობადებული საკუთრების დოგმატურად გამართული კონსტრუქციის აგება მხოლოდ სანივთო გარიგების კონსტრუქციის მეშვეობით ხერხდება, ზემოთ უკვე ვახსენეთ. ეს მესამე შემთხვევა ამ თემის გაგრძელებაა და ეხება ე. წ. „ბინის გირავნობის“ ხელშეკრულებას, რომელიც უკვე საკმაოდ გავრცელებულია და უფრო გახშირდება იმ ყოველად გაუმართლებელი და არაკონსტიტუციური ცვლილებების გამო, რაც კანონმდებელმა იპოთეკის სამართალში განახორციელა.

2018 წლის 21 ივლისს იპოთეკის სამართალში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, სხვა, მთელ

<sup>16</sup> Wenzel, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 362 Rn. 14.

<sup>17</sup> Schwab, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 812 Rn. 49.

<sup>18</sup> შესრულების მიზნობრივი გამოწვევის თეორიის (OLG Hamm, NJW-RR 1989, 700: მაგალითად, დანიშნულების მითითება საბანკო ვადარიცხვისას) მიხედვით, 427-ე მუხლის გაგებით შესრულების ეფექტის გამოწვევისათვის აუცილებელია ე. წ. ვალის დაფარვის მიზანი, სულ მცირე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არაა ცალსახა, თუ რომელი ვალდებულება სრულდება, მაგალითად, მესამე პირის მიერ განხორციელებული შესრულებისას 372-ე მუხლის მიხედვით ან იმ შემთხვევაში, როდესაც არაა ცალსახა, თუ რომელი ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს კონკრეტული ქმედება (Dennhardt, in Bamberger/Roth BGB, 3. Aufl. 2012, § 362 Rn. 21). ისევე, როგორც კრედიტორს შეუძლია შეთავაზებული საგნის მიღება-არმიღებით განსაზღვროს, ექნება თუ არა მოვალის ქმედებას 427-ე მუხლით გათვალისწინებული ეფექტი, ასევე მოვალესაც აქვს უფლება, ვალის დაფარვის მიზნის მეშვეობით მიაკუთვნოს შესრულება კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველს (მაგალითად, მოვალე ვალდებულია ერთი და იმავე კრედიტორს გადაუხადოს 10 000 სესხიდან და იგივე თანხა ნასყიდობიდან. როდესაც ის იხდის მხოლოდ „ერთ“ 10 000-ს, მაშინ მხოლოდ ვალის დაფარვის მიზნის მეშვეობით უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ეს ნასყიდობის ფასის დაფარვას, თუ სესხის დაფარვას იმავე ოდენობით (387 I, ვარ. 1).

<sup>19</sup> იხ. რუსიაშვილი/სირაძე/ევნასტაშვილი, სანივთო სამართალი, ზემოთ სქ. 4, 280.

<sup>20</sup> R. Chattopadhyay, Zur Wirkung von Tilgungsabreden, ZJS 2 (2010), 154.

<sup>21</sup> იხ. შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 37-ე და მომდევნო გვერდები.

რიგ ახალ ცვლილებასთან ერთად, აიკრძალა კერძო პირისაგან აღებული ვალის იპოთეკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. სკ-ის 286 VI 1 მუხლში დატოვებული შესაძლებლობა, კერძო პირის სასარგებლოდ იპოთეკის შეთანხმებისა — რომელიც ბინის „დაგირავების“ სამართლებრივი აღიარების მცდელობას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში მხარეებს არ გამოადგებათ, რადგან ბ-ს მიერ გაცემული ორი სხვა სესხი უკვე უზრუნველყოფილია იპოთეკით, რის გამოც სკ-ის 286 IV მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა ამ შემთხვევაზეც ვრცელდება (286 VI 2).

## 2. „ბინის გირავნობის“ სამართლებრივი კონსტრუქცია

ამ ე. წ. „ბინის გირავნობის“ სამართლებრივად გამართვის სამი ვარიანტი არსებობს: 1. მოვალემ აიღოს სესხი, უზრუნველყოს ის იპოთეკით და გარდა ამისა, მიანიჭოს კრედიტორს ბინით სარგებლობის უფლება; 2. ზეპირად ან წერილობით შეათანხმონ სესხი, ხოლო რეესტრში ხელი მოაწერონ ნასყიდობას, რომლის ფარგლებში ვითომ-მყიდველი რეალურად სესხის თანხას გადაიხდის როგორც ნასყიდობის ფასს, მეორე მხარე გადასცემს მას საკუთრებას, თუმცა ამავდროულად შეათანხმებენ გამოსყიდვის უფლებას იმ ფასად, რაც შეესატყვისება სესხის ძირ თანხას დამატებულ პროცენტებს; 3. გააფორმონ სესხი და მის უზრუნველსაყოფად მსესხებელმა გამსესხებელს ბინაზე საკუთრება გადასცეს, რომელიც სესხის ვასტუმრების შემდეგ მსესხებელს უკან დაუბრუნდება, ე. წ. „უზრუნველყოფილი საკუთრება“.

### ა) სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის კომბინაცია

ამგვარად, პირველი ვარიანტი ეს არის სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის კომბინაცია. ბინის გირავნობის აუცილებელი ელემენტია სესხის ხელშეკრულება სკ-ის 623-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით (625 III მუხლით გათვალისწინებული ფორმის დაცვით), რომლის ფარგლებშიც ერთი პირი გადასცემს მეორე პირს ფულად თანხას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია, უხადოს პროცენტები და სესხის ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნოს ეს თანხა. გამსესხებლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით (286-ე და მომდევნო მუხლები). გარდა ამისა, გამსესხებელს სურს ასევე პირადად ისარგებლოს ბინით, რისთვისაც მხარეები დამატებით გამსესხებლისათვის სარგებლობის უფლების მიმნიჭებელ ხელშეკრულებას დებენ.

მართალია, პრაქტიკაში ეს გადაწყვეტა ყველაზე გავრცელებულია, თუმცა მოცემული კონსტრუქცია ამ სიტუაციაში არ შეესატყვისება მხარეთა, უფრო ზუსტად კი, გამსესხებლის, ინტერესებს. „ბინის გირავნობისას“ მხარეებს სურთ, რომ ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში გამსესხებელი ავტომატურად გახდეს მესაკუთრე, მეორე მხარის ყოველგვარი დამატებითი თანაქმედების გარეშე. იპოთეკის უფლება ამ მიზნის მიღწევისათვის გამოუსადეგარია. ის, მართალია, ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული ნივთის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობას (300), თუმცა ეს ხდება არა ავტომატურად, არამედ მხარეები ამაზე დამატებით უნდა შეთანხმდნენ, უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების შემდეგ.<sup>23</sup> მა-

ნამდე მიღწეული შეთანხმება არანამდვილია.<sup>23</sup> ამიტომაც, თუ მოვალე, სესხის დაბრუნების გაჭიანურების შემთხვევაში, უარს იტყვის შეუთანხმდეს იპოთეკარს ბინის მის საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით, კრედიტორს არ დარჩება სხვა გზა გარდა იპოთეკის საგნის რეალიზაციისა, რაც სკ-ის 300-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ შემდგომ ექვემდებარება და იპოთეკარისათვის მოცემულ სიტუაციაში ცალსახად არამოგებიანია.<sup>24</sup> ამის გამო, ბინის იპოთეკით დატვირთვა აქ საერთოდ არ შეესატყვისება გამსესხებლის ინტერესს — სესხის ვერდაფარვის შემთხვევაში ავტომატურად და სამუდამოდ დარჩეს ნივთის მესაკუთრედ.

გარდა სხენებულია, მოვალეს, იპოთეკის დადგენის მიუხედავად, რჩება შესაძლებლობა, გაასხვისოს ნივთი მესამე პირზე. მართალია, ამ მესამე პირზე იპოთეკით დატვირთული საკუთრება გადავა, თუმცა მას ექნება იპოთეკარის დაკმაყოფილებისა და ამ გზით, უკვე მის საკუთრებაში მყოფი, ნივთის გამოსხნის უფლებამოსილება (292 I). დიდია ალბათობა იმისა, რომ ის ამას გააკეთებს, რადგან სესხის თანხა, ჩვეულებრივ, ბევრად ჩამოუვარდება ნივთის ღირებულებას და ახალი მესაკუთრისათვის ნივთის გამოსხნა ნებისმიერ შემთხვევაში მოგებიანია. ახალი შემძენისათვის „ნივთის გამოსხნის“ შესაძლებლობის დატოვება სრულებით მიუღებელია გამსესხებლის პოზიციიდან, რადგან, ბინის „გირავნობის შემთხვევაში“, სესხის დაბალი პროცენტები განპირობებულია არა იმ სარეალიზაციო პოტენციალით, რასაც ბინა საკუთარ თავში შეიცავს, არამედ მოვალის მიერ ვალის ვერგასტუმრების შემთხვევაში ბინის სამუდამოდ კრედიტორის საკუთრებაში დარჩენის შანსით. ეს შანსი იკარგება, თუ მსესხებელს დარჩებოდა ბინის სხვა პირზე გასხვისების შესაძლებლობა. გარდა ამისა, თუ გამსესხებელი გახდება მხოლოდ იპოთეკარი და არა მესაკუთრე, მას არ ექნება მესამე პირის მიმართ ვინდიკაციური და ნეგატორული მოთხოვნები (172), მათი მხრიდან მფლობელობისა და სარგებლობის ხელყოფის აღსაკვეთად.

ყველა ეს არგუმენტი ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ იპოთეკარის პოზიცია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეესატყვისება გამსესხებლის ინტერესებს. გარდა ამისა, მართალია, სკ-ის 286 IV მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ფიზიკური პირი-იპოთეკარი უძრავ ნივთს საცხოვრებელ სადგომად იყენებს (286 IV 1)<sup>25</sup>, თუმცა, თუ ეს უკვე მის სასარგებლოდ დატვირთული მესამე ბინა, ზემოსხენებული აკრძალვა მაინც ვრცელდება (286 IV 2), რაც ნიშნავს იმას, რომ ის მოცემულ კაზუსში მხარეებს არ გამოადგებათ.<sup>26</sup>

### ბ) სესხის „შეფუთვა“ ნასყიდობად

„ბინის გირავნობის“ სამართლებრივად გამართვის მეორე ვარიანტი შემდეგია: მხარეებმა უნდა დადონ ნასყიდობა; ვითომ-გამყიდველი (სინამდვილეში: მსესხებელი) გადასცემს საკუთრებას, ხოლო ვითომ-მყიდველი (სინამდვილეში: გამსესხებელი) ნასყიდობის ფასს, რომელიც ექნება რე-

<sup>23</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 300 მე-6.

<sup>24</sup> *H. Bölling*, Das Sicherungseigentum an Immobilien nach dem georgischem ZGB (Teil 1), Wirtschaft und Recht in Osteuropa (WiRO) (2004), 4.

<sup>25</sup> ამით კანონმდებელს სავარაუდოდ სწორედ ბინის „დაგირავების“ დასაშვებად ცნობა სურდა.

<sup>26</sup> *რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი*, სანივთო სამართალი, ზემოთ სქ. 4, 286.

<sup>22</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 300 მე-4 და მომდევნო ველები.

ალურად სესხის თანხა. ამავდროულად მხარეები შეათანხმებენ ე. წ. „გამოსყიდვის უფლებას“ (რამაც 509-ე და მომდევნო მუხლები მხოლოდ შერჩევითად და ანალოგიით ვრცელდება), რომელიც ვითომ-გამყიდველს მინიჭებს უფლებამოსილებას გარკვეული დროის (რეალურად სესხის ვადის) გასვლის შემდეგ გამოისყიდოს ნივთი გამრდილი ღირებულებით (სესხის ძირი თანხა + პროცენტები).

ეს კონსტრუქცია, სესხის შეფუთვა ნასყიდობად, ამ სამიდან ყველაზე სარისკოა. მისი მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ სამართალი მას არ აღიარებს. მოცემული ნასყიდობა იქნება ბათილი სკ-ის 56 I მუხლის მიხედვით, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ მოვალე მისი დადებიდან ერთი თვის შემდეგ ფულს იშოვის, ან ნასესხები თანხა აღარ დასჭირდება, ის განაცხადებს ნასყიდობის არანამდვილობის შესახებ, გამოასახლებს კრედიტორს და დაუბრუნებს მას გადაცემულ თანხას. ამ ხელშეკრულებით შებოჭილი არ იქნება არც კრედიტორი. ვარდა ამისა, გამოსყიდვის უფლებას ვერ ექნება სანივთო ძალა, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ შუალედში მესაკუთრედ დარეგისტრირებული მყიდველი ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს, მსესხებელ-გამყიდველის გამოსყიდვის უფლება უფასურდება, რადგან ის ნივთს უკან ვეღარ დაიბრუნებს — შეუძლია მოთხოვოს მხოლოდ მისი ღირებულება.

**გ) ფიდუცია – უზრუნველყოფი საკუთრება**

არსებობს სესხიდან წარმომდგარი მოთხოვნის უზრუნველყოფის მესამე ალტერნატივა. ეს არის ე. წ. საკუთრების უზრუნველსაყოფად გადაცემა (Sicherungsübereignung). კრედიტის უზრუნველყოფის ეს ფორმა ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართალში,<sup>27</sup> ფიდუციის სახელით, ცალსახად არის აღიარებული გერმანულ მართლწესრიგში<sup>28</sup> და მას, ამ თუ იმ ფორმით, იცნობენ (ან იცნობდნენ) სხვადასხვა ევროპული თუ არაევროპული მართლწესრიგები.<sup>29</sup> საქართველოშიც ეს სამართლებრივი ინსტიტუტი თავის დროზე დასაშვებად იყო მიჩნეული.<sup>30</sup> მოგვიანებით, კანონში რეგისტრირებული გირავნობისა და როგორც იპოთეკის, ისე გირავნობის შემთხვევაში, დატვირთული ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის დათქმის შემოტანით, მისი აუცილებლობა თითქოს აღარ არსებობდა,<sup>31</sup> თუმცა უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ამ ინსტიტუტის აქტუალობა ერთი-ორად გაიზარდა. საბოლოო ჯამში, მოთხოვნის უზრუნველყოფის ეს საშუალება რჩება საბანკო

კრედიტის ერთადერთ ალტერნატივად. მოთხოვნის უზრუნველყოფის მოცემული ფორმა ყველაზე მეტად შეესატყვისება იმას, რასაც მხარეები „ბინის გირავნობის“ ქვეშ მოიაზრებენ.

„უზრუნველყოფი საკუთრებისას“ კრედიტის უზრუნველყოფა ხდება უშუალოდ საკუთრებით. მოვალე კრედიტორს გადასცემს საკუთრებას მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ ვალის არდაბრუნების შემთხვევაში ეს საკუთრება კრედიტორს დარჩება. ანუ შესაბამისი ფორმით დადებული სესხიდან წარმომდგარი მოთხოვნის უზრუნველსაყოფისათვის, ამ შემთხვევაში გამოიყენება არა იპოთეკა, არამედ საკუთრების გადაცემა. უზრუნველყოფი საკუთრების გადაცემის (ფიდუციის) ფორმას წარმოადგენს საკუთრების გადაცემისათვის პირობის დადება. ამასთან, შეიძლება როგორც გადადების (96), ისე გაუქმების (97) პირობის გამოყენება.<sup>32</sup> პირველ შემთხვევაში კრედიტორზე საკუთრების გადასვლა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალე არ დააბრუნებს დათქმულ დროში სესხად აღებულ თანხას — ნეგატიური პირობა (94).<sup>33</sup> მეორე შემთხვევაში მოვალე, სესხის თანხის მიღებასთან ერთად, გადასცემს მას საკუთრებას, თუმცა თანხის დაბრუნება — პოზიტიური პირობა (93), როგორც პირობა სკ-ის 97-ე მუხლის გაგებით, აუქმებს ამ საკუთრების გადაცემას და ის ისევ მოვალეს უბრუნდება.<sup>34</sup>

საჯარო რეესტრი იძლევა სანივთო გარიგებისათვის დადებული პირობის გასაჯაროებისა და ზოგადად პირობადებული სანივთო გარიგების რეგისტრაციის, შესაძლებლობას.<sup>35</sup>

თუმცა, სანივთო გარიგების გარეშე, უზრუნველყოფი საკუთრების კონსტრუქციის აგება შეუძლებელია. მის გარეშე პირობა მხოლოდ ვალდებულებით გარიგებას — უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ შეთანხმებას შეიძლება დაედოს, თუმცა ამ შეთანხმებით, ისევე, როგორც ყველა სხვა

<sup>27</sup> Gai. 2, 60; *W. Erbe*, Die Fiduzia im römischen Recht, Weimar 1940; *H. Hausmaninger/W. Selb*, Römisches Privatrecht, Wien 1981; 179; *M. Kaser/R. Knütel*, Römisches Privatrecht, 18. Aufl., München 2005, 149; *H. Honsell*, Römisches Recht, Berlin-Heidelberg 2015, 76.

<sup>28</sup> *M. Aschenbrenner*, Die Sicherungsübereignung im deutschen, englischen und brasilianischen Recht, Tübingen 2014, მე-7 და მოდერნო გვერდები.

<sup>29</sup> *მდრ. B. Reich*, Das stille Pfandrecht der Niederlande, Göttingen 2006, 52, 62; *Aschenbrenner*, Die Sicherungsübereignung, ზემოთ სქ. 29, 211; *C. H. M. Waldock*, The Law of Mortgages, 2nd ed., London 1950, 75.

<sup>30</sup> *ლ. ჭანტურია*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი 1999, მუხ. 302, 300; *Bölling, WiRO* (2004), ზემოთ სქ. 25, 1, 33.

<sup>31</sup> რეალურად ეს ასე არ არის; უზრუნველყოფი საკუთრებას აქვს უპირატესობა როგორც რეგისტრირებულ გირავნობასთან, ისე (საკუთრებაში გადასვლის დათქმით შეთანხმებულ) იპოთეკასთან მიმართებით, უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების გარეშეც, იხ. *რუსიაშვილი-სირდაძე/ევნათაშვილი*, სანივთო სამართალი, ზემოთ სქ. 4, 162-ე და მომდევნო გვერდი.

<sup>32</sup> *Bölling, WiRO* (2004), ზემოთ სქ. 25, *WiRO* 2004, 1, 35.

<sup>33</sup> ეს შემთხვევა ყველაზე ახლოს დგას პირობადებულ საკუთრებასთან 188-ე მუხლის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ გადადების პირობა არის არა ფასის გადახდა, არამედ სესხის თანხის ვერდაბრუნება. თუმცა ამ შემთხვევაშიც, კრედიტორს სკ-ის 188-ე მუხლის ანალოგიით უნდა ჰქონდეს მოლოდინის უფლება ნივთზე, რომლის საკუთრებაში გადაზრდისათვის ხელის შეშლა, ყოველგვარი სხვა ხერხით, ვარდა სესხის დაბრუნებისა, მოვალეს ეკრძალება (95, 98).

<sup>34</sup> ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს უზრუნველყოფი საკუთრების გადაცემის ვალდებულებითი და სანივთო მხარე. აქვს, ისევე, როგორც საკუთრების სამუდამოდ გადაცემისას, აუცილებელია ვალდებულებითი გარიგების დადება — კაუზალური შეთანხმება, რომლის ძალითაც მოვალე ვისრულობს ვალდებულებას, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გადასცეს მას საკუთრება საკუთარ ნივთზე — და სანივთო შეთანხმება, რომლითაც მოვალე უშუალოდ გადასცემს კრედიტორს საკუთრებას და რომელსაც დადებული აქვს ზემოთ ხსენებული პირობა.

<sup>35</sup> მაგალითად, რეესტრის პრაქტიკაში შიორია ხოლმე დათქმა: „... მყიდველი (მომავალი მესაკუთრე) რეგისტრირდება ნასყიდობის საგნის მომავალ მესაკუთრედ თანხის სრულად გადახდამდე და არა აქვს უფლება გაყიდოს, დააგირაოს არ რამე სხვა სახით განკარგოს ნასყიდობის საგანი. ... თანხის სრულად გადახდის შემდეგ გაფორმდება მიღება-ჩაბარება და მხოლოდ მას შემდეგ გახდება მყიდველი სრული და ერთპიროვნული მესაკუთრე.“ აქ, რა თქმა უნდა, საქმე ეხება 188-ე მუხლის გაგებით საკუთრების პირობადებულ გადაცემას და არა უზრუნველყოფი საკუთრებას, თუმცა ეს უნდა იქნებოდა. მთავრია, რომ საჯარო რეესტრი ტექნიკურად იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში აისახოს სანივთო გარიგებისათვის დადებული პირობა, რითიც უზრუნველყოფილია ამ პირობის საჯაროობა. გადადების პირობა დაედება სანივთო გარიგებას თუ გაუქმების პირობა (ან გადადების ნეგატიური პირობა), ეს უკვე უნდა იქნებოდა, რადგან, თუ დასაშვებია ერთი, დასაშვებია უნდა იყოს ასევე მეორეც.

ვალდებულებითი შეთანხმებით, წარმოიშობა მხოლოდ ვალდებულება; პირობის დადება კი გამოიწვევს მხოლოდ მისი წარმოშობის გადადებას ან გაუქმებას და ვერ ექნება პირდაპირ სანივთო უფლებებზე ზემოქმედების (სანივთო) ძალა.

ფიდუციის არსებობა, როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სანივთო გარიგება. მხოლოდ პირობადებული სანივთო გარიგების შემთხვევით არის შესაძლებელი, მოცემულ შემთხვევაში, კრედიტორისა და მოვალის ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების მორიგება. ერთი მხრივ, კრედიტორს სურს, რომ მოვალის მიერ ვალის ვერაფარვის შემთხვევაში ავტომატურად — მეორე მხარის თანაქმედების გარეშე — დარჩეს ნივთზე საკუთრება, ხოლო მოვალეს კი უნდა, რომ ვალის დაფარვის შემთხვევაში ასევე ავტომატურად დაიბრუნოს უკან ეს საკუთრება. ამას პირობადებული ვალდებულებითი გარიგება ვერ უზრუნველყოფს.

თუ უზრუნველყოფის (ვალდებულებით) ხელშეკრულებაში ჩადებულია დათქმა, რომ ვალის არდაფარვის შემთხვევაში საკუთრება გადაეცემა კრედიტორს, აუცილებელია ამ შემთხვევის დადგომისას დამატებითი შეთანხმება საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით. თუ მოვალე მხოლოდ ვალდებულია გადასცეს კრედიტორს საკუთრება (ვალდებულებითი შეთანხმების ფარგლებში მხოლოდ ვალდებულება შეიძლება არსებობდეს), კრედიტორი ამ მოვალის თანაქმედების გარეშე ვერ გახდება მესაკუთრე. ასევე პირიქით — როდესაც კრედიტორს საკუთრება თავიდანვე გადაეცემა ვალის უზრუნველსაყოფად, თუ ის უარს ამბობს ვალის დაფარვის შემდეგ საკუთრების უკან გადმოცემაზე, მოვალე მას ავტომატურად ვერ დაიბრუნებს.

რაც შეეხება ბინით სარგებლობის ურთიერთობას, უზრუნველყოფი საკუთრებით სარგებლობის ხელშეკრულება (ვალდებულებითი და არა სანივთო გარიგება) წარმოადგენს ფიდუციარულ გარიგებას, საკუთრების მიწოდებას (725-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით<sup>36</sup>) მიწოდების ინტერესებში. ეს ხელშეკრულება ანიჭებს კრედიტორს ნივთის ფლობისა და მისით სარგებლობის უფლებას.

### VI. სანივთო გარიგების საცილობა

*კაზუსი 4: მარცვლეულის გადამამუშავებელი კომპანია ყიდულობს ა-საგან კასპის რაიონში მდებარე 10 ჰექტარ მიწის ნაკვეთს იმ პირობით, რომ, თუ ნიადაგის გრანულომეტრული და ქიმიური შემადგენლობა არ იქნება გამოსადეგი მარცვლეული კულტურის მოყვანისათვის, მყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ის საკუთრებას გადასცემს სხვა, ქარელის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელიც ასევე გამყიდველს ეკუთვნის და იმავე ფართობისაა. ამის შემდეგ გამყიდველი აყალბებს ნიადაგის შემადგენლობასთან დაკავშირებულ ექსპერტიზის დასკვნას და მყიდველი სიხარულით იფორმებს მიწის ნაკვეთს. ის ნიადაგის უვარგისობას აღმოაჩენს მხოლოდ ორი წლის შემდეგ, როდესაც იქ დათესილი არც ერთი კულტურა არ იხარებს. ამის შემდეგ მყიდველს*

*სურს თავდაპირველი პირობით სარგებლობა და ქარელში მდებარე ნაკვეთზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნა.*

სანივთო გარიგების ვალდებულებითი გარიგებისგან დამოუკიდებლად საცილობა, როგორც ზემოთ, კონვენციის კონტექსტში, უკვე ვახსენეთ, შეიძლება პრაქტიკაში არც თუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობდეს. მაგალითის სახით შესაძლებელია შემდეგ შემთხვევაზე მითითება: გამყიდველი კისრულობს 2018 წლის 3.5 ძრავიან ტოიოტა კამრიზე საკუთრების გადაცემას. ეს წარმოადგენს ჩვეულებრივ გვაროვნულ ვალდებულებას, ანუ გამყიდველს ევალება ამ მონაცემების მქონე საშუალო ხარისხის ავტომობილზე საკუთრების გადაცემა (380). თუმცა ის შეცდომით არჩევს მის გარეშე გაჩერებული იმ 10 მანქანიდან, რომელიც ამ გვარის ქვეშ ექცევა, მოდელს, რომელსაც დამატებით გააჩნია სპეციალური ფილა და რის გამოც მისი ფასი საშუალოს ფასს ორჯერ აღემატება. მიუხედავად ამისა, ეს სპეციალური მოდელი მაინც ექცევა შეპირებული გვარის ქვეშ, რაც ნიშნავს იმას, რომ გამყიდველს მასზე საკუთრების გადაცემა ეთვლება ჯეროვან შესრულებად სკ-ის 362 II მუხლის მიხედვით და გადაცემის შემდეგ მას უკან ვეღარ მოითხოვს, ვერც ერთი საფუძველით. უკან დაბრუნების ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს შეცილება ნივთის თვისებაში შეცდომის გამო (74 I) — გამყიდველს არ ჰქონია ამ ძვირადღირებული მოდელის გადაცემის ვალდებულება და ეს მხოლოდ შეცდომით მოუვიდა. თუმცა ამ შეცილების წინაპირობაა, რომ ნასყიდობის — რომელიც უშეცდომოდ დაიდო — გარიგებისმიერი შემადგენლობიდან გამოვაცალკეოთ სანივთო გარიგების შემადგენლობა, სწორედ რომელიც იქნებოდა შეცდომის საფუძველზე დადებული.

ზემოთ მოყვანილი მე-4 კაზუსის გადაწყვეტაც სწორედ სანივთო გარიგების შეცილების შემთხვევითაა შესაძლებელი. მყიდველი მხოლოდ მაშინ მოახერხებს სხვა ნაკვეთის გადაცემის პირობის „გაცოცხლებას“, თუ მანამდე გააქარწყლებს კასპის ნაკვეთზე დადებულ სანივთო გარიგებას და ამით გამოწვეულ შესრულების ეფექტს.

#### 1. მეორე ნაკვეთზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნა

მყიდველს სურს მეორე (ქარელის) მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა და მიღებულის დაბრუნება. ეს პრობლემაური ჩანს, რადგან, ერთი შეხედვით, მან სწორედ იმ ნაკვეთზე მოიპოვა საკუთრება, რომელიც შეპირებული იყო ნასყიდობის ფარგლებში და რასაც უნდა გაექარწყლებინა მისი მოთხოვნის უფლება შესრულებით (427). შეცილების შემთხვევით ამ ეფექტის გაქარწყლება შეუძლებელია, რადგან შესრულების არც ერთი თეორიის მიხედვით შესრულების ეფექტის გამოწვევაში კრედიტორის ნების გამოხატვა არ მონაწილეობს.<sup>39</sup>

<sup>36</sup> იხ. შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, მე-20 და მომდევნო გვერდები.

<sup>37</sup> 726 II, III მუხლების მოქმედება გამორიცხულია კონკლუდენტურად.

<sup>38</sup> Bölling, WiRO 2004, ზემოთ სქ. 25, 1.

<sup>39</sup> იხ. ამ თეორიებთან დაკავშირებით BGH NJW 1991, 1295; BGH NJW 1992, 2699; Heinrichs, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 362 Rn. 5; K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts AT, 14. Auflage, München 1987, § 18 I 1, შეკამებისათვის: რუსთიაშვილი/სირდაძე/ვგნატაშვილი, სანივთო სამართალი, ზემოთ სქ. 4, 135.

### 2. სანივთო გარიგების საცილობა

თუმცა შესრულების ეფექტის გაქარწყლება შესაძლებელია სანივთო გარიგების, შეცილების გზით, გაბათილების შემთხვევებით.

შეცილების საფუძველს აქ შეიძლება წარმოადგენდეს შეცდომა ან/და მოტყუება, თუმცა ორივესათვის აუცილებელია მცდარი წარმოდგენის არსებობა, რომელიც გახდა სანივთო გარიგების დადების საფუძველი. მიწის ნაკვეთის თვისებებთან დაკავშირებით მყიდველი, რა თქმა უნდა, შეცდომაში იყო შეყვანილი, თუმცა ეს ცალსახად ვერ იქნება ნასყიდობის საცილობის საფუძველი, რადგან მისი დადების მომენტისათვის მყიდველმა იცოდა, რომ ნიადაგი შეიძლება არ ყოფილიყო შესაბამისი ხარისხის და ვერ ექნებოდა ამასთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენა. ეს მცდარი წარმოდგენა მას შეექმნა უშუალოდ სანივთო გარიგების დადების მომენტში, როდესაც გამყიდველმა წინ დაუდო არასწორი დასკვნა. თუმცა შეცილებისათვის აუცილებელია, რომ შეცდომის გარეშე გამორიცხული იყოს გარიგების დადება. ეს აქ საკმაოდ პრობლემური ჩანს, რადგან გამყიდველმა სწორედ ნასყიდობით შეპირებულ ნაკვეთზე გადასცა საკუთრება. თუ მყიდველს სწორი ინფორმაციის ქონის შემთხვევაშიც არ ექნებოდა არჩევანი, კასპის ნაკვეთზე საკუთრების მიღება-არმიღებას შორის — ვადაგადაცილებულად (390, 400)<sup>40</sup> გახდომის გარეშე — ანუ მაინც იძულებული იქნებოდა დაედო ეს სანივთო გარიგება, მაშინ ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება ტყუილით/შეცდომით განპირობებულად.

### 3. ჩანაცვლების უფლება

თუმცა შეიძლება სხვა შედეგი გამომდინარეობდეს იმ გარემოებიდან, რომ მყიდველს გარიგებით მინიჭებული ჰქონდა შესრულებაზე ერთჯერადად უარის თქმისა და მის მაგივრად სხვა შესრულების მოთხოვნის უფლება. ეს დათქმა წარმოადგენს ე. წ. ჩანაცვლების უფლებას (facultas alternativa), ანუ კრედიტორის უფლებას, შეპირებული შესრულების მაგივრად მოითხოვოს სხვა შესრულება. აქ მყიდველს ჰქონდა უფლება, ნიადაგის უვარგისობის საბაბით, უარეუო კასპის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემის შეთავაზება — შეპირებული ჯეროვანი შესრულება — და მის მაგივრად სხვა შესრულება მოეთხოვა. ჩანაცვლების უფლება წარმოადგენს ე. წ. გარდაქმნით უფლებას,<sup>41</sup> რომლის გამოყენებაც ხდება ცალმხრივი მიღება სავალდებულო ნების გამოხა

ტვით. მარცვლეულის გადამამუშავებელი კომპანია აქ ამ უფლებას აუცილებლად გამოიყენებდა, თუ ეცოდინებოდა, რომ ნაკვეთი რეალურად უვარგისი იყო, რათა შეენარჩუნებინა მეორე ნაკვეთზე საკუთრების მოთხოვნის შესაძლებლობა. შესაბამისად, სანივთო გარიგება კასპის ნაკვეთზე არ დაიდებოდა. ნიადაგის ქიმიური ექსპერტიზის გაყალბებით გამყიდველმა მყიდველს ხელი ააღებინა ამ ჩანაცვლების უფლების გამოყენებაზე. ამგვარად, მოტყუება — ექსპერტიზის არასწორი დასკვნის განზრახ წარდგენა — იყო კაუზალური სანივთო გარიგების დადებისათვის. ა-ს განზრახვით მოცულია ასევე ეს კაუზალობაც.

მყიდველს ჰქონდა გამყიდველი ა-ს მოტყუების გამო გარიგების შეცილების უფლება სკ-ის 81 | 1 მუხლის მიხედვით,<sup>43</sup> რითიც ქარწყლება შესრულების ეფექტი (427) და მას უჩნდება ჩანაცვლების უფლების გამოყენების შედეგად ქარელის ნაკვეთზე საკუთრების მოთხოვნის შესაძლებლობა.

### VIII. შეჯამება

სამართლის სისტემაში, სადაც მოქმედებს, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, ტრადიციის პრინციპი და რეგისტრაციის აუცილებლობა, უძრავი ნივთების შემთხვევაში, ანუ ნასყიდობის გარდა აუცილებელია მფლობელობის გადაცემა ან, თუ უძრავ ნივთს ეხება საქმე, მისი რეგისტრაცია, სანივთო გარიგებას გვერდს ვერ ავუვლით. ტრადიცია და რეგისტრაცია აუცილებლობის ძალით განაპირობებს იმას, რომ ნასყიდობის დადებასა და საკუთრების გადასვლას შორის ჩართული იყოს დამატებითი გარიგებისმიერი მომენტი, არა მხოლოდ რეალაქტის, არამედ გარიგების სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ამ რეალაქტის მიკუთვნება კონკრეტული ნასყიდობისათვის, ნასყიდობის დადების შემდეგ წარმოშობილი ნების ნაკლის გათვალისწინება, კონვენსიის შემთხვევით ფორმალური აქტის მხარეთა ნამდვილ ნებასთან შესაბამისობაში მოყვანა და, ზოგადად, ფაქტობრივი მოცემულობის მხრივ, გართულებულ შემთხვევებში, დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა, სრულებით შეუძლებელი ხდება.<sup>44</sup> სამართალი არსებობს არა მხოლოდ იმისათვის რათა მოაწესრიგოს ფუნთუშის ნასყიდობის შემთხვევა, არამედ სწორედ ზემოთ აღწერილი კომპლექსური კონსტელაციების ერთმნიშვნელოვნად და დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტისათვის.

<sup>40</sup> ნასყიდო ნივთის მიღება მყიდველისათვის წარმოადგენს არა მხოლოდ ე. წ. „საკუთარი თავის წინაშე მოვალეობას“ (Obliegenheit), არამედ „ნამდვილ“ — სასამართლო წესით გამოძალვად ვალდებულებას (477 II, ვარ. 2). ამიტომაც მყიდველი შესრულების მიღების ვადის გადაცილებასთან ერთად ხდება როგორც ვადაგადაცილებული კრედიტორი, ისე ვადაგადაცილებული მოვალე.

<sup>41</sup> მაგალითად, თუ ნასყიდობა იდება წყალგაყვანილობის არმქონე ნაკვეთზე, თუმცა უშუალოდ გადაფორმების მომენტში გამყიდველი უცხადებს მყიდველს, რომ წყალი უკვე გაყვანილია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, მყიდველი ამ მოტივით (სანივთო გარიგების) შეცილებას ვერ განაცხადებს, რადგან მას მაინც არ ჰქონდა უკეთესი ნაკვეთის მოთხოვნის უფლება და იძულებული იქნებოდა მიედო საკუთრება ნაკვეთზე წყლის გარეშე; სხვა შემთხვევაში ჩაითვლებოდა ვადაგადაცილებული კრედიტორად და მოვალედ, მთელი თანმდევი პასუხისმგებლობით.

<sup>42</sup> უფლება, რომელიც მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას, ცალმხრივად შეცვალოს ან გააუქმოს არსებული ურთიერთობა.

<sup>43</sup> ამ კაზუსის ამოხსნა, საბოლოო ვაშში, იდენტურია იმ შემთხვევის გადაწყვეტისა, როდესაც გამყიდველი დაუფიქრებლად აწერს ხელს დათქმას „ფასი გადახდილია“, რასაც შეიცავს ქართული საჯარო რეესტრის ფორმულარი. ეს შემთხვევა უკვე არაერთხელ გახდა სასამართლოს მსჯელობის საგანი და მისი გადაწყვეტა ყოველთვის პრობლემურია ხოლმე. აქ შეგვეძლო სწორედ მისი მოყვანა, მაგრამ მოცემული მაგალითი უფრო მარტივად შლის იმ თემას, რასაც შეცდომით დადებული სანივთო გარიგების საცილობა ქვია, იხ. „ფასი გადახდილია“ — დათქმასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი/სირდაძე/ევგნატაშვილი*, სანივთო სამართალი, ზემოთ სქ. 4, 262-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>44</sup> H. J. Wieling, Sachenrecht, Band 1, 2. Aufl., Heidelberg 2006, § 1 III 1 b (29-30).

<sup>45</sup> Brandes in Bork/Schäfer (Hrsg.), (2012), GmbHG, § 16 Rn. 38.

## სასამართლო პრაქტიკა

საკუთრების შექმნა გამსხვიების უფლებამოსილების ნაკლისას

1. მიკუთვნებითი სარჩელის ბუნებას არ ცვლის და აღიარებით სარჩელად არ გარდაქმნის ის, რომ დავაში, სხვა სადავო გარემოებების დადგენასთან ერთად, განსახილველია გარიგების ბათილობის საკითხიც.

2. შექმნისა და გამსხვიების ნათესაური კავშირი ქმნის შექმნის არაკეთილსინდისიერების პრეზუმფციას, რომელიც მანვე უნდა გააქარწყლოს.

სკ-ის 59 I, 183, 185, 312, 328 I, 408 I, 941, 945-ე მუხლები  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180, 201 I, IV მუხლები  
საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 5, 26 I ბ(ქ) მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება *№*ას-979-911-2017

### I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს საკუთრებაში გადასცა სადავო უძრავი ქონება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პირველ მოპასუხეს მოსარჩელეზე სიცოცხლის განმავლობაში უნდა ებრუნა, ეპატრონა და უბრუნველყო იგი გადაცემული უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლით. პირველმა მოპასუხემ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეწყვიტა მოსარჩელეზე ბრუნვა და მოგვიანებით მიღებული ქონება მეორე მოპასუხეზე (პირველი მოპასუხის მეუღლე) გაასხვისა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი დარეგისტრირდა უძრავი ნივთის შესაკუთრედ საჯარო რეესტრში. მეორე მოპასუხემ სადავო ქონება განკარგა მესამე მოპასუხის (მეორე მოპასუხის და) სასარგებლოდ, რომელიც დავის განხილვის მომენტისთვის იყო რეგისტრირებული უძრავი ქონების შესაკუთრედ. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ, სამივე (ჩუქებისა და ორი ნასყიდობის) ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და სადავო უძრავ ქონებაზე, საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, მან პირველ მოპასუხეს სადავო ქონება საკუთრებაში მოსარჩელის მოვლისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობით გადასცა, რადგანაც პენსია ამისთვის საკმარისი არ იყო. ამის საპირისპიროდ, პირველმა მოპასუხემ გამოიჩინა უმადურობა და უპატივცემულობა, მან სადავო ქონება მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისა, როდესაც სადავო უძრავი ქონების გაქირავება საკმარისი იქნებოდა მოსარჩელის მძიმე მატერიალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. პირველმა და მესამე მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლები. პირველმა მოპასუხემ განმარტა, რომ მას უპირობოდ აჩუქეს სადავო ქონება და, აქედან გამომდინარე, ნაჩუქარი ქონების განკარგვა თავისუფლად შეეძლო. მეორე მოპასუხემ სასამართლოს მიერ დადგენილ 10 დღიან ვადაში შესაგებელი არ წარადგინა. მოგვიანებით წარდგენილ შესაგებებელში მან მიუთითა, რომ სადავო ქონება პირველი მოპასუხისგან კანონით დადგენილი წესით – უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა, თუმცა, რადგანაც იგი სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა და მუდმივად სჭირდებოდა გარკვეული თანხები პროდუქციის შესაქმნად, სადავო ბინის მესამე მოპასუხის სახელზე გა-

სხვისება მოუწია. ბინის შექმნისა და გასხვისების პერიოდში მისთვის არაფერი იყო ცნობილი საცხოვრებელი სახლის გარშემო არსებულ დავასთან დაკავშირებით. მესამე მოპასუხემ განმარტა, რომ იგი მარტოხელა დედაა და წლების განმავლობაში ავროვებდა თანხას საცხოვრებელი სახლის შესაქმნად. მან მეორე მოპასუხისგან შექმნილი სადავო ბინა გაარემონტა, გამოცვალა კარ-ფანჯარა და შეიძინა სხვა სამშენებლო მასალებიც. მისი მტკიცებით, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მან სადავო ქონებაზე საკუთრება შეიძინა, თვალთმაქცურად იყო დადებული, უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ბინაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ დავაზე იგი ინფორმირებული არ ყოფილა და აღნიშნული მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც სარჩელი ჩაბარდა. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ შეურაცხყოფისა და უპატივცემულობის ფაქტებს ადასტურებდნენ. მოსარჩელის მტკიცებით, მოწმის ჩვენებით დასტურდებოდა მხარეთა შორის არსებული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ბინის ჩუქების სანაცვლოდ მოპასუხე მოსარჩელეზე იბრუნებდა. იმავე მოწმის მითითებით, პირველმა მოპასუხემ მოვლა-პატრონობის პირობა არ შეასრულა. ის ავღანეთში წასასვლელად გამოიძახეს, რის შემდეგაც მეორე მოპასუხემ მდებარე სადავო ქონება მესამე მოპასუხეს მიჰყიდა. სხვა მოწმის ჩვენების მიხედვით, ბინის გაჩუქებამდე იგი უშუალოდ შეესწრო მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საუბარს, სადაც პირველმა მოპასუხემ პირობა მისცა მოსარჩელეს, რომ არ წავიდოდა ავღანეთში, მოსარჩელე მას აჩუქებდა სადავო სახლს, სადაც ერთად გადავიდოდნენ საცხოვრებლად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ სხვა უძრავ ქონებას (ბინას) კი გააქირავებდნენ და მიიღებდნენ დამატებით შემოსავალს. პირველი მოპასუხე ჰპირდებოდა მოსარჩელეს, რომ მოუვლიდა და იბრუნებდა მასზე, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მან მოსარჩელესთან კონტაქტი გაწყვიტა და აღარ აძლევდა მას სადავო სახლის გასაღებს. სააპელაციო საჩივარს მოსარჩელე ასაბუთებდა იმითაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში პირველი და მესამე მოპასუხეების ოჯახური კავშირი ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო, თავდაპირველად მეორე მოპასუხესთან, ხოლო შემდეგ – ამ უკანასკნელსა და მესამე მოპასუხეს შორის, მოჩვენებითი ხასიათის იყო, ვინაიდან ვერც მეორე და ვერც მესამე მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინეს ნასყიდობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც მათ არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგება რეალურად სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იყო და სადავო გარიგების მიზანს მოსარჩელის (სარჩენის) მიერ მარჩენალისათვის (პირველი მოპასუხისათვის) უძრავი ქონების საკუ-

ორებაში გადაცემა წარმოადგენდა, რაც მხარეებმა ჩუქების ფორმით განახორციელეს. სააპელაციო პალატის დასკვნებით დადგენილი იყო, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება დამოწმებული არ ყოფილა ნოტარიუსის მიერ, შესაბამისად, დაცული არ იყო უძრავი ქონების გადაცემისას სამისდღეშიორჩინის ხელშეკრულებისათვის სკ-ის 942-ე მუხლით დადგენილი სანოტარო ფორმა, რაც აღნიშნული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი სადავო უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისათვის, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მესამე მოპასუხის ნების მოჩვენებითობა არ დასტურდებოდა. პალატის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მესამე მოპასუხეს სადავო საცხოვრებელი სახლის წინ არსებული ნაკვეთის ყიდვის სურვილი გააჩნდა (რაც გამომდინარეობდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებიდან), ქმნიდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მან ბინა ნამდვილი ნების საფუძველზე შეიძინა, საპირისპირო მტკიცებულება კი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. პალატის დასკვნებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ჯერ პირველი და მეორე მოპასუხე, შემდგომ კი - მეორე და მესამე მოპასუხე გარიგების სხვა შინაარსზე იყვნენ შეთანხმებული. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რაიმე მტკიცებულება, რაც სადავო გარიგების ნების გამომვლენი სუბიექტების მიერ სხვა გარიგების დაფარვაზე მიუთითებდა, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით. მისი განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები და უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილად, რომ პირველი მოპასუხე მოსარჩელესთან ერთად ცხოვრობდა და ზრუნავდა მასზე. სადავო ქონების გასხვისების შედეგად, მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, მას არ შეუძლია მედიკამენტებისა და საკვების შექმნა, რათა სიცოცხლე გადაირჩინოს. მოსარჩელის არგუმენტაციით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რომ მოსარჩელეს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა. მოსარჩელის უფლებები უხეშად დაირღვა, შესაბამისად, მისი მოთხოვნის იურიდიული ინტერესიც სწორედ ჩუქების ხელშეკრულებისა და მისი თანმდევი მოჩვენებითად დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობაა.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო პალატის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის უარყოფის თაობაზე სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც ის სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულ ერთმანეთის საწინააღმდეგო არგუმენტაციას ეყრდნობა. ერთი მხრივ, სასამართლომ სასკებით სწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის შეთანხმება არა ჩუქებად, არამედ სამისდღეშიორჩინად უნდა შეფასებულიყო, მეორე მხრივ კი, სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების

იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა. სარჩელის სახეობად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგალითად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების ან ამ ქონებაზე უფლების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და, ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნებას, ესე იგი, აღძრული ჰქონდა მიკუთვნებითი და არა აღიარებითი ხასიათის სარჩელი. მართალია, ის იმავდროულად ხელშეკრულებების ბათილად ცნობასაც მოითხოვდა, მაგრამ ეს მისი სარჩელის ბუნებას ვერ შეცვლის, რადგანაც გარიგების ბათილობა დამოუკიდებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს, ამ გარემოების დადგენას სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება არ სჭირდება. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულება თავისი შინაარსით არ წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების ჩუქებას, რადგანაც მოსარჩელემ დამაჯერებლად, დასაშვები და სათანადო მტკიცებულებებით დაამტკიცა, რომ პირველ მოპასუხესთან სამისდღეშიორჩინის ხელშეკრულება (სკ-ის 941-ე მუხლი) დადო და მას ამ უკანასკნელისათვის გადაცემული საკუთრების გასხვისების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია (სკ-ის 945-ე მუხლი). ამდენად, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები ამ ნაწილში და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მოპასუხესთან სამისდღეშიორჩინის სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ხოლო ჩუქების ხელშეკრულების მიზანს ამ ურთიერთობის ფარგლებში მარჩინალისათვის სადავო უძრავი ქონების გადაცემა წარმოადგენდა. სკ-ის 942-ე მუხლის მიხედვით, ამ სახის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის წერილობით ფორმასთან ერთად სავალდებულოა მისი სანოტარო წესით დამოწმება, რაც შესრულებული არ არის. შესაბამისად, მითითებული ხელშეკრულება უცილოდ ბათილია (არარა გარიგებაა - სკ-ის 591 და 3281 მუხლები) და, აქედან გამომდინარე, ის ვერ დაედებოდა საფუძვლად საჯარო რეესტრში პირველი მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციას. სკ-ის 183-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, გამსხვისებელს გააჩნდეს ნივთზე საკუთრების კანონიერი უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბათილია სადავო უძრავ ნივთზე დადებული შემდგომი გარიგებებიც. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მოპასუხეზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც მან ნივთი არამესაკუთრისაგან შეიძინა და ამის შესახებ მისთვის ცნობილი იყო (სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები). ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა მეორე მოპასუხის მიერ შესაგებლის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2011, IV მუხლებით. ის მოსარჩელეს არ შედაგვბია იმაში, რომ მასზე საკუთრების უფლების რეგი-

სტრატეგია ფორმალურად განხორციელდა და სინამდვილეში მისი ქონების ხელში ჩაგდება უნდოდა პირველი მოპასუხის ცოლისდას – მესამე მოპასუხეს, ამიტომ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვალა მეორე მოპასუხესთან მიმართებაში, რადგანაც მას აღარ ჰქონდა ამ მოქმედების შესრულების უფლება საქმის არსებითად განხილვის დროს. გარდა ამისა, მეორე მოპასუხის არც მოგვიანებით წარდგენილ შესაგებელშია დამაჯერებლად ახსნილი და დასაბუთებული, თუ რა მიზეზმა განაპირობა ის ფაქტი, რომ მან სადავო ქონება მისი შექმნიდან რამდენიმე თვეში იმავე ფასად მიჰყიდა პირველი მოპასუხის ცოლისდას (მესამე მოპასუხეს). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნებს შექმნების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არც მესამე მოპასუხეს შეუძენია სადავო ნივთზე საკუთრება, რადგანაც ის პირველი მოპასუხის ცოლისდაა და, აქედან გამომდინარე, არსებობს იმის პრეზუმფიცია, რომ მან იცოდა გამსხვისებლის არამესაკუთრების თაობაზე. აღნიშნული პრეზუმფიცია მესამე მოპასუხემ სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით ვერ გააქარწყლა. ამრიგად, საჯარო რეესტრში მესამე მოპასუხე არასწორადაა რეგისტრირებული სადავო ნივთის მესაკუთრედ. რადგანაც ამ რეგისტრაციის საფუძველი (ნასყიდობის ხელშეკრულება) ბათილია, რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და 26 I მუხლის ბ(ქ) პუნქტი) და უნდა აღდგეს რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, რადგანაც მესამე მოპასუხის მოქმედებით მოსარჩელეს ზიანი ადგება (სკ-ის 408 I მუხლი: იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებული გარემოება).

**III. კომენტარი**

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო მართებულად განმარტავს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის არსებულ ურთიერთობას სამისდღეშიო რჩენად, გაუგებარია, რას უნდა ემსახურებოდეს პალატის მითითება – „*მოსარჩელე პირველ მოპასუხესთან სამისდღეშიო რჩენის სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ხოლო ჩუქების ხელშეკრულების მიზანს ამ ურთიერთობის ფარგლებში მარჩენალისათვის სადავო უძრავი ქონების გადაცემა წარმოადგენდა.*“ აბსურდულია იმის დაშვება, რომ სამისდღეშიო რჩენა თავის თავში ჩუქებასაც მოიცავს, იმ დასაბუთებით, რომ სარჩენი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, მარჩენალს ქონება საკუთრებაში გადასცეს. ჩუქება უსასყიდლო ბუნებისაა, ამიტომ შემთხვევა, როდესაც მხარე იღებს ქონებაზე საკუთრებას და სანაცვლოდ კისრულობს რაიმე ვალდებულებას, სხვა სამართლებრივ კონსტრუქციას უნდა მოერგოს. ხარვეზი ტერმინების არამართებულ გამოყენებას უნდა მივაწეროთ, სავარაუდოდ, საკასაციო პალატა მოყვანილ მონაკვეთში გულისხმობდა იმას, რომ მხარეებმა ჩუქების ფორმით გამოხატეს ნება, დაედოთ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება.

უმენაესი სასამართლოს მითითება იმაზე, რომ მხარეების ურთიერთობა სინამდვილეში სამისდღეშიო რჩენად უნდა იყოს განხილული და პირებმა ამისთვის ჩუქების ფორმის მიმართეს, თუმცა სწორია, მაგრამ არაფრითაა დასაბუთებული. დასაბუთების რამდენიმე ჰიპოთეტური ხერხი შეიძლება იყოს შემოთავაზებული (შემთხვევის შემადგე-

ნლობიდან გამომდინარე) იმ სამართალურთიერთობების კვალიფიკაციისთვის, რომელიც მხარეებმა ხელშეკრულების განსხვავებულ სახედ მიიჩნიეს, მაგალითად, გარიგების კონვერსია (სკ-ის 60-ე მუხლი), მხარეთა ნების განმარტება (სკ-ის 52-ე მუხლი), გარიგების მოჩვენებითად შეფასება (სკ-ის 56 II მუხლი) და ასე შემდეგ. საკასაციო სასამართლოს მიერ არაა დასაბუთებული, რატომ არ დადებულა მხარეებს შორის ჩუქება და რა გარემოებების გამო ჩაითვალა ურთიერთობა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებად, როცა *falsa demonstratio non nocet* პრინციპი ზუტად ერგება განსახილველი შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს. სამართალშეფარდების პროცესში ყურადღება ექცევა არა გარიგების სახელწოდებას, არამედ იმ სამართლებრივ შედეგს, რომელსაც მიემართებოდა მხარეთა ნების გამოვლენა.

უმენაესი სასამართლო მართებულად მიუთითებს იმ წინაპირობებზე, რომელიც გამოიციხავს შექმნზე საკუთრების გადაცემას, თუმცა ამას იმდენად არათანმიმდევრულად აკეთებს, სულ მცირე ბუნდოვანი რჩება – ავტომატურად გამოიციხავს თუ არა გამსხვისებლის უფლებამოსილების ნაკლი საკუთრების შექმნას. უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს განემარტა, რომ შექმნის კეთილსინდისიერება უნდა მიემართებოდეს გამსხვისებლის უფლებამოსილების ნაკლს და სამართალშეფარდების მიერ შექმნის კეთილსინდისიერების ფაქტის დადგენა ამავე ნაკლის აღმოფხვრას ემსახურება. ამის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა მხოლოდ აღნიშნავს გამსხვისებლის უფლებამოსილების მნიშვნელობას განკარგვის ნამდვილობის პირობებისთვის და მიუთითებს მუხლებზე, რომლებიც პირის არაკეთილსინდისიერების სამართლებრივ შედეგებს განმარტავენ. ამასთან, ბუნდოვანია, რას გულისხმობს სასამართლო, როცა გასხვისებათა ჯაჭვში (რომელშიც პირველივე გამსხვისებელი არაუფლებამოსილი იყო) უკანასკნელი შექმნის კეთილსინდისიერებას პირველი გამსხვისებლის უფლებამოსილების ნაკლთან აკავშირებს და არა უშუალოდ იმ პირთან, რომელთანაც ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო.

შექმნის კეთილსინდისიერების საკითხსვე მიემართება უმენაესი სასამართლოს მითითება სკ-ის 945-ე მუხლზე, რომელიც განმარტავს, რომ მარჩენალს სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაცემული ქონება გაასხვისოს. პირველ რიგში, გაუგებარია, რა საჭიროა პირისთვის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების გასხვისების უფლების არსებობა-არარსებობის განხილვა იმ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ არაა დადგენილი, ნამდვილია თუ არა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება ნამდვილად ჩაითვლებოდა (რაც, ამ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ფორმის ნაკლის გამო), თანხმობის გარეშე ქონების განკარგვა ავტომატურად ვერ გამოიციხავდა საკუთრების გადასვლას შექმნზე, რადგან შექმნის კეთილსინდისიერების ფაქტს შეუძლია, გამსხვისებლის უფლებამოსილების ნაკლი აღმოფხვრას და ამ უკანასკნელს ამით მაინც მოაპოვებინოს საკუთრება.

<sup>1</sup> სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 20.



საბოლოო ჯამში, განსახილველი გადაწყვეტილება დომინანტურად გამართულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა იმ აუცილებელი შენიშვნის გათვალისწინებით, რომ უზენაესი სასამართლო არათანმიმდევრულად და ხშირად ბუნდოვნად ასაბუთებს დასკვნებს საქმისთვის აუცილებელ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ნინო ქავშიბაია

**სასამართლოს მიერ დივიდენდის განაწილების დავალებების შესაძლებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში**

1. პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღებას უნდა გააჩნდეს ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი და აღნიშნული მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებების – მოგების მიღების უფლების შეზღუდვას.
2. სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე უთითებს პარტნიორთა კრების მხრიდან უფლებამოსილების არამართლმომიერ გამოყენებაზე.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-8, სკ-ის 115-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება № ას-552-527-2016

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელე და მოპასუხე წარმოადგენდნენ მოწილეებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. მოსარჩელის წილი კომპანიაში შეადგენდა 25%-ს, ხოლო მოპასუხე ფლობდა შპს-ს 75%-იან წილს. მოპასუხე ამავდროულად იყო საზოგადოების დირექტორიც.

2014 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრებაზე განიხილეს მოპასუხე კომპანიის 2013 წლის წლიური შედეგები და დივიდენდების განაწილების საკითხი. დადგინდა, რომ საწარმოს 2013 წლის გასანაწილებელი მოგება შეადგენდა 32 324 ლარს, მაგრამ არასწორი აღრიცხვიანობის გამო საწარმოს დაერიცხა დამატებით 20 270 ლარი და სანქცია-საურავი 15 000 ლარი, რაც 2013 წელს საწარმოს წაგებაზე მიუთითებდა. თუმცა, მოსარჩელისთვის არ წარუდგენიათ რაიმე საბუთი, რაც დაადასტურებდა დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრების ფაქტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ზემოთხსენებული მოსაზრება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და, შესაბამისად, ბათილი უნდა ყოფილიყო პარტნიორთა კრების ოქმიც. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხე კომპანიის დირექტორს უნდა დაჰკისრებოდა დივიდენდის განაწილების ვალდებულება.

**II. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა**

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი პარტნიორთა კრების ოქმი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა პარტნიორთა კრების მოწვევასა და 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალებების დავალებულულებას. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების დავალებულულებას. უარის თქმის ნაწილში და მოპასუხე შპს-ს დაავალა მოსარჩელეზე დივიდენდის სახით 8 081 ლარის გაცემა.

სააპელაციო პალატამ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონის) 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, 44-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და 46-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ პარტნიორის ინტერესი, როდესაც იგი ხდება საწარმოს განსაზღვრული წილის მესაკუთრე, სწორედ დივიდენდის სახით საწარმოს მოგებიდან მისი წილის პროპორციული მოგების მიღებაა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონი არ შეიცავს აკრძალვას, რომლის თანახმადაც დივიდენდი მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება განაწილდეს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაში კანონის ასეთი განმარტება უსამართლო და არაპროპორციულად შემზღვეველი იქნებოდა. სასამართლოს შეფასებით, საწარმოს დომინანტი (75% წილის მესაკუთრე) პარტნიორის გადაწყვეტილებით, არ განაწილებინა საწარმოს მიერ მიღებული მოგება დივიდენდების სახით, უკანონოდ იზღუდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება საწარმოს მოგების 25%-ზე (რაც შეადგენდა სწორედ 32 324 ლარის 25%-ს, 8 081 ლარს).

უზენაესი სასამართლოს განჩინებით მოპასუხე კომპანიისა და მისი დირექტორის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს კრების მოწვევის უფლებამოსილებით არ უსარგებლია. გამომდინარე აქედან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, მიეღო გადაწყვეტილება მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების მოწვევისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე, ანუ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო საწარმოს შიდასამეურნეო საქმიანობაში.

**III. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არ პასუხობდა დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნას, რამდენადაც დაზუსტებული მოთხოვნით მოსარჩელე ითხოვდა 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცებას და მხოლოდ მოგების არსებობის შემთხვევაში – მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1328-1170-2010.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოში წლიური მოგების არსებობის შემთხვევაში აღნიშნული მოგების დივიდენდების სახით განაწილება წარმოადგენს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას და არა - ვალდებულებას; თუმცა, აქვე განმარტა, რომ მეწარმე სუბიექტის საქმიანობის მიზანს სწორედ მოგების მიღება წარმოადგენს და პარტნიორებს გააჩნიათ მოგების არსებობის შემთხვევაში დივიდენდების მიღების ლეგიტიმური მოლოდინი. ამდენად, უმენაესი სასამართლოს შეფასებით, პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღებას უნდა ჰქონდეს ასევე ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი და აღნიშნული მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების - მოგების მიღების უფლების შეზღუდვას.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს. კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის ვარაუდის საფუძველს პარტნიორთა კრების მიერ არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მტყუყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა განსახილველ საკითხზე უფლების ბოროტად გამოყენების ჭრილშიც. პალატამ მიუთითა სკ-ის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების გამოყენება მართლმართლ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღწეს სხვას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალ-ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა.

სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში შეამოწმა თავად კრების გადაწყვეტილება შინაარსობრივი თვალსაზრისით, რათა დადგენილიყო სამეწარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორთა კრების მიერ 2013 წლის წლიური მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღება მიუთითებდა პარტნიორთა კრების უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე.

პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და მოპასუხე კომპანიის დირექტორს დაავალა პარტნიორთა კრების მოწვევა შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების არსებობის შემთხვევაში მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

*ანა ბაიძე*

**იძულებით დადებული გარიგების ბათილობა და უკუქცევა**

1. გარიგების დადების მიზნით პირის იძულება ქმნის როგორც სკ-ის 85-86-ე, ისე 54-ე მუხლის შემადგენლობას, რადგან იძულების განხორციელებით ირღვევა საჯარო წესრიგი.

2. იძულებით დადებული გარიგების უკუქცევისას უნდა მიეთითოს სკ-ის 976-ე და 978-ე მუხლებზე.

სკ-ის 85-86, 976, 978-ე მუხლები

*უმენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის განჩინება №ას-224-213-2017*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს და გამოთქვა სურვილი, სადავო უძრავი ქონება (რომელიც მანამდე მოსარჩელეს იძულებით აუქციონის გზით ჰქონდა შეძენილი) უსასყიდლოდ გადაეცა თვითმიმართველი ქალაქისთვის (ქუთაისი). მოსარჩელესა და ქალაქის წარმომადგენელს შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, ქონების მესაკუთრე გახდა თვითმიმართველი ქალაქი. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ქუთაისის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ უსასყიდლო გარიგების ბათილად ცნობისა და სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, ის დაიბარეს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში და პროკურორი დაემუქრა, რომ თუ ქუთაისი თვითმიმართველობას საკუთრებაში არ გადასცემდა სადავო ქონებას, დააკავებდნენ და პასუხისმგებლობაში მისცემდნენ. მოსარჩელის პოზიციით, საქმის განხილვის მომენტისთვის სავაო უძრავი ქონების განადგურებული მდგომარეობა დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ გამოვლენილი უმადურობაა, რის საფუძველზედაც ჩუქება უნდა გაუქმდეს, სკ-ის 529 მუხლის მიხედვით. მოპასუხემ მიუთითა, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა - ბათილად ჩაითვალა განსახილველი ჩუქების ხელშეკრულება და მოსარჩელეს სადავო ქონება საკუთრებაში დაუბრუნდა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 54-ე, 8 III მუხლებით და მიიჩნია, რომ ყოველთვის, როცა გარიგების ერთ-ერთი მონაწილე არის სახელმწიფო, რომელიც, მისი სტატუსიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიიჩნევა გარიგებაში ე.წ. „ძლიერ მხარედ“, ამ გარიგების დადებისას მხარეთა შორის ურთიერთობაში ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი ძალიან მაღალი უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან „სუსტი მხარის“ (კერძო პირის) ხარჯზე. ამიტომ ამგვარი „სუსტი მხარისაგან“ გარიგების ბათილობაზე მითითებისას სწორედ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი - დაადასტუროს, რომ გარიგება შეესაბამება კანონით დადგენილ წესს, არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხემ ვერ ახსნა, თუ რატომ გაუჩნდა სურვილი მოსარჩელეს - უსასყიდლოდ დაეთმო ქონება, რომელმაც საკუთრების უფლება მოიპოვა კანონიერ

<sup>399</sup> საქართველოს უმენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-457-436-2015.

ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, ამასთან, ეს სურვილი მას გაუჩნდა საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან სულ რაღაც ოთხი თვის გავლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება გონიერი ადამიანის ქცევის წესს და საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ფაქტობრივად არსებული გარიგების შინაარსი არ შეესაბამება პირის ნამდვილ ნებას, არამედ ის იძულებული გახდა, დაედო ამგვარი გარიგება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რადგან საქმის მასალებით მოსარჩელეზე დაუშვებელი ზემოქმედება არ დასტურდებოდა. გარდა ამისა, საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსარჩელემ მართებულად არ მიუთითა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია მასზედ, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა მითითებული სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები, და აღნიშნა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა დაადგინოს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება. ამდენად, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სწორედ სასამართლოს კომპეტენციაა იმის მიუხედავად, რა სამართლებრივი საფუძვლები მიუთითა მოსარჩელემ. საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით მოსარჩელეზე იძულების განხორციელებასთან მიმართებაში და განმარტა, რომ სადავო გარიგების ბათილობის მიზნებისათვის სახეზეა როგორც იძულება (სკ-ის 85-ე და 86-ე მუხლი), ისე ამორალურობა (54-ე მუხლი) და მიიჩნია, რომ ბათილად ცნობის შედეგად, სადავო უძრავი ქონების უკან დაბრუნების სამართლებრივ ნაწილში, მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა განხორციელდეს კონდიციური ვალდებულების მარეგულირებელი ნორმების დაცვითი ფუნქციის ფარგლებში (სკ-ის 978-ე მუხლი). საკასაციო პალატის განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 54-ე, 976-ე და 978-ე მუხლები, ამიტომ მოთხოვნის მიმართ გამოყენებულ უნდა იყოს ხანდაზმულობის საერთო - ათწლიანი ვადა, რაც უარყოფს მოპასუხის შედაგებას ხანდაზმულობის ნაწილში.

**III. კომენტარი**

უზენაესი სასამართლო არასწორად მიიჩნევს იძულების შემადგენლობის განხორციელებას ავტომატურად ასეთი ზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების ამორალურობის განმსაზღვრელ ელემენტად. შესაძლებელია გარიგება იყოს იძულებით დადებული და, ამავედროულად, იყოს მართლსაწინააღმდეგო/ამორალური სკ-ის 54-ე მუხლის გაგებით, თუმცა აუცილებელია იმ გარემოებების გამოყოფა, რომლის გამოც ნების გამოვლენა ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

დაუსაბუთებელია, რატომ უთითებს სასამართლო მოთხოვნის საფუძვლებად ერთდროულად სკ-ის 976 და 978-ე მუხლებს, როცა თითოეული მათგანი დამოუკიდებელ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს. იძულებით დადებული გარიგების შეცილების შემდეგ (იმის მიუხედავად, რომ ამ განჩინებაში სასამართლო განსახილველ გარიგებად მსჯელობაში სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით ბათილ გარიგებადაც მოიხსენიებს) ნების გამოვლენა ქარწყლდება გარიგების დადების მომენტიდან, რის გამოც განხორციელებული შესრულება სამართლებრივი საფუძვლის არმქონე ხდება. იძულებით დადებული გარიგების უკუქცევის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 976 | ა) და არა 978-ე მუხლი, რომელიც გაუმართლებლად აფართოებს სკ-ის 118-ე მუხლით განსაზღვრული თვითდახმარების უფლებას და ქმნის აკრძალული თვითნებობის ლეგიტიმაციის შესაძლებლობას.

ნინო ქავშიბაია

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილობა**

1. წესების დარღვევით ჩატარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრებაზე მიღებული ოქმის ბათილობა, რომლითაც განიკარგა ამხანაგობის საერთო ქონება, არ შეიძლება აღიარებითი სარჩელით დაკმაყოფილდეს.
2. მიკუთვნებითი სარჩელის ბუნებას არ ცვლის და აღიარებით სარჩელად არ გარდაქმნის ის, რომ სამართალწარმოების პროცესში განსახილველია ცალკეულ დოკუმენტთა ნამდვილობა, თუ ეს საკითხი მტკიცების საგანია და არა სასარჩელო მოთხოვნა.
3. თუკი საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო სასამართლო დაადგენს, რომ აღძრულია აღიარებითი სარჩელი და არ არსებობს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, მას უფლება აქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი მიიჩნიოს სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველად საპროცესო ანალოგიის გამოყენებით.

სკ-ის 50, 54-ე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 26, 27-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178 | ლ), 180, 186 | თ), 275, 394 ე1) მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება №ას-634-2019

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (შემდგომში-ამხანაგობა) ორმა წევრმა შეიტანა აღიარებითი სარჩელი ამხანაგობისა (პირველი მოპასუხე) და მისი ერთ-ერთი წევრის (მეორე მოპასუხე) წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვეს ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა. სადავო ოქმით მეორე მოპასუხეს მიეცა 2006 წლამდე უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზების უფლება. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ კრება არ მოწვეულა კანონით დადგენილი წესების დაცვით: ამხანაგობის წევრებს არ ჩაბარებიათ შეტყობინება კრების ჩატარების თაობაზე და კრება არ ჩატარებულა ამხანაგობის თავმჯდომარის მეშვეობით, იმ მოცემულობაში, როდესაც არავის მიუმართავს თავმჯდომარისათვის კრების მოწვევასთან დაკავშირებით. მოსარჩელებმა განმარტებით, კრების ოქმით განიკარგა ამხანაგობის საერთო ქონება, რისი გათვალისწინებითაც, სახეზეა გარიგების ბათილად აღიარების იურიდიული ინტერესი. ამხანაგო-

ბის თავმჯდომარემ სარჩელი ცნო, ხოლო მეორე მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს არ გააჩნდათ იურიდიული ინტერესი გარიგების ბათილობის მიმართ. მისივე განმარტებით, ამხანაგობის წევრებმა დაასტურეს ფართის ფლობის ფაქტობრივი გარემოება და, რეალურად, ნება გამოხატულია, რასაც ერთ-ერთი მოსარჩელე ადასტურებს ხელმოწერით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ამხანაგობის კრების სადავო ოქმი ბათილად ცნო. გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მეორე მოპასუხემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხემ ვერ დაადასტურა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის ძალაში შესვლის დროისათვის სადავო ფართის ფაქტობრივი მდგომარეობით ფლობის ფაქტი და, შესაბამისად, ქონებაზე არ დგინდებოდა მისი ინდივიდუალური საკუთრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კრების ოქმით განკარგული ქონება უნდა იყოს მიჩნეული ამხანაგობის საერთო საკუთრებას მიკუთვნებულ ქონებად. ამდენად, სახეზე იყო საერთო საკუთრების განკარგვა, რომელიც ეხებოდა ამხანაგობის ყველა წევრის, მათ შორის, მოსარჩელეთა საკუთრებას, რის შესაბამისადაც, მოსარჩელეს გააჩნდა ალტრული სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა კრების ჩატარების პროცედურულ საკითხებზეც და აღნიშნა, რომ ამხანაგობის საქმიანობას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, თუ თავმჯდომარე არ არის, ან იგი თავისი მოვალეობის საწინააღმდეგოდ თავს არიდებს კრების მოწვევას, კრება შეიძლება მოიწვიოს ნებისმიერმა მესაკუთრემ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კრების მოწვევის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით. ამდენად, კრების მოწვევისა და ჩატარების პროცესში სავალდებულოა ამხანაგობის წევრთა ინფორმირება განსახილველი საკითხების შესახებ, რაც დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით. განსახილველი დავაში, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კრების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ წინასწარ ინფორმირების, ამხანაგობის წევრების კრებაზე მოწვევის, კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მათი მონაწილეობის მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მოპასუხეებს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხემ აღიარა კრების მოწვევის წესის დარღვევა, რაც, სკ-ის 131-ე მუხლის მიხედვით, უნდა ჩაითვალოს აღიარებად და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად. ამასთან, მოპასუხემ ვერ მიუთითა და ვერ დაადასტურა კონკრეტული ფაქტობრივი წინაპირობები, რომელთა შესაბამისადაც კრება ჩატარდა ამხანაგობის სხვა წევრის თავმჯდომარეობით და არა უშუალოდ უფლებამოსილი პირის - ამხანაგობის თავმჯდომარის მოწვევით. მანვე განმარტა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარისათვის და მეორე მოსარჩელისათვის არ უცნობებია კრების მოწვევის თაობაზე, ვინაიდან ისინი მაინც წინააღმდეგნი იქნებოდნენ მხარი დაეჭირათ დღის წესრიგისათვის, ხოლო ამხანაგობის სხვა წევრებს კრების ოქმზე ხელი მოაწერინა ზოგს კრების ჩატარებამდე, ზოგს კრების ჩატარებისას და ზოგსაც - მის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული

კრების ოქმი არ შეესაბამება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის მოთხოვნებს და სახეზეა მისი ბათილად ცნობის საფუძველი დასახელებული კანონის 26-ე, 27-ე მუხლებისა და სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით საკაცო საჩივარი წარმოადგინა მოპასუხემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია, რა სახის ზიანი ადგება მას ან მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს და რატომ უნდა მოხდეს კრების ოქმის ბათილად ცნობა, ამასთან, კრების ოქმის ბათილად ცნობის წინაპირობის არსებობის შემთხვევაშიც კი, კრების ოქმის ბათილად ცნობა მაინც ვერ გახდება საზიარო საგნის თანამესაკუთრის უფლების დაცვის საკმარისი საშუალება.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შეფასების საგანს წარმოადგენდა აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი, რომელიც ამხანაგობის კრებაზე გამოვლენილი ნების - მრავალმხრივი გარიგების კანონთან შესაბამისობას შეეხება. უმენაესი სასამართლოს განმარტებით, საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: უპირველესად, დასადგენია, ხომ არ ვლინდება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება ვასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, რაც მოწმდება ამავე კოდექსის 393-ე მუხლის დანაწესებით. განსახილველ შემთხვევაში, პალატის შეფასებით, არსებობს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე ე ) მუხლის გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე - მისი უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო პალატის განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. განსახილველი აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით მსჯელობისას საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ამ ტიპის სარჩელებისათვის დაწესებულია დამატებითი მოთხოვნა - იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით ამოწმებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზე დამოკიდებული სარჩელის წარმატება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. უმენაესი სასამართლოს განმარტებით, განსახილველ დავაში სადავო კრების ოქმების ბათილობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, მხოლოდ აღნიშნული ვერ გახდებოდა საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა უფლებების დაცვის საკმარისი საშუალება, ვინაიდან იმის მიხედვით, თუ რას განიხილავს მოსარჩელე უფლების დარღვევად, მას დამატებით მოუწევდა შესაბამისი სარჩელის (ხელშემშლის აღკვეთა,

უკანონო მფლობელობიდან საზიარო საგნის/მისი ნაწილის გამოთხოვა, უკანონო ნაგებობის დემონტაჟი და სხვა) აღძვრა, რომლის მტკიცების საგანს და არა სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს ცალკეულ დოკუმენტთა ნამდვილობა. განსახილველ შემთხვევაში ამხანაგობის წევრთა დარღვეული უფლების აღდგენის საუკეთესო საშუალება არ არის აღიარებითი სარჩელი, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის იმპერატიული შეზღუდვიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ გაცდებოდა სასარჩელო მოთხოვნას და ვერ მიაკუთვნებდა მხარეს იმას, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, დგინდება, რომ განსახილველ შემთხვევაში აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია.

მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187 II მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლი ჩამოთვლის სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველებს, თუმცა ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი, რის გამოც დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება. აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186 I თ) ქვეპუნქტის თანახმად (რომელიც საპროცესო ანალოგიის მოშველიებით უნდა იყოს გამოყენებული), იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

ნინო ქავშიბაია

**„ზიანის ანაზღაურება“ იძულებით დადებული გარიგების უკუქცევისთვის**

1. თუკი იძულებით დადებული გარიგების უკუქცევისას ვალდებული პირია სახელმწიფო, სათანადო მოპასუხეა ის უწყება, რომელიც იყო იძულებით დადებული გარიგების მხარე. საკითხის გადაწყვეტას არ ცვლის ის, რომ ფინანსთა სამინისტროა უფლებამოსილი სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში.
2. გარიგების დადების მიზნით პირის იძულება ქმნის როგორც სკ-ის 85-86, ისე 54-ე მუხლის შემადგენლობას, რადგან იძულების განხორციელებით ირღვევა საჯარო წესრიგი.
3. იძულებით დადებული გარიგების უკუქცევისას უნდა მიეთითოს სკ-ის 976-ე, 978-ე და 979-ე მუხლებზე.

სკ-ის 54,85-86, 976, 978, 979-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი

უმენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის განჩინება-№2 ას-225-215-2016

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად ჩაითვალა ჩუქების ხელშეკრულება კახეთის სამხარეო სამმართველოსა და მოსარჩელეს შორის და მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მხარის მითითების საფუძველზე, არასათანადო მოპასუხედ იყო მიჩნეული (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი). მოსარჩელის პოზიციის მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში მოპასუხეა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, უფლებამოსილი სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი და საჭირო გახდება ახალი სასარჩელო წარმოება. სადავო საკითხი, თუ რომელი სამინისტროთი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო წარმოდგენილი, გადაწყდა სკ-ის 54-ე და 976-ე მუხლების სამართლებრივი შინაარსის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდებოდა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობა სადავო გარიგების დადებისას, ფინანსთა სამინისტროს გამდიდრების ფაქტი და, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მის ფუნქციებში არ შედის საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური საკითხების გადაწყვეტა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოცემული დავის ფარგლებში სახელმწიფო ვერ ისარგებლებს ხანდაზმულობის ინსტიტუტზე მითითების სამოქალაქო სამართლებრივი უფლებით. აღნიშნული ეწინააღმდეგება სკ-ის 24 IV მუხლს - სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტად აღიარება ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა თანასწორობის პრინციპს და საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააკასაციო წესით. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ზიანის ანაზღაურების ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის დაკისრებას, რადგან, მისი განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს ფულადი ვალდებულებების შესრულების საკითხთან დაკავშირებით. მოპასუხემ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის სათანადოობის საკითხი მოსარჩელის თანხმობის გარეშე განიხილა, რაც შეკიდობითის პრინციპის დარღვევად უნდა ჩაითვალოს, ამასთან, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ხანდაზმული იყო.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

უმენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია. მოპასუხის სათანადოობის საკითხის გადასაწყვეტად საკასაციო პალატამ ყურადღებას მიაქცია დადგენილ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასარჩელო მოთხოვნის

(გარიგების ბათილობა) მიზნებისათვის არ წარმოადგენდა გარიგების მხარეს და არც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის გამო, მეორადი მოთხოვნის ნაწილში - ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის მიიჩნეოდა ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად (სკ-ის 976 მუხლი). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის ორივე მოთხოვნის მიმართ სათანადო მოპასუხეა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საკასაციო პალატის განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით მოსარჩელის იძულება, ამავდროულად, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა, რადგანაც ამ დროს ირდევია საჯარო წესრიგი (სკ-ის 54-ე მუხლი). მართალია, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულია სკ-ის 54-ე და 85-86 მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამოყენებული უნდა იყოს სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დანაწესი.

საკასაციო პალატის განმარტებით, შეცოლების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. განსახილველი სარჩელის დამაყოფილების მიზნებისათვის გამოსაყენებელია სკ-ის 978 და 979 II მუხლები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გარიგების ბათილობის ხანდაზმულობაზე მოპასუხის მსჯელობა არ წარმოადგენს სამართლებრივად დასაბუთებულ პრეტენზიას, გამომდინარე იქიდან, რომ შეცოლებისა და ხანდაზმულობის ვადები განსხვავებულ სამართლებრივი ცნებებია. უზანაესმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველია სკ-ის 54-ე, 976 და 979-ე მუხლები. საკასაციო პალატა განმარტა, რომ უცილოდ ბათილი გარიგების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ხანდაზმულობის საერთო - ათწლიანი ვადა. შესაბამისად, ხანდაზმულობაზე მოპასუხის ზემოთმითითებული პრეტენზიას სამართლებრივად საფუძველი არ გააჩნია.

**III. კომენტარი**

განსახილველი განჩინება არათანმიმდევრულადაა დასაბუთებული რიგ საკითხებთან მიმართებაში. ერთი მხრივ, სასამართლო განიხილავს შეცოლების თანმდევ სამართლებრივ შედეგებს და მიუთითებს სკ-ის 85-86 მუხლებზე, თუმცა აგრეთვე იმავე გარიგებას მოიხსენიებს უცილოდ ბათილად სკ-ის 54-ე მუხლის მოშველიებით. ამასთან, შეცდომაა იძულებით დადებული გარიგების ავტომატურად მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალურ გარიგებად მიჩნევა, რადგან იძულების შემადგენლობა, ცალკე აღებული, არ აქცევს ნების გამოვლენას კანონის დანაწესების/აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ.

როგორც სააპელაციო, ისე უზენაესი სასამართლო მსჯელობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, თუმცა გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო ამ ტერმინის გამოყენება კონდიქციური მოთხოვნის მიზნებისთვის, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების აღმოფხვრის მთავარი მიზანი არა დაზარალებულის ქონებრივი დანაკლისის სრულად ანაზღაურება (რაც დელიქტურ ვალდებულებებს ახასიათებს), არამედ წანაცვლებული სიკეთის უფლებამოსილი პირისთვის დაბრუნებაა. სასამართლო სწორად უთითებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე, თუმცა ტერმინოლოგია, რომე-

ლსაც ის იყენებს, არამართებულია კონდიქციურ მოთხოვნებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონდიქციური ვალდებულების მოვალე ვერ აბრუნებს შეძენილს იმ სახით, როგორითაც მიიღო, არასწორია ზიანის ანაზღაურების ცნების გამოყენება, რადგან შეძენილის დაბრუნების ვალდებულებას ენაცვლება გადაცემული საგნის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, რაც ზიანის ანაზღაურების იდენტური არაა.

არასწორია უზენაესი სასამართლოს მიერ მოთხოვნის საფუძველად ერთდროულად სკ-ის 976 და 978-ე მუხლების მითითება. შესრულების კონდიქციის ზოგადი შემადგენლობა და იძულებით გადაცემულის უკუქცევის წესი (condictio ex iniusta causa, რომაული სამართლის მიხედვით) მოთხოვნის დამფუძნებელი დამოუკიდებელი საფუძვლებია და სასამართლოს, სულ მცირე, უნდა დაესაბუთებინა, რატომ გახდა საჭირო ორივე მათგანის გამოყენება. შეცოლების შედეგად ბათილი გარიგების შესრულების უკუქცევის საფუძველად სკ-ის 976 ა) მუხლი უნდა მიეთითოს, რადგან სკ-ის 978-ე მუხლი კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რომლის ამოვსება გამართული სამართალშეფარდებითაა შესაძლებელი.

*ნინო ქავშიაია*

**ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას**

1. თუკი პირმა ფულადი ვალდებულების შესასრულებლად აიღო სასყიდლიანი სესხი და მეორე მხარემ ვალდებულება დაარღვია (რამაც დააფუძნა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება), ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტში სესხიდან დარჩენილი გადასხდელი პროცენტი არის ზიანი, რომელიც უნდა აანაზღაუროს რესტიტუციის მოვალემ.
2. მიუღებელი სარგებლის თანხაზე არ შეიძლება იყოს გადახდევინებული პროცენტი (არ გამოიყენება სკ-ის 352 V მუხლი).

სკ-ის 405, 352, 394, 624-ე მუხლები

*უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება № ას-945-895-2015*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელემ 2013 წლის 17 ივნისს სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა 2008 წლის 16 მაისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე და 2010 წლის 23 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების შეწყვეტა, საცხოვრებელი ფართის შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მხარეთა შორის 2008 წლის 16 მაისს დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხე კისრულობდა ვალდებულებას 2008 წლის დეკემბრისათვის დაესრულებინა და მოსარჩელისათვის გადაეცა საცხოვრებელი ფართი, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით, თეთრი კარკასი. მოსარჩელემ თანხის გადახდის ვალდებულება შეასრულა 2008 წლის 16 მაისს და თანხა სრულად გადაიხადა. 2010 წლის 23 თებერვალს მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება იმავე ქონებაზე. საცხოვრებელი ბინის ექსპლუატაციაში შესვლის ვადა

განისაზღვრა 2010 წლის დეკემბრით. ფართის შესაძენად ბანკიდან აღებული ჰქონდა მიზნობრივი სესხი 14 %-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, 15 წლის ვადით. სამართალწარმოების დროს დაფარული იყო სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის ნაწილი. მოსარჩელის განცხადებით, მშენებლობის დაუსრულებლობის გამო მან ვერ მიიღო შემოსავალი, რასაც იგი მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის დეკემბერში დასრულებულ ბინას გააქირავებდა 2012 წლის ოქტომბრის თვემდე, თვეში საშუალოდ 250 აშშ დოლარად. მანვე მიუთითა, რომ მოპასუხე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, დაყვადებული აქვს უძრავი ქონება და ანგარიშები, არ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. მოსარჩელე ითხოვდა ბინისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, სარგებელს, რომელსაც ის მიიღებდა ვალდებულების დროულად შესრულებისას ბინის გაქირავების შემთხვევაში და ვალდებულების შესასრულებლად აღებული სესხიდან დარჩენილი გადასახდელი თანხას. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან მოსარჩელესთან არსებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა აშენებულია, მიყვანილია გარიგებით გათვალისწინებულ მდგომარეობამდე და შესაძლებელი იყო მისით სარგებლობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა მოპასუხემ სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მოპასუხეს წარმოემვა ვალდებულება, დაებრუნებინა მისთვის გადაცემული თანხა; ამ ვალდებულების დროულად შესრულება მოსარჩელეს თავიდან ააცილებდა იმ ზიანს, რომელიც მას მიადგა 2013 წლის 17 ივნისიდან (ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტი) საბანკო პროცენტის სახით. ამ დასაბუთებით, მოპასუხეს უნდა დაებრუნებინა ნასყიდობის თანხა და ამ თანხის 14 %-იც ხელშეკრულების გასვლიდან თანხის გადაცემის მომენტამდე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუღებელ სარგებელზე უნდა ყოფილიყო გადახდილი წლიური 10%, როგორც ანაბრის დაახლოებითი საპროცენტო ოდენობა. სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელიც მიუთითებდა, რომ მისთვის უცნობი იყო მოსარჩელის მიერ სესხის აღების ფაქტი ვალდებულების შესასრულებლად. მოპასუხის არგუმენტაციით, სხენებული გამოცხადება სავარაუდოდ კრიტერიუმს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით. კასატორი აგრეთვე სადავოდ ხდიდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობას იმ დასაბუთებით, რომ ბინის შეთანხმებულ მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულება დარღვეული არ ყოფილა.

**III. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მიუღებელი სარგებელი უნდა ათვლილიყო ნასყიდობის (და არა წინარე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის ექსპლუატაციაში შესვლის ვადის

შესაბამისად იმის საპირისპიროდ, როგორც ამაზე იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ. საკასაციო პალატა დაეთანხმა წინა ინსტანციას იმ განმარტებაში, რომ ბინის შესყიდვის მიზნით ბანკიდან აღებული კრედიტი და ამ კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი არაა ის ზიანი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობით, რადგან ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ბინას და არა თანხას. იმ დღიდან, როცა მოსარჩელე გავიდა ხელშეკრულებიდან, მოპასუხეს წარმოემვა მის მიმართ უკვე არა ბინის სათანადო მდგომარეობაში გადაცემის, არამედ მისი ღირებულების დაბრუნების ვალდებულება, რომლის შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს, თავის მხრივ, მიეცემოდა ბანკისათვის დარჩენილი საკრედიტო დავალიანების დაბრუნების შესაძლებლობა. უზენაესმა სასამართლომ მოპასუხისთვის დადგინილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რესტიტუციით დასაბრუნებელი თანხის 14 %-თან დაკავშირებით შეზღუდა და დაამატა, რომ ზიანი არ აღემატება მოსარჩელის მიერ სესხისთვის გადასახდელი პროცენტის ნაშთს. ბინის ღირებულების დაბრუნებამდე, აღნიშნული თანხის წლიური 14% წარმოადგენდა მოსარჩელის ზიანს, თუმცა არა უმეტეს იმ თანხისა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის დროისათვის გადასახდელი ჰქონდა მას პროცენტის სახით.

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილს, რომელიც მოპასუხეს აკისრებდა მიუღებელი სარგებლის 10 %-ის გადახდას მიუღებელ სარგებელთან ერთად, როგორც ანაბრის დაახლოებითი საპროცენტო ოდენობას. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება. ზემოაღნიშნული თანხა კი წარმოადგენს მიუღებელ შემოსავალს, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს დაეკისრა ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლამდე პერიოდისათვის. იგი არ ექვევა სკ-ის 352 V მუხლის რეგულირების სფეროში. შესაბამისად, მიუღებელი სარგებლის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის (ამ შემთხვევაში, ვადის გადაცილებისთვის) მოსარჩელეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (პროცენტი) სკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით.

*ნინო ქვამბია*

**განსხვავებული ოდენობის ბაჟის დაკისრება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის**

ა) კონსტიტუციური სარჩელით სასამართლოს განხილვის საგანი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სიტყვების: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს“, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე1“ ქვეპუნქტის სიტყვების: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს“, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის სიტყვების: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს“, კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.<sup>400</sup>

<sup>400</sup> თანასწორობის უფლება საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციით განმტკიცებულია მე-11 მუხლით; ცვლილება შევიდა საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონით №2071.

ბ) მიუხედავად კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებისა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის განსხვავებული ოდენობის ბაჟის გადახდის ვალდებულება, გარკვეულ შემთხვევაში, კვლავ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

კონსტიტუციის მე-14, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/623, შპს „სადაზღვევო კომპანია უნიონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

**I. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

სადავო ნორმები არეგულირებდა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრის საკითხს. აღნიშნული ნორმების მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნისა და ინსტანციების მიხედვით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის განსხვავებული იყო, კერძოდ, კანონმდებელი იურიდიული პირებისთვის აწესებდა უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს.

მოსარჩელე აპელირებდა გარემოებაზე, რომ ფიზიკური პირებისგან განსხვავებით, იურიდიული პირების მიერ საერთო სასამართლოებისთვის მიმართვის დროს უფრო მაღალი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაწესება, იწვევს ამ უკანასკნელთა მიმართ დიფერენცირებულ მოპყრობას; საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლზე<sup>402</sup> დაყრდნობით კონსტიტუციის მე-14 მუხლით განმტკიცებული თანასწორობის პრინციპი ვრცელდება იურიდიულ პირებზეც, თუ უფლებების ბუნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გააჩნიათ, როგორც ფიზი-

კურ, ისე იურიდიულ პირებს, შესაბამისად, ეს უფლება თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პირისთვის და იურიდიულ პირს არ უნდა ეკისრებოდეს გამრდილი ბაჟის გადახდის ტვირთი; შედარებად ჯგუფებს – ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით და ისინი წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს. მოსარჩელის ამრით, სადავო ნორმები დაუსაბუთებლად ახდენს არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირებას, რაც არღვევს კონსტიტუციის მე-14 მუხლს.

ამის საპასუხოდ მოპასუხე მიიჩნევდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსხვავებს ფიზიკური და იურიდიული პირების სამოქალაქო უფლებებს და მათთვის განსხვავებული ოდენობის ბაჟის დამდგენი ნორმები კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, ეს თავისთავად არ გულისხმობს აღნიშნული მუხლის დარღვევას; კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზნებისთვის სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობების მოწესრიგებისას სასამართლოს არსებითად განსხვავებული სერვისების მიწოდება არ უწევს, თუმცა, იურიდიული ბუნების გათვალისწინებით, რისკები, რომ სასამართლო გადაიტვირთება მეტი უსაფუძვლო და საქმის გაჭიანურების მიზნით წარდგენილი სარჩელით, იურიდიულ პირებთან მიმართ არის უფრო მაღალი და სწორედ ამის გათვალისწინებით გამართლებულია ასეთი არათანასწორი მოპყრობა.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რეალური და რაციონალური კავშირი სადავო ნორმის მიზანსა და შეჩივრულ საშუალებას შორის ვერ დგინდება და ყოველივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სიტყვები: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს“, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სიტყვები: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს“, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის სიტყვები: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს“ არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმების საფუძველზე ხდება გარკვეული პირების მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის გამოყენება, რაც გამოიხატება სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტების საერთო წრიდან ერთი ნაწილის – კერძო სამართლის იურიდიული პირების გამოყოფაში და მათთვის განსხვავებული საფასურის დაწესებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმების კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობისას, აუცილებელია, გამოიკვეთოს შესაბამისი ჯგუფები და განისაზღვროს, რამდენად წარმოადგენენ ისინი არსებითად თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით.

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში ხდება ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების დიფერენცირება, რაც გამოიხატება რიგ სასამართლო მოქმედებებზე განსხვავებული ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაწესებაში. ზოგადად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა მათი ბუნებისა და უფლებრივი სტატუსიდან გამომდინარე. თუმცა, ამ ორ პირს შორის არსებული განსხვავება ყოველთვის ვერ განაპირობებს მათ არსებითად უთანასწორო პირებად

<sup>401</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსხვავებული სახელმწიფო ბაჟის ზღვრული ოდენობაა დადგენილი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის, მაგალითად აღნიშნული მუხლის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა: ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს: ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს; ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5 000 ლარს. ამ ნორმის ამ ფორმით არსებობა განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. ამავე კანონის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტით საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: ა) საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ არ იყო გამხდარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მის კონსტიტუციურობაზე, თუმცა ნათელია, რომ აღნიშნული ნორმა იწვევს დიფერენცირებულ მიდგომას.

<sup>402</sup> ანალოგიური შინაარსისაა საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, კერძოდ „კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“; ცვლილება შევიდა საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონით №2071.



მიჩნევას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე შეფასებული აქვს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის დიფერენცირების კონსტიტუციურობის საკითხი და სასამართლოს პრაქტიკით უკვე დადგენილია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ხსენებული პირები არსებითად თანასწორ სუბიექტებად შეიძლება იქნეს განხილული.

შეიძლება ითქვას, რომ დაუსაბუთებელი სარჩელები-სგან თავის არიდების მიზნით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი თანაბრად ეფექტურია როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირების მიმართ. არ არსებობს გარემოება, რომელიც მიუთითებდა, რომ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი ერთი და იმავე ოდენობის სახელმწიფო ბაჟი განსხვავებულ ტვირთად შეიძლება დააწვეს მათ. ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ფინანსურად უზრუნველყოფილი, მაშინ, როდესაც იურიდიული პირს შეიძლება ჰქონდეს ფინანსური პრობლემები. სადავო ნორმები პირების დიფერენცირებას ახდენს არა მათი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, არამედ მათი სტატუსის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სადავო სამართლებრივ ურთიერთობის მიმართ ფიზიკური და იურიდიული პირების არსებითად არათანასწორ სუბიექტებად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმებით დიფერენცირება დადგენილია არსებითად თანასწორ პირებს შორის, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვას წარმოადგენს.

სასამართლოს მიერ დადგენილი ზოგადი სტანდარტებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის „მე-14 მუხლზე მსჯელობისას პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.

**III. კომენტარი**

მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება განსახილველი საქმის ტიპიდან გამომდინარე და იგი არ არის დამოკიდებული საქმის სირთულეზე ან/და სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების მოცულობაზე. ამკარაა, რომ კანონმდებლის მიერ დაწესებული სახელმწიფო ბაჟი არ არის სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ეკვივალენტური და სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საქმეზე გაწეული შრომის მოცულობა საერთოდ არ აისახება გადასახდელი ბაჟის ოდენობაზე.

ზოგადად, სასამართლოსათვის მიმართვის, სასამართლოს მომსახურებით სარგებლობის უფლება თითოეული ადამიანის კონსტიტუციური გარანტიაა და კანონით დაწესებული ბაჟი არ არის დაკავშირებული ამ სერვისის ღირებულების ანაზღაურებასთან. საქართველოს პარლამენტის პოზიცია, რომლის თანახმადაც, სამართალწარმოების სახელმწიფო ბაჟის დაწესება სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით ხდება – საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა.

მიმაჩნია, რომ სასამართლომ სწორი აქცენტი დასვა მოპასუხის სუსტ პოზიციასთან დაკავშირებით, კერძოდ, რატომ ადგენს ნორმებით განსაზღვრულ დავებში, როგორცაა: სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების; საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნ-

ველყოფის ღონისძიების გამოყენების ან ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვისას; კანონმდებელი მათთვის ბაჟის განსხვავებულ ოდენობას.

საქართველოს პარლამენტს არ წარმოუდგენია არანაირი არგუმენტი, რომელიც შეეხებოდა, გაამართლებდა ხსენებული ტიპის დავების სხვა დავებისგან განსხვავებულად მოწესრიგების წინაპირობებს.

მხარეს საერთოდ არ მიუთითებია, თუ რატომ ეფუძნება სადავო ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევების სხვა შემთხვევისგან გამიჯვნა გონივრულ საფუძველს. მოპასუხე ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არის სწორედ სადავო ნორმებით დადგენილი მოთხოვნის ტიპები განსაკუთრებული რისკის შემცველი, და იმ შემთხვევაშიც თუკი ეს ასეა, რატომ მოიბრუნება, რომ სწორედ იურიდიული პირები წარადგენენ უფრო მეტ უსაფუძვლო განცხადებას, ვიდრე ფიზიკური პირები.

ამრიგად, მოცემულ კონსტიტუციურ სამართლებრივ დავაში, რომელშიც მოპასუხის მიერ ვერანაირად ვერ მტკიცდებოდა კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ განსხვავებული ბაჟის დაწესების ლეგიტიმურობა, პარლამენტის სუსტი და ირაციონალური არგუმენტაცია კრიტიკას ვერ უძლებს. ამ პირობებში კი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მოულოდნელი ნამდვილად არ არის.

*მარიამ ლაბარტყავა*

**ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობების განმარტების სპეციფიკა, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ავლის თავისებურება და პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის წინაპირობანი.**

1. ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხავი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

2. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

3. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება.

სკ-ის 52, 327, 338, 581, 316, 317, 417-418, 581-ე მუხლები

საქართველოს უმენახეი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება № ას-1144-1090-2014

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ საიჯარო ქირის — 22290 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს — 4887,75 აშშ დოლარის, ყოველ გადაცილებულ დღეზე დავალიანების 0.04%-ის გადახდის შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2007 წლის 20 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ყოველთვიურად საიჯარო ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის შესახებ.

2009 წლის 1 აპრილს მხარეები შეთანხმდნენ ერთი წლის განმავლობაში, ანუ 2010 წლის 1 აპრილამდე საიჯარო ქირის 3000 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ 2010 წლის 1 აპრილიდან მოპასუხეს უნდა გადაეხადა კვლავინდებურად 3715 აშშ დოლარი, ბანკი კი იხდიდა 3000 აშშ დოლარს. 2011 წლის მაისში მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2009 წლის 1 აპრილს დადებული შეთანხმებით გაუქმდა 2007 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულების პირობა საიჯარო ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე და აღნიშნული ოდენობა 3000 აშშ დოლარამდე შემცირდა. ამავდროულად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2010 წლის 1 აპრილს, სარჩელი კი აღიძრა 2013 წლის 30 დეკემბერს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ი.ს.-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მან 2010 წლის 1 აპრილის შემდგომ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პრეტენზია განაცხადა საიჯარო ქირის ოდენობასთან დაკავშირებით. მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება კი საკმარისი არ არის, რადგან მოპასუხე სადავო გარემოებას არ აღიარებს. საქმის მასალებით არ დგინდება, მოპასუხეს როდის ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით. შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს მომენტი, საიდან უნდა ათვლილიყო შესაგებლის წარმოსადგენად სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ განსაზღვრული 10-დღიანი ვადა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 50-ე მუხლებით, 581-ე მუხლის პირველი ნაწილით, 316-ე, 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით და განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც მიმართულია ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ. მესაკუთრე (მეიჯარე) ანიჭებს მოიჯარეს ქონებაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებას, გარკვეული ვადით. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ 2007 წლის 20 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტი არ დასტუ-

რდება, რის გამოც მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლები არ არსებობს.

საქართველოს უმენახეი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით მოსარჩელის (კასატორი) საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. იმავე კოდექსის 581-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. ამდენად, იჯარის ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც მიმართულია ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ: მესაკუთრე (მეიჯარე) ანიჭებს მოიჯარეს ქონებაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებას, გარკვეული ვადით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით; არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. იმავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება; ხოლო 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. იჯარის ხელშეკრულების არსებითი პირობებია — მხარეთა შეთანხმება საიჯარო ქირის ოდენობაზე და ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულია, რომ მხარეები შეთანხმდნენ იჯარის ხელშეკრულების 5 წლის ვადით დადებამდე და, თავდაპირველად, ყოველთვიურად გადასახდელი იჯარის ქირა განსაზღვრეს 3715 აშშ დოლარით, 2009 წლის 1 აპრილიდან კი — შეამცირეს 3000 აშშ დოლარამდე. მართალია, 2009 წლის 1 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადად მიეთითა ერთი წელი, თუმცა — დამტკიცდა, რომ ერთი წლის შემდეგაც გაგრძელდა 3000 აშშ დოლარის გადახდა 2011 წლის 1 მაისამდე, ისე, რომ მეიჯარეს ამაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სფეციფიკა განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს

„გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებათა განმარტების საკითხებს აწესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებას ურთიერთგამომრიცხავი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

როგორც საქმის მასალებით დგინდება, მოდავე მხარეთა შორის დადებულია მხოლოდ ერთადერთი საიჯარო ხელშეკრულება 2007 წლის 20 დეკემბერს, მაშინ როდესაც სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების მხარეებს შორის არსებობს საქმიანი ურთიერთობა, ანუ მათ შორის რამდენჯერმე (თუნდაც ერთხელ მაინც) უკვე იყო დადებული ხელშეკრულება მსგავს ურთიერთობებზე და ბოლო ხელშეკრულება იდება განსხვავებული (შეცვლილი) პირობებით აქცეპტანტის მხრიდან და ამას მეორე მხარე (ოფერენტი) ეთანხმება იმგვარად, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს უარს. საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეები საიჯარო ქირის ოდენობის 715 აშშ დოლარით შემცირების შესახებ შეთანხმდნენ მხოლოდ ერთი წლის ვადით, კერძოდ, 2009 წლის 1-ლი აპრილიდან 2010 წლის 1-ელ აპრილამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს შეთანხმება ძალას კარგავდა. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 1-ლი აპრილის შეთანხმებამ შეწყვიტა მოქმედება 2010 წლის 1-ლი აპრილიდან და ამის შემდეგ არ მოხდა მხარეთა შორის საიჯარო ქირის ოდენობის თაობაზე წერილობითი ფორმით რაიმე ახალი შეთანხმების მიღწევა, მიიჩნევა, რომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 338-ე მუხლების საფუძველზე მოიჯარეს წარმოეშვა თავდაპირველად შეთანხმებული ოდენობის საიჯარო ქირის — 3715 (სამი ათასს შვიდას თხუთმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადახდის ვალდებულება, რაც საქმეში არსებული მასალების მიხედვით არაჯეროვნად განხორციელდა, კერძოდ, მოიჯარემ 2010 წლის 1-ლი აპრილიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ანუ 2011 წლის 1-ელ მაისამდე, გადაიხადა ყოველთვიურად შეთანხმებულ ოდენობაზე 715 აშშ დოლარით ნაკლები თანხა.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ საიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მხედველობაშია მისაღები, თუ ხანდაზმულობის დენის დაწყების მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის დენის დაწყების ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოთხოვნის სრულად ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრა. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კასატორის მოსაზრებაზე პირგასამტეხლოს გადახდასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულია *pacta sunt servanda*-ს (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპი. აღნიშნული კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებასაც, როგორცაა პირგასამტეხლო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო — მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა — მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. მოცემულ შემთხვევაში, 2007 წლის 20 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულების 3.4 პუნქტით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საიჯარო გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარეს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.04%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული

დარღვეული ვალდებულება — ამ ვალდებულების შესრულებაში. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებლობის ხანგრძლივობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საიჯარო ქირის სახით — 2860 აშშ დოლარის, ხოლო პირგასამტეხლოს სახით კი, 1304,16 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განიხილება, აგრეთვე საოქმო განიხილება უნდა დარჩეს უცვლელად.

*მარიამ ლაბარტყავა*

**მთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია, როგორც კრედიტორის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დამრღვევი ქმედება**

სკ-ის მე-8, 115-ე, 412-ე მუხლები

*საქართველოს უმენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება №ას-1338-1376-2014*

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

2010 წლის 16 დეკემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ კომერციულ ბანკს, შორის გაფორმდა ხელშეკრულება „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 240 თვე, ხოლო თანხის მოცულობა და ვალუტა შეადგენდა 1,000,000 აშშ დოლარს, ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში. გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 2010 წლის 16 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო „საკრედიტო ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზე კლიენტმა გაიცა კრედიტი - 375,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, 50 თვის ვადით და კრედიტის დაფარვის დროდ განისაზღვრა 2015 წლის 16 თებერვალი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში მდებარე ბინა და ქ. ქუთაისში მდებარე ნაკვეთი. მოსარჩელემ დაარღვია მოპასუხის წინააღმდეგ ნაკისრი საკრედიტო ვალდებულება. 2012 წლის 18 მარტს მოპასუხის მთხოვნის საფუძველზე მოსარჩელის მიმართ გაიცა ორი სააღსრულებო ფურცელი, რომლებითაც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა 308,723.01 აშშ დოლარით. სააღსრულებო ფურცლების აღსრულების მიზნით დაიწყო სააღსრულებო წარმოება.

2012 წლის 29 ივლისს მოპასუხეს „სხვა“ ბანკმა წერილობით აცნობა, რომ მოსარჩელეს დაუმტკიცა სესხი, მო-

სარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული კრედიტის დაფარვის მიზნით. აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ იპოთეკით დატვირთული ქონება N1 შეფასდა: 983 000 აშშ დოლარად (1 622 000 ლარი), ხოლო ქონება N2 - 105 000 აშშ დოლარად (174 000 ლარი). იძულებითი აუქციონის შედეგად ქონება N1 გაიყიდა 486 600 ლარად, ხოლო ქონება N2 - 127 020 ლარად. ორივე ქონება შეიძინა მოპასუხემ. მოსარჩელემ ქონება N1 მოპასუხისგან გამოისყიდა 486 000 ლარად.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი სასესხო ვალდებულების შესრულების ალტერნატივა არ გულისხმობდა ვალდებულების შესრულებას. წერილი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იყო და შემოიფარგლებოდა მოსარჩელეებისათვის სამომავლოდ სესხის გაცემის შესაძლებლობის დადასტურებით, კონკრეტული პირობის არსებობის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაარღვია ვალდებულება და მოპასუხეს სრული უფლება ჰქონდა, განეხორციელებინა იძულებითი აღსრულება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის ქმედებაში ვერ ამოიკითხა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის და მე-15 მუხლის შემადგენლობაზე, სამოქალაქო უფლების განხორციელების მართლზომიერებაზე, უფლების გამოყენების ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე შეფასების მიღმა დატოვა, არსებობდა თუ არა კრედიტორის მხრიდან მოვალისთვის ზიანის მიყენების მიზანი. შესაბამისად, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობა არასრულია და არ არის გამოკვლეული საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებები.

უმენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დგინდებოდა მსესხებლის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის ფაქტი, სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მოსარჩელის საქმიანობის არსიდან გამომდინარე, კომერციული ბანკის, როგორც საკრედიტო დაწესებულების უპირველეს ინტერესს წარმოადგენს ფულის, და არა - იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში მიღება.

მოსარჩელემ მოპასუხეს „სხვა“ ბანკის წერილის მეშვეობით შესთავაზა სასესხო ვალდებულების შესრულების ალტერნატივა. სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა, შეეფასებინა კრედიტორისათვის მიწოდებული შეთავაზების მიზნობრიობა და რეალურობა (სანდოობა), გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულებით მხარეთა შორის, მით უფრო, საკრედიტო დაწესებულებასა და კლიენტს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება ყოველთვის უკავშირდება პრემუმფციას, რომ ვალდებულება შესრულდება დადგენილი წესის დაცვით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საკრედიტო დაწესებულება „სხვა“ ბანკი წარმოადგენდა ქართულ საკრედიტო სივრცეში დამკვიდრებულ, რენომირებულ იურიდიულ პირს და არა - გაურკვეველი რეპუტაციის მქონე სუბიექტს. შესაბამისად, შეთავაზება ვალდებულების შესრულების შესახებ ვერ იქნებოდა აღქმული, როგორც ქონების იძულებით აუქციონზე

რეალიზაციისათვის ხელშეშლის, ან/და აღსრულების გაჭიანურების მცდელობა.

აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე სასამართლო განიხილავს კონკრეტულ შემთხვევაში კრედიტორის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების ვალდებულების დაცვის საკითხს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს აფუძნებს კეთილსინდისიერების პრინციპს და ამავდროულად, ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

მე-8 და 361-ე მუხლები მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვეკუთხედაა. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა, ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ - მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების დაფუძნების, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, მაშინ, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავდა, რომ სადავო შემთხვევაში მოპასუხის მიერ უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ, რაც თავისთავად გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობას., საკასაციო პალატამ არ გაიზიარა აღნიშნული მსჯელობა და განმარტა, რომ მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის დავალიანების სრულად დაფარვის შეთავაზება გამორიცხავდა კრედიტორის მიერ დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას - უძრავი ქონების რეალიზაციას, თეორიულადაც კი. ეს კი გამორიცხავდა მოპასუხის პოზიციის მართებულობას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი - ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე - ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

ისეთ პირობებში, როდესაც კრედიტორი ქონების აუქციონზე რეალიზაციის განმაპირობებელ გარემოებად სესხის გადაუხდელობას მიიჩნევს, ხოლო თავის მხრივ, მოვალე კრედიტორის ამ გადაწყვეტილებით მიღებულ ზიანზე აპელირებს, სასამართლოს შეფასების მთავარი საგანია, იყო

თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში კრედიტორის ქმედება ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით და თუ არ იყო, მიადგა თუ არა ზიანი მოვალეს კრედიტორის ამგვარი ქმედებით. ცალსახაა, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში. თუმცა, საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკის ქმედება ვერ იქნებოდა მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად. ბანკის ინტერესს წარმოადგენდა ფულადი ვალდებულების შესრულება. იმ პირობებში, რომ ბანკს ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ წერილობით მიეწოდა შეთავაზება, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა გულისხმიერი დამოკიდებულების გამოჩენა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამდენიმე ვარიანტიდან კლიენტისათვის ყველაზე ხელსაყრელი და ოპტიმალური შემთხვევის ამორჩევა..

### III. კომენტარი

სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, „სხვა“ ბანკის“ წერილი პირდაპირ არ ავალდებულებდა მოპასუხეს, შეეწყვიტა სააღსრულებო პროცედურები, თუმცა საკრედიტო დაწესებულების ქცევის მართლზომიერების შეფასებისას განმსაზღვრელ კრიტერიუმად გვევლინება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის მიერ კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულებების შესრულების ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა აუცილებლად იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესი ინტერესი. ბანკს შეეძლო რეალიზაციისათვის საჭირო მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯებისათვის გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დაირღვა კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა საკმარის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოპასუხის მიერ უძრავი ნივთების აუქციონზე რეალიზაციის, როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის გამოყენება შეფასებულიყო უფლების ბოროტად გამოყენებად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია 115-ე მუხლის შემადგენლობაზე და მსჯელობის არსებითი ნაწილი დაუთმო ქმედების კეთილსინდისიერების შეფასებას.

ამდენად, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნორმის დანაწესით მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას წინასწარ არ შეეძლო.

სასამართლოს განმარტებით, მაშინ როდესაც დადგინდა მოპასუხის მიერ კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა

და უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის დარღვევა, აუცილებელია დადგინდეს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შემადგენლობის ნიშნების არსებობა. მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად აუცილებელია დადგინდეს, რომ მოპასუხეს წინასწარ შეეძლო ევარაუდა მის მიერ განხორციელებული ქმედებით მეორე მხარისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული

გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტობრივი გარემოებები სავარაუდო ზიანთან დაკავშირებით და საქმე დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

*ანა ავლაძე*

